72(3)
ქ-15

ზრანი ქავთარია



სამყაროს ზვიდი საოცრება

ქ(5)
ქ-15

გრანი ქავთარია

სამყაროს შვიდი საოცრება

ქ. ... 8.IV.05

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1996

9(3)

63. 3(0)3
931
ქ 153

წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განხილულია ანტიკური ეპოქის მიერ საოცრებებად შერაცხული ხელოვნების ძეგლების შექმნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პირობები. „სამყაროს შვიდი საოცრება" ადასტურებს ძველი ხალხების სულიერი განვითარების მაღალ დონეს.

წიგნი განკუთვნილია ძველი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. ლ. სანიკიძე
რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. გ. ბამრეკელი
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოც. გ. ხუციშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996

$\text{Ბ}\ \frac{0503000000}{608(06)-96}$

ISBN 5-511-00720-X

წინასიტყვაობა

კაცობრიობის მეხსიერება ძველი ეგვიპტიდან და შუამდინარეთიდან იწყება. შუმერებმა და ეგვიპტელებმა დაარწიეს მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი. მათ სახელს უკავშირდება მატერიალური და სულიერი კულტურის პირველი ძეგლების შექმნა. ტიგროს-ევფრატისა და ნილოსის ნაპირებზე დამკვიდრებულმა ხალხებმა ჩაუყარეს საფუძველი მეცნიერებისა და ხელოვნების საწყის საფეხურებს. მათი გენიის უთვალსაჩინოესი გამონათება იყო დამწერლობის შექმნა. ძველ ეგვიპტელებსა და ბაბილონელებს მიეწერებათ ციური მოვლენებისა და გარემომცველი სამყაროს შესწავლის პირველი ცდები. აღმოსავლეთში დაედო სათავე მხატვრულ ლიტერატურას. განსაკუთრებულ დონეს მიაღწია ხუროთმოძღვრებამ, რომლის ნიმუშები აღწერებითა და გადმოცემებით დავიწყებას არასდროს მისცემია, ხოლო ეგვიპტის პირამიდები დღესაც დგანან ძველ ხელოვანთა სახელის უკვდავსაყოფად.

ძველი ხალხების რელიგიურმა წარმოდგენებმა განსაზღვრეს არქიტექტურის განვითარება. აღმოსავლეთმა მთელი თავისი ხუროთმოძღვრული შესაძლებლობა საკულტო ნაგებობათა აღმართვაში გამოავლინა. ძველი აღმოსავლეთის ოსტატებმა საამშენებლო ტექნიკის პრიმიტიულობის მიუხედავად, მსოფლიო ცივილიზაციას მრავალი შეუდარებელი ძეგლი დაუტოვეს. უნდა გვახსოვდეს, რომ კულტურის პიონერები, ძვ. წ. III ათასწლეულში, თავიანთ ზღაპრულ შედევრებს ძირითადად ქვის იარაღებით ქმნიდნენ.

ძველი აღმოსავლეთის მონარქები, ღმერთების რჩეულები და მათი ნების მიწიერი ზრახვების აღმსრულებლები იყვნენ. საბერძნეთმა დაძლია აღმოსავლეთის გადაჭარბებული ფანატიზმი. ელინური ხელოვნება და ლიტერატურაც არსებითად რელიგიით საზრდოობდა, მაგრამ მათი ღვთისმოსაობა უფრო თავისუფალი იყო, საკულტო დანიშნულების ბერძნული ნაგებობანი და ღმერთების გამოსახულებანი, აღმოსავლურისაგან განსხვავებით, მთავარ ყურადღებას ძეგლის გარეგნულ მომხიბვლელობას უთმობდა.

ანტიკური სამყარო ღირსეულად აფასებდა წინამორბედი ხალხების კულტურულ მემკვიდრეობას. ძველმა ბერძნებმა, აღმოსავლეთის ხელოვნების მრავალი, დღეისათვის მიწის პირისაგან აღგვილი ძეგლი უკვდავყვეს. თანამედროვე ადამიანები აღტაცებაში

მოჰყავს ჰეროდოტესეული ეგვიპტის სიძველეთა მაღალმხატვრულ აღწერას. რაც შეეხება ძველი სამყაროს უდიდესსა და ულამაზეს ქალაქ ბაბილონს, მის ძირითად მეგზურად „ისტორიის მამა“ რჩება.

ელინისტურმა ეპოქამ, არქიტექტურული და სკულპტურული ძეგლების სიმრავლეში შვიდი დააყენა უმაღლეს საფეხურზე და საოცრებები უწოდა.

ძველი ხალხების რელიგიური წარმოდგენით, შვიდი წმინდა რიცხვად ითვლებოდა. შვიდზე მაგიური ფუნქციების დაკისრებას დასაბამი მისცა მთვარის თვის 28 დღიანმა ფაზამ. ერთი თვის განმავლობაში მთვარე გაივლის ოთხ ფაზას. იგი იცვლება ყოველ შვიდ დღეში. ცვლილება საფუძვლად დაედო შვიდდღიან კვირას. წმინდა რიცხვს შვიდს დაუკავშირეს შვიდი ციური სხეულის სახელი და თაყვანს სცემდნენ, როგორც კვირის თითოეული დღის მფარველს.

ბერძენთა ფანტაზიამ შვიდის ღვთაებრივ ცნებას სინამდვილის შელამაზებული სახე მისცა. მიუწვდომელი შვიდი რეალური გახადა და მიწაზე გამოუძებნა მისი სადარი ქმნილებანი. სამყაროს შვიდი საოცრება, შვიდი ბრძენი, ელინების უხილავი წარმოდგენების დაძლევა და ზეციურ მოვლენებთან მიწიერის გათანაბრების წარმატებით ცდა იყო. ბერძნებმა ადამიანის ხელით შექმნილი დაუპირისპირეს ზეციურს და გარკვეულ პერიოდში კიდეც გაუთანაბრეს.

აღმოსავლეთში ჩასახული ცოდნა რელიგიის ბურუსში იყო გახვეული და საწყის სტადიას ვერ გასცდა. კულტურული მსოფლიო არ კამათობს, ცოდნა არსებობდა აღმოსავლეთშიც, მაგრამ მეცნიერება მიაჩნია ბერძენთა გამოგონებად. პირველად ელინებთან იზეიმა თავისუფალმა აზრმა ბუნებაზე თავისი გამარჯვება. ბერძნებმა ფართოდ გაუღეს კარი აღმოსავლეთის სულიერ სიმაღლეს. ისინი გახდნენ წინამორბედთა საუკეთესო მოწაფენი და მომდევნო საუკუნეთა ბრძენი მასწავლებლები.

აღმოსავლეთის ხალხებისა და ელინების რჩეულ ხელოვანთა ფანტაზიით შექმნილი ძეგლები დღესაც ალამაზებენ კაცობრიობის წარსულს. კოსმოსის ეპოქაში მცხოვრები ადამიანებისთვისაც არ მოძველებულა ეგვიპტელ, ბაბილონელ და ბერძენ ხუროთ-მოძღვართა და სკულპტორთა დახვეწილი ხელოვნება.

სამყაროს შვიდ საოცრებად აღიარეს ათასწლეულების შემაჯამებელი ქმნილებანი. ქრონოლოგიურად საუკუნეებზე საოცრებათა განაწილება არათანაბარია. პირამიდები აღიმართა ძვ. წ. XXVII საუკუნეში (მხედველობაში გვაქვს IV დინასტიის პირამიდები). მთელი ოცი საუკუნე, ბაბილონის დაკიდულ ბაღებამდე (ძვ. წ. VI ს) ხსოვნა დუმს. საეჭვო არ არის, რომ ამ ორი ათასი წლის განმავლობაში მრავალი მაღალი დონის ქმნილება შეიქმნებოდა, მაგრამ ვიდრე ბერძნები გახდებოდნენ მსოფლიოს მონაპოვართა შემფასებლები, მანამდე ვერ მოაღწიეს და ამიტომაც მნემოსინეს მფარველობის გარეთ დარჩნენ. შვიდი საოცრებიდან ორი უსწრებს ელინური ეპოქის დადგომას. ხუთი ბერძენმა ოსტატებმა შექმნეს.

ანტიკური ავტორების აღწერებით აშკარა ხდება ის დიდი სხვაობა, რაც პირველობის გვირგვინდადგმულსა და ჩვეულებრივ ძეგლს შორის არსებობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, პირამიდების გარდა, არც ერთი საოცრება მოღწეული არ არის. მათი დონის შესახებ მსჯელობენ იმ საერთო აღფრთოვანებით, რომელსაც უხვად გამოთქვამდნენ ბერძენ-რომაელი ხელოვნების მოყვარულები. უცნობია რამდენი ხელთუქმნელი ძეგლი დარჩა ისტორიის მარადიული დუმილის საკუთრებად. დღესაც აოცებენ ადამიანებს ძველ ოსტატთა ქმნილებანი, ისეთები, რომლებსაც თანამედროვეთა ყურადღება არ დაუმსახურებიათ.

საოცრებები ერთმანეთისაგან განსხვავებულ ხელოვნების ქმნილებებს წარმოადგენდნენ. ორი მათგანი წმინდა საერო ნაგებობა იყო (ბაბილონის დაკიდული ბაღები, ალექსანდრიის შუქურა), ორი მეფეთა განსასვენებელი (პირამიდები, ჰალიკარნასის მავზოლეუმი), ერთი ტაძარი (არტემიდა ეფესელის), ორიც ღვთაების გამოსახულება (ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში, ჰელიოსისა კუნძულ როდოსზე).

საოცრებად შერაცხულთა გარდა გამოჰყოფდნენ ხელოვნების მრავალ ძეგლს, რომელთა ჩასმა შვიდეულში თავისუფლად შეიძლებოდა. ძველ ავტორებს საოცრებებში შეჰქონდათ: ბაბილონის კედელი, რქის საკურთხეველი დელოსზე,[1] კიროსის სასახლე პერსეპოლისში, თებეს სატაძრო კომპლექსი ეგვიპტეში, მემრონის ქანდაკებები, ზევსის ტაძარი კიზიკოსში, ასკლეპიოსის ქანდაკება

1. გადმოცემით, საკურთხეველი აღმართა აპოლონმა არტემიდას მიერ დაბოცილი ველური თხების მარჯვენა რქებისაგან.

ეპიდავროსში, ფიდიასის ათენა პართენოსი ათენის აკროპოლისზე, მოგვიანებით: რომის კაპიტოლიუმის ნაგებობანი და კოლიზეუმი, აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში. რიცხვს რამდენიმე ათეულამდეც კი აგრძელებენ.

საოცრებები შეიქმნა ძველი ხალხების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ზენიტზე. მათი აღმართვით ისინი ხაზს უსვამდნენ თავიანთ ძლევამოსილებას.

სემირამიდას ბაღებში გაერთიანდა შუამდინარეთის არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები. ბერძნული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების ტრიუმფს წინ უძღოდა სახელოვან ოსტატთა მრავალი თაობის გამუდმებული ძიება. გამონაკლისს წარმოადგენს ეგვიპტის პირამიდები. ხუროთმოძღვრების გრანდიოზული ნაგებობანი ნილოსისპირა ოსტატებმა ეგვიპტის ისტორიის გარიჟრაჟზე აღმართეს.

ყველა საოცრებას მოკლე ისტორიული ნარკვევი დავურთეთ, სადაც დახასიათებულია ეპოქა, რომელმაც განაპირობა ძეგლის შექმნა. პირამიდებს ასეთი შესავალი არ უძღვის, ვინაიდან ეგვიპტის ისტორია პირამიდებით იწყება. რაც შეეხება შემდგომი პერიოდის ეგვიპტის ისტორიას, საკითხთან სუსტი კავშირის გამო, წიგნში მისი შეტანა საჭიროდ არ ვცანით

საოცრებებმა ისტორიის ქარიშხლებს ვერ გაუძლეს, მაგრამ აპოლონის გენიის მსახურ ბერძენ-რომაელ ავტორთა ნამღერი ჰიმნი, მარადიული შარავანდედით მოსავს ძველ ხელოვანთა ღვთაებრივი ნიჭით გასხივოსნებულ ტაძრებსა და ქანდაკებებს

საოცრებები ანტიკური ეპოქის ადამიანების ღვთაებრივ აღტაცებას იწვევდა. მათ უბედურად მიაჩნდათ ის პიროვნება, რომელიც ფიდიასის ზევსის ან პირამიდების უნახავად გარდაიცვლებოდა. მაგრამ, მომდევნო საუკუნეებში, დადგა დრო, როდესაც ახალმა მბრძანებლებმა, კულტურის დაბალი დონის ან რელიგიური მოსაზრების გამო, შეუბრალებლად გაანადგურეს ყოველივე ხელოვნების განუმეორებელი ძეგლები, უმნიშვნელო, მაგრამ თავიანთი საჭიროებისათვის აუცილებელი შენობების ასაგებად გამოიყენეს. ეს მრავალი ფაქტით დასტურდება არაბული და თურქული მპყრობელობის ისტორიიდან. დრო მხოლოდ პირამიდებმა დაამარცხეს. ამის მიუხედავად, სამყაროს შვიდი საოცრება რჩება, როგორც კაცობრიობის წარსულის ლამაზი მოგონება.

P.S. თანამედროვე ლიტერატურაში გვხვდება საკუთარი სახელების ძველ-ეგვიპტური წაკითხვა. მაგ. ხუფუ, ხაფრა, მენკაურა და სხვ. – ხეოფსის, ხეფრენის, მიკერინის და სხვათა ნაცვლად.

ეგვიპტური საკუთარი სახელების გრაფიკული გამოსახულება იეროგლიფური დამწერლობის გაშიფვრამდე დავიწყებული იყო. 25 საუკუნე კულტურული მსოფლიო ეგვიპტურ სახელებს იცნობდა მწიგნობრული გზით, იმ სახით, ბერძენმა ავტორებმა რომ დაამკვიდრეს. იეროგლიფების საიდუმლოებათა გახსნამ აღადგინა მათი თავდაპირველი წაკითხვა. თუმცა დიდი ნაწილის ეგვიპტური სახელწოდება კვლავ უცნობი დარჩა.

უპირატესობას ვანიჭებთ ეგვიპტური საკუთარი სახელების ტრადიციულ გადმოცემას. ცოდნა იმისა, თუ რა ერქვა ეგვიპტურად ამა თუ იმ პიროვნებას ან გეოგრაფიულ პუნქტს, აუცილებელია, მაგრამ ოცდახუთსაუკუნოვანი რეალობის დარღვევაც არ არის მართებული. თანაც ბევრი საკუთარი სახელის ეგვიპტური სახელწოდება ბოლომდე გარკვეული არ არის. განა ოდესმე აღვადგენთ, თუ რას უწოდებდნენ ფარაონების ეპოქის ეგვიპტელები: ეგვიპტეს, ნილოსს, პირამიდას, მემფისს, თებეს, კროკოდილოპოლისს, ჰერაკლეოპოლისს და სხვ. ამის გამო საკუთარ სახელებს ვტოვებთ იმ ფორმით, როგორც დააფიქსირეს ძველმა ბერძნებმა.

პირამიდები

ეგვიპტის სიმბოლო, პირამიდები, სამყაროს შვიდი საოცრების სათავეში ელინისტურმა სამყარომ დააყენა. ფარაონების განსასვენებლებს დრომ დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ მთავარი, გრანდიოზულობა, ვერ წაართვა.

ძველი ეგვიპტელები მემფისის რეგიონის ვრცელ ტერიტორიაზე აგებდნენ პირამიდებს, მაგრამ პირველობის გვირგვინი გიზეში აღმართულმა გიგანტებმა დაისაკუთრეს.

ფარაონების ქვეყნის ხუროთმოძღვრების მრავალმა ძეგლმა დაიმსახურა ბერძენი ავტორების ყურადღება. განსაკუთრებული ხაზგასმით დაახასიათეს მერიდის ტბასთან არსებული ნაგებობა, რომელსაც ლაბირინთი უწოდეს. „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე წერს, მე ვნახე ეს ლაბირინთი. იგი იმდენად დიდებულია, რომ მისი აღწერა შეუძლებელია, ხოლო მოცულობით პირამიდებსაც კი აღემატება. სტრაბონის მიხედვითაც, ლაბირინთი თავისუფლად შეიძლება შევადაროთ პირამიდებს.

მას შემდეგ რაც ბერძნები გახდნენ arbiter elegantiarum, შეფასების მაღალი დონე დაიმკვიდრეს თებეს ტაძრებმა და ფარაონ ამენხოტპ III ქანდაკებებმა, მემნონის სახელით რომ იცნობდნენ. ზოგიერთ ავტორს ეს ძეგლები არაკანონიკურ საოცრებათა შვიდეულშიც კი შეჰყავდა. მაგრამ ოცდაათსაუკუნოვანი ეგვიპტური ცივილიზაციის მწვერვალად გიზეს პირამიდები რჩებიან.

პირამიდა ყველასათვის ცნობილი სიტყვაა, მაგრამ დაუდგენელია მისი წარმომავლობა. ფიქრობენ, რომ მისი საფუძველი გახდა ბერძნული „პირამის“ – „პირამიდეს“. ეტიმოლოგიურად აკავშირებენ სიტყვასთან „პირ“ – „პირა“ – ცეცხლი, ალი, ზეციური ცეცხლი, ელვა, სამსხვერპლო ცეცხლი, სამარხი.

ბერძნულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში „პირამიდის“ ეგვიპტური წარმომავლობის სიტყვად მიაჩნიათ, მაგრამ დამადასტურებელ წყაროს ვერ ასახელებენ.

პირამიდას ეგვიპტურად სახელწოდება არ ჰქონდა. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ნაგებობა უსახელო იყო. თითოეული ატარებდა იმ ფარაონის სახელს, რომლის განსასვენებელსაც

იგი წარმოადგენდა. ხეოფსის პირამიდას ეწოდებოდა „ჰორი ბინადრობს ჰორიზონტზე“, ხეფრენისას „ბუმბერაზი ხეფრენი“, მიკერინისას „ღვთაებრივი მიკერინი“.

პირამიდას სახელი ბერძნებმა დაარქვეს და ამ სახელითაა გავრცელებული იგი მსოფლიოში (გამონაკლისს თანამედროვე ეგვიპტელები წარმოადგენენ. ისინი პირამიდას უწოდებენ „ალ-ხარამ“, მრავლობითში „ალ-ახრამ“). ძველი ბერძნების შერქმეული სახელი უფრო მყარი გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ელინი მოგზაურები ეგვიპტეს იმ დროს გაეცნენ, როდესაც პირამიდებს გარეგნული ფორმა ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ. გაპრიალებული ქვის ფილებით მოპირკეთებული, ცისკენ აწვდილი პირამიდა მზისა თუ მთვარის შუქზე ისეთ ანარეკლს გამოასხივებდა, რომ მხილველში უზარმაზარი ალის ასოციაციას იწვევდა.

პირამიდების აგების იდეა რელიგიური მოტივებით საზრდოობდა.

ეგვიპტელების პანთეონი, სხვა ძველ ხალხებთან შედარებით, რთული და მრავალფეროვანი იყო.

ეგვიპტის გაერთიანებამ (ძვ. წ. XXX საუკუნე) გამოიწვია ადგილობრივი კულტების შერწყმა და საერთო ღვთაების ჩამოყალიბება.

ცენტრალიზებული სამეფოს წარმოქმნამ ფარაონი ნილოსის სანაპიროს ერთპიროვნულ მპყრობელად გადააქცია. ყველა მიწიერი უფლებების მოპოვებასთან ერთად ისინი ზეცის მბრძანებლებსაც შეეცილნენ ბატონობის სფეროში და მათი ტახტის გაზიარებაც მოახერხეს. პირველ დინასტიათა ფარაონებმა თავიანთ მფარველ ღვთაებად მზისა და ცის ღმერთი ჰორი გამოაცხადეს. V დინასტიიდან (ძვ. წ. XXVI) მოყოლებული, მზის ღმერთის რას შვილებად იქცნენ

შეიქმნა ფარაონის კულტი. იგი გამოცხადდა ცოცხალ ღმერთად მიწაზე. ფარაონის ღვთაებრივი წარმომავლობის განსამტკიცებლად უზარმაზარი სახსრები იხარჯებოდა. მხოლოდ მას შეეძლო ღმერთების სამსახური. იგი ასრულებდა უმთავრეს რელიგიურ რიტუალებს. აგებდა ტაძრებს ღმერთების სახელზე. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებულ ტაძრებში ამ რიტუალებს უმაღლესი ქურუმები ასრულებდნენ, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მეფის უახლოესი ნათესავები იყვნენ. ფარაონს მიანიჭეს ტიტული

„მზის შვილი“ მზის ტაძრის კედელზე მას გამოსახავდნენ მიწიერი ღმერთის სახით, რომელიც ტახტზე იჯდა და ამქვეყნიური სამყაროს მეუფის ანუბისისაგან ცხოვრების ნიშნებს ღებულობდა. ფარაონს ხშირად გამოსახავდნენ ოსირისის სახითაც. მეფის კარი ყაღმრთო ცხოვრებით სუნთქავდა. აკრძალული იყო ფარაონის სახელის წარმოთქმა. შეხვედრისას ქვეშევრდომები მის წინაშე უნდა დამხობილიყვნენ. დიდ წყალობად ითვლებოდა ფარაონის ფეხზე ამბორი. ქურუმები „მზის შვილის“ სახელით მოქმედებდნენ. ისინი შთააგონებდნენ ეგვიპტელებს, რომ ერთადერთ მიწიერ ღმერთს წარმოადგენს ფარაონი. მთელი მათი საქმიანობა ამ რწმენის განმტკიცებას ემსახურებოდა.

ეგვიპტელთა ღვთისმოშიშობას ჰეროდოტე ხაზგასმით მიუთითებდა. ელინურ მითოლოგიაზე აღზრდილი ისტორიკოსისათვის ქურუმების მონათხრობი და რასაც ხედავდა, ბევრი გაუგებარი იყო.

ძველ ეგვიპტელებს ღრმად სწამდათ სულის უკვდავება. მათი აზრით გარდაცვლილი ადამიანის სული დროთა განმავლობაში დაუბრუნდებოდა სხეულს. მიწიერი ცხოვრება განიხილებოდა, როგორც იმქვეყნიური მარადიული სიცოცხლის შემამზადებელი. საიქიო ცხოვრება ეგვიპტური რელიგიით, მიწიერი სიცოცხლის გაგრძელება იყო. საიქიო წარმოადგენდა ამქვეყნიურის გაუმჯობესებულ ვარიანტს: მიწა იძლეოდა უხვ მოსავალს, ადამიანს ელოდა სასმელ-საჭმელის სიუხვე, ასრულებად მსუბუქ სამუშაოს, ან საერთოდ არ მუშაობდა. საიქიოში მეფობდა მარადიული მშვიდობა.

ეგვიპტელები ადამიანის მატერიალურ საფუძვლად თვლიდნენ სხეულს, არამატერიალურად სულს, რომელსაც უწოდებდნენ „ახ“, „ბა“, „კა“. ამ სამი მაგიური ცნებიდან მთავარი იყო „კა“. მასში აერთიანებდნენ დანარჩენების შინაარსსაც.

ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენით, ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში კვდება მისი სხეული. რაც შეეხება სულს, იგი ამოფრინდება და უერთდება ზეცას. სხეულისა და სულის ასეთი ურთიერთობა რელიგიამ დაუკავშირა „კას“. „კა“ არის გენია, ადამიანის მფარველი, მისი ორეული. იგი უხილავია, მაგრამ მისი სახე აქვს ვისაც ეკუთვნოდა. „კა“ ადამიანში იყო მთელი ცხოვრების მანძილზე, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ აგრძელებდა სიცოცხლეს და ზრუნავდა მასზე. „კა“

შეიძლება დაიღუპოს შიმშილისა და წყურვილისაგან. ამიტომ იგი მოითხოვდა გარკვეულ შესაწირავს საკვებისა და სასმელის სახით. ეს იყო მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ეგვიპტელები, კვების პროდუქტებთან ერთად, გარდაცვლილ პიროვნებას საფლავში ატანდნენ უზარმაზარ სიმდიდრეს. „კას" შეეძლო დასადგურებულიყო, როგორც მუმიაში, ისე გარდაცვლილის გამოსახულებაში, რომელიც სარკოფაგთან იდგა და განსვენებულის ზუსტ ჭსლს წარმოადგენდა.

საიქიო ცხოვრების ძირითად პირობად მიჩნეული იყო გარდაცვალებულის სხეულის შენახვა, მისი მატერიალური არსების შენარჩუნება. ამ იდეას ემსახურებოდა მუმიფიცირება. მუმიფიცირებამ, რომელსაც ადამიანის სულის უკვდავება ედო საფუძვლად, დროთა განმავლობაში კანონიკური სახე მიიღო.

მუმიფიცირების შესახებ ვრცელი ცნობები აქვთ დაცული ჰეროდოტეს და დიოდორე სიცილიელს. ჰეროდოტეს მოწმობით ეგვიპტეში ცხოვრობდა ოსტატთა კატეგორია, რომელთა ძირითადი ხელობა ბალზამირება იყო.

წყაროებში დეტალურადაა აღწერილი ბალზამირების პროცესი და მითითებულია დრო (40 დღე), რის შემდეგაც შეიძლებოდა მიცვალებულის სარკოფაგში გადასვენება და დაკრძალვა. დბალზამების ხარისხი დამოკიდებული იყო გარდაცვალებულის ქონებაზე.

ჰეროდოტე ბალზამირების სამ ხერხს აღწერს. მდიდარი კაცის მუმიფიცირება ხდებოდა ყოველგვარი წესების დაცვით და ძვირი ჯდებოდა. ღარიბთა მუმიფიცირებას შრომაც ნაკლები სჭირდებოდა და ხსნარებიც მცირე რაოდენობით ეხარჯებოდათ. ჰეროდოტე ვრცლად აღწერს მუმიფიცირების საკმაოდ გრძელ პროცედურას. ათასწლეულებს გამოღწეული მუმიები ადასტურებენ, რომ ძველი ეგვიპტელი ოსტატები თავიანთ საქმეს საფუძვლიანად ფლობდნენ.

სულის უკვდავების აღიარება ორი ძირითადი ატრიბუტით გამოიხატებოდა: ბალზამირებით და განსხვავებული აკლდამის აგებით. თუ გარდაცვლილის სხეული დაზიანდებოდა, ან გაიხრწნებოდა, ან მძარცველი გაანადგურებდა, მისი „კა" დაკარგავდა არსებობის მატერიალურ საფუძველს და მოკვდებოდა ადამიანის არამატერიალური არსი (მოკვდებოდა საბოლოოდ). ვ. ზამაროვსკი წერს, ეგვიპტელთა ძვირფასი და პომპეზური

სამარხები გამოხატავენ არა მარტო მოწიწებას გარდაცვალებულისადმი, რომლის მსგავსი სხვა ხალხებშიაც გვხვდება, არამედ იგი განპირობებული იყო საიქიო ცხოვრების შესახებ მათი რთული წარმოდგენებით.

ძველი ეგვიპტელების გასაოცარი გულმოდგინება გარდაცვალებულთა კულტისადმი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ისინი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ვერ იცლიდნენ. ეგვიპტელის ამქვეყნიური ცხოვრება იყო შემზადება მარადისობაში გადასასვლელად. საერო დანიშნულების ხუროთმოძღვრება, მოკრძალებული საყოფაცხოვრებო ინვენტარი სხვა ძველი ხალხების თითქმის ანალოგიური იყო. სამაგიეროდ, გარდაცვლილებს უწყობდნენ ისეთ მდიდრულ ნაგებობათა კომპლექსებს, რომლის მსგავსიც არც ერთ ხალხს არ შეუქმნია.

დინასტიურ ეპოქამდელი ეგვიპტური დასაფლავების წესები განსაკუთრებული ნიშნებით არ გამოირჩეოდა. პირველი ფარაონების დაწყებული მდიდრული სამარხების მოწყობა გადაიზარდა მასტაბების აგებაში, რაც III-IV დინასტიების დროს გრანდიოზული პირამიდების აღმართვით დაგვირგვინდა.

პირამიდის უშუალო წინამორბედად მიჩნეულია მასტაბა (მასტაბა – არაბული სიტყვაა, ნიშნავს სკამს. XIX საუკუნეში ეგვიპტელმა მუშებმა, რომლებიც არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდნენ, ასე უწოდეს ამ სამარხებს). თავდაპირველად მასტაბა მცირე მოცულობის ნაგებობას წარმოადგენდა, მაგრამ დინასტიური ეპოქის დასაწყისიდან მისი მოცულობა გაიზარდა. ფარაონის განსასვენებელი მოთავსებული იყო მიწისქვეშა ლაბირინთებში, რომელიც ზედაპირს სხვადასხვა სახის ჩასასვლელებით უკავშირდებოდა. მასტაბა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. მთავარი იყო ფარაონის დასაკრძალავი საკანი, ზედაპირიდან 2-3 მეტრის სიღრმეზე მოთავსებული (ზოგჯერ 10-20 მეტრზეც). მეორე საკანში ინახავდნენ საიქიო ცხოვრებისათვის აუცილებელ ნივთებს. მესამე წარმოადგენდა სულის მოსახსენებელ ნაგებობას, სამლოცველოს. ამის გარდა მასტაბის მთლიან კომპლექსში სხვა ტიპის ნაგებობაც შედიოდა.

მასტაბების მდიდრულ მოწყობაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა ეგვიპტის დაპყრობითი ომების გაფართოებამ. ფარაონების ძირითად საზრუნავად იქცა იმქვეყნიური ცხოვრებისათვის გამიზ-

ნული საგანძურის საიმედოდ დაცვა. სიმდიდრის ზრდასთან ერთად დაიწყო მასტაბების კონსტრუქციების გართულება. მაგრამ ძველი ეგვიპტელი მძარცველების საოცარი პროფესიული ოსტატობის წინაშე ფარაონების სურვილი სურვილად რჩებოდა. მძარცველები გიგანტური მასტაბის სიღრმეში დაკრძალული ფარაონის სიმდიდრის მოტაცებას მაინც ახერხებდნენ. რელიგიური და პოლიტიკური ინტერესები მოითხოვდა ხუროთმოძღვართა აზროვნების კონ-ცენტრაციას. უნდა შეემუშავებინათ იმქვეყნიური განსასვენებლის ისეთი პროექტი, რომელიც ფარაონის სიმდიდრეს მიუწვდომელს გახდიდა. დროთა განმავლობაში პრობლემა თითქოს გადაიჭრა. დაიწყეს გრანდიოზული მასტაბების აგება. ყველაზე დიდი მასტაბა საფუძველში 50X30 მეტრი, ხოლო სიმაღლეში 6-8 მეტრი იყო.

დინასტიური პერიოდის პირველ სამ საუკუნეში შექმნილმა კატაკომბებმა ფარაონების იმქვეყნიური ცხოვრება ვერ უზრუნველყვეს. მკაცრად გასაიდუმლოებული მასტაბის სათავსოებში (ზოგიერთში 40-მდე საკანი იყო), განძის მაძიებლები მაინც აღწევდნენ. მძარცველთა შეუპოვარმა თარეშმა ეგვიპტის მეუფენი დაარწმუნა, რომ დაკრძალვის დამკვიდრებული ტრადიციები სერიოზულად უნდა შეეცვალათ. დაიწყო ახალი გზების ძიება. ხუროთმოძღვართა იდეის სრულყოფას დიდად შეუწყო ხელი მასტაბების მშენებლობის პროცესში დაგროვილმა ცოდნამ.

ფარაონის ხელისუფლების გაძლიერებასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა სიმაღლისაკენ სწრაფვას. ეს იდეა თავდაპირველად მასტაბების ერთმანეთზე დაშენებაში გამოიხატა. ამავე დროს მას უნდა გაერთულებინა მძარცველისათვის განძისაკენ მიმავალი გზა.

ეგვიპტელი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე თითქოს არც ზრუნავდა. მთელი მისი ენერგია საიქიო განსასვენებლის სრულყოფას ეძღვნებოდა. ეგვიპტელთა განსაკუთრებული ფანატიზმის შესახებ ჰეროდოტე წერდა, „ეგვიპტელები ყველა ხალხთა შორის მეტისმეტად ღვთისმოსავები არიან". გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს მთელი საზოგადოება ერთი იდეალით, რელიგიური რწმენით სუნთქავდა. მაგრამ ასეთ ღვთისმოშიშ ხალხში ცხოვრობდა მოსახლეობის კატეგორია, რომელიც ღმერთისადმი არავითარ პატივისცემას და მოკრძალებას არ ამჟღავნებდა.

იგი იტაცებდა ყველაფერს, ჭეშმარიტი მორწმუნე მუხლმოდრეკილი რომ უნდა შეხვედროდა. ეგვიპტელ ქურუმთა ქადაგებანი, საიქიო ცხოვრების მარადიულობის შესახებ, მძარცველთა მოქმედების ფონზე ამაო დროის დაკარგვად გამოიყურება. მათი მოძღვრების ადრესატები წმინდა ადგილების შეურაცხყოფით საიქიოს აყვავებულ სამყაროში მოხვედრაზე უარს ამბობდნენ. ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებას ამჯობინებდნენ, ზეციურ სამყაროში სულის მარადიულობას.

საფლავის გაძარცვის მუდმივი შიში აიძულებდა ფარაონებს შეეცვალათ მარადიული განსასვენებლის, როგორც შიგნითა მოწყობილობა, ისე გარეგნული მხარე. დასაბამი მიეცა გიგანტურ მშენებლობათა ტრადიციას.

პირველი განსხვავებული ნაგებობა, რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს, არის III დინასტიის ფარაონის ჯოსერის პირამიდა საკარაში (ე. ბიკერმანის ქრონოლოგიით დინასტია მეფობდა ძვ. წ. XXVIII საუკუნეში, დაახლ. 2778-2723 წწ.). ჯოსერის პირამიდის არქიტექტორმა იმხოტეპმა მიწისქვეშა კატაკომბებს იგივე ფუნქცია დაუტოვა, მაგრამ შეცვალა ნაგებობის გარეგნული სახე. მშენებლობის პროცესში პროექტმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. პირველ ეტაპზე მასტაბის სიმაღლემ მიაღწია 10 მეტრს. ეს ფენა გამოუყენებიათ საყრდენად, რომელსაც დააშენეს სამი, თითოეული 10 მეტრი სიმაღლით. ჯოსერი ოთხმა ფენამ (40 მეტრმა) არ დააკმაყოფილა და მშენებლობა გააგრძელა, დაუმატა კიდევ ორი საფეხური. ერთმანეთზე დაყრდნობილი ექვსი მასტაბის სიმაღლემ 61 მეტრს მიაღწია. იგი გახდა ყველაზე მაღალი ნაგებობა იმდროინდელ მსოფლიოში. ექვსი ფენა ძეგლს საფეხურების ფორმას აძლევდა. საფეხურები კიბის სიმბოლიზირებას ახდენდნენ, რომელზედაც უნდა ამაღლებულიყო ფარაონის სული თავის მამასთან, მზის ღმერთთან (მომდევნო ეპოქის პირამიდების ტექსტებში ხშირად გვხვდება ღმერთისადმი მიმართვა, თხოვნა გაამზადოს კიბე გარდაცვლილი მეფისათვის, ან მიაწოდოს იგი მას, რომ შეუმსუბუქოს ზეცაში ამაღლება).

ჯოსერის პირამიდამ მანამდე არნახული ფართობი მოიცვა. მან თავის ქვეშ მოაქცია არა მარტო ფარაონის სამარხი, არამედ მისი მეუღლეებისა და შვილების განსასვენებლებიც.

ამ მიზნით გაამზადეს II დასაკრძალავი საკანი. ჯოსერი მასტაბების მემკვიდრეობას ადვილად ვერ შეელია. მისი სამარხი მოათავსეს მიწის ქვეშ 27,5 მეტრ სიღრმეზე და არა პირამიდაში, როგორც შემდეგ ხანებში ხდებოდა. ჯოსერის სამუდამო განსასვენებელი საფეხურებიანი პირამიდის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი შემოქმედი იმპხოტეპი მსოფლიოში პირველ რეალურ ხუროთმოძღვრადაა მიჩნეული. ეგვიპტური ტრადიცია მას მრავალმხრივ მოღვაწედ ახასიათებს. მანეთონის გადმოცემით, იგი ითვლება ქვის მშენებლობის ფუძემდებლად. მას მიეწერება უძველესი „სწავლების" ავტორობა. მიჩნეული ჰყავდათ დამწერლობისა და განათლების მფარველად. საისის ეპოქაში იმხოტეპის სახელს ღმერთის რანგში მოიხსენიებდნენ. პროლემაოსების ხანაში იმხოტეპი მედიცინის ღმერთ ასკლეპიოსს გაუთანაბრეს.

მასტაბებს აგურით აგებდნენ. იმხოტეპმა ჯოსერის პირამიდა ქვით ააგო, რის გამოც მას „ქვის მშენებლობის გამომგონებელი" შეერქვა. სიახლე იმხოტეპის გენიას მიეწერება. ხუროთმოძღვარმა მასტაბების კონსტრუქციით შექმნა საფეხურებიანი პირამიდა, რომელმაც არქიტექტურის განვითარებაში გადატრიალება მოახდინა.

ჯოსერის მემკვიდრის სეხემხეტის განსასვენებლის მშენებლობაზე გამოიყენეს ყველა ტექნიკური სიახლე, დანერგილი საფეხურებიანი პირამიდის აგებისას. ეგვიპტოლოგების აზრით, სეხემხეტის პირამიდის ხუროთმოძღვარიც იმხოტეპი იყო. ამას ადასტურებს პირამიდის კედელზე ნაპოვნი წარწერა, რომელშიც გვხვდება იმხოტეპის სახელი.

ჯოსერის მემკვიდრეები საფეხურებიან პირამიდებს აგებდნენ. განსაკუთრებით საინტერესოა დინასტიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის მიერ მედიუმში აღმართული პირამიდა (დაუდგენელია ვის ეკუთვნოდა). ნაგებობას ჰქონია შვიდი საფეხური. შემდეგ საფეხურთა რაოდენობა რვამდე გაუზრდიათ. ფარაონს თუ ხუროთმოძღვარს არც ეს ჩაუთვლიათ საკმარისად და იგი მოუპირკეთებიათ ქვის ფილებით, ისე, რომ საფეხურების კვალი დაუფარავთ. ამგვარმა არქიტექტურულმა გადახვევამ ნაგებობა პირველ ნამდვილ პირამიდად აქცია. პირამიდა წინამორბედისაგან სიმაღლითაც განსხვავდებოდა (75 მ.). თუ ჯოსერის პირამიდა მაინც მასტაბების კომბინაციას წარმოადგენდა, უცნობი ფარაონის

პირამიდაში საფეხურები წაიშალა. ე.ფ. ლაუერის აზრით, ეს მოვლენა სავსებით ბუნებრივად მოხდა და შეესატყვისებოდა პირამიდის დანიშნულებას. არქიტექტორმა გადაწყვიტა ქვაში სამკუთხედის მოთავსება, რომელშიც მოექცა ძეგლის საფეხურებიანი პროფილი. სიმაღლისაკენ წაქანებულ ფერდებს მეფის სულისათვის ზეცისაკენ მიმავალი გზა უნდა შეემსუბუქებინა.

III დინასტიის ხუროთმოძღვართა შემოქმედებითმა ძიებამ დაასრულა პირამიდის გარეგნული ფორმა.

XXVIII საუკუნის ბოლოს ხელისუფლების სათავეში ახალი, IV დინასტია მივიდა. მისი ფუძემდებელი იყო სნოფრუ. დინასტია 160 წელი მართავდა ეგვიპტეს (დაახლ. 2723-2563).

IV დინასტიის ფარაონთა ლტოლვას გრანდიოზულობისაკენ სათავე პირველმა წარმომადგენელმა დაუდო. სნოფრუმ დახურში აგო პირამიდა, რომლის სიმაღლე 104 მეტრი იყო. მას რომბისებურ პირამიდას უწოდებენ. პირამიდას მშენებლობის პროცესში განუცდია ცვლილება. ფორმის შეცვლა გამოწვეული იყო იმით, რომ შეემცირებინათ შიგა კამარების დატვირთვა, ვინაიდან მშენებლობის დროს აღმოაჩინეს ბზარები. ალბათ ეს გახდა მიზეზი, რომ სნოფრუმ იგი არ დაასრულა და მის ჩრდილოეთით აღმართა მეორე პირამიდა.

პირამიდების მშენებლობაში გადაულახავ დონეს მიაღწიეს სნოფრუს მემკვიდრეებმა. მათ თავიანთ მუდმივ განსასვენებლად აირჩიეს გიზე. სნოფრუს შვილმა ხეოფსმა (ხუფუმ)' ააგო პირამიდა, რომელიც სამყაროს შვიდ საოცრებათა სათავეში დგას. ხეოფსის შთამომავლები, დინასტიის უკანასკნელი ფარაონის შეპსესკაფის გარდა, გიზეში ან მის მახლობლად აგებდნენ პირამიდებს. შეპსესკაფმა თაეის განსასვენებელს არა მარტო ადგილი, ფორმაც გამოუცვალა.

პირამიდები ძველმა ეგვიპტელებმა ააგეს, მაგრამ მათ არ დაუტოვებიათ მშენებლობასთან დაკავშირებულ სირთულეთა საიდუმლოს გასაღები. პირველი ბერძენი, რომელმაც პირამიდები აღწერა, „ისტორიის მამა" ჰეროდოტე იყო. მან იხილა თუ არა გიგანტური ნაგებობანი, მაშინვე შეუდგა მათი შექმნის იდეის კვლევას. ისტორიკოსს მდგომარეობას უადვილებდა ის ფაქტი, რომ ეგვიპტის დაფარული ცოდნის ერთგულ დამცველებს,

ქურუმებს, ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ქვეყნის წარსულის მნიშვნელოვანი მოვლენები. მათ ბევრი საიდუმლო გასცეს, მაგრამ ამ ღალატით ისტორიას შემორჩა ეგვიპტის სიძველეთა სერიოზული სურათი. ჰეროდოტე, ქურუმების მიწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, შეეცადა, პასუხი გაეცა ყველა იმ კითხვაზე, რაც შეიძლება დაებადოს ნებისმიერ ადამიანს პირამიდების ხილვისას. ისტორიკოსს. მოსმენილი ცნობების ნაწილი შეუმოწმებია. კერძოდ, ხეოფსისა და ხეფრენის პირამიდები გაუზომავს. ჰეროდოტემ ყურადღება ყველაზე გიგანტურ, ხეოფსის პირამიდაზე შეაჩერა. ამით მიგვანიშნა, რომ შეფარდებით მცირე ნაგებობას შესაბამისად ნაკლები დრო, მუშახელი და სამშენებლო მასალა დასჭირდებოდა.

ხეოფსის პირამიდა ყველა დროის უდიდესი ქმნილებაა. თავის დროზე მისი სიმაღლე იყო 146,7 მეტრი. ამჟამად არის 137,3 მეტრი. წვერი წაცლილი აქვს. საფუძველში გვერდები არის 232,4 მეტრი. პირამიდას უჭირავს 5,4 ჰექტარი. მის მშენებლობაზე გამოყენებულია 2 300 000 ქვის ბლოკი, რომელთა საშუალო წონა არის 2,5 ტონა. ზოგიერთი ბლოკი 30 ტონამდე იწონის (პირამიდაზე დახარჯული სამშენებლო მასალით შეიძლება აიგოს თანამედროვე ქალაქი, რომელშიც იცხოვრებს 100 ათასი კაცი. მიახლოებით ვარაუდობენ, რომ მისი მთლიანი წონა არის 6,5-7 მილიონი ტონა. სპეციალისტების აზრით, პირამიდას ვერაფერს დააკლებდა იმ სიმძლავრის ატომური ბომბი, რომელმაც ხიროსიმა გაანადგურა). არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირამიდა აგებულია განვითარების იმ სტადიაზე, როდესაც ეგვიპტელები რკინას არ იცნობდნენ, ყველა სამუშაო შესრულებულია ქვის იარაღებით.

ჰეროდოტე ფართო ინტერესების ისტორიკოსი იყო, მაგრამ ხეოფსის პირამიდისადმი მისი ყურადღება განსაკუთრებულია. იგი მის გარშემო არსებულ ყოველ დეტალს იკვლევს. იმდენად სანდო წყაროებს დაყრდნობია, რომ თანამედროვე მეცნიერების უზუსტესმა გამოთვლებმა მისი მოწოდებული ცნობები ძირითადად დაადასტურა.

ჰეროდოტეს [illegible] ხეოფსის პირამიდის მშენებლობა ოცი წელი [illegible] სამშენებლო სამუშაოებზე ყოველწლიურად დასაქმებული [illegible] ასი ათასი კაცი. თითოეული ეგვიპტელი

ვალდებული იყო, ბეგარის სახით, წელიწადში სამი თვე პირამიდის მშენებლობაზე გაეტარებინა. ქურუმთა გადმოცემით, პირამიდის მშენებლობამ მოსახლეობა უკიდურეს გასაჭირში ჩააგდო. ხეოფსის ბრძანებით დაიკეტა ყველა სალოცავი და აიკრძალა მსხვერპლშეწირვა. შრომისუნარიან მამაკაცს ფარაონის სურვილი უნდა შეესრულებინა. ქურუმთა სიტყვებით, საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ხეოფსს თავისი ქალიშვილი საროსკიპოში გაუგზავნია, რომ ფულის შოვნის ეს გზაც გამოეყენებინა და მშენებლობა არ შეფერხებულიყო.

ხეოფსისა და ხეფრენის პირამიდების აღმართვიდან XXII საუკუნის შემდეგ იმოგზაურა ჰეროდოტემ ეგვიპტეში. სოლიდური დროის მიუხედავად, ეგვიპტელთა ხსოვნაში არ იყო წაშლილი სიძულვილი ულმობელ ფარაონთა მიმართ. ქურუმები, იმდენად უარყოფითად იყვნენ განწყობილნი ხეოფსისა და ხეფრენისადმი, რომ მათი სახელის ხსენებასაც კი ერიდებოდნენ.

ჰეროდოტეს ცნობით, ხეოფსი და ხეფრენი მეფობდნენ 106 წელი. ხეოფსის წილად მოდის 50 წელი (სინამდვილეში ხეოფსი ტახტზე იყო 24 წელი). აქედან პირამიდის აგებას მოანდომა 20 წელი. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ხეოფსის პირამიდის მშენებლობამ შეიწირა ორი მილიონი კაცის შრომა. მაგრამ იმავე ადამიანებმა თუ მათმა შთამომავლებმა, თავიანთი სისხლითა და ოფლით აგებულ პირამიდებში, საძულველ დესპოტებს სამუდამო დამკვიდრების ბედნიერება წაართვეს. ისტორიისათვის უცნობ მღელვარებათა ხანაში, ხეოფსისა და ხეფრენის პირამიდები გაძარცვეს და მზის შვილად შერაცხული ფარაონების მუმიები გაანადგურეს. ხეფრენის პირამიდის გარშემო აგებული ტაძრები ძველ ხანაშივე დაუნგრევიათ. ფარაონის უზარმაზარი ქანდაკებები დაუმტვრევიათ და ჭაში ჩაუყრიათ. ასე უსწორდებოდნენ თითქოს მორჩილი ეგვიპტელები თავიანთ მჩაგვრელებს, როდესაც ამის საშუალება მიეცემოდათ.

ჰეროდოტე იმასაც აღნიშნავს, რაოდენ შეამსუბუქა ეგვიპტელთა მძიმე ყოფა ხეფრენის შვილმა მიკერინმა, რომელიც შედარებით მცირე ზომის პირამიდით დაკმაყოფილდა. სანაცვლოდ მიკერინმა ეგვიპტელთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ფარაონის სამარხი ითვლებოდა ღვთაებრივი სულის სამყოფლად. გარდაცვლილი ფარაონის კულტი საერთო სახელმწიფოებრივ

შინაარსს იძენდა. ასეთი იყო ოფიციალური ხელისუფლების განზრახვა, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა მოვლენას ჰქონდა ადგილი. კულტთან დაკავშირებული მშენებლობანი (პირამიდებისა და ტაძრების აგება), ხორციელდებოდა ძალის გამოყენებით, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ამის გამო ჰეროდოტეს თანამედროვე ეგვიპტელ ქურუმებს ხეოფსისა და ხეფრენის სახელის ხსენება არ სიამოვნებდათ.

მსოფლიოს უდიდესი ნაგებობა, ხეოფსის პირამიდა, დანარჩენი პირამიდების მსგავსად, წარმოადგენდა ფარაონის განსასვენებელს. მას დაკისრებული ჰქონდა აკლდამის ფუნქცია. ამ უბრალო პროცესის შესრულებამ შეიწირა ეგვიპტის სულიერი და ფიზიკური ენერგია მთელი 30 წლის განმავლობაში. (ჰეროდოტეს მიხედვით, 10 წელი დასჭირდა გზის გაყვანას, რომ კარიერიდან დანიშნულების ადგილამდე ლოდები მიეტანათ. ისტორიკოსზე გზასაც არანაკლები შთაბეჭდილება მოუხდენია).

ხეოფსის პირამიდას' აქვს სამი დასაკრძალავი საკანი, რაც მშენებლობის სამ სტადიას ასახავს. ხეოფსი შეგუებული იყო და ითვალისწინებდა, რომ პირამიდის დამთავრებამდე მისი გარდაცვალების შემთხვევაში, აკლდამა მზად ჰქონდა. ამ მიზნით პირველი გაუმზადებიათ მშენებლობის დაწყებამდე. იგი მდებარეობს პირამიდის ქვეშ 30 მ. სიღრმეში, დაუმთავრებელია. მეორე მდებარეობს პირამიდის ცენტრში, 20 მ. სიმაღლეზე. არც ის არის დამთავრებული. მესამე საკანი მოთავსებულია 42 მ. სიმაღლეზე. ხეოფსის მთელი ყურადღება ამ საკანის კეთილმოწყობას მიეძღვნა. მისი კედლები მოპირკეთებულია გრანიტის ფილებით. საკმაოდ მოზრდილი დარბაზის ჭერს ქმნის ცხრა მონოლითი, რომელთა საერთო წონა არის 400 ტონა. ჭერს ზემოთ განლაგებულია ხუთი განმტვირთავი საკანი. თითოეულის სიმაღლე 17 მეტრია. ყველაზე ზედა კამერა მთავრდება გიგანტური ბლოკებისაგან შემდგარი ორფერდა სახურავით, რომელიც ღებულობს დაახლოებით მილიონ ტონა დატვირთვას და ამსუბუქებს დაწოლის სიმძიმეს დასაკრძალავ საკანზე.

ყველა კამერას აქვს წინა ოთახი. ოთახები ერთმანეთს უერთდებიან დერეფნებით, ან შახტებით. რამდენიმე შახტი

მთავრდება ჩიხით. ფარაონის აკლდამიდან პირამიდის ზედაპირისაკენ მიემართება ორი შახტი, რომლებიც გამოდიან გარეთ ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს შუა. როგორც ფიქრობენ, მათ დანიშნულებას ჰაერის განიავება შეადგენდა.

აკლდამაში დგას სარკოფაგი, რომელიც შესასვლელზე უფრო განიერია. სარკოფაგი გამოკვეთილია მთლიანი გრანიტისაგან, დგას აკლდამის კუთხეში. ეჭვს არ იწვევს, რომ ფარაონმა თავის სამუდამო განსასვენებელს ადგილი პირამიდების მშენებლობის დროს მიუჩინა.

თავდაპირველად პირამიდაში შესასვლელი ჩრდილოეთიდან იყო 20 მ. სიმაღლეზე. როდესაც შესასვლელს ვამბობთ, სიტყვას პირობითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგან ფარაონის დამკვიდრებისთანავე ეს გზაც მსგავსივე ბლოკებით ამოიქოლებოდა და ყოველგვარი შესასვლელის კვალი წაიშლებოდა. ამჟამად პირამიდაში შესასვლელად გამოყენებულია 10 მ. სიმაღლეზე არსებული გვირაბი, რომელიც ძველ ეგვიპტელ მძარცველებს გაუყვანიათ.

ხეოფსის პირამიდის გარშემო აგებული იყო გრანდიოზული სატაძრო ანსამბლი. (საერთოდ, პირამიდა ცალკე აღებული არ წარმოადგენდა მიზნის დამამთავრებელი ეტაპს. მის გარშემო უნდა აგებულიყო მრავალი საკულტო შენობა). ტაძრებს განსხვავებული რელიგიური დანიშნულება ეკისრებოდათ, ამიტომ ერთმანეთისაგან განცალკევებით აგებდნენ. ხეოფსის პირამიდის გარშემო აგებული ტაძრები განადგურებულია. შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთით სულის მოსახსენებელი ტაძრის ნანგრევები. ნანგრევებიდან 10 მ. დაშორებით აღმოაჩინეს „მზის ნავი“ (ნავის სიგრძეა 44 მ.). ფარაონ ხეოფსის „მზის ნავი“ მსოფლიოში ყველაზე ძველ ხომალდს წარმოადგენს. მისი ასაკი 47 საუკუნეა.

ხეოფსის პირამიდის გარშემო არის სამი მცირე ზომის პირამიდა-თანამგზავრი, განკუთვნილი ფარაონის ცოლებისათვის.

ხეოფსის პირამიდის მახლობლად არის აგრეთვე მეოთხე, დაუმთავრებელი პირამიდა-თანამგზავრი. მშენებლობა შეუჩერებიათ დასაკრძალავი საკანის მოწყობისთანავე. მიზეზი გარკვეული არ არის. სპეციალისტების აზრით, პირამიდა ხეოფსის დედის, დედოფალ ხეტეფხერესისათვის იყო განკუთვნილი. ფარაონს

განზრახვა შეუცვლია, პირამიდის მშენებლობა შეუწყვეტია და დედისათვის შედარებით სამხრეთით მოუწყვია საიდუმლო აკლდამა. ეს უცნაური ფაქტი აუხსნელი რჩება, მაგრამ ხეტეფხერესის აკლდამა სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. ძველი სამეფოს ეპოქიდან დედოფლის სამარხი ერთადერთია, რომელსაც მძარცველებმა ვერ მიაგნეს. იგი ხელუხლებელი იყო 1925 წლამდე, მხოლოდ არქეოლოგებმა გახსნეს. აკლდამაში ხეტეფხერესის განძი უნაკლოდ იყო, მაგრამ სარკოფაგი ცარიელი აღმოჩნდა. მეცნიერებმა ამ იშვიათ მოვლენას ასეთი ახსნა მისცეს: მძარცველებმა დაკრძალვამდე მოიპარეს დედოფლის მუმია, მოხსნეს ძვირფასეულობანი და შემდეგ გაანადგურეს. მცველებმა ფარაონის შიშით დამალეს ეს ფაქტი და ხეოფსმაც ყველა ცერემონიალის დაცვით დაასაფლავა ცარიელი სარკოფაგი. ამ ვერსიას ვ. ზამაროვსკი უმატებს, არ არის გამორიცხული, რომ ხეოფსმა სინამდვილე იცოდა, მაგრამ პრესტიჟის დასაცავად მიიღო ისეთი სახე, თითქოს არაფერი არ მომხდარა. საიდუმლოების გაუხმაურებლად ფარაონმა დედის გაძარცული სარკოფაგი ღირსეულად დაკრძალა. აღნიშნული ვარაუდების მიუხედავად, დედოფალ ხეტეფხერესის აკლდამის ბედი გამოცანად რჩება.

ხეოფსის პირამიდა გარშემორტყმული იყო 3 მ. სისქისა და 10 მ. სიმაღლის ქვის კედლით. მანძილი პირამიდასა და კედელს შორის იყო 10,5 მ. პირამიდის კომპლექსში შემავალი ნაგებობანი (მათ შორის პირამიდა-თანამგზავრები) კედლის გარეთ იყო განლაგებული.

ხეოფსის შემდეგ ფარაონი გახდა მისი ძმა ჯედეფრი. ახალმა ფარაონმა პირამიდის აგება დაიწყო გიზედან 9 კმ. დაშორებით აბუროაშში. ჯედეფრის პირამიდა უმნიშვნელო ყურადღებით სარგებლობს.

ეგვიპტის გოლიათებიდან მეორე ადგილი უჭირავს ხეოფსის შვილის ხეფრენის (ხაფრას) პირამიდას. იგი სიმაღლეში აღწევდა 143,5მ. ხეოფსის პირამიდაზე დაბალი იყო 3,2 მეტრით. დღეისათვის განსხვავება შეადგენს ერთ მეტრს. ხეფრენის პირამიდის სიმაღლეა 136,5 მ. მძარცველებს, ხეოფსის პირამიდის მსგავსად, ხეფრენის პირამიდაშიც ცარიელი სარკოფაგის მეტი არაფერი დაუტოვებიათ. სიდიდით მეორე გიგანტმაც თავისი უფროსი და უმცროსი თანამოძმეების ბედი გაიზიარა.

ხეფრენის პირამიდის შემოგარენის გაფორმება იმეორებდა ხეოფსის გრანდიოზულ მასშტაბებს. ტაძრების გარეგნული სახე თავისი მონუმენტურობით შეესაბამებოდა „ბუმბერაზ ხაფრას". ეგვიპტოლოგების აზრით, ხეფრენის პირამიდას უფრო დიდებული ტაძრები ერტყა გარშემო.

ხეფრენის სახელს უკავშირდება გიზეს პირამიდებზე არანაკლები საოცრება სფინქსი – მთლიანი ლოდისაგან გამოკვეთილი ქანდაკება ლომის ტანითა და ადამიანის თავით. ქანდაკება აღმართულია პირამიდის მახლობლად. სფინქსის სიგრძეა 57 მ. სიმაღლე 20 მ. აღმოჩენილი წარწერის თანახმად ქანდაკება შესრულებულია ხეფრენის სიცოცხლეში. სფინქსის თავს დიდი მსგავსება აქვს ხეფრენის გამოსახულებასთან (ცნობილია მისი რამდენიმე გამოსახულება). სფინქსში სიმბოლურად გაერთიანებულია ორი მიწიერი ძალა, მეფე და ლომი.

მეცნიერთა ვარაუდით, ხეფრენის პირამიდის მშენებლობის დროს ვერ მოხერხდა ერთი მონოლითის გამოყენება. ამ ფაქტმა ფარაონს მისცა იდეა ლოდისაგან გამოექანდაკებინა ლომის ფიგურა ღმერთ ჰორის თავით, რომელსაც აქვს ხეფრენის სახის ნაკვთები.

ლომის უზარმაზარ გამოსახულებას ადამიანის თავიც დიდი აქვს. სახის მოცულობა ლოყიდან ლოყამდე არის 4 მ. ყური 2 მ. ცხვირი 1,8 მ. წარმოუდგენელი სიდიდის გამო ბედუინები სფინქსს „საშინელებათა მამას" უწოდებენ.

სფინქსთან მრავალი ლეგენდაა დაკავშირებული. რომაელი მეცნიერი პლინიუს უფროსი თვლიდა, რომ გამოსახულების შიგნით მოთავსებული იყო ფარაონის სამარხი. არაბი ისტორიკოსების ვარაუდით, სფინქსი ინახავდა ძველი ეგვიპტის მეფეთა საგანძურს. დიდხანს ეძებდნენ კარებს ქანდაკების სიღრმეში შესაღწევად, მაგრამ 1925 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელმაც დიდი სფინქსი საფუძვლამდე გაათავისუფლა ქვიშის ნარჩენებისაგან, დაამტკიცა, რომ არავითარი საიდუმლო სათავსი მის სიღრმეში არ იყო.

ორმოცდაექვს საუკუნეზე მეტია სფინქსი იგერიებს ადამიანებისა და ბუნების შეტევას. ცნობილია, რომ მამლუქები მის თავს ზარბაზნების სამიზნედ იყენებდნენ. სერიოზულადაც დააზიანეს, ცხვირი და ნიკაპი მოამტვრიეს, მაგრამ ვერ წაშალეს. სფინქსს

ებრძოდა მაჰმადიანური რელიგია, რომელიც კრძალავს ადამიანის გამოსახულების შექმნას. მაგრამ ძველ ეგვიპტელ ხელოვანთა ნიჭის ზეიმმა ამ განსაცდელსაც გაუძლო.

სფინქსი რამდენჯერმე დაფარა უდაბნოს ქვიშამ (ჰეროდოტე სფინქსს არ ახსენებს. ალბათ, ეგვიპტეში მისი ყოფნის დროს ეს გოლიათი არ ჩანდა), მაგრამ ზოგიერთი ხელისუფალნი, ქვეყნის სტაბილურობის დროს, მისთვის იცლიდნენ და ასუფთავებდნენ. ფარაონების ეგვიპტის ისტორიაში ამის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტია ცნობილი (ძვ. წ. V საუკუნეში, ჰეროდოტეს მოგზაურობის დროს ეგვიპტე იმყოფებოდა სპარსეთის ბატონობის ქვეშ. დამპყრობლებს არავითარი სურვილი არ ამოძრავებდათ იმისა, რომ სფინქსს თავისი პირვანდელი სახე დაბრუნებოდა).

გიზეს სამეულიდან მიკერინის (მენკაურას) პირამიდა საგრძნობლად პატარაა. მისი სიმაღლე 62 მეტრია. თავდაპირველად ოთხი მეტრით მაღალი ყოფილა.

მოკრძალებული გარეგნობის მიუხედავად მიკერინის პირამიდას სხვა ღირსებები ამკობდა. იგი მოპირკეთებული იყო ასუანის წითელი გრანიტით, რომელსაც შუაში ეფარდებოდა კირქვის თეთრი ფილები. წვერი კვლავ წითელი გრანიტით ჰქონდა დასრულებული. ფერთა ეს შეხამება პირამიდამ შეინარჩუნა ახ. წ. XVI საუკუნემდე, ვიდრე მამლუქები არ გაძარცვავდნენ და ულამაზეს სამოსელს არ შემოაცლიდნენ.

მიკერინის პირამიდა პატარაა, მაგრამ მისი ბლოკები ზომით ხეოფსისა და ხეფრენის პირამიდების საშენ მასალას აღემატება. ამავე დროს ლოდები არ არის კარგად დამუშავებული. პირამიდას ეტყობა ნაჩქარეობა. სიჩქარის მიუხედავად, მიკერინს მაინც ვერ მოუსწრია მისი დამთავრება, ყოველ შემთხვევაში მოპირკეთება. მიკერინი თავისი განსასვენებლის სრულყოფას რომ ვერ მოესწრო ადასტურებს ისიც, რომ სულის მოსახსენებელი ტაძარი დაუწყიათ ქვით, დაუმთავრებიათ აგურით. იმავე ტაძრის ნანგრევებში აღმოჩენილია წარწერა, რომელიც გვაუწყებს, „შეპსესკაფი, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე, თავის მამის, ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის, ოსირის მენკაურასათვის". ამ მონაცემების გათვალისწინებით, დამაჯერებლად გამოიყურება ჰეროდოტეს გადმოცემა: მიკერინის მეფობა ხანმოკლე იყო.

ჰეროდოტეს თანახმად, მიკერინი განსხვავდებოდა წინამორბედი

მეფეებისაგან. გამოირჩეოდა სამართლიანობით, გააღო დაკეტილი სალოცავები, ზრუნავდა ქვეშევრდომების კეთილდღეობაზე. როგორც ჩანს, გიგანტური პირამიდის მშენებლობაზე უარის თქმამ ხალხს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ეს ფაქტი დაადასტურეს ეგვიპტელმა ქურუმებმა ჰეროდოტესთან საუბარში.

IV დინასტიის უკანასკნელმა ფარაონმა, მიკერინის შვილმა შეფსესკაფმა, პირამიდის ნაცვლად საკარის სამხრეთით ააგო განსხვავებული აკლდამა, რომელსაც გიგანტური სარკოფაგის ფორმა აქვს.

V-VI დინასტიათა ფარაონები აგრძელებდნენ პირამიდების მშენებლობას. ისინი თავიანთ სამუდამო განსასვენებლებს აგებდნენ საკარაში. V დინასტიის ოთხი პირამიდა დგას აბუსირში.

პირამიდების მშენებლობის ტრადიცია გრძელდებოდა შუა სამეფოშიაც, მაგრამ საგრძნობლად შემცირებულ მასშტაბებში (შუა სამეფო XI-XII დინასტიები. ძვ. წ. XXI-XVIII საუკუნეები), ახალი სამეფოს ფარაონებმა (XVIII-XX დინასტიები. XVI-XI საუკუნეები) უარი თქვეს პირამიდებზე და დაიწყეს მიწისქვეშა ლაბირინთების აგება. პირამიდები შეცვალა თებეს დასავლეთით კლდოვან მთებში გამოკვეთილმა აკლდამებმა. მთა ასრულებდა პირამიდის როლს. მეფეთა ველი დაიფარა კლდეში ნაკვეთი უზარმაზარი აკლდამებით. მაგრამ ფარაონებმა იმქვეყნიური სიმშვიდე ამ ცვლილებებითაც ვერ შეინარჩუნეს. კლდეში ნაკვეთი ყველა სამარხი გაძარცულია (გამონაკლისს წარმოადგენს ტუტანხამონის აკლდამა).

პირამიდების, როგორც მეფეთა განსასვენებლების, აგების იდეა ფარაონების ეპოქის დასასრულამდე სულდგმულობდა.

შუა სამეფო დასრულდა ძვ. წ. XVII საუკუნის დასაწყისში. ეგვიპტეში დადგა ჰიქსოსების ხანა. დიდი მონდომების მიუხედავად, დამპყრობლები ეგვიპტის კულტურულ გარემოში ვერ ჩაჯდნენ. მათი განდევნის შემდეგ დაიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ახალი, მანამდე არნახული ეტაპი, რომელიც ახალი სამეფოს სახელითაა ცნობილი. მაგრამ ჰიქსოსების დარტყმით შეწყვეტილი პირამიდების მშენებლობის ტრადიცია ახალი სამეფოს ძლევამოსილ ფარაონებს არ აღუდგენიათ. ახალი სამეფოს მეუფენი წინამორბედებს აღემატებოდნენ სიმ-დიდრითაც და პოლიტიკური ძლიერებითაც. ისინიც მზის

შვილებად იწოდებოდნენ, მაგრამ პირამიდის აგება არც ერთს არ უცდია. ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ახალი სამეფოს ფარაონები მშენებლობას უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდნენ. მათი ნებით აღმართული ხელოვნების ძეგლები ყველა დროის ხუროთმოძღვრულ დონეს უტოლდება. ამის მიუხედავად, „მზის შვილთა" სამუდამო განსასვენებლად უპირატესობა მიანიჭეს კლდეში აკლდამების გამოკვეთას. ეგვიპტის ახალმა მბრძანებლებმა კარგად იცოდნენ, უზარმაზარი ლოდებისაგან აგებული გიგანტური პირამიდა, მძარცველთა წინაშე ქედს იხრიდა და საიდუმლოებას ვერ ინახავდა. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მეტი ნდობა გამოუცხადეს კლდეში ნაკვეთ ლაბირინთებს. მაგრამ ძველი ეგვიპტელი ქურდების ოსტატობამ ფარაონების მცდელობა პირამიდების ბინადართა ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააყენა.

ძველი სამეფოს ხანაში გაშლილმა პირამიდების მშენებლობამ ფართო ასპარეზი გადაუშალა ხუროთმოძღვრებას. გაიზარდა მოთხოვნილება სპეციალისტებზე. ხუროთმოძღვრება ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო დარგი გახდა. ამას ადასტურებს ფარაონების ოჯახის წევრთა შორის არქიტექტორის პროფესიის პოპულარობა. მზის შვილებს, რომლებსაც ხელი მიუწვდებოდათ ყოველივე ამქვეყნიურ დიდებაზე, ხუროთმოძღვრება თავიანთი ღირსების შესაფერ საქმედ მიაჩნდათ. პირამიდებმა მათი სახელებიც უკვდავყვეს. ხუროთმოძვრები იყვნენ ფარაონ სნოფრუს ვაჟები ნეფერმაატი და რახოტეპი. ხეოფსის პირამიდის ხუროთმოძღვარი ხემიუნი სნოფრუს შვილიშვილი იყო, სავარაუდოა, მისი ერთ-ერთი არქიტექტორი ვაჟის შვილი. მზის შვილთა ინტერესი ხუროთ-მოძღვრებისადმი არც მომდევნო ხანებში შენელებულა.

პირამიდების მშენებლობას ფარაონები უმეტესად თავიანთ უახლოეს ნათესავებს ანდობდნენ. ამას გარკვეულ კვალიფიკაციასთან ერთად, სერიოზული გამართლებაც ჰქონდა. ისინი ცდილობდნენ, პირამიდების სიღრმეში მოთავსებული საგანძურისაკენ მიმავალი გზების საიდუმლოება თავიანთ წრეში დაეცვათ. ასეთი სიფრთხილის მიუხედავად, მიზანი მიუღწეველი დარჩა.

ეგვიპტური მასტაბები, პირამიდები თუ კლდეში ნაკვეთი აკლდამები ფარაონის მუმიფიცირებულ სხეულებთან ერთად, თავიანთ სიღრმეში უთვალავ სიმდიდრესაც ინახავდნენ. სამუდამო განსასვენებლებში თავმოყრილი იყო ძვირფასი ჭურჭლეული

და ვაზები, ქანდაკებები, ოქროთი და ვერცხლით მოჭედილი ფუფუნების საგნები, მაღალ დონეზე შესრულებული საყოფაცხოვრებო ინვენტარი. თუ რაოდენ სიმდიდრეს ფლობდნენ იმქვეყნიურ სამყაროში გამგზავრებული ეგვიპტის ძლევამოსილი მეუფენი, მეტყველებს სრულიად უჩინარი ფარაონის ტუტანხამონის აკლდამის საგანძური.

პირამიდის წინამორბედ მასტაბას ადრეულ ხანაში მეფეები აგებდნენ (მასტაბა საოჯახო სამარხის როლს ასრულებდა. ჯოსერის პირამიდა გარეგნული განსხვავების მიუხედავად, შინაარსით მასტაბას ენათესავებოდა. მის სიღრმეში მოთავსებული იყო თერთმეტი დასაკრძალავი კამერა. III დინასტიიდან კი პირამიდა მხოლოდ ერთი ფარაონისათვის იგებოდა). მოგვიანებით მასტაბა პრივილეგირებული ფენების საკუთრება გახდა. მას აგებდნენ პირამიდების მშენებლობის პარალელურად და შემდეგაც.

პირამიდის აგების უფლება ჰქონდა მხოლოდ ფარაონს, როგორც მზის ღმერთის შვილს. განსხვავებული სამარხებითაც ხაზს უსვამდნენ ისინი ქვეშევრდომებზე თავიანთ უპირატესობას. ჩვეულებრივ მოკვდავს პირამიდასთან მიახლოება ეკრძალებოდა. ფარაონზე არ ამბობდნენ, რომ მოკვდა. გავრცელებული იყო ფაქტის სიმბოლური მინიშნება, ჩავიდა მზის მსგავსად.

ფარაონი, როგორც ღმერთის შვილი, გარდაცვალების შემდეგაც ღვთაებრივ თაყვანისცემას მოითხოვდა. ქვეყანას მოიცავდა ხანგრძლივი, 72 დღიანი გლოვა. იკეტებოდა ტაძრები, არ იმართებოდა დღესასწაულები, წყდებოდა ღმერთებისადმი მსხვერპლშეწირვა. გლოვის დღეებში არ ჭამდნენ პურსა და ხორცს, არ სვამდენენ ღვინოს. თავზე იყრიდნენ ნაცარს. მთელი მოსახლეობა დაეხეტებოდა ქუჩებში საველრებელი სიმღერებით, რომლებშიც განდიდებული იყო გარდაცვლილი ფარაონის კეთილი საქმეები. დაკრძალვის დღეს სარკოფაგს ათავსებდნენ განსაკუთრებული კეთილობითა და მხატვრობით შემკულ მარხილზე და საზეიმო ცერემონიალით აცილებდნენ უკანასკნელ გზაზე. „მზის ძე“ უერთდებოდა ღმერთებს.

პირამიდაში დამკვიდრებული ფარაონის მახლობლები და ქურუმები ზრუნავდნენ, რომ გარდაცვლილს იმქვეყნიურ სამყაროში ადვილად გაეკვლია გზა და მის სულს საფრთხე არ დამუქრებოდა, ღმერთებს მიეღოთ იგი როგორც თანასწორი. ამ

მიზნით აკლდამის კედლებზე წერდნენ მაგიური შინაარსის ლოცვებს. კარებზე ხატავდნენ მცველების (სხვადასხვა ცხოველების) გამოსახულებებს. ეს უძველესი რელიგიური ლიტერატურის ნიმუშები „პირამიდების ტექსტების" სახელითაა ცნობილი.

ძველ და შუა სამეფოთა ფარაონებმა ეგვიპტის მთელი პოტენციალი პირამიდების მშენებლობას მოახმარეს. მიწათმოქმედების მაღალი დონე და ძლევამოსილი ომებიდან შემოსული ნადავლი, აძლევდათ საშუალებას განეხორციელებინათ გრანდიოზული მშენებლობანი. მიუთითებენ აგრეთვე ფარაონთა წმინდა სუბიექტურ მომენტებზედაც: მოეხდინათ თავიანთი ძლიერებისა და სიმდიდრის დემონსტრირება. განდიდების მანიით შეპყრობილი ფარაონები თავიანთი მიწიერი ცხოვრების დანიშნულებად, გიგანტური აკლდამების – პირამიდების აგებას თვლიდნენ.

პირამიდების შექმნას რთულმა რელიგიურმა წარმოდგენებმა ჩაუყარა საფუძველი.

„პირამიდების ტექსტები" ირწმუნებიან, რომ ფარაონისათვის „ზეცის გზა" წინასწარ იყო განსაზღვრული. პირამიდას ზეცის ორბიტაზე გასვლა უნდა გაეადვილებინა.

მზის კულტის გაბატონებამ გაზარდა პირამიდების მნიშვნელობა. პირამიდა ითვლებოდა სინათლის, მზის სხივის სიმბოლოდ, მზის ძალად. სამყაროს შექმნის მითოსური წარმოდგენებით, ოკეანის ფსკერიდან ამოიზარდა სამკუთხა ქვა, რომელიც გაიგივებული ჰქონდათ სამყაროს შემქმნელ მზის ღმერთთან. მზის კულტთან აკავშირებენ ობელისკის ფორმას, პლინიუსის სიტყვებით, ობელისკი გაქვავებული მზის სხივს წარმოადგენდა.

ძველ სამეფოში პირამიდას თვლიდნენ გაქვავებული მზის სხივის, ობელისკის თანაბარი მნიშვნელობის მოვლენად. მზის გამოსხივება წარმოუდგებოდათ სამკუთხედის სახით. მზის ამოსვლისას ან ჩასვლისას ჰორიზონტზე წარმოიქმნებოდა სხივი, რომელსაც სინათლის სამკუთხედის ფორმა აქვს. პირამიდაში სიმბოლიზირებულია გზა ზეცისაკენ. ამავე დროს იგი გაიგივებულია სინათლის სხივთან, რომელიც ეცემა დედამიწას.

ეგვიპტის რელიგიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები არსებით ზეგავლენას ახდენდა იმქვეყნიური სამყაროს შესახებ არსებულ შეხედულებებზე. ფარაონის ხელისუფლების გაფართოების პარალელურად გაიზარდა მათი მიწიერი და საიქიო ცხოვრების

მიახლოება მზის ღმერთთან. არქაულ პერიოდში მეფის მასტაბას ეკისრებოდა გარდაცვლილი მეფის უზრუნველყოფა. თვლიდნენ, რომ მისი სული აგრძელებდა სიცოცხლეს. მას შემდეგ, რაც ფარაონი ეგვიპტის ერთპიროვნული მპყრობელი გახდა, მისი სამარხი ქვეშევრდომების სამარხებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ჯოსერის დროიდან გაჩნდა რწმენა, ფარაონის სულის ზეცაში ამაღლების შესახებ. ფარაონის იმქვეყნიურმა სიცოცხლემ უნდა გაიაროს პირამიდასა და ზეცას შორის.

IV დინასტიის ფარაონები თავს ღმერთებად თვლიდნენ. ღმერთებად რჩებოდნენ ისინი სიკვდილის შემდეგაც, უთანაბრდებოდნენ მზის ღმერთს. მათ საფლავზე აღმართული პირამიდა იყო მზის სიმბოლო.

უბრალო ხალხის წარმოსახვაში პირამიდა ყოველთვის მზის ასოციაციას იწვევდა.

პირამიდა, როგორც მზის სხივის გამოსახულება ძველ და შუა სამეფოთა ეპოქის ფარაონების საყვარელი სიმბოლო იყო.

ანტიკური ავტორები პირამიდების დანიშნულების ახსნას ახერხებდნენ, მაგრამ მშენებლობის პროცესი ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდათ. მათი არგუმენტები ძირითადად ვარაუდებს ეყრდნობოდა. პირამიდების მშენებლობის სიძნელეებთან დაკავშირებული პირველი ერცელი ცნობები დაცული აქვს ჰეროდოტეს.

პირამიდების ეპოქის ეგვიპტის მშენებლობის ტექნიკა იყო პრიმიტიული. ქვის უზარმაზარი ლოდების დამუშავება ხდებოდა ქვის იარაღებით. საშენი მასალის მოპოვება და ტრანსპორტირება ხდებოდა ხელით. ბორბლის გამოყენების ფაქტი დადასტურებული არ არის.

პირამიდები აგებულია საოცარი სიზუსტით გამოკვეთილი ლოდებით. ლოდები იმდენად პროპორციულად არის ჩასმული, რომ დასრულებულ ნაგებობას ოდნავი ჭრილიც კი არ ეტყობა. საინტერესოა ისიც, თუ როგორ ახერხებდნენ ეგვიპტელი ოსტატები კლდის მასივისაგან უზარმაზარი სამშენებლო მასალის გამოყოფას. სპეციალურ ლიტერატურაში ამ საკითხის გარკვევას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. გარეგნულად თითქოს ეს უბრალოდ ხდებოდა, მაგრამ იმდროინდელი ტექნიკის პირო-

ბებში, არაადამიანური შრომის შედეგად ყველაზე გავრცელებული ვერსია გვაუწყებს, ქვის დამმუშავებელი ოსტატები, კლდის განსაზღვრულ მონაკვეთზე ავლებდნენ ღრმა ჭრილს. ჭრილში არჭობდნენ გამომშრალი ხის სოლებს. შემდეგ იწყებოდა სოლზე წყლის დასხმა. გარკვეული პერიოდის შემდეგ სოლი გაიჟღინთებოდა, რასაც მოჰყვებოდა ჭრილის გაფართოვება და ლოდიც მოწყდებოდა ძირითად მასას. ადგილზე ხდებოდა მისი პირველადი დამუშავება, ლოდს ჩამოაცლიდნენ მთლიანი ფორმისაგან გადახრილ ნაწილებს, რომ ზედმეტ წონას ტრანსპორტირება არ შეეფერხებინა. საშენი მასალის საბოლოო გაფორმება უშუალოდ პირამიდასთან ხდებოდა. დახელოვნებული ქვისმთლელები ოსტატურად ხვეწდნენ უხეშ ლოდს და გადასცემდნენ სულ სხვა პროფესიის ხელოსნებს, რომლებიც სვამდნენ წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.

საშენი მასალის მოპოვება ნილოსის ნაპირის სიახლოვეს ხდებოდა. წინასწარ იყო გათვლილი მდინარის როლი. ნილოსამდე მრავალტონიანი ლოდის გადათრევა ხდებოდა ხელით, პაპირუსის თოკების გამოყენებით. ხოლო შემდეგ სპეციალური ტივებით ეზიდებოდნენ დანიშნულების ადგილამდე.

არანაკლებ მძიმე შრომას მოითხოვდა გამზადებული ბლოკის დაშენება, რადგან პირამიდის სიმაღლის ზრდასთან ერთად ძნელდებოდა სიმაღლის დაძლევა.

ლოდების დალაგების შემდეგ იწყებოდა პირამიდის მოპირკეთება ფილებით, რომლის საბადოებიც ასუანში იყო. პირამიდას ჩვეული სიზუსტით სვამდნენ გაპრიალებულ ფილებში, რაც მას მზისა თუ მთვარის შუქზე არაჩვეულებრივ გარეგნობას აძლევდა თვალისმომჭრელი სილამაზე, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავდა ანტიკური ეპოქის ხელოვნებათმცოდნენი და მოგზაურები, დღეისათვის აღწერებითაა ცნობილი. სამწუხაროდ, ეგვიპტის მომდევნო მპყრობელებმა პირამიდების ძირითად მასას ვერაფერი დააკლეს, მაგრამ მისი სილამაზის მთავარი ატრიბუტის საფარველის შემოცლა ადვილად მოახერხეს. როგორც ცნობილია ყველაზე დიდხანს თავდაპირველი გარეგნობა მხოლოდ მიკერინის პირამიდამ შეინარჩუნა.

პირამიდების პირველი მკვლევარის, ჰეროდოტე ჰალიკარნასელის მოპოვებული ცნობებით, ყველაზე დიდი, ხეოფსის პირამიდის აგებას დასჭირდა 20 წელი. მისივე გადმოცემით, ამ ხნის

განმავლობაში, მშენებლობაზე დასაქმებული იყო 100 ათასი კაცი. პირამიდის გრანდიოზული მასშტაბების გათვალისწინებით, „ისტორიის მამის" მოწოდებული ინფორმაცია სხვა ვარაუდის ალტერნატივას არ იძლევა. 2 300 000 ბლოკის კარიერიდან მშენებლობამდე მიტანას, თუ დავუშვებთ, რომ წელიწადში ძლევდნენ 115 ათასი ბლოკის მოჭრა-დამუშავებას და ტრანსპორტირებას, დასჭირდებოდა 20 წელი. თანამედროვე გამოკვლევებში გამოთვლილია, რომ მშენებლობაზე 20 წლის განმავლობაში 100 ათასი კაცი მუდმივად არ მუშაობდა. ძირითად მასას შეადგენდნენ სეზონური მუშები.

ცნობილია, რომ ნილოსი ყოველწლიური ადიდების დროს სამი თვით ფარავდა ნაპირებს. ეგვიპტეში სამიწათმოქმედო სამუშაოები წყდებოდა. სამი თვის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ გლეხებს იყენებდნენ პირამიდის (საერთოდ პირამიდების) მშენებლობაზე.

ჰეროდოტეს ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იგი მაინც მოითხოვს გარკვეულ გადასინჯვას. უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებში ხეოფსის პირამიდის ძირითად მშენებლებად ასახელებენ 4 ათას კაცს. ესენი იყვნენ არქიტექტორები, ინჟინრები, პროფესიონალი ქვის მტეხლები და მთელელები, ზედამხედველები, სამეურნეო საქმეთა გამგებლები (100 ათასი კაცის გამოკვება უზარმაზარ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ჰეროდოტეს დასახელებული ყველაზე იაფი პროდუქტები, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, საკმაოდ მაღალი თანხა ჯდებოდა. ამის გარდა ძირითადი საკვები პური, სხვა კიდეც რომ არ ჰქონოდათ, შეუდარებლად მეტი დასჭირდებოდათ. მთელი 20 წლის განმავლობაში, ფარაონის კარი ამ ხარჯებს ვერ გაუძლებდა. ჰეროდოტე იმასაც წერს, როგორ სიღატაკეში ჩააგდო ხეოფსისა და მისი შვილის ხეფრენის პირამიდების მშენებლობამ ეგვიპტის მოსახლეობა). სამი თვით გაწვეულ მებეგრე გლეხთა რაოდენობას განსაზღვრავენ 96 ათასი კაცით. მათი ძალა გამოიყენებოდა სამშენებლო ბლოკების ტრანსპორტირებაში. 4 ათას კაცზე გადადიოდა მშენებლობის მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა. ხოლო მათრახის შიშით მორეკილი ხალხი ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყო.

პირამიდების მშენებლობაზე მუშაობდა მხოლოდ თავისუფალი გლეხი. მონების გამოყენების ვარაუდი გამორიცხულია. რადგან იმდროინდელ ეგვიპტეში მონათა რაოდენობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ასეთ გრანდიოზულ მშენებლობაში იგი ვერაკვითარ როლს ვერ შეასრულებდა.

საინტერესოა ერთი მომენტის ხაზგასმაც. პირამიდების გარდა ეგვიპტეში სხვა საერო თუ საკულტო დანიშნულების შენობებიც ივებოდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ქვის სამტეხლოებზე დასაქმებულ მუშათა რიცხვი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. შესაბამისად გაიზრდება დაბეგრილ გლეხთა რაოდენობაც. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ეგვიპტის შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნებით თუ ძალით მშენებლობაში იყო ჩაბმული.

ჰეროდოტეს ცნობები ხეოფსის პირამიდის მშენებლობის ხანგრძლივობისა და მშენებელთა რაოდენობის შესახებ ეგვიპტოლოგებს საეჭვოდ არ მიაჩნიათ. ცალკეულ დეტალებთან გამოთქმულ დამაზუსტებელ მოსაზრებებს მთლიანი სურათი არ შეუცვლიათ. სერიოზულ კამათს იწვევს ის, თუ რა ტექნიკური საშუალებებით აჰქონდათ მრავალტონიანი ბლოკები პირამიდის სიმაღლეზე. აზრთა სხვადასხვაობა ანტიკურ ხანაშივე ორი ვერსიის გარშემო შეჩერდა. ერთი დაცული აქვს ჰეროდოტეს, მეორე დიოდორე სიცილიელს.

ჰეროდოტეს მიხედვით, მშენებლები იყენებდნენ ამწე მანქანებს. მისი სიტყვებით, თითოეულ სართულს თითო მანქანა ემსახურებოდა.

დიოდორე სიცილიელი საწინააღმდეგო ტრადიციას ეყრდნობა. მისი აზრით, პირამიდების მშენებლები სიმაღლის დასაძლევად იყენებდნენ მიწაყრილს.

მეცნიერთა ნაწილს ჰეროდოტეს ვერსია სინამდვილედ მიაჩნია. არქიტექტურის ცნობილი ისტორიკოსი ო. შუაზი უყოყმანოდ აღნიშნავს, რომ პირამიდები აგებულია ამწე მანქანების გამოყენებით. გერმანელი ინჟინრის კროონის აზრით, მიწაყრილის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგან ამ სამუშაოს ჩატარება მოითხოვდა იმდენსავე შრომას, რამდენიც საჭირო იყო თვით პირამიდის ასაგებად. კროონის გამოანგარიშებით, ხეოფსის პირამიდა მოითხოვდა 3 500 ამწე მანქანას. ჰეროდოტეს დამკვიდრებული ტრადიციის მომხრეები ივიწყებენ იმას, რომ პირამიდების მშენებლობის ეპოქაში ეგვიპტელები ამწე საშუალებებს არ იცნობდნენ.

არქეოლოგიური გათხრები ჰეროდოტეს ტრადიციის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ფრანგი ეგვიპტოლოგის ე. ფ. ლაუერის მტკიცებით, ერთი პირამიდის გარშემო აღმოაჩინეს მიწის ფენა, რომელიც მშენებლებს შემოუცლელი დარჩენიათ. ყოველივე ეს დიოდორე სიცილიელთან დაცული ვერსიის სასარგებლოდა მეტყველებს.

პირამიდები აგებულია მხოლოდ ადამიანის ძალის გამოყენებით. მშენებლობის პროცესში შრომის იარაღებს ცვლილებები არ განუცდიათ. პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე მოხდა შრომის ორგანიზაციის სრულყოფა. ეგვიპტელები ყოველგვარი ტექნიკისა და ტრანსპორტის გარეშე წარმატებით ახერხებდნენ მონოლითური ბლოკების გადაადგილებას. ადამიანის ფიზიკურმა შესაძლებლობამ გადაულახავ ზღვარს მიაღწია ხეფრენის ეპოქაში. მისი პირამიდის ერთერთი ტაძრის კედელში დევს ლოდი, რომელიც იწონის 150 ტონას. მეორე ტაძრის მშენებლობისას გამოყენებულია 180 ტონიანი მონოლითი. თანამედროვე მკვლევარები ასეთი მონოლითების შორი მანძილიდან მოტანას გამორიცხავენ. მათი აზრით, სადაღაც ახლოს უნდა ყოფილიყო კარიერი. მაგრამ წარმოვიდგინოთ რამდენიმე ათეულ მეტრზეც მათი გადაადგილება რაოდენ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ე. ფ. ლაუერს აღწერილი აქვს 60 ტონიანი ალებასტრის ქანდაკების გადატანის სცენა. სცენა გამოსახულია ბარელიეფზე. ქანდაკება ეკუთვნის XII დინასტიის ნომარხს ჯახუტიტოტეპს. ბარელიეფის მიხედვით, 172 კაცი ეწევა ოთხ ბაგირს. ერთი დგას კოლოსის ფეხებთან და გზის წინა მხარეს ასხამს წყალს, რომ გააადვილოს მისი დაცურება თიხნარ ნიადაგზე. სამი მუშა საკიდურებით ეზიდება წყალს. მათ მიჰყვება კიდევ სამი კაცი მხარზე გადებული მორებით. მორებს ერთ მხარეზე აქვთ ხერხის კბილანების მსგავსი ჭდეები. კბილანები არათანაბრადაა განლაგებული მთელ სიგრძეზე ე ფ. ლაუერს განხილული აქვს ბარელიეფზე გამოსახული სცენის ახსნის ორი ვარიანტი. ერთი ვარიანტის მიხედვით, მორებს იყენებდნენ საგორაკებად, რომ გიგანტური ქანდაკების გადაადგილება გაადვილებულიყო. მეორე ვარიანტით, მორი ასრულებდა საჭის მოვალეობას. მკვეთრი დაცურების დროს მას გამოსდებდნენ ბაგირს, რაც ამუხრუჭებდა მონოლითის სიჩქარეს. რომელი

თვალსაზრისიც არ უნდა ჩაითვალოს სწორად, ერთი რამ ცხადია, ხის მორებს გიგანტის გადატანის დროს გარკვეული ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული. აღწერილი ეპიზოდის გათვალისწინებით, აშკარა ხდება, რომ ეგვიპტელები უზარმაზარი ლოდების გადასატანად, ადამიანის ძალის გარდა სხვა საშუალებებს არ იცნობდნენ.

პირამიდების მშენებლობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ნილოსი. მაგრამ მდინარის ნაპირას არც ერთი პირამიდა არ არის აგებული. ნილოსიდან მშენებლობის ადგილამდე გაჰყავდათ არხი, რომლითაც წლის ყოველ დროს შეიძლებოდა საშენი მასალის მიწოდება. ასეულ ათასობით მრავალტონიანი ლოდის გადატანა მოითხოვდა დიდი რაოდენობით მუშახელს. ამიტომ ეგვიპტელ მშენებლებს სამდინარო გზა მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ.

პირამიდების შესახებ არსებულ ვრცელ ლიტერატურაში, თანამედროვე მკვლევარები აღფრთოვანებული არიან ძველი ეგვიპტელი არქიტექტორების მაღალი ხელოვნებით. პრიმიტიული ტექნიკის გამოყენებით როგორ ოსტატურად წყვეტდნენ ისინი ურთულეს ამოცანებს, როგორ ზუსტად აზროვნებდნენ და ატარებდნენ საოცარ გამოთვლებს. პირამიდებში აისახა ეგვიპტელ ხუროთმოძღვართა გამომგონებლობა და ფანტაზია. მათ უხეში ქვის ლოდი საკუთარ ნებას დაუმორჩილეს და მისცეს სასურველი ფორმა. ეგვიპტელმა ხუროთმოძღვრებმა, პირამიდების სახით, შექმნეს ისეთი მიუვალი სიმაგრეები, რომელთა აღება ნებისმიერი არმიის ძალას აღემატებოდა და აღემატება. მაგრამ მთელი თაობების გონებრივი ნაღვაწი მძარცველებმა არარაობამდე დაიყვანეს.

სერიოზულ ნაშრომებშიაც კი, პირამიდების მშენებლობათა არაადამიანური შესაძლებლობების გვერდით, მითითებულია მძარცველების საოცარ უნარზეც, რომელთაც უაზრობად აქციეს მილიონობით ადამიანის შრომის ნაყოფი. მეცნიერები ქედს იხრიან კანონის დამრღვევთა მოხერხებულობისა და გამომგონებლობის წინაშე. ძველ ეგვიპტელ ქურდებს ფანტასტიკური საქმეები აქვთ ჩადენილი. მათ მიერ ხეოფსის პირამიდაში გაყვანილი გვირაბი, დღესაც მთავარ შესასვლელს წარმოადგენს. თუ რომელიმე არქეოლოგი პირამიდის სიღრმეში თავდაპირველი

შესასვლელით შევიდა, მხოლოდ იმის წყალობით, რომ იგი მანამდე გაკვალული ჰქონდათ მძარცველებს. ბოროტმოქმედთა 90 პროცენტი საგანძურამდე უმოკლესი გზით მიდიოდა. ისინი ზუსტად ერკვეოდნენ ურთულეს ლაბირინთებში, იცოდნენ, სად მთავრდებოდა დერეფანი, ან სად იყო საჭირო მიმართულების შეცვლა. ცნობილი მეცნიერები, გ. მასპერო, ლ. ბორხარდტი, ჰ. კარტერი და სხვები, როდესაც ჩიხში აღმოჩნდებოდნენ, საკუთარ თავს - ეკითხებოდნენ: „როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილზე ძველი ეგვიპტელი მძარცველი?" ფლ. პიტრი გაჰყვა მძარცველთა კვალს და დაადგინა, რომ ისინი ძირითადად არქიტექტორების გზით მიდიოდნენ. მისი აზრით, პირამიდების ლაბირინთებში გასარკვევად, სპეციალისტების „პროფესიულ დახმარებას" უნდა ჰქონოდა ადგილი. განძის გატაცებაში ხუროთმოძღვართა როლს კარგად იცნობდა ჰეროდოტე და ეგვიპტელ ქურუმთა მონათხრობი შესანიშნავად აღწერა თავის „ისტორიაში".

პირამიდების გაძარცვა სისტემატურ ხასიათს ატარებდა. ვერც ერთმა გიგანტმა ვერ უზრუნველყო მის სიღრმეში მოთავსებული სიმდიდრის დაცვა. მეცნიერები შეეცადნენ ამ საკითხის ახსნას და ხელის შემწყობი პირობების რამდენიმე ვარიანტი შეიმუშავეს. მათი აზრით, პირამიდების მშენებლობაზე მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც დიდი სიზუსტით იმახსოვრებდნენ შესასვლელებისა და კამერების განლაგებას. ფარაონის დაკრძალვის შემდეგ ისინი ელოდებოდნენ იმ დროს, როცა დაცვის ყურადღება მოდუნდებოდა. ცნობილია, რომ სახალხო მღელვარებების დროს პირამიდების დაცვა წყდებოდა. ამ მომენტით სარგებლობდნენ ბოროტმოქმედები და იწყებდნენ თავიანთი განზრახვის განხორციელებას. სიმშვიდის დროს პირამიდებს მკაცრად იცავდნენ. ასეთ პირობებში მათთან მიახლოებაზე ფიქრი შეუძლებელი იყო. ბოროტმოქმედები აღსასრულის მოახლოებისას საიდუმლოებას შვილებს გადასცემდნენ. ისინიც, თუ თავიანთ სიცოცხლეში ხელსაყრელი პირობები არ შეექმნებოდათ, მემკვიდრეებს უანდერძებდნენ ზღაპრული სიმდიდრის ადგილმდებარეობას. შთამომავლობა ელოდა ქვეყანაში არეულობის დაწყებას. სასურველი მომენტის დადგომისთანავე საიდუმლოების მფლობელები შეუდგებოდნენ საქმეს და თავიანთ ცოდნას

ოქროდ აქცევდნენ. „მზის შვილის", ფარაონის დიდება მძარცველს ხელს არ უშლიდა ჩაედინა ორმაგი დანაშაული. ალეგიკურადაც კი გამოიყურება, თითქოს რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ეგვიპტელი, როგორ ხდებოდა მიწიერი ღმერთის, ფარაონის, იმქვეყნიური სიმდიდრის მიმტაცებელი. მძარცველი საკუთარი შრომითა და ოფლით შექმნილ საკულტო ნაგებობას, რომლის აღმართვასაც საოცარი სიზუსტით მთელ თავის ენერგიას სწირავდა, თავდაპირველ დანიშნულებას აცლიდა. სად ჩანს ჰეროდოტეს მითითებული და საყოველთაოდ აღიარებული ეგვიპტელთა „ღვთისმოშიშობა?" როგორც არ უნდა წარმოვიდგინოთ ფაქტი რჩება ფაქტად. ეგვიპტელი, ახალგაზრდობაში რასაც აგებდა, ხანდაზმულობისას ანგრევდა, ან შთამომავლობას უტოვებდა გასანადგურებლად. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირამიდის სიღრმეში შეღწევა, მის აგებაზე არანაკლებ ენერგიასა და მუშახელს მოითხოვდა. უბრალო განძის მაძიებელი ამ საქმისათვის არ გამოდგებოდა. ამავე დროს გასათვალისწინებელია, ქვეყანაში როგორი არეულობაც არ უნდა ყოფილიყო, დღის სინათლეზე, აშკარად, პირამიდას ვერავინ მიადგებოდა. არ არის გამორიცხული, რომ მძარცველებს დახმარებას უწევდნენ ქურუმები და მოხელეები. ისინი, რომელთა მოვალეობას პირამიდების დაცვა შეადგენდა. დასაშვებია, გარდამავალ პერიოდებში, მცველები თვითონ აწყობდნენ თავიანთი მეფე-ღმერთების აკლდამების გაძარცვას.

პირამიდების სიღრმეში შეღწევა იმდენად მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ მისი ორგანიზება უბრალო ადამიანების ძალას აღემატება. საქმის მცოდნე სპეციალისტების გარდა იგი მოითხოვდა მუშათა მთელი არმიის დაქირავებას. მაგრამ პირამიდების საგანძურის ხელში ჩაგდების წყურვილი ყველა დაბრკოლების გადამლახავ ძალად იქცეოდა.

პირამიდების აღმართვის იდეა ფარაონებს უკვდავების დაუოკებელმა სურვილმა შთააგონა. მათ შექმნეს მითი თავიანთი ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ. ქვეშევრდომებში დანერგეს უპირატესობის ფანტასტიკური წარმოდგენები. ძალაზე დამყარებული გამორჩეულობა მოჩვენებითი და დროებითი აღმოჩნდა. მორჩილი და ერთგული ხალხი ცოცხალ ფარაონს, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდა, მაგრამ იგივე ხალხი თავისი მეფე-ღმერთის მარადიულ სამყოფელს დაუნდობლად ძარცვავდა. ეს ფაქტი

ძნელი მოსათავსებელია იმ ფანატიკური რწმენის გვერდით, რომლითაც ეგვიპტელები გამოირჩეოდნენ.

პირამიდებმა ფარაონი და მისი სიმდიდრე ვერ დაიცვეს. სამაგიეროდ მის მშენებელთა სახელი უკვდავყვეს. საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრდა, „ყველაფერს ეშინია დროის, მაგრამ დროს ეშინია პირამიდების". ამგვარი აღიარებით მიზანი მიღწეულია. ფარაონებმა განზრახვა შეისრულეს, სახელითა და დიდებით ღმერთები დაჩრდილეს. პირამიდების სიცოცხლე და მასთან ერთად ფარაონების უკვდავებაც გრძელდება.

ბაბილონის „დაკიდული ბაღები“

(სემირამიდას ბაღები)

ძვ. წ. XIX საუკუნის დასაწყისში შუამდინარეთში შეჭრილი სემიტი ტომების, ამორეელების, ერთი დინასტია უმნიშვნელო პროვინციულ ქალაქ ბაბილონში განმტკიცდა. ამ ფაქტით დაიწყო ქალაქის აღზევება და მოკლე ხანში იგი მთელი მესოპოტამიის ცენტრად გადაიქცა.

ბაბილონმა განსაკუთრებულ აყვავებას ხამურაბის (ძვ.წ. 1792-1750 წწ.) ეპოქაში მიაღწია. გარდა პოლიტიკური და კულტურული ცენტრისა, იგი რელიგიური კულტის საუფლოც გახდა. ბაბილონის მეფეები, როგორც იარაღით, ისე რელიგიური მოტივების მოხერხებული გამოყენებით ყოველ მხრივ განამტკიცებდნენ ქალაქის დიდებას.

ბაბილონის ამორეელ მეუფეთა შორის ყველაზე ძლიერი იყო ხამურაბი, ვის შემდეგაც ბაბილონს სუსტი მპყრობელები მართავდნენ, თუმცა ქალაქი კვლავაც მესოპოტამიის ცენტრად რჩებოდა.

ხამურაბის მემკვიდრეების დროს ბაბილონს მრავალი ოლქი ჩამოშორდა. ახალი დამპყრობლების, კასიტების შემოსევები მის სამფლობელოებს სერიოზულ ზიანს აყენებდა.

ძვ.წ. XVI საუკუნის დასაწყისში ბაბილონში ხეთები შეიჭრნენ, ქალაქი აიღეს და გაძარცვეს. მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს. ხეთების განდევნის შემდეგ ბაბილონი კასიტებმა დაიპყრეს. მათი ბატონობა სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა.

ძვ.წ. XII საუკუნის ბოლოს ელამელებმა დაამხეს ბაბილონის კასიტური დინასტია, ქალაქი გაძარცვეს და დაანგრიეს. ნადავლის სახით ელამის დედაქალაქ სუზაში გადაიტანეს ბაბილონის ძლიერების სიმბოლო, სტელა, რომელზეც ხამურაბის კანონები იყო ამოკვეთილი[1].

1. ელამის მეფემ, ქუშეერდმები თაეის ძლიერებაში რომ დაერწმუნებინა, სტელა სუზის ცენტრალურ მოედანზე აღმართა. ხეთი საუკუნე იდგა ელამის დედაქალაქში ხამურაბის გამოსახულება. ძვ. წ. VII საუკუნეში სუზა მიდიელებმა აიღეს. საერთო ნგრევის დროს სტელა წაიქცა და XX საუკუნის დასაწყისამდე ნანგრევებში იყო. აღმოაჩინა ფრანგულმა ექსპედიციამ 1901 წელს.

ძვ. წ. XIII საუკუნიდან დაიწყო ბაბილონის მრისხანე მეზობლის, ასურეთის, გაძლიერება. შეიქმნა ასურეთის უზარმაზარი სახელმწიფო, რომელმაც შთელი მესოპოტამია მოიცვა. ხუთსაუკუნოვანი ბრძოლები იმით დამთავრდა, რომ ასურეთის გამარჯვებულმა მეფეებმა თავი ბაბილონის მეფედ გამოაცხადეს.

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს შუამდინარეთში გამოჩდნენ მომთაბარე ტომები არამელეები. მათ თანდათანობით დაიკავეს ტიგროსისა და ევფრატის ნაყოფიერი ველები. ასურეთმა მოახერხა არამელების განდევნა, მაგრამ ბაბილონის სამფლობელოებში ისინი თავისუფლად დამკვიდრდნენ. სულ მოკლე ხანში მოხდა მათი შერევა. ძვ. წ. 1050 წელს ბაბილონის ტახტზე უკვე არამეელი მეფე იჯდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ბაბილონის ბედს არამეელები განსაზღვრავდნენ.

ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ბაბილონის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. დიდი ასურული სახელმწიფოს ფუძემდებელმა ტიგლატპალასარ III (744-727), ბაბილონის მეფედ გამოცხადდა. ტიგლატპალასარმა აღიარა ბაბილონის ღმერთები, შეასრულა კულტთან დაკავშირებული ყველა ცერემონიალი. იგი სიამაყით წერდა: „ტიგლატპალასარი, დიდი მეფე, ძლიერი მეფე, მეფე მრავალთა, მეფე ასურეთის, მეფე ბაბილონის, მეფე შუმერისა და აქადის, მეფე სამყაროს ოთხი მხარის“.

ბაბილონის მეფედ ითვლებოდა ასურეთის მომდევნო მბრძანებელი სალმანასარ V (726-722). მისი დაღუპვის შემდეგ გაძლიერდნენ ქალდეველები. მათ პრეტენზია განაცხადეს ბაბილონის ტახტზე და მიაღწიეს კიდეც ქალაქის ხელში ჩაგდებას. ქალდეველი მთავარი მარდუკ-აპლა-იდინი 721 წლიდან 710 წლამდე დამოუკიდებლად მართავდა ბაბილონს. სარგონ II (721-705), სალმანასარ V უმცროსმა ძმამ, ასურელ მეფეთა შორის ერთ-ერთმა უდიდესმა დამპყრობელმა ილაშქრა ბაბილონზე, დაამარცხა მარდუკ-აპლა-იდინი, განდევნა იგი, აიღო ქალაქი და თავის ტიტულს ბიბილონის მეფობაც მიუმატა.

სარგონ II გარდაცვალებამ ქალდეველებს ახალი იმედები შთაბერა. სპარსეთის ყურის ნაპირებთან შეფარებულმა მარდუკ-აპლა-იდინმა კავშირი შეკრა ელამის მეფესთან და ორი წლის შემდეგ ხელთ იგდო ბაბილონი. მაგრამ მისი მეფობა მხოლოდ ნახევარ წელს გაგრძელდა. სარგონ II მემკვიდრემ

სინახერიბმა (705-681) 703 წელს დაამარცხა იგი და ბაბილონი დაიბრუნა. მარდუკ-აპლა-იდინი ზღვისპირა ჭაობებს შეეფარა. ბაბილონის მეფედ დასვეს ბელ-იბნი, ნინევიაში აღზრდილი წარჩინებული ბაბილონელი. მაგრამ ბელ-იბნიმ სინახერიბის იმედები ვერ გაამართლა. თანამოქალაქეთა გავლენით იგი ჩამოშორდა ასურეთს და შეუკავშირდა ქალდეველებს. ძვ.წ. 700 წელს სინახერიბმა გაანადგურა ბაბილონის მეფისა და ქალდეველების კავშირი, ბელ-იბნი, როგორც ბაბილონის ზედაფენების ბრმა იარაღი, ნინევიაში გაგზავნა, ხოლო ტახტზე თავისი უფროსი შვილი აშურ-ნადირ-შუმი დასვა. თვითონ ლტოლვილ მარდუკ-აპლა-იდინს გამოუდგა. ამ უკანასკნელმა ელამში გაასწრო სინახერიბი შეიჭრა ელამში და შეუდგა მისი სამხრეთ ნაწილის აოხრებას.

ბაბილონში კვლავ გამოჩნდა ელამის ორიენტაციის ადგილობრივი დინასტი ნერგალ-უშეზიბი. ცოტა ხნის შემდეგ კი უფრო ენერგიული, ქალდეველი მუშეზიბ-მარდუკი. ელამი უფრო გააქტიურდა. მისმა მეფემ მუშეზიბ-მარდუკს დიდი არმია გაუგზავნა. ძვ. წ. 691 წელს სინახერიბი შეებრძოლა ქალდეველებისა და ელამელების კოალიციას და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ბაბილონზე იერიში არ მიუტანია. ეგვიპტის წინსვლის შესაჩერებლად საჭირო იყო დასავლეთის მიმართულებით გალაშქრება. ძვ. წ. 690 წელს ასურეთის არმიამ ალყა შემოარტყა იერუსალიმს. სინახერიბის შორს ყოფნით ისარგებლა ელამის მეფემ, შეიჭრა შუამდინარეთში და ბაბილონი დაიკავა. სინახერიბი სასწრაფოდ დაბრუნდა. თავს დაესხა ელამს, გაანადგურა იგი და შეუდგა ბაბილონთან ანგარიშსწორებისათვის მზადებას.

ძვ.წ. 689 წელს სინახერიბი ბაბილონს მიადგა. ქალაქის დამცველებს მან იარაღის დაყრა და უსიტყვო დანებება მოსთხოვა. ბაბილონელებმა მისი წინადადება არ მიიღეს. ასურელებმა საოცარი სისწრაფით მიიტანეს იერიში და ქალაქის გალავანი შეანგრიეს. ბაბილონი სინახერიბმა თავის ძლევამოსილ არმიას გადასცა გასაძარცვავად. მოსახლეობის ნაწილი გაასახლეს, ნაწილი მონებად გაყიდეს. მეფის ბრძანებით, ღმერთ მარდუკის ქანდაკება ნინევიაში გადაიტანეს. ბაბილონის საფუძვლიანი გაძარცვის შემდეგ დაიწყო ქალაქის უმოწყალო რბევა და

ნგრევა. ყველაფერი ცეცხლს მისცეს. თავის შემზარავ საქმიანობას სინახერიბი ასე აღწერს: „ქალაქი და მისი სახლები კედლებიდან საფუძვლამდე დავანგრიე. მე გავანადგურე იგი და მივეცი ცეცხლს. ქალაქის კედლები და მისი ხახლები, ტაძრები და ღმერთები, ტაძრის კოშკი, აგებული აგურისა და თიხისაგან, ყველაფერი, რაც აქ იყო, მე მოვსპე და გადავუშვი არახტუს არხში. ქალაქის შუაგულში გავიყვანე არხი და ავავსე იგი წყლით. . ჩემი ნგრევანი წარღვნაზე უფრო საშინელი იყო. რომ მომავალში ვერავინ შეძლოს იმ ადგილის პოვნა, სადაც ეს ქალაქი იდგა, მე დავფარე წყლით". გავანადგურე, დავანგრიე, დავწვი, სიამაყით აცხადებს სინახერიბი.

ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია ბაბილონის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მაგრამ ქალაქი ნანგრევებად დიდხანს არ დარჩენილა. ბაბილონის მიწასთან გასწორებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სინახერიბი საკუთარმა შვილებმა, ადარმალიკმა და აშურასარმა, მოკლეს[1]. მამისმკვლელი ძმები სინახერიბის მესამე შვილმა ასარხადონმა გაანადგურა და ასურეთის ტახტზე ავიდა. მეფის ბრძანებით ბაბილონს რისხვა მოეხსნა. დაიწყო ქალაქის აღდგენა.

ასარხადონმა ბაბილონთან დამოკიდებულებაში გადაუხვია სინახერიბის გზიდან და გააგრძელა სარგონ II საქმიანობა. მან კარგად იცოდა, რაოდენ ხელსაყრელი იყო ქვეშევრდომებზე საბატონოდ ბაბილონის ქურუმებისა და მდიდარი ვაჭრების მხარდაჭერა. იგი შეუდგა ფერფლისა და ნანგრევებისაგან ქალაქის აღორძინებას. აღდგენით სამუშაოებზე თავი მოუყარა ასურეთისა და ბაბილონის გამოჩენილ ხუროთმოძღვრებს. მშენებლობაში ჩააბა ათასობით მონა. ბაბილონს სულ მალე დაუბრუნდა სიცოცხლე, ძველი სილამაზე და დიდება. ქალაქი ისევ დამშვენეს დიდებულმა ტაძრებმა და კოშკებმა. განდევნილი მოსახლეობა სიხარულით დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში.

ასარხადონი ცდილობდა სინახერიბის რისხვა ღმერთების ნებით აეხსნა. ერთ წარწერაში იგი განმარტავდა, მარდუკმა ბაბილონელებს არ აპატია ჩადენილი ცოდვები და სინახერიბის

---

1. გვიანდელი ბაბილონური წარწერის მიხედვით, სინახერიბი ღმერთმა დასაჯა: „სურის (ასურეთის) შეფეს, რომელმაც ქვეყანას უბედურება მოუტანა, განრისხებული მარდუკის ნებით, მახვილი ჩასცა საკუთარმა შვილმა".

ხელით დაუმტკიცა მათ თავისი ძალა, ქალაქი მიწასთან გაასწორა. ასარხადონი ამართლებდა მამის მოქმედებას. ამავე დროს, ბაბილონელებს აფრთხილებდა, მორჩილად შეასრულონ მისი ნება, თუ არ სურთ კვლავ განიცადონ მარდუკის რისხვა.

ასარხადონმა დაუბრუნა ბაბილონს თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურის სიმბოლოდ ქცეული ე-ტემენ-ანკი. ტაძრის აგება დაეკისრა ასურ ხუროთმოძღვარს არადახეშს. ბაბილონის ზიკურატმა, ე-ტემენ- ანკმა, რომელიც ბაბილონის გოდოლის სახელწოდებითაა ცნობილი, ბიბლიისა და ანტიკური ავტორების დიდი ყურადღება მიიპყრო.

ასარხადონის პრობაბილონური პოლიტიკის ნათელი დამადასტურებელია ისიც, რომ მისი ერთი მეუღლე ბაბილონელი ქალი იყო (ასურეთის მეფეებში მრავალცოლიანობა იყო გავრცელებული).

ასარხადონს ორი ვაჟი ჰყავდა, შამაშ-შუმუკინი და აშურბანიპალი. შამაშ-შუმუკინის დედა ბაბილონელი, ხოლო აშურბანიპალის – ასური ქალი იყო. ასარხადონი უპირატესობას ანიჭებდა შამაშ-შუმუკინის გამეფებას, მაგრამ მისმა განზრახვამ ასურეთის დიდებულთა მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. ისინი წინ აღუდგნენ იმ უფლისწულის გამეფებას, რომელიც ბაბილონელი ქალის შვილი იყო. ასარხადონი იძულებული გახდა, გადაწყვეტილება შეეცვალა და მეფედ აშურბანიპალი გამოაცხადა. შამაშ-შუმუკინს ბაბილონის მეფის ტიტული გადაეცა.

ასარხადონმა აშურბანიპალს თავიდან მეცნიერული მოღვაწეობის სფერო განუსაზღვრა. იგი სატაძრო სკოლაში გაამწესეს, სადაც ლურსმნული დამწერლობის საიდუმლოებანი უნდა შეესწავლა. ისიც დიდი მონდომებით შეუდგა შუმერული და ასურულ-ბაბილონური ტექსტების დამუშავებას. ლიტერატურულ ძეგლებთან ერთად იგი გაეცნო და შეისწავლა მესოპოტამიის წარსული საუკუნეების სამხედრო ქრონიკები. სკოლამ ღრმა კვალი დატოვა უფლისწულის სულიერ ჩამოყალიბებაზე. ცოდნის შემეცნებადმი ინტერესი მას ბოლომდე არ განელებია. ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში შეაგროვა ურიცხვი რაოდენობის თიხის ფირფიტები. შეიძლება ითქვას, რომ აშურბანიპალი, ძველი სამყაროს ერთ-ერთი უგანათლებულესი მეფე იყო.

ასარხადონი ძვ. წ. 669 წელს გარდაიცვალა. აშურბანიპალი შეუდგა უზარმაზარი იმპერიის მართვას.

აშურბანიპალი აგრძელებდა ასურეთის მეფეთა დამპყრობლურ პოლიტიკას. იგი დიდ დროსა და ენერგიას უთმობდა გამდგარი ქვეშევრდომების შემომტკიცებას. განსაკუთრებით მწვავედ დადგა ბაბილონის ჩამოშორების საშიშროება. შამაშ-შუმ-უკინმა ისარგებლა ასურეთის განაპირა მხარეების არეულობით და შეუდგა ძმის წინააღმდეგ აჯანყების მზადებას. საიდუმლო კოალიციაში ჩართო ასურეთის ქვეშევრდომებიც და მეზობელი სახელმწიფოებიც (ქალდეველები, არამეელები, ელამი, ეგვიპტე, ფინიკია, ლიდია). აშურბანიპალმა უზარმაზარი არმიით გაილაშქრა ბაბილონზე. გაანადგურა მოწინააღმდეგის ძალები და ქალაქს ალყა შემოარტყა. ბაბილონის გარემოცვა გაგრძელდა. ქალაქის დამცველებს გაუთავდათ სურსათი. დაიწყო შიმშილობა. ძალგამოცლილი ქალაქი აშურბანიპალს დანებდა (ძვ.წ.648 წელს). შამაშ-შუმ-უკინი ალყაშემორტყმულ ქალაქში დაიღუპა.

გამარჯვების აღსანიშნავი ქრონიკა აშურბანიპალმა თვითონვე შეადგინა. დოკუმენტები აგებულია შამაშ-შუმ-უკინის დადანაშაულების იდეით. აშურბანიპალის მტკიცებით, შამაშ-შუმ-უკინს, სიტყვით ყოველთვის კეთილგანწყობილად მოჰქონდა თავი, გულში კი თურმე ბოროტი ზრახვები ედო. მან ამიჯანყა ერთგული ბაბილონელები. ღმერთების დახმარებით, „ალყაში მოვაქციე იგი და მისი მეომრები.. ჩავუკეტე გასასვლელები. ქალაქებში და ბრძოლის ველზე ამოვყლიტე ისინი ურიცხვი. რაოდენობით... აშური, სინი, შამაში, ბელი, აბუ, იშტარი... მიუძღოდნენ წინ ჩემს არმიას და გაანადგურეს ჩემი მოწინააღმდეგე, ტყორცნეს შამაშ-შუმ-უკინს, ჩემს მტერ ძმას, ანთებული ცეცხლი და მოუსპეს სიცოცხლე“. ასე აღწერს აშურბანიპალი თავის გამარჯვებას.

გამარჯვებული აშურბანიპალი ბაბილონის მეფედ გამოცხადდა.

ბაბილონელმა ლტოლვილებმა თავი ელამს შეაფარეს. აშურბანიპალმა გააგრძელა მათი დევნა, ბრძოლის ასპარეზი ელამში გადაიტანა და გაიმარჯვა.

აშურბანიპალი ასურეთის უკანასკნელი დიდი მეფე იყო. მისი გარდაცვალების (ძვ.წ.627 წელი) შემდეგ ასურეთის ძლევამოსილმა სახელმწიფომ მხოლოდ ორი ათეული წელი

იარსება. ასურეთის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბაბილონმა.

აშურბანიპალის შვილმა, სინშარ-იშკუნმა, ბაბილონზე იურისდიქციის შენარჩუნების მიზნით ქალაქზე გაილაშქრა. ბაბილონმა ასურელთა თავდასხმა მოიგერია.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან მიმდინარეობდა ფარული თუ აშკარა ბრძოლა ბაბილონისათვის ასურელებსა და ქალდეველებს შორის. VII საუკუნის ბოლომდე ასურელები ინარჩუნებდნენ პირველობას. მაგრამ მათ უპირატესობას ბოლო მოუღო ქალდეველთა ბელადმა, ადრე ასურეთის სამსახურში მყოფმა სარდალმა ნაბოპალასარმა, რომელიც ძვ. წ. 626 წელს ბაბილონის მხარეზე გადავიდა და თავი მეფედ გამოაცხადა.

ნაბოპალასარი ქალდეველი იყო. ბაბილონელები ქალდეველებს დიდხანს ისე უყურებდნენ, როგორც უცხოელებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ბაბილონურმა კულტურამ მოახდინა მათი ასიმილირება. ქალდეველები ჩაერთნენ ბაბილონის პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში. ბაბილონური კულტურის გავლენა ჩანს ნაბოპალასარის სახელშიც. იმდენად ძლიერი იყო ბაბილონის თეოკრატიული ტრადიციების გავლენა, რომ ნაბოპალასარი ასურელების განადგურებას მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთების ნებით ხსნიდა. თავის მრავალრიცხოვან წარწერებში ერთი სიტყვაც არ არის ქალდეველი მეომრების ან საკუთარ ღირსებებზე ნათქვამი. მეფე გამოდის ღმერთების ნება-სურვილის აღმსრულებლად. ნაბოპალასარის ამგვარი მოქმედება გამომდინარეობდა ბაბილონის საზოგადოების ყველაზე გავლენიანი ფენის, ქურუმების ინტერესებიდან. მოქნილი დიპლომატიით, იგი აძლიერებდა მათ კეთილგანწყობას. რაც ბაბილონზე ბატონობის სრული გარანტია იყო.

ნაბოპალასარმა განუსაზღვრელი უფლებები მოიპოვა. ღმერთების სახელით აწარმოებდა იგი ომებს. მარდუკი უნათებდა გზას ბაბილონის განახლება-გალამაზებაში. ერთ წარწერაში იგი ასე მიმართავს ღმერთს: „ო, მარდუკ, ჩემო მბრძანებელო, გადმოხედე წყალობით ჩემს ღვთისმოსაობას, დე ჩემი ხელით აღმართული ქმნილებანი მარად ურყევად იდგეს შენი კეთილშობილების წყალობით. როგორც მტკიცე და სამუდამოა ე-ტემენ-ანკის აგურები, ისე მტკიცე და მარადიული გახადე ჩემი ტახტი“.

ამურბანიპალის მემკვიდრეები ვერ ურიგდებოდნენ ბაბილონის დაკარგვას. მათ რამდენჯერმე სცადეს მისი დაბრუნება, მაგრამ ნაბოპალასარმა არა მარტო მოიგერია თავდასხმა, თვითონ გადავიდა შეტევაზე.

, ბაბილონის ბრძოლების დროს გამოიკვეთა ასურეთის მეორე მტრის, მიდიის სახეც. ნაბოპალასართან ერთად მიდიის მეფე კიაკსარმაც შეუტია „ლომების ბუნაგს“: ასურეთის გადარჩენა სცადა ეგვიპტის მეფე პსამეტიხმა. ბაბილონის მზარდი აღმავლობა აიძულებდა ფარაონს დახმარებოდა თავის ძველ მოწინააღმდეგეს. მნიშვნელოვანი ძალებიც გაგზავნა, მაგრამ ქვეყნის სიღრმეში შესვლა ეგვიპტელებმა ვერ მოახერხეს.

კიაკსარმა გადალახა ტიგროსი და ძვ. წ. 614 წელს აიღო ასურეთის ძველი დედაქალაქი აშური. კიაკსარის ბრძანებით აშური გაძარცვეს და დაანგრიეს. ქალაქში მყოფი წარჩინებულები სიკვდილით დასაჯეს. ნაბოპალასარს აშურთან მისვლა დააგვიანდა, ამიტომ მას ნადავლის აღებაში მონაწილეობა არ მიუღია.

აშურის დაცემის შემდეგ მოხდა ნაბოპალასარისა და კიაკსარის შეხვედრა. დაიდო კავშირი. შეადგინეს ერთიანი ბრძოლის გეგმა. კავშირი რომ მტკიცე ყოფილიყო, დანათესავდნენ კიდევაც. ნაბოპალასარის ვაჟი ნაბუქოდონოსორი დაქორწინდა კიაკსარის ასულ ამიტიდაზე.

ძვ. წ. 612 წელს ბაბილონისა და მიდიის გაერთიანებული ძალები ნინევიას მიადგნენ. სინშარ-იშკუნი დიდი მონდომებით ხელმძღვანელობდა დედაქალაქის დაცვას. ორი თვის განმავლობაში მოალყეებმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ნინევია მტკიცედ იცავდა თავს. გამოცდილ მეომრებს, ნაბოპალასარსა და კიაკსარს კარგად ესმოდათ, რომ გაჭიანურებული ალყა უარყოფითად იმოქმედებდა არმიაზე. ამიტომ ბრძოლაში ისეთი იარაღი გამოიყენეს, რომლის წინაშე ნინევიის დამცველები უძლურნი აღმოჩნდნენ. შეაგუბეს მდინარე, გადმოიყვანეს კალაპოტიდან და ქალაქზე მიუშვეს. მდინარის ტალღას გალავანმა ვერ გაუძლო და გატყდა. წყალთან ერთად ქალაქში შეეიდნენ მიდიელი და ბაბილონელი მეომრები. ასურელები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეზე იყო. ამას დაემატა შავი ჭირი. ნინევიამ იარაღი დაყარა. ნინევიაში დატრიალებული ტრაგედია სისრულით არის

დაცული ბიბლიაში. წინასწარმეტყველი ნაუმი მომხდარ ფაქტს ღვთის რისხვად მიიჩნევს[1].

ასურეთის მეფე, სარგონიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი სინშარ-იშკუნი, კარს მომდგარ უბედურებას იმით შეებრძოლა, რომ სასახლეს ცეცხლი გაუჩინა და სამარცხვინო ტყვეობას თავის დაწვა ამჯობინა.

ნინევია გამარჯვებულთა ხელში გადავიდა. მოკავშირეებმა ქალაქი საფუძვლამდე დაანგრიეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოჟლიტეს. დამარცხებული ხალხის მიმართ ამგვარი დაუნდობლობის გამოვლენის ფაქტებს მრავლად იცნობდა ასურეთის წარსული[2]. ნინევიას ზუსტად ისე მოექცნენ, როგორც სინახერიბი მოექცა ბაბილონს, იმ განსხვავებით, რომ ბაბილონი სინახერიბის შვილმა ასარხადონმა დანგრევიდან ათი წლის შემდეგ ისევ გააცოცხლა, ნინევიის აღდგენაზე კი არავის უზრუნია.

შუამდინარეთის მბრძანებელი გახდა ბაბილონის ქალდეური დინასტია. ნაბოპალასარმა არა მარტო თავი დაიხსნა ნინევიისაგან, არამედ მიაღწია იმას, რომ აღმოსავლეთის რისხვად მიჩნეული ასურეთი საერთოდ წამალა პოლიტიკურ რუკაზე.

სინშარ-იშკუნის დაღუპვის შემდეგ მომაკვდავ ასურეთს

---

1. ნინევია ძველი სამყაროს ულამაზესი ქალაქი იყო. მდებარეობდა მდ. ტიგროსის ნაპირზე. გაშლილი იყო ოთხი კილომეტრის სიგრძეზე. ნინევიის მთავარ ჭიშას 26 მ. განი აქონდა. ხელისუფლება ქალაქის გარეგნულ სახეს დიდ ყურადღებას უთმობდა. ერთი წარწერის თანახმად, ნინევიაში საამშენებლო მეთვალყურეობაც არსებულა. იგივე წარწერა გვაუწყებს, რომ მკაცრი სასჯელი ემუქრებოდა ყველა შშენებელს, რომელიც თავის სახლს ნებადართული ხაზის წინ წამოსწევდა. დამნაშავე საკუთარი სახლის სახურავზე აღმართულ მარგილზე უნდა ჩამოეცვათ. ასეთი სიმკაცრის პირობებში ძნელად თუ ვინმე გაბედადა დადგენილი წესების დარღვევას. ამის გამო ნინევიის ჭუჭები იყო სწორი და გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით.

2. ძველი სამყაროს ულმობელ დესპოტთა შორის ასურეთის მეფეები გამოირჩეოდნენ საღასტური მიდრეკილებებით. მათ მრავალრიცხოვან წარწერებში ხიამაყითაა ხაზგასმული ულანაშაულო ადამიანთა დაღვრილი სისხლი. ასურეთის მეფეთა საყვარელი გამოთქმები იყო: „მე დავწვი“, „ მე დაკანგრიე“, „ქალაქი გავასწორე მიწასთან“, „ტყავი გავაძარ აჯანყების მეთაურს“. შემკეიდრეობითი გადმოცემულ დაუნდობლობასთან ერთად, ისინი წინაპრებისგან ამ ეპითეტებსაც ხვსულობდნენ. თიხის ფირფიტებმა შემოინახეს ასეთი შინაარსის ტექსტი: „მე თავი ბოკეთეე მეთორეს და მისგან აღემართე ბორცვი ქალაქის წინ. ცოცხლში დავწვი ბაკშეები... ცოცხლად დარჩენილი ტყვეები ქალაქის გარშემო მარგილებზე ჩამოვაცვი, ხალი დანარჩენებს თვალები დავთხარე“. სისხლიანი გაბარკვებული ლმობიერად თელილა თვალების დათხრა. დამარცხებულთა მიმართ ზოგი მეფე უპირატესობას ანიჭებდა ცოცხლად ტყავის გაძრობას. თვალების დათხრა და ხელის მოკვეთა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ძალა, რომელმაც ასურეთი მიწის პირისგან აღგაა, იყო ყოფილ ქვეშეურდნთა გაბოროტება. გაბარკვებულმა მხარემ საბრალულის ყოველგვარი ხაზდვარი გადალახა და ისე მოექცა დამარცხებულს, როგორც ასურელები იქცეოდნენ.

რამდენიმე წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე აშურ-უბალიტმა. ასურეთის მხარეს კვლავ აქტიურად დადგა ეგვიპტე. ფარაონმა ნეხომ დიდი არმია გაგზავნა აზიაში. ნაბოპალასარმა მტკიცედ ჩაკეტა მესოპოტამიისაკენ მიმავალი გზები. მაგრამ მას მოხუცებულობის გამო არმიის ხელმძღვანელობა აღარ შეეძლო. ბაბილონის ლაშქარს სარდლობდა უფლისწული ნაბუქოდონოსორი. ძვ. წ. 605 წელს კარხემიშთან გამართულ ბრძოლაში ნაბუქოდონოსორმა ეგვიპტის არმია გაანადგურა. სირია-ფინიკია და პალესტინა უბრძოლველად დანებდა ბაბილონს. ნაბუქოდონოსორს ეგვიპტისაკენ გზები ეხსნებოდა მაგრამ ნაბოპალასარის გარდაცვალების გამო გეგმის განხორციელება ვერ შეძლო. იგი იძულებული გახდა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო უკან და გვირგვინის საკითხი მოეგვარებინა, რადგან იცოდა, ბაბილონის ქურუმობა წინააღმდეგი იყო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემისა. ნაბუქოდონოსორმა პრობლემა უმტკივნეულოდ მოაგვარა.

ნაბუქოდონოსორი გამეფებისთანავე შეუდგა ბაბილონის სამფლობელოთა გაფართოებას. მის ზრახვებს აქტიურად აღუდგა წინ ეგვიპტე. ასურეთის დაცემის შემდეგ საისური ეგვიპტის ფარაონებმა მოინდომეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე გაბატონება. ეგვიპტემ სირია-ფინიკიისა და პალესტინის მოკავშირის როლი იკისრა. იგი ცდილობდა შეექმნა ერთიანი ფრონტი და არ მიეცა ბაბილონისათვის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე დამკვიდრების უფლება. მაგრამ ნაბუქოდონოსორი, როგორც პოლიტიკოსი და სარდალი, ფარაონებზე შეუდარებლად დიდი იყო და ადვილად ახდენდა ეგვიპტის მეფეთა იმედით დაწყებული აჯანყებების ლიკვიდირებას. ძვ. წ. 597 წელს ნაბუქოდონოსორმა ჩააქრო იუდეის აჯანყება, აიღო იერუსალიმი და მოსახლეობის ნაწილი ტყვედ წაიყვანა. ებრაელთა მორჩილება დიდხანს არ გაგრძელებულა. ეგვიპტის წაქეზებითა და დახმარების დაპირებით ფინიკია და პალესტინა ისევ ცეცხლის ალში გაეხვია. ძვ. წ. 589 წელს ნაბუქოდონოსორი მღელვარების ადგილისაკენ გაეშურა. ააოხრა იუდეა და ალყა შემოარტყა იერუსალიმს. იერუსალიმის დასახმარებლად ეგვიპტის ფარაონმა გაგზავნა არმია და ფლოტი. ნაბუქოდონოსორმა დატოვა იერუსალიმი, წინ აღუდგა ფარაონის ლაშქარს და დაამარცხა.

რაც შეეხება ეგვიპტის ფლოტს, მან სძლია ბაბილონის მეფის მომხრე ტვიროსის ფლოტი.

ნაბუქოდონოსორი კვლავ მიადგა იერუსალიმს. ქალაქმა ხანგრძლივ ალყას ვერ გაუძლო და დაეცა.

ნაბუქოდონოსორის ბრძანებით (ძვ.წ. 586 წელს), იერუსალიმი გაძარცვეს და დაანგრიეს. ათასობით ებრაელი მესოპოტამიაში გადაასახლეს (როგორც ვარაუდობენ, 70 ათასი კაცი). დატოვეს მხოლოდ ღარიბები. დატრიალებული ტრაგედია ვრცლადაა აღწერილი ბიბლიაში.

ნაბუქოდონოსორმა თავისი მეფობის უმეტესი ნაწილი ომებში გაატარა. მაგრამ ძლევამოსილი ლაშქრობების შესახებ თვითონ უმნიშვნელო ცნობებს გვიტოვებს. იგი ომებს ღმერთების სახელით აწარმოებდა და გამარჯვებასაც მათ სახელს მიაწერდა: „ღმერთების კეთილგანწყობილი დახმარებით გავიარე შორეული ქვეყნები, მთები, ტერიტორია ზემო ზღვიდან ქვემო ზღვამდე, მკაცრი გზები, გაუვალი ბილიკები, სადაც ძნელი იყო დგომა. გავიარე რთული გზები, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, ვიტანჯებოდი დაღლილობისა და წყურვილისაგან. მე გავტეხე ავჯანყებულები, მტრები დავატყვევე. ქვეყანა უზრუნველვყავი წესრიგით, ხალხი ავაყვავე... ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები, სპილენძი... უზარმაზარი სიმდიდრე მოვიტანე ჩემს ქალაქ ბაბილონში და მივართვი ღმერთებს“.

ნაბუქოდონოსორი ბაბილონისა და, საერთოდ, შუამდინარეთის უდიდესი მეფე იყო. მის მეფობაში ბაბილონმა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აყვავების ზენიტს მიაღწია. მისი ხანგრძლივი მეფობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი კუთხით: დაპყრობითი ომებითა და გრანდიოზული მშენებლობებით. მაგრამ ბაბილონის ძლიერების ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მისი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს დიდება ნაბუქოდონოსორთან ერთად ჩაესვენა.

ნაბუქოდონოსორი ძვ. წ. 562 წელს გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილი ამელ-მარდუკი. ამელ-მარდუკმა ორი წელი იმეფა. 560 წელს იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. გამეფდა შეთქმულების მეთაური ქალდეველი სარდალი, ნერიგლისარი (560-556). ახალი გვირგვინოსანი სამეფო ოჯახის უახლოესი ნათესავი იყო, ცოლად ჰყავდა ნაბუქოდონოსორის ასული,

ამელ-მარდუკის და. ნერიგლისარმა მოაგვარა მიდიასთან დაძაბული ურთიერთობა, თავისი ძალა აჩვენა ლიდიას და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

ძვ.წ.556 წელს ნერიგლისარი გარდაიცვალა. ქალდეველებმა მეფედ გამოაცხადეს მისი მცირეწლოვანი ვაჟი ლაბაში-მარდუკი. ბაბილონის გაბატონებული ზედაფენა ამ ფაქტის წინააღმდეგ წავიდა. მან მოაწყო გადატრიალება და ტახტზე აიყვანა ნაბონიდი (ნაბუ-ნიდი). ნაბოპალასარის მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, ნაბონიდი ქალდეველი არ ყოფილა. იგი ბაბილონის სამეფო კარზე კარგად ცნობილი ოჯახის შვილი, ნაბუქოდონოსორთან დაახლოებული პირი იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მის გამეფებას ბაბილონელი ქურუმები აღტაცებით შეხვდნენ, მაგრამ ქალდეველები არ თმობდნენ პოზიციას და კანონიერ მეფედ ლაბაში-მარდუკს აღიარებდნენ. მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო, მაგრამ ნაბონიდმა გამოსავალი მოძებნა. იგი დაქორწინდა ნაბუქოდონოსორის ქვრივზე, ეგვიპტელ ნიტოკრისზე და მემკვიდრედ გამოაცხადა ნაბუქოდონოსორისა და ნიტოკრისის შვილი ბელშარ-უცური (ბალთაზარი). ამ ნაბიჯით ნაბონიდმა ქალდეველებიც დაამშვიდა და ტახტიც შეინარჩუნა.

ნაბონიდმა ბაბილონის ქურუმების იმედები ვერ გაამართლა. ბაბილონის მთავარ ღვთაებას მარდუკს მან დაუპირისპირა მთვარის ღმერთი სინი. მეფის მოქმედებამ მარდუკის ქურუმთა უკმაყოფილება გამოიწვია. ნაბონიდმა დასაყრდენი ძალის გაზრდის მიზნით, ცენტრალურ არაბეთში მცხოვრებ არამეელებს მიაპყრო ყურადღება და თავსი რეზიდენცია ტეიმის ოაზისში გადაიტანა. მეფე ქვეყნის სამხედრო ძლიერებაზე ფიქრის ნაცვლად სინის კულტის გაფართოებასა და დანერგვაზე ზრუნავდა.

ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებში ძველ სამყაროს ახალი დამპყრობელი მოევლინა. მანამდე უჩინარმა სპარსთა ტომმა კიროსის მეთაურობით დაამხო მიდიელთა ბატონობა. კიროსის ელვისებურ მოქმედებას ვერ გაუძლო ვერც ლიდიამ. სულ მოკლე ხანში აზიის კონტინენტზე მხოლოდ ბაბილონი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. მაგრამ სპარსეთის სწრაფი აღმავლობის პარალელურად ბაბილონის სუსტმა მმართველებმა ქვეყნის

თავდაცვის მოწესრიგების ნაცვლად რელიგიური პრობლემების გადაჭრა განიზრახეს.

მარდუკის ტაძრის ქურუმებმა საკუთარ მეფეს ფარული ბრძოლა გამოუცხადეს. შურისძიებით ანთებულმა კულტის მსახურებმა საიდუმლო კავშირი გააბეს სპარსეთის მეფესთან. მტერს ისინი აქტიურ დახმარებას და თანადგომას ჰპირდებოდნენ. კიროსმაც არ დააყოვნა. თავისი ძლევამოსილი ლაშქარი ბაბილონისაკენ მიმართა. ძვ. წ. 539 წლის აგვისტოში, ტიგროსის სანაპიროზე ქ. ოპისთან ბაბილონის ლაშქარი დამარცხდა. ამის შემდეგ დიდი ბრძოლები აღარ გამართულა. იმავე წლის ოქტომბერში სპარსელებმა უბრძოლველად აიღეს ქ. სიპარი. ნაბონიდი და ბალთაზარი ტყვედ ჩავარდნენ. კიროსის ბრძანებით ბალთაზარი სიკვდილით დასაჯეს, ნაბონიდს კი სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ოქტომბრის ბოლოს კიროსი ბაბილონს მიადგა. მარდუკის ქურუმებმა თვითონ გაუღეს ქალაქის კარები და მიესალმნენ კიროსს, როგორც განმათავისუფლებელსა და „ბაბილონის, შუმერისა და აქადის“ ახალ მეფეს. ებრაელმა წინასწარმეტყველებმა კი იგი ღმერთ იახვეს მესიად გამოაცხადეს.

კიროსმა ბაბილონის მეფეთა მსგავსად მსხვერპლი მიართვა მარდუკს. ყოველივე ადგილობრივი ტრადიციების დაცვით შეასრულა. ბაბილონის სატრაპად დაინიშნა სპარსეთის ტახტის მემკვიდრე კამბიზი, რომელიც ლურსმულ წყაროებში „ბაბილონის მეფედ“ მოიხსენიება. სპარსთა ბატონობის პირველ პერიოდში ბაბილონმა ძველი დიდება შეინარჩუნა.

ბაბილონის აღებასთან დაკავშირებულ წარწერაში კიროსმა ყველა წარმატება მარდუკს მიაწერა. სპარსული ქრონიკის თანახმად, ღმერთმა უბრძანა კიროსს გაეკვლია გზა ბაბილონისაკენ, თვითონ კი, როგორც მეგობარი და ამხანაგი, გვერდით მიჰყვებოდა. კიროსს ურიცხვი მეომარი ჰყავდა, მაგრამ „მარდუკმა ბრძოლის გარეშე დართო ნება კიროსს შესულიყო ბაბილონში, თავის ქალაქში. მან დაიფარა ბაბილონი უბედურებისაგან. ნაბონიდი, მეფე, რომელიც პატივს არ სცემდა მას, მარდუკმა კიროსს გადასცა. ბაბილონელებმა, ყველამ ერთად, მთელმა შუმერმა და აქადმა, დიდებულებმა და მეფისნაცვლებმა ქედი

მოიხარეს მის წინაშე, ეამბორებოდნენ ფეხებზე და ხარობდნენ მისი ხელისუფლებით. ყველას სახე უბრწყინავდა".

ბაბილონელთა ზეიმი უსაფუძვლო არ ყოფილა. კიროსის ლოიალურმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით ბაბილონის კულტებთან დაკავშირებით, მისი ბატონობა დიდი სიმპათიებით შემოსა. კირუსმა გააგრძელა ახალი წლის დღესასწაულების ძველი ბრწყინვალებით გამართვა. აქემენიდების დინასტიის ფუძემდებელმა თავის ტიტულატურას სიამაყით მიუმატა „ბაბილონის მეფე".

ბაბილონელი კულტის მსახურები მალე დარწმუნდნენ, რომ უდიდესი შეცდომა დაუშვეს. სამშობლოს ღალატის სანაცვლოდ ქურუმებმა ვერაფერი მიიღეს.

პირველი აღტაცება მალე ჩაცხრა. აქემენიდური ბატონობის პერიოდი ბაბილონის მუდმივი მღელვარების ხანა იყო. სპარსეთის პოზიციების ოდნავ შერხევას ბაბილონი აჯანყებით პასუხობდა. აჯანყების მეთაურები ფართოდ იყენებდნენ ნაბუქოდონოსორის სახელს, თავს აცხადებდნენ მის ნათესავებად ან უშუალოდ მემკვიდრეებად. სპარსეთის მეფეები შედარებით ლმობიერად იქცეოდნენ, მხოლოდ აჯანყების მეთაურებს სჯიდნენ. 520 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ თავშეკავების ზღვარი გადალახა. მეფე დარიოსმა ქალაქი მეომრებს გადასცა გასაძარცვავად. მანვე ბრძანა ბაბილონის კედლის დანგრევა.

ამის მიუხედავად, ცხოვრება ქალაქში არსებითად არ შეცვლილა. ბაბილონი ძველებურად სატახტო ქალაქის რანგში დარჩა. ნაბუქოდონოსორის სასახლე კვლავ სატრაპის რეზიდენციას წარმოადგენდა. ბაბილონში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ სპარსეთის მეფეებიც. ახალი მმართველები აღადგენდნენ ტაძრებს, აგებდნენ ახალ სასახლეებს. სპარსელები ითვისებდნენ ბაბილონში შემუშავებულ სამშენებლო ხელოვნებას, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ თავიანთი ქალაქების სუზისა და პერსეპოლისის მდიდრული სასახლეების აგებისას.

განსაკუთრებით მძიმე შედეგებით დამთავრდა ბაბილონის აჯანყება, რომლის ბიძგიც გახდა სპარსეთის ომი საბერძნეთთან. სპარსეთის მეფე ქსერქსე უმკაცრესად გაუსწორდა ბაბილონს. მეფის ბრძანებით დაანგრიეს ესაგილა და ე-ტემენ-ანკი, ხოლო მარდუკის ქანდაკება გადაადნეს. მრავალი ქურუმი განდევნეს ან დააპატიმრეს. ბაბილონის, როგორც საკულტო ცენტრის

როლი დაკნინდა. ქალაქმა დაკარგა ადრინდელი პრივილეგიები. იგი რიგით სატრაპიად იქცა. სპარსეთის მეფეებმა თავიანთი ტიტულატურიდან ბაბილონის სახელი ამოიღეს.

მას შემდეგ, რაც ბაბილონმა ქსერქსეს რისხვა განიცადა, ქალაქი ძველი დიდების აჩრდილსღა წარმოადგენდა. მისი მიუვალი კედლების მხოლოდ ნანგრევები იყო. მრავალი არქიტექტურული ძეგლი ისევ იდგა, მაგრამ პირვანდელი სახე დაკარგული ჰქონდა. ამის მიუხედავად, ქალაქი მნახველზე მაინც წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. ჰეროდოტემ ბაბილონი ტრაგედიის ახლო ხანებში დაათვალიერა. აღტაცებული ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ბაბილონი ყველაზე დიდი და ლამაზი ქალაქი იყო. თუმცა ჰეროდოტე ბევრ მნიშვნელოვან ნაგებობას (საპროცესიო გზა და იშტარის ჭიშკარი, დაკიდული ბაღები და სხვ.) არ ახსენებს, მაგრამ ესაგილას, ე-ტემენ-ანკის, ევფრატზე არსებული ხიდის აღწერისას აღნიშნავს, რომ იხილა მაღალი დონის ხელოვნების ნიმუშები. როგორც ჩანს, სერიოზული კატასტროფის მიუხედავად, ბაბილონი ჰ ეროდოტეს დროსაც ინარჩუნებდა ძველ სილამაზეს.

დროთა განმავლობაში ბაბილონში უმაღლესი თანამდებობანი სპარსელთა ხელში გადავიდა. სპარსი დიდებულები თავისუფლად მკვიდრდებოდნენ ბაბილონში და ითვისებდნენ მის კულტურას.

სპარსეთის ორსაუკუნოვანი ბატონობა დასრულდა 331 წელს. მაკედონიის ახალგაზრდა მეფემ ალექსანდრემ დაამხო აქემენიდების იმპერია. ბაბილონი აღტაცებით შეხვდა გამარჯვებულ მაკედონელს. ქალაქმა უბრძოლველად გაუღო კარები და საზეიმო ვითარებაში მიიღო, როგორც გამანთავისუფლებელი. ალექსანდრემ აღადგინა ძველბაბილონური ტრადიციები, ცნო მარდუკის კულტი. სპეციალური ბრძანება გამოსცა ე-ტემენ-ანკის აღსადგენად. ბაბილონმა უკანასკნელად ითამაშა სამყაროს ცენტრის როლი, მაკედონელმა იგი თავის სატახტო ქალაქად აირჩია. ბაბილონის სატახტო ქალაქად გამოცხადების ტრადიცია ასურეთისა და სპარსეთის მბრძანებლებისგან მოდიოდა. მაგრამ ალექსანდრე განსხვავდებოდა წინამორბედი დამპყრობლებისაგან. ბაბილონი მან ერთადერთ დედაქალაქად გამოაცხადა (ასურეთისა და სპარსეთის მეფეებს რამდენიმე დედაქალაქი ჰქონდათ, მათ შორის იყო ბაბილონიც).

ბაბილონი დედაქალაქად დიდხანს არ დარჩენილა. ალექსანდრეს

გარდაცვალების შემდეგ სარდლებმა მისი იმპერია დაინაწილეს. ხანგძლივი ბრძოლების შემდეგ ბაბილონი დაისაკუთრა სელევკოს I ნიკატორმა (311-281). ახალმა მბრძანებელმა არ ისურვა ბაბილონში დარჩენა და მის მახლობლად მდ. ტიგროსზე დაარსა ქალაქი, რომელსაც სელევკია უწოდა. ბაბილონის მოსახლეობის დიდი ნაწილი დედაქალაქდ გამოცხადებულ სელევკიაში გადასახლდა.

ძვ. წ. II საუკუნის შუა ხანებში ბაბილონი პართებმა დაიპყრეს. მათ ქალაქი გაძარცვეს და დაანგრეს. შუამდინარეთში პართებმა ახალი ქალაქი ქტეზიფონი დაარსეს, რომელსაც ბაბილონისა და სელევკიის როლის შესრულება დაეკისრა. სავაჭრო გზები გადაადგილდნენ, მათ ბაბილონს გვერდი აუარეს. ქტეზიფონის დაარსებით ბაბილონმა, როგორც ქალაქმა მნიშვნელობა დაკარგა.

ახ. წ II საუკუნეში რომაელებმა ბაბილონი ორჯერ აიღეს: 115 წელს იმპერატორმა ტრაიანემ, 199 წელს სეპტიმიუს სევერიუსმა. მაგრამ რომის იმპერატორებმა ბაბილონი ვერ შეინარჩუნეს.

227 წელს ირანში არშაკიდების დინასტია სასანიდებმა შეცვალეს. ამ დროისათვის ბაბილონი იმდენად უმნიშვნელო ქალაქი იყო, რომ მას არავითარი როლის შესრულება აღარ შეეძლო.

VII საუკუნეში ბაბილონი არაბებმა დაიკავეს. არაბთა გამოჩენისთანავე ქალაქმა არსებობა შეწყვიტა. აღსრულდა იერემიას წინასწარმეტყველება: „ნანგრევებად იქცევა ბაბილონი, უდაბურ და სასტვენელ ადგილად, და არავინ იცხოვრებს იქ“. XII საუკუნეში ჯერ კიდევ ახერხებდნენ მოგზაურები ბაბილონის ნანგრევების ხილვას. მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ ნაბუქოდონოსორის სასახლის ნანგრევების სიახლოვეს არავინ ეკარებოდა გველებისა და მორიელების სიმრავლის გამო შემდეგ კი იგი ადამიანთა თვალთახედვიდან გაქრა.

ბაბილონი ხელშესახები გახდა XX საუკუნის გარიჟრაჟზე. გერმანულმა ორიენტალისტურმა საზოგადოებამ, 1899 წლიდან რ. კოლდეკეის ხელმძღვანელობით, დაიწყო მისი სისტემატური შესწავლა. ექსპედიციის მუშაობა 1917 წლამდე გაგრძელდა. რ. კოლდეკეიმ აღმოაჩინა ნაბუქოდონოსორის დროინდელი ბაბილონი.

დიდი ისტორიკოსისა და მოგზაურის ჰეროდოტეს სიტყვებით, ბაბილონი მისთვის ცნობილ ქალაქთა შორის ყველაზე დიდი და ლამაზი ქალაქი იყო. „ისტორიის მამის“ შთაბეჭდილებებს ამაგრებს ბიბლიის უაღრესად ზუსტი და მაღალმხატვრული დახასიათება. ძველი ავტორების დახატული ბაბილონი ფანტაზიის ნაყოფი რომ არ იყო, სინრულით დაადასტურა არქეოლოგიამ.

ბაბილონი, როგორც ქალაქი საუკუნეთა განმავლობაში გამქრალი იყო, მაგრამ მისი ზღაპრული ნაგებობანი ადამიანთა ხსოვნიდან არ ამოშლილა. „ბაბილონის გოდოლი“, სემირამიდას „დაკიდული ბაღები“, დავიწყებას არასდროს არ მისცემია.

ბაბილონის ხუროთმოძღვრების ოქროს ხანა ნაბუქოდონოსორ II ეპოქა იყო. ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი მის დროს აიგო ან სერიოზული რესტავრაცია განიცადა.

ჰეროდოტემ, საგრძნობლად შეცვლილ, მაგრამ მაინც ნაბუქოდონოსორის ბაბილონში იმოგზაურა[1]. ამიტომ მის ცნობებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჰეროდოტე ბაბილონის შესახებ საუბარს მისი კედლით იწყებს[2]. ისტორიკოსის აღწერა და არქეოლოგიური გათხრების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა.

ბაბილონის გალავანი აღმართული იყო ნაბუქოდონოსორის გამეფებამდე, ძირითადად ნაბოპალასარის დროს. მის აგებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ შესრულებული ასურეთის მპყრობელებსაც, რომლებიც თავიანთ თავს ბაბილონის მეფეებად თვლიდნენ. ნაბუქოდონოსორმა რამდენიმე ადგილას განაახლა მტერისა თუ სტიქიისაგან დაზიანებული სიმაგრე.

ბაბილონის მეფეები მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების მშენებლობისას სპეციალურ წერილობით დოკუმენტებს ადგენენ. ცილინდრის ფორმის თიხის სიგელებმა შემოგვინახეს მეფეთა

---

1. ჰერიოდოტეს მოძღვენი ავტორებისა

სახელები და მათ მიერ გაწეული ღვაწლის აღნუსხვა. ნაბოპალასარის ერთი წარწერა მოგვითხრობს: „მე, ნაბოპალასარმა, ბაბილონის მეფემ, ნაბუსა და მარდუკის რჩეულმა, აღვადგინე თავის ადგილზე ბაბილონის დიდი კედელი იმგურ-ბელი, რომელიც ჩემამდე დაძველდა და დაიშალა. მე ავაშენე იგი თავიდან, არმიისა და ჩემი ქვეყნის მთელი ძალების დახმარებით. ჩემი ნებით შემოიზღუდა ბაბილონი ოთხივე მხრიდან".

ბაბილონი განსაკუთრებულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ქალაქის კედლები გადაულახავ დაბრკოლებად ითვლებოდა. მისი დაძლევა, თუ კარიბჭეს შიგნიდან არ გააღებდნენ, არცერთ მტერს არ შეეძლო. ბაბილონის ისტორიაში ქალაქის შიგნიდან გატეხის მრავალი ფაქტია ცნობილი.

ბაბილონს რამდენიმე გალავანი ერტყა. ჯერ იყო განიერი არხი. მის შემდეგ იწყებოდა გარეთა კედელი, ნიმიტი-ბელი (ღმერთ ბელის სიმაგრე). კედლის განი 3,70 მეტრი იყო. ნიმიტი-ბელის ყოველ ოც მეტრში აღმართული ჰქონდა კოშკი. ამ კედლის შიგნით იყო მეორე კედელი, იმგერ-ბელი (ღმერთ ბელიმ ინება). იგი გარეთა კედელს განით ორჯერ აღემატებოდა (ჰეროდოტეს ცნობა დადასტურდა), ოღონდ დიდი კოშკების ნაცვლად, ჰქონდა მრავალი მცირე გოდოლი. ამის გარდა, ძველ ქალაქს (ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაშენებულს), აღნიშნულ ორ მძლავრ კედელთა შორის ერტყა კიდევ ერთი გალავანი.

ბაბილონის კედელს კვადრატის ფორმა ჰქონდა. მისი საერთო სიგრძე იყო 18 კმ. ქალაქი გარე სამყაროს 8 ჭიშკრით უკავშირდებოდა. ჭიშკრების განი იყო 8 მეტრი. ჭიშკართა შორის ყველაზე მნიშვნელოვანად ითვლებოდა ქალაქის ჩრდილო ნაწილში არსებული იშტარის ჭიშკარი, რომლითაც შედიოდა საზეიმო პროცესია ესაგილაში.

ბაბილონის კედლის არქეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით კ. კერამი წერს, „კოლდეკეიმ გათხარა ალიზით ნაშენები შვიდი მეტრის სისქის კედელი. მისგან დაახლოებით თორმეტ მეტრზე მეორე კედელი იყო, უკვე გამომწვარი აგურისა, შვიდი მეტრისა და ოთხმოცი სანტიმეტრი სისქისა. მის იქით მესამე კედელი იყო, რომელიც, როგორც ჩანს, გარე ერტყა თხრილს. ამ თხრილს საშიშროების შემთხვევაში წყლით

ავსებდნენ. ეს კედელიც გამომწვარი აგურისა იყო და სამი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი სისქე ჰქონდა.

კედლებს შორის სივრცე, ეტყობა, მიწით იყო ამოვსებული, ალბათ, გარეთა კედლის პირამდე. აქ, დიახაც, რომ თავისუფლად ისეირნებდნენ ოთხით შებმული ეტლები. ყოველი ორმოცდაათი მეტრის შემდეგ სადარაჯო კოშკები იდგა. კოლდეეიმ დაადგინა, რომ შიდა კედელზე 360 კოშკი იყო, გარე კედელზე კი კტესიასი 250-ს ასახელებდა. როგორც ჩანს ეს რიცხვი სიმართლეს შეეფერებოდა. ამ კედლის აღმოჩენით კოლდეეიმ გათხარა მსოფლიოში ყველაზე დიდი ქალაქის ზღუდე, რომელიც მოწმობდა, რომ ბაბილონი უდიდესი ქალაქი იყო მთელს აღმოსავლეთში, თვით ნინეიის ჩათვლითაც. ხოლო თუ ჩვენ გავიზიარებთ შუა საუკუნეებში გავრცელებულ შეხედულებას, რომ „ქალაქი არის კედლით შემოზღუდული დასახლება", მაშინ ბაბილონი ყოფილა ყველაზე უფრო დიდი ქალაქი, რომელიც ოდესმე არსებულა".

ბაბილონის მთავარ საკულტო ნაგებობას ღმერთ მარდუკის ტაძარი – ესაგილა წარმოადგენდა. იგი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა და ყველაზე თვალსაჩინო ადგილად ითვლებოდა.

ჰეროდოტეს დროს ესაგილას შენარჩუნებული ჰქონდა ძველი დიდება. ისტორიკოსი გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას რაც განიცადა ტაძრის გაცნობისას. მისი სიტყვებით, ტაძრის შიგნით არის მჯდომარე ზევსის ოქროს ქანდაკება. მას უდგას ოქროს მაგიდა, აგრეთვე სკამი და ტახტი. ჰეროდოტე წერს, ამ წმინდა ადგილებში ყოფილა 12 წყრთა სიმაღლის ოქროს ქანდაკება, და აგრძელებს, „მე ის არ მინახავს, მაგრამ რაც უთქვამთ ქალდეებს, იმას ვამბობ. ქსერქსემ კი დარიოსის ძემ, წაიღო და ქურუმი მოკლა, რომელიც მას უშლიდა ქანდაკების ხელის ხლებას". ჰეროდოტეს მოსაუბრენი, უშუალოდ ტრაგედიის მონაწილენი იქნებოდნენ.

მარდუკის ტაძარი სხვა ტაძრებისაგან განსხვავდებოდა, როგორც სიდიდით, ისე მოწყობილობით.

ესაგილას საკუთარი გალავანი ჰქონდა. მას ევალებოდა მთავარი რელიგიური ცენტრის უცხო პირთაგან დაცვა. ბაბილონის მოქალაქეებს ტაძარში შესვლა შეეძლოთ განსაზღვრული რიტუალების შესასრულებლად. იგი ყოველთვის მისაწვდომი არ იყო. მაგრამ

ყველა კვარტალში არსებობდა უამრავი მცირე ზომის ტაძარი, რომ ქალაქის მრავალრიცხოვან მოსახლეობას ნებისმიერ დროს შესძლებოდა თავისუფლად ლოცვა.

ბაბილონის ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობას ზიკურატი – ე-ტემენ-ანკი წარმოადგენდა. ე-ტემენ-ანკი – „ცისა და მიწის ქვაკუთხედი" – ცისა და მიწის შემაერთებელი, არის საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიის „ბაბილონის გოდოლი".

ე-ტემენ-ანკი ხამურაბის დროს ააგეს, მაგრამ ბაბილონური სამშენებლო მასალის არასრულყოფილების გამო ირღვეოდა და იშლებოდა. რამდენჯერმე მოხდა მისი რესტავრაცია, ზოგჯერ კი თავიდან აშენება.

ასურეთის მეფე სინახერიბმა ბაბილონთან ერთად დაანგრია ე-ტემენ-ანკიც, რომელიც მისმა შვილმა აღადგინა.

ახალბაბილონური დინასტიის დასაწყისში ე-ტემენ-ანკი იმდენად დაზიანებული იყო, რომ თითქმის თავიდან ასაგები გახდა. ნაბოპალასარი წერს: „მარდუკმა მაბრძანა მე ე-ტემენ-ანკის აშენება, რომელიც ჩემამდე დასუსტებული და დაცემამდე იყო მისული. მიბრძანა, მისი ფუნდამენტი ჩამედგა ქვესკნელის მკერდში, ხოლო მისი წვერი ამეყვანა ცაში". ნაბოპალასარის დაწყებული საქმე გააგრძელა ნაბუქოდონოსორმა. მისი წარწერა გვაუწყებს: „მე ხელი მოვკიდე ე-ტემენ-ანკის მშენებლობის დასრულებას ისე, რომ მის წვერს შეძლებოდა ზეცასთან გაჯიბრება".

„ბაბილონის გოდოლის" ვრცელი აღწერა დაგვიტოვა ჰეროდოტემ. იგი მოგვითხრობს: ბაბილონის ერთ ნაწილში არის მეფის სასახლე, ხოლო „მეორე ნაწილში ზეეს-ბელის ტაძარი სპილენძის კარიბჭით, რომელიც მოღწეულია ჩვენს დრომდე. სატაძრო წმინდა ადგილი ოთხკუთხედია, თითოეული მისი გვერდის სიგრძეა ორი სტადიონი. სატაძრო წმინდა ადგილის შუაში აღმართულია უზარმაზარი გოდოლი, სიმაღლითა და სიგანით ერთი სტადიონი. ამ გოდოლზე დგას მეორე, ხოლო მასზე კიდევ გოდოლი, საერთოდ რვა კოშკი ერთმანეთზე. გარეთ კიბე მიემართება ზევით, ყველა ამ გოდოლის გარშემო. კიბის შუა ადგილას მოწყობილია სკამები დასასვენებლად. უკანასკნელ გოდოლზე აღმართულია დიდი ტაძარი. ტაძარში დგას მდიდრულად მორთული სარეცელი და მის გვერდით

სუფრა. ღვთაების არავითარი გამოსახულება იქ არ არის. არც ერთი ადამიანი აქ ღამეს არ ათევს, ერთი ქალის გარდა, რომელსაც ქალდეველების, ამ ღმერთის ქურუმების სიტყვებით, ამოირჩევს ადგილობრივ ქალთაგან... ეს ქურუმები ამტკიცებენ (თუმცა მე არ მჯერა), რომ თავად ღმერთი ხანდისხან ეწვევა ტაძარს და ღამეს ატარებს ამ სარეცელზე".

„ბაბილონის გოდოლი" გიგანტურ, კვადრატული ფორმის შენობას წარმოადგენდა. ჰეროდოტეს აღწერით, იგი რვა საფეხურისაგან შედგებოდა. სინამდვილეში ჰქონდა შვიდი საფეხური. როგორც ჩანს, ჰეროდოტემ, ბაბილონელი ქურუმების თხრობის თანახმად, მერვე საფეხურად მიათვალა ფუნდამენტი.

პირველი სართულის სიგრძე და სიგანე იყო 91,5 მეტრი. მასზე აღმართული იყო ხუთი სართული. სიმაღლესთან ერთად კომპლექსი ვიწროვდებოდა. მეშვიდე, უკანასკნელი სართული წარმოადგენდა ტაძარს. ტაძრის აღწერილობა დაცულია ერთ-ერთ ფირფიტაზე, რომლის თანახმადაც მისი სიგრძე იყო 24 მეტრი, განი 21 მეტრი, ხოლო სიმაღლე 15 მეტრი[1]. ეს არის ჰეროდოტეს დახატული მარდუკის ტაძარი. ნაბუქოდონოსორის წარწერა გვაუწყებს, რომ ტაძარი შემკული იყო „ცისფრად მომინანქრებული აგურით".

„ბაბილონის გოდოლის" პოპულარობა აიხსნებოდა მისი სიმაღლით (90 მ.) და გარეგნული გაფორმებით. აღწერებისა და სხვა ზიკურატების ნაშთების გათვალისწინებით, ე-ტემენ-ანკის სართულები სხვადასხვა ფერად გამოიყურებოდა, რაც დასრულებულ ნაგებობას განსაკუთრებულ ბრწყინვალებას აძლევდა. გოდოლზე ადიოდა სამი კიბე, ერთი ცენტრალური და ორი გვერდითი.

ბიბლიაში „ბაბილონის გოდოლი" ფიგურირებს, როგორც დაუსრულებელი ნაგებობა. ძველ აღთქმაში ფიქსირებული ფაქტი გოდოლის იმ გარეგნულ მდგომარეობას ასახავს, როდესაც იგი ნანგრევებს წარმოადგენდა. თორემ ბაბილონის ტყეებაში

---

1. ე-ტემენ-ანკის სართულები ასეთი თანმიმდევრობით იყო განლაგებული: პირველი სართული 91, 5X91, 5, მეტრი, სიმაღლე 33 მეტრი. მეორე სართული 78X78 მეტრი, სიმაღლე 18 მეტრი. მესამე სართული 60X60 მეტრი, სიმაღლე 6 მეტრი. მეოთხე სართული 51X51 მეტრი, სიმაღლე 6 მეტრი. მეხუთე სართული 42X42 მეტრი, სიმაღლე 6 მეტრი. მეექვსე სართული 33X33 მეტრი, სიმაღლე 6 მეტრი. მეშვიდე სართული, მარდუკის ტაძარი 24X21 მეტრი, სიმაღლე 15 მეტრი.

მყოფი ებრაელები ე-ტემენ-ანკის დასრულების მოწმენიც იყვნენ და მონაწილენიც. ბიბლიაში გადმოცემულია მისი მშენებლობის პროცესი. ტაძრის უჩვეულო სიმაღლით, ღმერთს საფრთხე დაემუქრა, რომ ადამიანები მიწვდებოდნენ უხილავს. ბაბილონელთა მედიდურობის შესაჩერებლად ღმერთმა მშენებლებს ენა აურია. ნანგრევებად ქცეული გოდოლი, ბიბლიის ავტორებმა, ბაბილონისადმი სიძულვილის გამო, ღვთაებრივ ძალას დაუკავშირეს, როგორც მშენებელთა ქედმაღლობის სასჯელი. ებრაელთა რწმენით, ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი დაანგრია, მაგრამ მისი ძალა არასაკმარისი აღმოჩნდა მიწისა და ზეცის შესაერთებლად. ღვთის ნებით, გოდოლის მშენებლობა „ენების აღრევით" შეწყდა. მაგრამ ჰეროდოტეს „ისტორია" და უამრავი თიხის ფირფიტა ღაღადებს, რომ ნაბუქოდონოსორის დროინდელ ე-ტემენ-ანკი წარმოადგენდა დასრულებულ ნაგებობას.

ე-ტემენ-ანკის სამშენებლო მასალა მტკიცე არ იყო და მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვდა. შენობა აგებული იყო მზეზე გამომშრალი აგურით. ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, გარეთა მხარის მოსაპირკეთებლად გამოიყენეს გამომწვარი აგური. მაგრამ საშენ მასალაში შეტანილი ცვლილებები ოდნავ თუ გაუხანგრძლივებდა სიცოცხლეს. გიგანტი მაინც თიხის ფეხებზე იდგა და ვერ შეედრებოდა ყველაზე ცუდად და ნაჩქარევად აგებულ პირამიდას.

. ნაბუქოდონოსორის გარდაცვალების შემდეგ ბაბილონი სპარსეთს იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. აქემენიდებს ე-ტემენ-ანკის აღდგენა-გამაგრებაზე არ უზრუნიათ. ჰეროდოტეს დროს იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის გარეგნობას. მაგრამ ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელის ბაბილონში შესვლისას ე-ტემენ-ანკი უკვე ნანგრევებად იყო ქცეული.

ე-ტემენ-ანკი, ეგვიპტის პირამიდების მსგავსად ლოდებისაგან რომ ყოფილიყო აგებული, დრო ვერაფერს დააკლებდა. მაგრამ ქვა ბაბილონში საერთოდ არ იყო. ამიტომაც, ძველი სამყაროს ერთ-ერთი საოცარი ხუროთმოძღვრული ძეგლის ფიზიკური სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა.

ბაბილონის თვალსაჩინოებათა შორის მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ მეფის სასახლეს. შუამდინარეთის მეფეთა სასახლეები

(აშურბანიპალის ნინევიაში, სარგონ II ხორსაბადში, ნაბუქოდონოსორის ბაბილონში) გარშემორტყმული იყვნენ მტკიცე გალავნებით და ქალაქში ქალაქს წარმოადგენდნენ. ძლიერ მპყრობელებს, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების მუდმივი შიში ჰქონდათ. ძველ აღმოსავლეთში საკმაოდ ხშირი იყო „მეფეთა მეფეზე" მახვილის აღმართვის შემთხვევები.

სასახლე-სიმაგრე ნაბუქოდონოსორმა მემკვიდრეობით მიიღო. ახალმა მფლობელმა იგი გააფართოვა და განაახლა.

სასახლეში გამოირჩეოდა სატახტო დარბაზის მორთულობა. 55 მეტრი სიგრძის დარბაზი მოპირკეთებული იყო ორნამენტებიანი აგურებით. მუქ-ლურჯ ფონზე გამოსახული ჰქონდა მოხდენილი კოლონები. კოლონათა კაპიტელები ერთმანეთს უერთდებოდნენ თავისუფლად ჩამოკიდებული გირლიანდებით. კოლონებს ზემოთ გაშლილ ფრიზს ამშვენებდა სხვადასხვა მცენარეულობა. ორნამენტი გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ აღეძრა სიმსუბუქის შთაბეჭდილება და შეექმნა ილუზია, თითქოს უზარმაზარი დარბაზის მთელი ფასადი აყვავებული ხეების გადახლართულ ზღუდეს წარმოადგენდა.ყვავილების ფერთა მოხერხებული შერჩევა აცოცხლებდა ფასადის ერთფეროვან სიბრტყეს:

სატახტო-საზეიმო დარბაზის შემდეგ იწყებოდა მეფისა და მისი ოჯახის წევრთა მოსასვენებელი ოთახები. როგორც ფიქრობენ, ამავე სასახლეში იყო განლაგებული ქვეყნის მართვა-გამგეობის აპარატი და კანცელარია.

ნაბუქოდონოსორის მეორე სასახლე მდებარეობდა ორმაგი გალავნის გარეთ, ევფრატის ნაპირს. ეს იყო მეფის მთავარი ციხე-დარბაზი. უზარმაზარ სიმდიდრესთან ერთად, სასახლე ასრულებდა მუზეუმის როლსაც. მუზეუმში წარმოდგენილი იყო, როგორც ბაბილონური, ისე უცხოური ხელოვნების ნიმუშები.

ნაბუქოდონოსორის სასახლეთა მშენებლები აგურთა წყობის გასამაგრებლად იყენებდნენ ასფალტს. მათ გამოყენებული აქვთ აგრეთვე კირის ხსნარიც.

მაღალი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა იშტარის ჭიშკარი. ქალაქის რვა შესასვლელთა შორის უმთავრესი. იშტარის ჭიშკრით იწყებოდა საპროცესიო გზა, რომელიც მარდუკის ტაძრისაკენ მიემართებოდა. საპროცესიო გზა მოფენილი იყო გამომწვარი აგურით, აგურებს ენაცვლებოდა თეთრი კირქვის

ფილები. გზის ორივე მხარეს გაჭიმული იყო სხვადასხვა ფერის აგურით ნაშენები ფრიზი. კედლებზე რელიეფურად გამოსახული იყო კბილებდაღრჭენილი ლომების მსვლელობა. ფიგურები (სულ იყო ასოცი გამოსახულება. სამოცი ერთ მხარეს, სამოცი მეორე მხარეს) ერთი ფორმისა იყო, განსხვავდებოდნენ ფერით. ყვითელ ფაფარიან თეთრ ლომებს ენაცვლებოდა, მოწითალო-მოყავისფრო ფაფარიანი ფიგურები. კედლის სიმაღლე შვიდი მეტრი იყო. ქუჩაზე დაფენილ და ასფალტით დამაგრებულ ფილებს ჰქონდათ წარწერა: „მე ვარ ნაბუქოდონოსორი, ბაბილონის მეფე, ძე ნაბოპალასარის, ბაბილონის მეფისა. მე დავაგე ბაბილონის ქუჩა დიდი უფლის მარდუკის მსვლელობისათვის. ქვა მოვიტანე შადუდან. უფალო მარდუკ, გვიწყალობე საუკუნო სიცოცხლე".

იშტარის ჭიშკარი საპროცესიო გზის მსგავსად მოპირკეთებული იყო მოჭიქული აგურით. ჭიშკრის სიმაღლე 12 მეტრს აღწევდა. მას ორი უზარმაზარი კარი ჰქონდა. იცავდა წინ წამოწეული ორი დიდი კოშკი. ჭიშკარი წმინდა ცხოველების გამოსახულებებით იყო მორთული. რ. კოლდეევის მიხედვით, ჭიშკარზე იყო 575 გამოსახულება. თუ საპროცესიო გზა ლომების ხეივანს წარმოადგენდა, იშტარის ჭიშკარს ამინდის ღმერთის ადადის წმინდა ხარები ამკობდნენ. გამოსახულ ფიგურათა უმრავლესობას მნახველში შიშის გრძნობა უნდა აღეძრა. ამ მიზანს ემსახურებოდა ღმერთ მარდუკის დრაკონები: დრაკონი-სირუში – ფანტასტიკური ურჩხული, გველი-გრიფონი. გრიფონი იყო შიშის მომგვრელი უცნაური ცხოველი გველის თავით. უკანა კიდურებად ჰქონდა არწივის კლანჭები, წინა კიდურებად ლომის თათები. დრაკონებს შორის განსხვავება ფერებშია. წითელ-ყვითელ ფიგურებს, თეთრ-ყვითელი ეფარდება. რელიეფურ გამოსახულებებზე ცისფერისა და ლურჯი ფერის შერჩევას თავისი დანიშნულება ჰქონდა. მას ეკისრებოდა მაგიური ფუნქციები ბოროტი თვალისაგან დასაცავად.

ბაბილონის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა საახალწლო დღესასწაულის საზეიმო ვითარებაში ჩატარებას. ომისა ან მეფის არყოფნის გამო, თუ დღესასწაული ვერ ჩატარდებოდა, მიიჩნეოდა, როგორც საყოველთაო უბედურება.

სადღესასწაულო ზეიმის ცენტრს წარმოადგენდა ესაგილა

მარდუკის ტაძარი და ე-ტემენ-ანკი. ცერემონიალის დროს მარდუკის ქანდაკებას განსაკუთრებული ფუფუნებით რთავდნენ.

საახალწლო დღესასწაულებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეფო ხელისუფლების საკითხი. საზეიმო ცერემონიალის კულმინაციურ მომენტში მეფე შედიოდა ტაძარში და მარდუკის ქანდაკების წინ დაალაგებდა თავის ხელისუფლების ნიშნებს. შემდეგ ღმერთს აბარებდა ანგარიშს გასული წლის საქმიანობის შესახებ და ვალდებული იყო ელიარებინა თავისი შეცდომები. აღსარების დროს იგი ცდილობდა ყველა შეცდომა უბედური შემთხვევისათვის დაებრალებინა. ამ დროს ხდებოდა საკმაოდ უჩვეულო მოვლენა. უმაღლესი ქურუმი მიუახლოვდებოდა მეფეს და დაუწყებდა სახეში ცემას. მოაგონებდა, რომ ეთქვა სიმართლე და მკაცრად დაეცვა რელიგიური წესები. მეფეს უნდა ემართლებინა თავი. ცერემონიალის ჩატარების შემდეგ მეფეს ეძლეოდა უფლება კვლავ აესხა თავისი ხელისუფლების ნიშნები. საღამოს მეფე და უმაღლესი ქურუმი, ერთად თეთრ ხარს შესწირავდნენ მსხვერპლად.

საახალწლო დღესასწაული კულმინაციას აღწევდა მეათე დღეს, როდესაც მეფე შეეხებოდა მარდუკის ხელს და თხოვდა მას აღდგენას. ამ აქტის ჩატარების შემდეგ მეფეს უბრუნდებოდა ხელისუფლება.

ახალი წლის უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო მარდუკისა და მისი მეუღლის სარფანიტის საღმრთო ქორწინება. ქორწინების სცენას განასახიერებდნენ მეფე და უმაღლესი ქურუმი ქალი. შეუღლებას უნდა უზრუნველყო მომავალი წელი ნაყოფიერებითა და სიმდიდრით.

ზეიმის დროს ბორსიპიდან მოჰქონდათ ღმერთ ნაბუს ქანდაკება, ხოლო ბაბილონიდან მარდუკისა და სხვა ღვთაებათა გამოსახულებებს დაატარებდნენ მესოპოტამიის ქალაქებში. როდესაც ბაბილონის ღმერთები დაბრუნდებოდნენ უკან, ნაბუ წაეიდოდა ბორსიპში, ახალი წლის დღესასწაულიც დამთავრებულად ცხადდებოდა.

ბაბილონი დიდი ქალაქი იყო, მაგრამ მის ქუჩებში თავისუფლად შეიძლებოდა ორიენტირება. სწორი დაგეგმარების წყალობით, უზარმაზარი ქალაქი ლაბირინთს არ წარმოადგენდა. უცხოელებს, რომ გაადვილებოდათ გზის ვაგნება, შედგენილი ჰქონდათ ლურსმნული „მეგზურები“, თავისებური გზამკვლევები.

გზამკვლევებში მითითებული იყო ტაძრების, საკურთხევლების, ქუჩებისა და ჭიშკრების ადგილმდებარეობა. ბაბილონის გზამკვლევში აღნუსხულია 53 ტაძარი, ასეულობით სამლოცველო და საკურთხეველი. როგორც ჩანს, სპეციალური სამსახური ფირფიტებს რეგულარულად „გამოსცემდა". ბაბილონის ყველაზე ძველი მეგზური აღმოჩნდა ნინევიაში, აშურბანიპალის ბიბლიოთეკაში, გვიანდელი ეკუთვნის ელინიზმის ეპოქას.

ბაბილონი თავდაპირველად ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო გაშენებული. დროთა განმავლობაში საქალაქო ცხოვრება მდინარის მეორე ნაპირზედაც გადავიდა. ახალ ქალაქსაც მტკიცე გალავანი შემოავლეს, რომელიც გარე სამყაროს სამი ჭიშკრით უკავშირდებოდა. ბაბილონური წარწერები გვაუწყებენ, რომ ნაბოპალასარმა ძველი და ახალი ქალაქი ერთმანეთთან ქვის ხიდით შეაერთა. არქეოლოგიამ აღმოაჩინა ხიდის ნაშთები. ხიდი ეყრდნობოდა გემის ფორმის აგურის რვა ბოძს. აგურთან ერთად გამოყენებული იყო ქვაც. ხიდის სიგრძე შეადგენდა 123 მეტრს. იგი იყო ძირითადი არტერია, რომელიც აკავშირებდა ძველსა და ახალ ქალაქს.

ბაბილონში აღმოჩენილი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ იქ იმდროინდელი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი ცხოვრობდა. საილუსტრაციოდ საკმარისია ასეთი ფაქტი, ერთი ფირფიტის თანახმად, მოხდა სპარსელისა და ბაბილონელის ქორწინების ფიქსირება. მოწმეებად იყვნენ: ბაბილონელები, სპარსელები, რამდენიმე ებრაელი, ერთი ეგვიპტელი, ერთი ელამელი, და კიდევ ერთი უცხოელი. უბრალო ადამიანების ქორწილში ამდენი ეროვნების მონაწილეობა, აშკარად მიუთითებს, რომ ბაბილონი იყო მრავალეროვანი ქალაქი.

ბაბილონის ხუროთმოძღვრების მრავალ ძეგლთა შორის ძველმა სამყარომ განსაკუთრებული დიდებით სემირამიდას ბაღები შემოსა. ბაღები გაშენებული იყო ნაბუქოდონოსორ II ბრძანებით ხელოვნურ ტერასებზე. მომდევნო ეპოქის ფანტაზიამ, ზღაპრული ბაღები საოცრებათა შვიდეულში შეიტანა და რეალურად არსებული ძეგლი ლეგენდებით შემოსა.

ნაბუქოდონოსორის დროინდელი ბაბილონი არქიტექტურული ანსამბლებით გადატვირთულიც კი იყო, მაგრამ ხელოვნურ

ტერასებზე გაშენებული ბაღი გამორჩეულ შთაბეჭდილებას ახდენდა ერთფეროვანი მესოპოტამიის ფონზე.

ნაბუქოდონოსორი აგრძელებდა მებაღეობის მდიდარ ტრადიციას, რომელიც არსებობდა მესოპოტამიაში შუმერული ეპოქიდან მოკიდებული. მებაღეობა გვირგვინოსანთა საყვარელ საქმედ ითვლებოდა. ვინც მას მისდევდა, განათლებული და მრავლის მცოდნე კაცის რეპუტაციით სარგებლობდა. შუმერულ და აკადურ ფირფიტებში მებაღეები სიყვარულის ქალღმერთ ინანას (იშტარის) რჩეულებად იხსენიებიან. ლეგენდარული მეფეები სარგონ აკადელი და ენლილ-ბანი ახალგაზრდობაში დახელოვნებული მებაღეები იყვნენ. სამეფო ტახტზე მათი აღზევებაც იშტარის დახმარებით მოხდა.

განსაკუთრებულ აყვავებას მებაღეობამ ასურეთში მიაღწია. ასურეთის მეფეები გარდა ომებისა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ მებაღეობას თავიანთი ზღაპრული სასახლეების გალამაზების მიზნით. ამის შესახებ მოგვითხრობენ თიხის ფირფიტები, სასახლეთა კედლების რელიეფები. ასურეთის მეფეებს გამოჰყავდათ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მცენარეები. მთავარ ყურადღებას აქცევდნენ ეგზოტიკური მცენარეების გამოყვანას. მოსარწყავად ტერასებზე მოწყობილი ჰქონდათ სპეციალური აკვედუკები.

ბაბილონმა განაგრძო ასურული ტრადიციები. საერთო ფონზე სემირამიდას ბაღები არც ისე ორიგინალური ჩანს. მისი დიდება ალბათ ნაგებობის მაღალმა არქიტექტურულმა დონემ განსაზღვრა.

ანტიკური ავტორების რწმუნებით ბაღების გაშენების იდეა ნაბუქოდონოსორს მიდიის მეფის ასულმა შთააგონა. ვერსია საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ შეიძლება ახალი ვარიანტის დამატებაც. კერძოდ, ნაბუქოდონოსორის ბაბილონი იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილის პოლიტიკური ცენტრი იყო. უჩვეულო ბაღების გაშენებით მეფეს სურდა, შეექმნა დაპყრობილი ქვეყნების მინიატურული სურათი. ამ მიზნით ჩაუყარა საფუძველი დაკიდულ ბაღებს და გააშენა ბაბილონისათვის უცნობი ფლორის მიკროსამყარო, რომელიც მისი ძლიერების სიმბოლო უნდა გამხდარიყო.

ანტიკურმა ტრადიციამ კიდული ბაღების იდეას პოეტური ახსნა მისცა და ყურადღება გაამახვილა მიდიელი დედოფლისადმი

მეფის ამაღლებულ სიყვარულზე. გადმოცემა მიუთითებს, რომ მთაგორიან მიდიაში აღზრდილ ამიტიდას, ბაბილონში, ერთ სიბრტყეზე გაშლილ ქალაქში, მოსწყინდა. ნოსტალგიით სევდამორეულ დედოფალს დარდი რომ გაქარვებოდა, ყოველისშემძლე გვირგვინოსანმა მეუღლემ შეუქმნა მთაგორიანი მიდიის იმიტაცია.

ბაბილონელმა ხუროთმოძღვარმა მეფის დავალება ხელოვნების უმაღლეს რანგში აიყვანა და ააგო საოცრებად მიჩნეული სემირამიდას „დაკიდული ბაღები".

რ. კოლდეეიმ დაამტკიცა, რომ ბაბილონის „დაკიდული ბაღები" შექმნილია ნაბუქოდონოსორის ეპოქაში.

მიდიის მეფის კაიკსარის ასულს, ნაბუქოდონოსორის მეუღლეს, სახელად ერქვა ამიტიდა. წყაროები ბაბილონის მეფის მრავალრიცხოვან მეუღლეთა შორის სემირამიდას სახელის მატარებელ დედოფალს არ იცნობენ. ჰეროდოტე ერთადერთი ისტორიკოსია, რომელიც იცნობს, როგორც სემირამიდას, ისე ამიტიდას. მაგრამ „ისტორიის მამა" დაკიდულ ბაღებს არ ეხება. საინტერესოა ისიც, რომ ნაბუქოდონოსორის მეუღლეთა შორისაც იგი დედოფალ სემირამიდას არ ახსენებს.

ბერძენი ავტორების სემირამიდად მიჩნეულია ასურული წყაროების შამურამატი. შამურამატი მეფე შამში-ადად V (823-811) მეუღლე იყო. ისტორიული ფაქტია, სალმანასარ III (858-824) ბაბილონი დაიპყრო. ვარაუდობენ, რომ სალმანასარის მხარდაჭერით ბაბილონში გამეფდა ასურეთის ორიენტაციის უფლისწული. ასურეთ-ბაბილონის ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, მოხდა დინასტიური ქორწინება. სალმანასარ III ვაჟი, ტახტის მემკვიდრე შამში-ადადი, დაქორწინდა ბაბილონის მეფის ასულზე შამურამატზე.

შამურამატმა (ჰეროდოტედან მოყოლებული, ბერძენი ავტორები, მას სემირამიდას უწოდებენ) გაამართლა ის იმედები, რომელსაც ბაბილონელები მასზე ამყარებდნენ. ბაბილონს საშუალება მიეცა გამუდმებული ომებით მიყენებული ჭრილობები მოეშუშებინა. მშობლიური ქალაქის წინაშე დამსახურება უნდა ასულდგმულებდეს ანტიკური მწერლების ცნობებს (სტრაბონი, პომპუეს ტრიგუსი), რომლებიც სემირამიდას ბაბილონის დამაარსებლად თვლიან.

შამურამატი, შამში-ადად V გარდაცვალების შემდეგ, ადად-ნერარის სრულასაკოვნებამდე ასურეთს განაგებდა.

ასურეთისათვის უჩვეულო მოვლენამ, სახელმწიფოს სათავეში ქალის ყოფნამ, თავისებური გავლენა მოახდინა ძველი ხალხების ფანტაზიაზე და რეალური პიროვნების საქმიანობას აშკარად ლეგენდარული ამბები მიაწერა. ერთი ასეთი ლეგენდა მოგვითხრობს: აზიაში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ მეფეები, რომლებსაც შთამომავლობისათვის არაფერი ღირსშესანიშნავი არ დაუტოვებიათ. ასე გაგრძელდა ასურეთის მეფე ნინოსამდე. ნინოსი სახელოვანი მეფე იყო. მან დაიმორჩილა ბაბილონი, მიდია, არანი, არაბეთი, მიაღწია ინდოეთამდე. მანვე დაარსა უბრწყინვალესი დედაქალაქი ნინევია.

ნინოსს ემსახურებოდა და მის ლაშქრობებში მონაწილეობდა სირიის მთავარი ოანისი. ოანისის ცოლი, სირიელი ქურუმის დერკეტოს ასული, სემირამიდა, მეომრის ტანსაცმელში გადაცმული თან დაჰყვებოდა ქმარს ლაშქრობებში. ერთი მიუდგომელი ციხე-სიმაგრის აღების დროს, მან პირველმა გადალახა გალავანი და განსაკუთრებული გმირობა ჩაიდინა.

ნინოსის არმიაში გაიგეს, რომ ოანისის მხლებელი, მამაცი და ლამაზი ჭაბუკი, მისი მეუღლე იყო. სემირამიდას სილამაზემ დაატყვევა ნინოსი და ცოლად შეირთო. სემირამიდას სილამაზით მოჯადოებულმა ნინოსმა იგი თავის მემკვიდრედ დატოვა. იმავე გადმოცემით, სემირამიდამ ააგო სამეფო ქალაქი ბაბილონი. ააგო ტაძრები, კოშკები, ქალაქს შემოავლო გალავანი, გასდო ხიდი ევფრატზე. გადმოცემა მასვე მიაწერს დაკიდებული ბაღების შექმნას.

სემირამიდა მეუღლეს საომარი მასშტაბებითაც აღემატებოდა. დაიპყრო ეთიოპია, ლიბია. ილაშქრა ინდოეთში, მაგრამ დამარცხდა. უკან დაბრუნებულმა გზაში გაიგო, რომ შვილმა შეთქმულება მოუწყო. სემირამიდა ნებაყოფლობით გადადგა, მტრედად გადაიქცა და მტრედების გუნდთან ერთად სასახლიდან გაფრინდა. ასურელები სემირამიდას თაყვანს სცემენ, როგორც ქალღმერთს, ხოლო მტრედი მათი ყველაზე საყვარელი ფრინველი გახდა.

გადმოცემას ერთმანეთში აქვს არეული IX საუკუნისა და VI საუკუნის მოვლენები. ლეგენდა სემირამიდას მიაწერს ბაბილონის დაარსებასაც და მის ღირსშესანიშნავ ძეგლთა უმეტესობის აგებასაც. სინამდვილეში ჩამოთვლილი ხუროთმოძღვრული ნიმუშები შესრულებულია ბაბილონის ქალდეურ პერიოდში.

ჰეროდოტე იცნობს სემირამიდას, როგორც ასირიელ დედოფალს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსი ასურელებსა და ბაბილონელებს არ განასხვავებს. იგი წერს, ნონევიის დანგრევის შემდეგ ასურელებს ჰქონდათ უფრო ცნობილი და ძლიერი ქალაქი ბაბილონი. ასურელი დედოფლებიდან იგი გამოჰყოფს ორ დედოფალს: სემირამიდას და ნიტოკრისს. ნიკოტრისი ცხოვრობდა ხუთი თაობით გვიან სემირამიდაზე. ნიტოკრისსაც იგი უფრო ბრძენ ქალად თვლის[1]. ჰეროდოტეს სიტყვებით, ნიტოკრისის ნებით გახდა ბაბილონი იმ დროისათვის ყველაზე ლამაზი ქალაქი.

ეგვიპტელი ნიტოკრისი ნაბუქოდონოსორის მეუღლე იყო. როგორც ჩანს, ჰეროდოტემ სემირამიდასა და ნიტოკრისის შესახებ არსებული გადმოცემები გააერთიანა რაც მომდევნო ეპოქამ კიდევ უფრო გააღრმავა და სრული ზღაპრული სამოსელით წარმოადგინა.

სემირამიდას შესახებ ლეგენდების ციკლს იმეორებს და აფართოებს მ. ხორენაცი. „სომხეთის ისტორიაში" სემირამიდა-შამურამატი შამირამის სახელით ფიგურირებს. როგორც ყველა ლეგენდა მ. ხორენაცის თხრობაც სრული ანაქრონიზმია, მაგრამ საინტერესოა, რომ ანტიკურ გადმოცემებს ამდიდრებს სომხური მასალებით. მ. ხორენაცის თანახმად, ასურეთის მეფე ნინოსს ემორჩილებოდა სომხეთის მეფე არმენი. არმენის გარდაცვალების შემდეგ, ნინოსმა ტახტი მის შვილს არას დაუმტკიცა. გარდაიცვალა ნინოსიც. გამეფდა მისი მეუღლე შამირამი. „ავხორც, გარყვნილ შამირამს მრავალი წლის წინათ სმენოდა არას სილამაზის შესახებ და განეზრახა, დაეკმაყოფილებინა გულისწადილი, მაგრამ ამის გაკეთებას, სხვის დასანახად ვერ ბედავდა. ნინოსის გარდაცვალების შემდეგ შამირამის ბიწიერება სავსებით გამოაშკარავდა: მან ძღვენითა და საჩუქრებით

---

1. ნიტოკრისის სიბრძნის დამადასტურებლად პეროდოტეს ასეთი ფაქტი მოაქვს, „მან ბრძანა, აეგოთ აკლდამა კარიბჭეზე, ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას და ამოაკვეთინა წარწერა, რომელიც შემდეგს გვაუწყებს„თუ ვინმეს ბაბილონის მეფეთაგან ჩემს შემდეგ ფული დასჭირდება, გახსნას აკლდამა და აიღოს იმდენი რამდენიც მოესურვება. მაგრამ თუ არ დასჭირდება, ტყუილად ნუ გახსნის. მთლად უკეთესი იქნებოდა, თუ არ გახსნიდა." ეს აკლდამა ხელუხლებლად დარჩა მანამდე, ვიდრე ბაბილონის სამეფო არ გადაეცა დარიოსის ხელში. დარიოსს უცნაურად ეჩვენებოდა რატომ არ ხარგებლობდა კარიბჭით... გახსნა აკლდამა, მაგრამ ვერაფერი განძი ვერ იპოვა. იყო მხოლოდ გვამი და ასეთი წარწერა: „შენ რომ ხარბი არ ყოფილიყავი, მიცვალებულთა აკლდამებს არ დანგრევდი."

მოციქული გაუგზავნა არა მშვენიერს, ბევრს ეევდრებოდა და კვლავ აღუთქვამდა წყალობას, ოღონდ მისულიყო მასთან ნინევიაში, რათა ცოლად შეერთო და გამეფებულიყო ნინოსის მთელ საბრძანებელში, ანდა აღესრულებინა მისი სურვილი და დასაჩუქრებული მშვიდობიანად დაბრუნებულიყო თავის ადგილზე".

არა წინადადებას არ დათანხმდა. შამირამი განრისხდა. მან შეწყვიტა მოლაპარაკება, შეკრიბა ლაშქარი და სომხეთისაკენ დაიძრა. შამირამს არას მოკვლა ან განდევნა არ უნდოდა. მას სურდა მისი დამორჩილება, „რათა აესრულებინა თავისი წადილი, რამეთუ არას შესახებ მონასმენით აღძრული ვნება მისი დანახვისას გახელებად ექცა". ასურეთის არმია სომხეთში შევიდა. ბრძოლის დაწყების წინ შამირამმა თავის მხედართმთავრებს უბრძანა, როგორმე მოეხერხებინათ და არა არ მოეკლათ. დაიწყო ბრძოლა. სომხეთის არმია დამარცხდა, არა ბრძოლის ველზე დაიღუპა.

ხორენაცი აღწერს შამირამის სამშენებლო საქმიანობასაც. მან დააარსა ულამაზესი ქალაქი. ქალაქის ქუჩებისა და ნაგებობების დახასიათებისას უფრო ბაბილონის სურათი ჩანს.

ხორენაცის დახატული შამირამი სატანური პიროვნებაა. „როცა თავისმა შვილებმა მრავალგზის ამხილეს იგი საშინელი ავხორცობის, გარყვნილების გამო, მან დახოცა ისინი, გადარჩა მხოლოდ ყველაზე უმცროსი ნინუასი. შამირამმა მთელი თავისი სამფლობელო და განძი მეგობრებსა და საყვარლებს დაურიგა, შვილების დარდი კი სულაც არ ჰქონდა". მ. ხორენაცი ვრცლად ჩამოთვლის შამირამის ჩადენილ ბოროტ საქმეებს. თხრობის დასასრულს იგი აღნიშნავს, შამირამს აუჯანყდა უახლოესი მოგვი. გამართულ ბრძოლაში მოგვმა გაიმარჯვა. შამირამმა გაქცევით უშველა თავს. ლტოლვილ დედოფალზე გაილაშქრა საკუთარმა შვილმა ნინუასმა, მოკლა დედა და გამეფდა ასურეთში.

ლეგენდები ნინოსისა და სემირამიდა შამურამატის შესახებ ფართოდ რომ იყო გავრცელებული ანტიკურ მწერლობაში მრავლად ავტორთან დასტურდება (ჰეროდოტე, სტრაბონი, დიოდორე სიცილიელი, იოსებ ფლავიუსი). მ. ხორენაციც შამირამ-სემირამიდას დროსა და სივრცის გარეშე ხატავს.

სემირამიდას სახელის მატარებელი დედოფალი ნაბუქოდონოსორის დროინდელ ბაბილონში არ გვხვდება. სავარაუდოა, რომ ადრეულ საუკუნეებში მცხოვრები, პოპულარული დედოფალი შამურამატი, ბერძნულმა ტრადიციამ გააიგივა ზღაპრული ბაღების შექმნის მიზეზთან. ბერძნული ტრანსკრიპციის გათვალისწინებით შამურამატი გადაკიდა სემირამიდად.

„დაკიდულ ბაღებთან" დაკავშირებით, მოგვეპოვება სარწმუნო ცნობებიც, რომლის ავტორია ძვ. წ. III საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები ბაბილონელი ქურუმი ბეროსი. ბეროსის ინფორმაციით სარგებლობდნენ, სტრაბონი, დიოდორე სიცილიელი, იოსებ ფლავიუსი და სხვა ძველი მწერლები, რომლებმაც ბაღებს კონკრეტული ავტორისა და ადრესატის ვინაობა შეუნარჩუნეს.

იოსებ ფლავიუსს ბეროსის წიგნიდან ორი ფრაგმენტი აქვს დაცული. ბეროს-ფლავიუსის თანახმად, „თავის სასახლესთან ნაბუქოდონოსორმა ბრძანა აეგოთ ქვის სიმაღლეები, რომელთაც ექნებოდათ მთების ფორმა. მორთო იგი ყოველნაირი მცენარეულობით და მოაწყო დაკიდული ბაღები. დაკმაყოფილა თავისი მეუღლის, წარმოშობით მიდიელის სურვილი, რომელსაც სურდა ჰქონოდა ისეთი რამ, რასაც მიჩვეული იყო სამშობლოში". მეორე ფრაგმენტიც ანალოგიური შინაარსისაა: ნაბუქოდონოსორმა „სასახლესთან აღმართა ქვის სიმაღლეები, რომელთაც მისცა მთების ფორმა. შემდეგ შემორგო იგი სხვადასხვა მეცნარეულობით და ხელოვნურად შექმნა ეგრეთ წოდებული „დაკიდული ბაღები", იმიტომ რომ მის მეუღლეს, მიდიის ქვეყანაში აღზრდილს, უყვარდა მთაგორიანი ადგილები".

ბაბილონის საგარეო პოლიტიკის მასშტაბები მოითხოვდა, რომ მისი მეფე მეზობელ დინასტიებსაც დანათესავებოდა. ცნობილია, რომ მიდიელი ამიტიდას გარდა, მისი ერთი მეუღლე იყო ეგვიპტელი ნიტოკრისი. ნაბუქოდონოსორის სხვა მეუღლეთა წარმომავლობის შესახებ წყაროები ცნობებს არ გვაწვდიან. როგორც ჩანს, ნაბუქოდონოსორის მრავალრიცხოვან მეუღლეთა შორის ამიტიდას გამორჩეული ადგილი ეჭირა. მიდიელი ასულის სიყვარულმა შთააგონა ბაბილონის მრისხანე მეფეს ერთ-ერთი საოცრების შექმნის იდეა. ნაბუქოდონოსორი ყველა მეუღლის სურვილს ვერც დაკმაყოფილებდა. ბევრი

უჩინარი დედოფალი სურვილის გამოთქმის უფლებასაც მოკლებული იქნებოდა. ბაბილონის სასახლის პირველი დედოფალი, ამიტიდა, ისტორიაში რატომღაც სემირამიდას სახელით შევიდა.

ჰეროდოტემ ვრცლად აღწერა ბაბილონის ღირსშესანიშნაობანი, მაგრამ მომდევნო ავტორების მიერ საოცრებად შერაცხულ ბაღებს, დუმილით აუარა გვერდი. ჰეროდოტე ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ბაბილონის ყველაზე განსხვავებულ არქიტექტურულ ძეგლს.

უცნობია, ნაბუქოდონოსორის მომდევნო მეფეები რამდენად ზრუნავდნენ ტერასების დასაცავად. ტახტის მემკვიდრეთა ხშირი მონაცვლეობისა და უთანხმოების პირობებში ბაღის გასაახლებლად რომ ვერავინ მოიცლიდა, ესეც ცხადია. ბაბილონში აქემენიდების დამკვიდრებისას ბაღს, ალბათ თავდაპირველი სახე დაკარგული ექნებოდა. მეორეც, ხელოვნური ტერასები თუ ბორცვები მათ არ აინტერესებდათ, თავიანთ სამშობლოში მთების სიმრავლის გამო.

ჰეროდოტემ, ბაბილონში სპარსელთა ბატონობის დამყარებიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ იმოგზაურა. ნანგრევებად ქცეულ ტერასებს მისი ყურადღება არ მიუქცევია. სხვანაირად წარმოუდგენელია „ისტორიის მამის“ მახვილ თვალს, ბაბილონის აღწერაში „დაკიდული ბაღები“ გამორჩენოდა. ერთი მეტად საინტერესო კითხვაც შეიძლება დაისვას. ჰეროდოტემ ბაღები არ მოიხსენია და. იმავე დროს, მომდევნო პერიოდის მწერლობამ ძეგლი შეიტანა საოცრებათა შვიდეულში. ნუთუ მან ვერ შეძლო ხელოვნების ნიმუშის ღირსეული შეფასება? ჰეროდოტეს მიკერძოებას ვერ დაეწამებთ. იგი ინტერესდებოდა ყველაფრით, რასაც ხედავდა. მისი მოგზაურობის დროს ჩამოშლილი ტერასა ალბათ არავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა და ისტორიკოსმაც სხვათა შორის ჩაუარა. ჰეროდოტეს გვერდის ავლით, როგორ ავიდა „სემირამიდას ბაღები“ დიდების მწვერვალზე?

„დაკიდული ბაღების“ მსოფლიო შედეგრთა დონეზე ამაღლების ინიციატორად უნდა მივიჩნიოთ ბეროსი, რომლის ნაშრომმაც ბაბილონის სიძველეებზე ელინისტური ეპოქის სწავლულთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ისტორიკოსმა ბაღებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო, როგორც სიახლეს მთელ მესოპოტამიაში,

რაც ბერძნებისათვის მოგვიანებით, ბეროსის მეშვეობით, გახდა ცნობილი. ბეროსის წყალობით დაიმკვიდრა „დაკიდულმა ბაღებმა“ კულტურულ მსოფლიოში კუთვნილი ადგილი.

ბეროსი ბაბილონის ისტორიასა და სემირამიდას ბაღებზე თიხის ფირფიტების ქრონიკებზე დაყრდნობით მსჯელობდა. „შვიდეულის“ კანონიზაციის დროს ბაღები მხოლოდ ბაბილონელი ქურუმის გადმოცემით იყო ცნობილი.

ბაბილონის „დაკიდული ბაღები“ საოცრებებში მწიგნობრული გზით შევიდა.

ანტიკური აზროვნების სემირამიდა რეალურ ნიადაგს მოცილებულია. ზღაპრულია, მისი როგორც ამ ქვეყნად მოვლენა, ისე წასვლა. კ. კერამი შენიშნავს, „ცნობები ლეგენდარული სემირამიდას შესახებ მეტად არასანდოა და საკამათო, რადგანაც ისინი ძირითადად ქტესიასისაგან მომდინარეობენ, ის კი ცნობილია თავისი მდიდარი ფანტაზიით. მაგალითად, ბეჰ-ისტუნში დარიოსის კოლოსალური გამოსახულება, მისი სიტყვით, წარმოადგენს მცველებით გარშემორტყმულ სემირამიდას. დიოდორეს თანახმად, მშობლებისაგან მიტოვებული სემირამიდა მტრედებმა გამოკვებეს, შემდეგ ის ცოლად შეირთო ერთმა კარისკაცმა, რომელსაც მისი თავი მეფემ წაართვა და ისეთ სამოსს ატარებდა, რომ „ვერ გაარჩევდი, კაცი იყო, თუ ქალი“. მას შემდეგ, რაც სამეფო ტახტი თავის შვილს გადასცა, მტრედად გადაიქცა და სასახლიდან გაფრინდა პირდაპირ „უკვდავებაში“. კ. კერამის მოხმობილ დახასიათებაში ბერძენ მწერალთა სემირამიდა ლეგენდარული პიროვნებაა. მაგრამ მისი სახელით ცნობილი ბაღები რეალურად არსებობდა და ძველი ბაბილონის სიამაყეს წარმოადგენდა.

რ. კოლდეკეიმ სემირამიდას ბაღები ლეგენდების საუფლოდან გამოიყვანა და მეცნიერული კვლევის ობიექტად აქცია.

რ. კოლდეკეის მოღვაწეობაში შერწყმული იყო პიროვნული და მეცნიერული გამბედაობის გასაოცარი უნარი. გარეგნულად უწყინარ არქეოლოგიურ ექსპედიციას, იგი თითქმის ფრონტის ხაზზე ატარებდა. მაგრამ უშიშარი მკვლევარი განუხრელად მიიწევდა სიღრმეებისაკენ და საბოლოოდ თავისი თავგანწირვა დააგვირგვინა ბაბილონის ნაშთების მზის სინათლეზე ამოტანით. „დაკიდული ბაღებიც“ მისი წყალობით ლეგენდებიდან რეალობას დაუბრუნდა.

რ. კოლდეეიმ, ბაბილონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, აღმოაჩინა განსხვავებული არქიტექტურული სტილით ნაგები შენობის ნაშთები. ხანგრძლივი კვლევის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ ორიგინალური ხუროთმოძღვრული ძეგლი ლეგენდარულ სემირამიდას „დაკიდულ ბაღებს“ წარმოადგენდა.

ნანგრევებმა ვერ დააკმაყოფილა ანტიკური აღწერებით შექმნილი შთაბეჭდილება. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ჩანს კ. კერამის სიტყვებში: „ეს ნაგებობა სხვა არა იყო რა, თუ არა თაღი – „დაკიდული ბაღების“ მიწისქვეშა ნაწილისა, რომელშიც მოთავსებული იყო წყალსადენი სისტემა. მაგრამ „სასწაული“ გაქრა, რადგან რა უნდა ყოფილიყო „დაკიდული ბაღები“, თუ კოლდეეი მართალი იყო? ძალიან ლამაზი, მართლაც რომ საოცარი, ბაღები შენობის თავზე იმდროინდელი ტექნიკის საკვირველება და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, ისინი ვერც კი შეედრებოდნენ სხვა ნაგებობას იმავე ბაბილონში, თუმც ეს უკანასკნელნი ჰეროდოტეს „მსოფლიოს საოცრებებისათვის არ მიუთვლია“.

შეფასება მკაცრია. იგი ემყარება ნანგრევებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას. მაგრამ მარტოოდენ ნაშთით მსჯელობა სრულ სურათს ვერ შეგვიქმნის. გასათვალისწინებელია ერთი მეტად სპეციფიკური მომენტი. საოცრებებიდან ყველაზე სათუო „დაკიდებული ბაღები იყო. მის საოცრებობას ორიგინალურ არქიტექტურასთან ერთად აათკეცებდა ეგზოტიკურ მცენარეთა ჰარმონიული განლაგება. ერთ-ერთი კომპონენტის ჩამოშორებით ნაგებობის გარეგნული სახე დაიკარგებოდა. სილამაზის მთავარი წყაროს, მწვანე საფარის დაზიანებისათვის სულაც არ იყო აუცილებელი მტრის თავდასხმა. ოდნავი უყურადღებობაც საკმარისი იყო ტერასის გასაშიშლებლად. თუ გულგრილობა გაგრძელდებოდა, არა მარტო მწვანე საფარი, არამედ თვით ნაგებობა დაიწყებდა დაშლას. სემირამიდას ბაღები მთლიანობაში ახდენდა მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას.

რ. კოლდეეის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურეს, რომ სემირამიდას ბაღები, მართლაც ნაბუქოდონოსორის სასახლის გვერდით იყო გაშენებული და ეკვროდა ქალაქის გალავანს. ათჯერ გაზვიადებული აღმოჩნდა დიოდორე სიცილიელის ცნობა ბაღის ფართობის შესახებ. დიოდორე წერდა, რომ სემირამიდას

ბაღების ფართობი შეადგენდა 1,5 ჰექტარს. სინამდვილეში მისი ფართობი იყო 1260 კვ. მ (42X30).

ნაბუქოდონოსორის არქიტექტორს, სამეფო ბაღების გასაშენებლად, გალავნის გაგრძელებაზე მოუწყვია უზარმაზარ სვეტებზე დაყრდნობილი ტერასა. სვეტების სიმაღლე აღწევდა 25 მეტრს. შენობა აგებული იყო ოთხ ტერასად (მშენებლობაში აგურთან ერთად გამოყენებული იყო, ბაბილონისათვის საკმაოდ უცხო ქვაც). ტერასებს ჰქონდა იარუსების ფორმა. იარუსები ეყრდნობოდნენ სვეტებს, რომლებსაც ერთმანეთთან თაღები აერთებდათ. ტერასებზე დალაგებული იყო ქვის ფილები, შემდეგ ასფალტმოსხმული ლერწმის კონების სქელი ფენა. ლერწმის კონებზე დალაგებული იყო კირის ხსნარით გამაგრებული გამომწვარი აგური. მთელი ეს მოწყობილობა გადაფარული იყო ტყვიის ფირფიტებით, რაზედაც ეყარა მიწა იმ რაოდენობით, რაც აუცილებელი იყო იქ დარგული მცენარეების გასახარებლად.

ბაღი ირწყვებოდა ევფრატის წყლით, რომელსაც საკმაოდ ორიგინალური ხერხით ტუმბავდნენ. ერთ სვეტს დატანებული ჰქონდა ღრმული, რომლის საშუალებითაც ხდებოდა წყლის მაღლა აწოდება.

ტერასებს ერთმანეთთან ფართო კიბეები აკავშირებდა. საფეხურებზე დაგებული იყო ფერადი ქვის ფილები, რაც ისედაც მოხდენილ ნაგებობას, სილამაზეს კიდევ უფრო მატებდა.

ბაბილონელ არქიტექტორს კარგად ჰქონდა შერწყმული ქვა და მწვანე საფარი. ქვისა და სიმწვანის ორიგინალურმა გაერთიანებამ დაუმკვიდრა ბაღს საოცრების სახელი, რომელმაც ისტორიის სიღრმეებს გამოაღწია და მისი უცნობი ავტორი მარადიული დიდების შარავანდედით შემოსა.

ლეგენდებისა და ისტორიული სინამდვილის გაერთიანებით სულ ესაა, რაც ვიცით სემირამიდას ზღაპრული ბაღების შესახებ.

არტემიდა ეფესელის ტაძარი

ბერძნული კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებული როლი შეასრულეს მცირე აზიაში დამკვიდრებულმა ელინურმა ტომებმა იონიელებმა. როგორც ვარაუდობენ, ეგეოსის ზღვის აზიური სანაპიროს კოლონიზაცია ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსათვის უნდა მომხდარიყო. ამ მხარეში ადრე კარიელები ცხოვრობდნენ. ისინი ბალკანეთიდან გადმოსულმა ტომებმა შეავიწროვეს და მათ მიწა-წყალზე დამკვიდრდნენ. მოსულ ხალხს სათავეში ედგა ლეგენდარული ბელადი იონი. ამიტომ ბერძენთა ვრცელი დასახლების სახელწოდება იონია, აქედან წარმოსდგა.

მცირე აზიის ბერძნული მოსახლეობა ბალკანეთის ნახევარკუნძულთან შედარებით სწრაფად დაწინაურდა, რასაც ხელს უწყობდა ძველი აღმოსავლეთის მოწინავე ქვეყნებთან სიახლოვე.

ძველი ბერძნული კულტურის აკვანი იონიაში დაირწა და აქედან მოევლინა ბალკანეთის ნახევარკუნძულს ცივილიზაციის შუქი, რომელიც ელადამ არნახულ სიმაღლეზე აიყვანა.

იონიაში დაიბადა დიდი ბერძნული პოეზია. ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ შექმნილია ბერძნული ენის იონურ დიალექტზე.

იონიის ქალაქებმა გააფართოვეს ბერძენთა გეოგრაფიული თვალსაწიერი. ძვ. წ. VII საუკუნისათვის ისინი კარგად იცნობდნენ ხმელთაშუა ზღვისა და პონტოს ნაპირებს. იონიას ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები ჰქონდა ეგვიპტესა და ბაბილონთან.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, იონიაში ჩაისახა. ამ მხრივ განუზომლად დიდია მისი მთავარი ქალაქის, მილეტის როლი. კოლონიზაციის დასაწყისიდან, მილეტი მცირე აზიის ბერძნული ქალაქების კულტურის ცენტრსაც წარმოადგენდა.

მილეტის მკვიდრი თალესი (624-547) მსოფლიოში პირველ ფილოსოფოსადაა აღიარებული. იგი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მშობლიური ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

თალესს საფუძვლიანად შეუსწავლია ეგვიპტური და ბაბილონური

აზროვნების მიღწევები, მან ყველა საგანთა საწყისად წყალი გამოაცხადა. საკითხის ამგვარად დასმამ ფილოსოფია რელიგიას ჩამოაშორა და განსხვავებული სამოქმედო ასპარეზი გამოუყო. თალესი მილეტის ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი გახდა. ამ სკოლამ ბერძნულ აზროვნებას მისცა ანაქსიმანდრე (610-546) და ანაქსიმენი (588-525). მათ თალესის პირველ საწყისის გაგება გააფართოვეს. მილეტელთა აზროვნებაში ფილოსოფიამ თავისი კვლევის ობიექტი იპოვა, რაც ფილოსოფიის დაბადების მაუწყებელი გახდა.

იონური ფილოსოფიის დიდი წარმომადგენელი იყო ჰერაკლიტე ეფესელი (535-475). შემდეგ ფილოსოფიური აზროვნების ცენტრმა მცირე აზიიდან ბალკანეთზე გადაინაცვლა. საისტორიო მეცნიერებაც მცირე აზიაში გაჩნდა.

იონიის ქალაქებიდან იყვნენ ისტორიკოსთა წინამორბედები ლოგოგრაფოსები (კადმოს მილეტელი, სკილაქს კარიანდელი, ჰელანიკე მიტილენელი და სხვ.).

მცირე აზიის ქალაქ ჰალიკარნასიდან იყო „ისტორიის მამა“ ჰეროდოტე (485-425). მისი ნაშრომი ძვ. წ. V საუკუნეში მცხოვრები განათლებული ბერძენისათვის ცნობილ მსოფლიოს ისტორიას წარმოადგენდა.

იონიაში ჩაეყარა საფუძველი ბერძნული ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების პირველ სიმაღლეებს. მცირე აზიურ პოლისებში ბალკანეთის ქალაქებზე ადრე აითვისეს მთელი რიგი სამშენებლო სიახლენი.

ეგეოსური ეპოქის ხუროთმოძღვრების მთავარ მიღწევას საერო დანიშნულების, ძირითადად, სასახლეების აგება წარმოადგენდა. არქაული პერიოდის ბერძენმა არქიტექტორებმა თავი ტაძრის მშენებლობაში გამოიჩინეს.

არქაული პერიოდის ბერძნულ სამყაროში პოლის-სახელმწიფოს ორი ვარიანტი ჩამოყალიბდა. მმართველობის ფორმების მიუხედავად, ორივე ვარიანტის პოლისში ცენტრალური ადგილი აკროპოლისმა დაიკავა. პოლისის ცხოვრება მის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში, აკროპოლისში ხორციელდებოდა. ელინური ქალაქის აკროპოლისი რთული არქიტექტურული ანსამბლი იყო. მასში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა პოლისის მმართველი ღვთაებისადმი მიძღვნილ ტაძარს. ტაძარი იყო აკროპოლისის დამა-

გვირგვინებელი ნაგებობა. იგი აღემატებოდა დანარჩენ შენობებს, როგორც მდიდრული გაფორმებით, ისე გრანდიოზულობით.

ქალაქების მფარველ ღვთაებათა ტაძრები პოლისის მთელი თავისუფალი მოსახლეობის მონაწილეობითა და ზრუნვით იგებოდა. ტაძარი ანხორციელებდა პოლისის სულიერ ერთობას. ტაძარი პოლისის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრად ითვლებოდა.

არქაული პერიოდის ბერძნული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი ნიშანი იყო საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა წინა პლანზე დაყენება. ეს პრინციპი კლასიკურ ხანაშიც ძალაში დარჩა. ჩვენ ვერსად ვერ შევხვდებით მდიდრულ სასახლეებს ან საკუთარი ინტერესებით აგებულ შენობებს. მშობლიური ქალაქის ღირსეული ძეგლით დამშვენება თითოეული მოქალაქის მოვალეობას შეადგენდა. ყოველივე ეს ასახავდა პოლისის წიაღში ჩამოყალიბებული თავისუფალი ადამიანის სულიერ მოთხოვნილებას.

ძვ.წ. VIII-VII სს. ხუროთმოძღვარი არსებითად განსხვავდებოდა კრეტა-მიკენის ეპოქის ხუროთმოძღვარისაგან. არქაული საბერძნეთის ხუროთმოძღვრები შემოქმედებით თავისუფლებას განიცდიდნენ. კრეტა-მიკენის ხანაში, არქიტექტორს ბასილევსის ნება-სურვილი უნდა შეესრულებინა. როდესაც მშენებლობაში სასახლეთა ადგილი ტაძარმა დაიკავა, ხუროთმოძღვრები ცალკეულ პირთა მოთხოვნილებებისაგან განთავისუფლდნენ. ისინი თავიანთი ხელოვნებით პოლისის მოქალაქეთა უმრავლესობის სულისკვეთებას გამოხატავდნენ. ხელოვანის შემოქმედების ნაყოფი თანაბრად ეკუთვნოდა პოლისის ყველა მოქალაქეს.

ქალაქში არსებობდა პოლისის მფარველი ღვთაების ტაძარი. მაგრამ არქაული ეპოქიდან მოკიდებული ბერძენთა რელიგიურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა საერთო ელინური საკურთხევლები. ისინი ერთ რომელიმე ქალაქს არ ეკუთვნოდნენ და ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემის გარეთ მდებარეობდნენ. ასეთი იყო ზევსის კულტთან დაკავშირებული ანსამბლი ოლიმპიაში, დელფოს კომპლექსი, სადაც იმყოფებოდა ბერძნულ სამყაროში სახელგანთქმული აპოლონის ორაკული.

არქაული პერიოდის ხუროთმოძღვართა მთელი ყურადღება ტაძრების სრულყოფას ეძღვნებოდა. ბერძნული ტაძრის გარეგნული

სახე მთელი VII საუკუნის განმავლობაში იხვეწებოდა. საუკუნის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა მისი კლასიკური ფორმა პერიპტერი – სწორკუთხოვანი შენობა, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული კოლონებით.

ძველი ბერძნული სამყაროს ცალკეულმა რეგიონებმა განსხვავებული არქიტექტურული ძეგლი შექმნეს. VII საუკუნიდან გამოიკვეთა რამდენიმე სტილის ნაგებობა, რომელთაც რომაელმა სწავლულებმა ორდერის სახელი დაუმკვიდრეს. ყველაზე გავრცელებულ ორდერებად მიჩნეულია დორიული, იონური და კორინთული.

კლასიკური სტილის პოპულარულ საყრდენს წარმოადგენდა სვეტი. ტაძარს გარს ერტყა სვეტების კოლონა. კოლონა იყო მრგვალი, ცილინდრისებური, თავისუფლად მდგომი ან კედელზე მიყრდნობილი. ფიქრობენ, რომ კოლონის თავდაპირველი ფორმა ხის კონსტრუქციაში წარმოიშვა და ქვაში შემდეგ გადაიტანეს. ბერძნული კოლონა თავისი მიზანდასახულობით განსხვავდებოდა ეგვიპტელი და ბაბილონელი არქიტექტორების ამოცანებისაგან.

ბერძნული ორდერების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იყო ტაძართან .სვეტების მიმართება. სვეტების არქიტექტურული დამუშავება დ ამისი ჩართვა მთლიან ანსამბლში, შენობის გარეგნულ სილამაზეს ამაღლებდა. ბერძენ ხუროთმოძღვართა აზრით, სვეტების კონსტრუქციას უნდა მიეცა ტაძრისათვის ის გამორჩეულობა, რომლითაც უნდა დაეჩრდილა მას ყველა გარემომცველი ნაგებობა.

ორდერებიდან ადრინდელი, დორიული, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეიქმნა. საეჭვოდ არ მიაჩნიათ, რომ დორიულმა ორდერმა მიკენური ხუროთმოძღვრების გავლენა განიცადა.

მცირე აზიაში ჩამოყალიბდა იონური ორდერი. მის ფორმირებაზე ბუნებრივია ზემოქმედებას მოახდენდა გეოგრაფიული გარემო. აღმოსავლური ხუროთმოძღვრებისათვის დამახასაითებელი გრანდიოზული მასშტაბების გავლენით, იონიელმა ბერძნებმაც გამოავლინეს მონუმენტურობისაკენ სწრაფვა. იონიური ტაძრები ზომით აღემატებოდნენ ბალკანეთზე შექმნილ მსგავსი დანიშნულების ნაგებობებს (ჰერას ტაძარი სამოსზე, არტემიდას ტაძარი ეფესოში).

დროთა განმავლობაში დორიულმა ორდერმა პოპულარობა დაკარგა და ბერძენი არქიტექტორები უპირატესობას უბრალო და ნათელ იონურ სტილს ანიჭებდნენ. ბ. უიპერის დახასიათებით, ბერძნული არქიტექტურული სტილი პლასტიკურია. ბერძენი ხუროთმოძღვარის კონცეფცია მიმართულია უფრო მეტად შენობისა და მისი მასის კონსტრუქციისაკენ, ვიდრე მისი სივრცული ორგანიზაციისადმი. არქიტექტორთა ამ პლასტიკურ კონცეფციებზე, შენობის გარეგნული ფუნქციებით გატაცებაზე არის დამოკიდებული განსხვავება ბერძნულ ორდერთა შორის. სივრცის ორგანიზაციის თვალსაზრისით, ბერძნული ორდერები თითქმის იდენტურია, კონტრასტი უმეტესად კონსტრუქციულ ელემენტებში მდგომარეობს. მკაცრი, ვაჟკაცური დორიული ორდერის გვერდით წარმოიშვა უფრო მოქნილი, გრაციოზული იონური ორდერი. დორიულ და იონურ ორდერებს შორის არსებულ კონტრასტს, ანტიკური ავტორები კაცისა და ქალის სხეულებს შორის განსხვავებას ადარებენ. იონური კაპიტელების ხვეული ორნამენტები მათში ქალის კულულების ასოციაციას იწვევდა, ხოლო ფოთლები მძიეებისას, სვეტების ღარები კი ქალის ტანსაცმლის ნაკეცებისას.

კაცისა და ქალის გარეგნული ანალოგია ბერძნულმა ხუროთმოძღვრებამ უფრო თვალსაჩინო ფორმით განასახიერა. დორიულ ორდერში ზოგჯერ საყრდენ სვეტებად კაცის ფიგურები – ატლანტები იყო გამოყენებული (ზეევსის ტაძარი აგრიგენტუმში). იონურმა სტილმა საპირისპიროდ ქალის ფიგურებს – კარიატიდებს მიმართა (ერეხტეიონის ტაძარი ათენის აკროპოლისზე).

ხუროთმოძღვრების რომაელი თეორეტიკოსი ვიტრუვიუსი განმარტავს, დორიულ ორდენს აქვს კაცის ტანის ფორმა, ხოლო იონურს ქალის პროპორციები. ამ შეხედულებას ახალი პერიოდის მკვლევარებიც იზიარებენ. ო. შუაზის თანახმად, არსებობს ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავებული სილამაზის ორი სახე, რომელთა ერთ ქმნილებაში შეთავსება შეუძლებელია, მაგრამ ორივენი მაღალ ხელოვნებას მიეკუთვნებიან. ერთის მხრივ – ძალა და ენერგია, გამოვლენილი ვაჟკაცურ და მკაცრ ფორმებში, მეორე მხრით – გრაცია და მოხდენილობა, ნაკლებად მკაცრ ფორმებში, ნაკლებად ენერგიული, მაგრამ უფრო ნაზი.

ვიტრუვიუსის გადმოცემით, იონური ორდერი ეფესოს ტაძრის

მშენებლობის დროს შეიქმნა. მისი აზრით, დორიელების მიერ მცირე აზიაში გაძევებულმა ბერძნებმა, მოინდომეს საკუთარი ძეგლისთვის საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული სახე მიეცათ.

მიჩნეულია, რომ იონური ორდერის კანონიკური პროპორციები განისაზღვრა VI საუკუნეში. მაგრამ შეუძლებელია უცბად შექმნილიყო მთლიანი არქიტექტურული სტილი. VI საუკუნის არქიტექტურაში გამოყენებული ელემენტები, როგორც მასალა, არსებობდა გაცილებით ადრეულ ხანაში. იონურ ორდერს ძველი აღმოსავლეთის არქიტექტურის სახით ჰქონდა თავისი წყარო. ო. შუაზი ბევრ საერთოს ხედავს ხეთურ ხელოვნებასა და იონურ ორდერს შორის. განსაკუთრებული ხაზგასმით უთითებს იგი VIII საუკუნის ასურულ რელიეფთან მსგავსებას. იონური ორდერის არქაულ ფორმებს ამჩნევს ჩამორჩენილი ლიკიის სამარხებშიც.

იონურ ორდერზე აზიური არქიტექტურის გავლენა ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ბერძნულმა გენიამ არსებული წყარო ბრმად კი არ გადაიღო, არამედ მნიშვნელოვანი შემოქმედებითი პროცესები ჩაატარა და შექმნა დამოუკიდებელი არქიტექტურული სტილი.

იონური ორდერი აღემატება დორიულს თავისი პლასტიკურობითა და დეკორაციული სიმდიდრით. მაგრამ გააჩნია ნაკლიც. ამიტომ ბერძნულ ხუროთმოძღვრებაში წარმოიშვა მოთხოვნილება, შექმნილიყო კიდევ ერთი ორდერი, რომელიც გააერთიანებდა დორიული და იონური სტილის მიღწევებს და ამავე დროს იქნებოდა მხატვრული ფორმების შემდგომი გაგრძელება. ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა კორინთულ ორდერს. კორინთული კაპიტელის დეკორაციულ პირველ წყაროდ იქცა აკანთის ფოთოლი. ორდერის შემქმნელად ბერძნული ტრადიცია რეალურ პიროვნებას, არქიტექტორ კალიმახს თვლის[1].

1. კორინთული ორდერის შექმნას ვიტრუვიუსი შემთხვევით მოვლენას მიაწერს. მას ლაცული აქვს ასეთი გადმოცემა: კორინთოში გარდაცვლილი ერთ გოგონას გამზრდელმა, შეაგროვა ბავშვის საყვარელი სათამაშოები, ჩაწყო კალათში, მიიტანა აკლდამასთან და დადგა საფლავზე. სათამაშოები ღია ცის ქვეშ დიდხანს რომ შენახულიყო, კალათს დაახურა კრამიტი. კალათი შემთხვევით აღმოჩნდა აკანთის ფესვზე. გაზაფხულზე მცენარემ აიყარა ღერო, გაიბარდა კალათის კედლებზე, როდესაც ფოთლებმა კრამიტის დონემდე მიღწიეს გადმოკეცნენ ჯოლუტის სახით.

ეს ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა შეამჩნია კალიმახმა. იგი აღაფრთოვანა სახისა და ფორმის სიახლემ და რაც იხილა მაშინვე ქვაში გადაიტანა. ამ ნიმუშის მიხედვით, შექმნა მან რამდენიმე სვეტი, რაც დაედო საფუძვლად კორინთულ ორდერს.

კორინთული ორდერი მიჩნეულია მეორეულ წარმონაქმნად, იონური არქიტექტურის საფუძველზე, როგორც მისი სახესხვაობა.

კორინთული ორდერი იონიურზე უფრო მსუბუქი და ლამაზია, სვეტები მაღალი და მოხდენილი. კაპიტელზე დეკორირებულია ორ მწკრივად განლაგებული აკანთის ფოთლები, რაც განასხვავებს მას იონიურისაგან.

კორინთულმა ორდერმა შეაერთა დორიული და იონური სტილის საუკეთესო ნიშნები. მან გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა ელინისტურ და რომაულ ხუროთმოძღვრებაში. რომაულმა არქიტექტურამ მემკვიდრეობით მიიღო სამივე ბერძნული ორდერი და დაუმატა სამი საკუთარი ვარიაცია.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მცირე აზიაში, სპარსეთის გაბატონების შემდეგ, მშენებლობა შეწყდა. არქიტექტორები ევროპულ საბერძნეთში გადავიდნენ და იქ გააგრძელეს თავიანთი საქმიანობა. იონური სტილის გავლენა ელადის ხუროთმოძღვრებაზე ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაზარდა. უშუალოდ დორიულ ორდერზეც შეიმჩნევა გავლენის კვალი. რაც შეეხება კორინთულ ორდერს მისი საბოლოო გაფორმება ამ პერიოდში მოხდა.

ყველა ორდერს თავისი თაყვანისმცემელი ჰყავდა. თითოეული სტილით მრავალი შესანიშნავი ტაძარი აიგო. მათ შორის განსაკუთრებული ღირსებებით გამოჰყვეს ეფესოს მშვენება, არტემიდას ტაძარი. იონიური სტილით აღმართული არტემიდა ეფესელის ეს ტაძარი, ძველმა ბერძნებმა, სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად ჩათვალეს.

ელადის პირველი საოცრება იონიაში შეიქმნა. ფილოსოფიისა და ლიტერატურის კვალდაკვალ, ხუროთმოძღვრებაშიც იონიამ მისცა ბიძგი საბერძნეთს. მაგრამ მისი პირველობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გეოგრაფიულმა ფაქტორმა, რომელიც ადრე იონიის კულტურულ განვითარებაზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა, ამჯერად მისი აღსასრული გამოიწვია. სპარსელთა გაბატონებამ მას მეთაურის დროშა ჩამოართვა. მაგრამ არტემიდას ტაძარი დარჩა, როგორც იონიის კულტურული სიმწიფის მარადიული სიმბოლო.

ეფესო მდინარე კოისტრას შესართავთან მდებარეობდა. გეოგრაფიულმა ფაქტორმა განსაზღვრა ქალაქის აქტიური ჩართვა დიდ ბერძნულ კოლონიზაციაში. ცნობილია, რომ

კოლონიზაციამ იონია ეგეოსის ზღვის აუზის ცენტრად აქცია. მილეტისა და მცირე აზიის სხვა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა საბერძნეთის სასიცოცხლო მნიშვნელობის, ახალშენების დაარსება. იონიის ქალაქებმა ხელთ იგდეს საზღვაო და სავაჭრო გზები. ზღვაოსნობა მათი ეკონომიკური ცხოვრების წამყვანი დარგი გახდა. იონიაში დაგროვდა დიდი სიმდიდრე. ეკონომიკის მაღალმა დონემ გავლენა მოახდინა მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაზე. მრავალი ქალაქი დაამშვენა დიდებულმა არქიტექტურულმა ძეგლმა. იონიელ ხუროთმოძღვართა ნიჭის უკვდავებას ადასტურებს კუნძულ სამოსზე აგებული ქალღმერთ ჰერას ტაძარი, მილეტის ახლოს, დიდიმში, აპოლონის ტაძარი და სხვა მრავალი. მაგრამ იმდროინდელი ხუროთმოძღვრების ყველაზე მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა არტემიდას ტაძარი.

ოლიმპოს ბინადარ ღვთაებათა შორის არტემიდა გამორჩეული იყო. ზევსისა და ლეტოს ასულს, აპოლონის ტყუპისცალს, ბერძნულ პანთეონში მარადი ქალწულის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული. არტემიდას კულტში თავს იყრიდა მრავალი ღვთაების ფუნქცია. საბოლოოდ მასში გაერთიანდა მცენარეულობისა და ცხოველთა მფარველი ღვთაების უფლებამოსილება. იგი საყოფიერების ღმერთიც გახდა. როგორც შობადობის ქალღმერთთან მისთვის საჩუქრები მიჰქონდათ ორსულ ქალებს. ქორწინების წინ არტემიდასათვის მსხვერპლი უნდა შეეწირათ.

არტემიდა ოლიმპოს ქალღმერთთა შორის გამოირჩეოდა სამართლიანობით. მაგრამ იყო აგრეთვე დაუნდობელი შურისმაძიებელი.

არტემიდა საერთო ბერძნული ღვთაება იყო, მაგრამ განსაკუთრებული თაყვანისცემა მოიპოვა ეფესოში.

იონიის მთავარმა ქალაქმა, ბერძნული კულტურისა და მეცნიერების აღიარებულმა ცენტრმა მილეტმა, ოლიმპოს ღმერთებისადმი თაყვანისცემა აპოლონის ტაძრის აგებით გამოხატა.

ეფესელებმა უპირატესობა არტემიდას მიანიჭეს.

ტაძრის მშენებლობა მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაში მიმდინარეობდა. თავიდანვე მცირე აზიის ადგილობრივი მოსახლეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ელინთა სამფლობელოებს. იონიელებს მრავალ მტერთა შემოჭრის მოგერიება უხდებოდათ. ხშირმა თავდასხმებმა განაპირობა მათი გაერთიანება. კავშირში

შეეიდა 12 ქალაქი, რომელთაც ჰქონდათ პოსეიდონის საერთო კულტი, როგორც გამაერთიანებელი სიმბოლო. პოსეიდონის თაყვანისცემას გარკვეული ეკონომიკური მიზნები ამოძრავებდა. იონიის მოსახლეობის საარსებო საშუალებები ძირითადად ზღვასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ზღვათა მეუფე ღირსეულ ყურადღებას მოითხოვდა. პოსეიდონის დღესასწაული ყოველწლიურად იმართებოდა. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა მხოლოდ 12 ქალაქს. მოგვიანებით კავშირში მეცამეტე წევრად, ეფესოს ინიციატივით მიიღეს ქალაქი სმირნა.

თავდაპირველად კავშირში წამყვან როლს ეფესო ასრულებდა. დროთა განმავლობაში პირველობა მილეტის ხელში გადავიდა, რაც გარკვეულ პოლიტიკურ ფაქტორებთან იყო დაკავშირებული. ეფესო გაშენებული იყო აღმავლობის გზაზე დამდგარი ლიდიის მიწაზე. როგორც ჩანს ლიდიის აგრესია მას ასუსტებდა, რამაც პირველობა დაკარგვინა. უჩინარი კარია კი მილეტისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. ბერძნული ქალაქების მეთაურის ფუნქციებიც უფრო ძლიერს გადაეცა. ეფესოს დაქვეითებაზე იმოქმედებდა კიმერიელთა თავდასხმაც, რაც მილეტს არ განუცდია.

ძვ.წ. VII საუკუნეში ლიდია აქტიურად ჩაერთო იონიის ქალაქების საშინაო საქმეებში. მაგრამ მილეტმა მოახერხა აგრესიის მოგერიება და საკმაოდ ხელსაყრელი ზავიც დასდო.

ლიდიის უკანასკნელმა მეფემ კრეზმა (560-546), კვლავ შეუტია იონიას. ბერძნულმა ქალაქებმა, აღიარეს მისი ბატონობა და ხარკი იკისრეს. მხოლოდ მილეტმა შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

ლიდიის უღელქვეშ მოქცევის მიუხედავად, ეფესოს ეკონომიკური მდგომარეობა არ შეცვლილა. ამას ადასტურებს არტემიდას ტაძრის მშენებლობის წამოწყება კრეზის მეფობის დროს. მშენებლობაში ლიდიის მეფესაც მიუღია მონაწილეობა. აღმოჩენილია სვეტის ბაზისი წარწერით: „მეფე კრეზმა მიუძღვნა".

ეფესო სხვა ბერძნული ქალაქების მსგავსად, საოცარი წინააღმდეგობით შეხვდა სპარსელების გამოჩენას. მაგრამ ლიდიის დაცემის შემდეგ, იონიის ქალაქებმა ბრძოლის ერთიანი ფრონტი ვერ შექმნეს და დამპყრობელს დანებდნენ.

აქტიური როლი შეასრულა ეფესომ იონიის აჯანყების დროს. ჰეროდოტეს სიტყვებით, ეფესოდან დაიძრნენ აჯანყებული

ბერძნები სარდისაკენ, სადაც იმყოფებოდა სპარსეთის ძირითადი ძალები მცირე აზიის სატრაპის არტაფერნეს მეთაურობით. ბერძნებმა სარდი აიღეს, მაგრამ სპარსეთის ხელისუფლებამ დროულად გაუგზავნა დახმარება არტაფერნეს. ბერძნები დამარცხდნენ და გაიფანტნენ. ეფესო ისევ სპარსელთა ხელში გადავიდა.

არტემიდას ტაძრის მშენებლობისათვის სპარსელებს ხელი არ შეუშლიათ.

ეფესელებმა შექმნეს ისეთი ნაგებობა, რომელიც თავისი მასშტაბებით გაუთანაბრდა აღმოსავლეთის გიგანტებს. ჰეროდოტე, ეგვიპტის ღირსშესანიშნაობათა აღწერის დროს, ბერძნული გენიის ყველაზე თვალსაჩინო ქმნილებად, რომელთანაც იგი პარალელებს ავლებდა, არტემიდასა და ჰერას ტაძრებს ასახელებდა.

არტემიდას ტაძრის აგება ეფესელებმა ხუროთმოძღვარ ქერსიფრონს დააკისრეს. როგორც ჩანს, დამკვეთებმა კარგად იცოდნენ მისი მონაცემები. განსაკუთრებული ნიჭისა და პრაქტიკული გამოცდილების არმქონე ხელოვანი ვერც მოჰკიდებდა ხელს ისეთ რთულ საქმეს, როგორსაც ტაძრის აგება წარმოადგენდა. რადგან მშენებლობის პროცესში ქალაქის ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს შეეძლო თავისი შეხედულების გამოთქმა, ხუროთმოძღვარი მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, კარგად იცოდა რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას კისრულობდა. ერთი უბრალო შეცდომაც კი შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო. ამიტომ, იგი ჯერ პროექტს წარადგენდა და თუ მოიწონებდნენ, ამის შემდეგ შეუდგებოდა მშენებლობას. ხუროთმოძღვარი არა მარტო აპროექტებდა, არამედ უშუალოდ ხელმძღვანელობდა ყველა დეტალის დამუშავებას. საშენი მასალის გამზადებასა და დანიშნულების ადგილზე მიტანასაც იგი ედგა სათავეში. არქიტექტორის ცოდნა და უნარი აქაც ვლინდებოდა.

ანტიკური ეპოქის თეორეტიკოსთა მოძღვრებით, არქიტექტორის ხელოვნება ცოდნის მრავალ დარგში მოითხოვდა ღრმა განსწავლულობას. ვიტრუვიუსის მიხედვით, მეცნიერული ცოდნა ყალიბდება თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობით. არქიტექტორი, რომელიც შეეცდება მეცნიერული მომზადების გარეშე საქმის შედგომას, აღიარებას ვერ მოიპოვებს. ვერც ის მიაღწევს დიდ წარმატებას, ვინც მხოლოდ თეორიული მსჯელობითა და მეცნიერული მომზადებით იფარგლება. მაგრამ ისინი,

რომლებიც ერთსაც სწავლობენ და მეორესაც, აღმოჩნდებიან რა ყოველმხრივ შეიარაღებულნი ადვილად აღწევენ თავიანთ მიზანს და მასთან ერთად აღიარებასაც. ამიტომ ნათელია, რომ ვინც თავს თვლის არქიტექტორად, ორივეში ძლიერი უნდა იყოს. „ამრიგად, იგი უნდა იყოს ნიჭიერი და მეცნიერებისადმი გულმოდგინე: ვინაიდან არც ნიჭი მეცნიერების გარეშე, ხოლო მეცნიერება უნიჭოდ, უძლურია შექმნას სრულყოფილი მხატვარი. იგი უნდა იყოს განათლებული ადამიანი, მოხერხებული მხაზველი, იცოდეს გეომეტრია, ყოველმხრივ სწავლობდეს ისტორიას, ყურადღებით უსმენდეს ფილოსოფოსებს, იცნობდეს მუსიკას, წარმოდგენა ჰქონდეს მედიცინაზე, იცოდეს იურისტების გადაწყვეტილებანი და ჰქონდეს ცოდნა ასტრონომიასა და ციურ . სხეულებზე“.

ვიტრუვიუსი არქიტექტორს ფართო ერუდიციას თხოვს. ცხადია, ასეთი მოთხოვნების პირობებში, შემთხვევით ადამიანთა რიცხვი უმნიშვნელო იქნებოდა. ანტიკური ეპოქის არქიტექტორთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონე ისტორიამ დაადასტურა. საუკუნეების ქარტეხილებს გამოღწეული ხუროთმოძღვრების ძეგლები, მიწაზე, დამხობილნიც კი, საოცარი შუქით ანათებენ. ანტიკურ ეპოქის ხუროთმოძღვართა სერიოზული განათლების მაუწყებელია ის ფაქტი, რომ თავიანთი ქმნილებები ბუნების ნაწილად აქციეს. გეოგრაფიულ გარემოსთან ისეთი კონტაქტი დაამყარეს, რომ არქიტექტურული ნაგებობა, ბუნების შემადგენელ სხეულად აღიქმება. აქ უნდა ვეძებოთ იმ საიდუმლოს გასაღები, რომელსაც ვიტრუვიუსი თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას უწოდებდა.

ქერსიფრონი ვიტრუვიუსის ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მან ააგო ტაძარი, რომელმაც ბერძენ ხუროთმოძღვართა ყველა ადრინდელი ქმნილება დაჩრდილა. პლინიუსის სიტყვებით, არტემიდას ტაძარი არის ბერძნული არქიტექტურის შედევრი. მისი შემოქმედის ქერსიფრონის საქმიანობის აღწერა შეუძლებელია მოთავსდეს ყველაზე დიდ წიგნშიც. „ის შეიცავს ისეთს, რომელიც აღემატება ყოველივეს, რაც შეიძლება შეგვხვდეს ბუნებაში“.

ხელმოკლე არქიტექტორს ტაძრის აგებას არც მიანდობდნენ და ვერც გაბედავდა. ეფესოს კანონებით, არქიტექტორის ქონება

მშენებლობის დამთავრებამდე გირაოდ გადაეცემოდა ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული დარღვევების თავიდან ასაცილებლად. ხარჯთაღრიცხვა არქიტექტორს უნდა წარედგინა მუშაობის დაწყებამდე.

ქერსიფრონის პროექტი ქალაქის ხელისუფლებას დაუმტკიცებია, მაგრამ ვიტრუვიუსის გადმოცემით, ვერ შეთანხმებულან, ტაძარი რომელი მხარის მარმარილოთი აეგოთ. კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რადგან ყველას საკუთარი მოსაზრება ჰქონდა და უპირატესობას თავის წინადადებას ანიჭებდა. ეფესელები იხსნა შემთხვევითმა მოვლენამ. ერთი მწყემსი, სახელად პიკსოდარი, ცხვრებს მწყემსავდა ქალაქის მახლობლად. რქენის დროს ერთი ვერძი აცდა მეორეს და რქებით დაეჯახა კლდეს, საიდანაც ჩამოიმტვრა საოცრად თეთრი ფერის ქანი. პიკსოდარმა აიღო ნატეხი, მიატოვა ცხვრები, გაიქცა ეფესოში და გაცხარებულ მოკამათეებს მიართვა მარმარილოს ნიმუში. მოულოდნელ საჩუქარს მოკამათენი სიხარულით შეხვდნენ და საკითხიც სასწრაფოდ გადაწყვიტეს. ეფესელებმა ტაძრის ასაგებად ქალაქთან ახლოს აღმოჩენილი მარმარილო აირჩიეს.

ქერსიფრონმა გაითვალისწინა, რომ მცირე აზიის ქალაქებს დიდ ზიანს აყენებდა ხშირი მიწისძვრები. ამიტომ ტაძრის ასაგებად საჭირო იყო ისეთი ადგილის შერჩევა, რომ სტიქიას იგი არ დაეზიანებინა. ხუროთმოძღვარმა შედარებით საიმედო ადგილად მიიჩნია მდინარე კოისტრას ჭაობიანი შესართავი. მისი აზრით, ჭაობიანი ნაპირი მიწისძვრის ბიძგების. შენობაზე გადაცემას შეამცირებდა. იმავე მიზანს ემსახურებოდა ფუნდამენტში გამოყენებული ხის ნახშირისა და მატყლის ნარევი.

ქერსიფრონი შეუდგა პროექტის განხორციელებას. მარმარილოს საბადოები ეფესოსთან ახლოს მდებარეობდა (12 კმ), მაგრამ მშენებლობის პროცესში ხუროთმოძღვარი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით ძნელი გახდა მარმარილოს გიგანტური სვეტების დანიშნულების ადგილამდე მიტანა. ქერსიფრონი კარგად იცნობდა წინა ეპოქის ბერძნული ხუროთმოძღვრების მიღწევებს: სამშენებლო მასალის დამუშავების ტექნიკას, ტრანსპორტირებას, მრავალფეროვანი წყობის საიდუმლოებას. მაგრამ გიგანტური ტაძარი მოითხოვდა სამშენებლო მასალის შეფარდებით ზომებს. ქერსიფრონი მარმარილოს უზარმაზარ სვეტებს კარიერზე აძლევდა საბოლოო ფორმას, რომ ზედმეტი

ტვირთის გადატანა თავიდან აეცილებინა. ვიტრუვიუსის გადმოცემით, ტრანსპორტირების გაადვილების მიზნით, არქიტექტორმა სვეტებს ბორბლების ფუნქცია დააკისრა. მარმარილოს დამუშავება და გადაზიდვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა, მაგრამ ეფესელებს სიძვირე არ აფიქრებდათ. მათთვის მთავარი იყო საბოლოო მიზანი, რომელიც მათ ქალაქს სახელს გაუთქვამდა მთელ ბერძნულ სამყაროში. ტაძრის აგება თითოეული ეფესელის ღირსების საქმედ იქცა. ტაძრისადმი ყურადღებაზე მეტყველებს ისიც, რომ ბერძნულმა ტრადიციამ მშენებლობასთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდა შემოინახა. ერთი ლეგენდის თანახმად, ქერსიფრონმა დიდხანს ვერ მოახერხა არქიტრავის კოჭის ჩადგმა ტაძრის შესასვლელში. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ფიქრობდა, რომ უზუსტობის მიზეზი იყო გათვლებში დაშვებული შეცდომა. არქიტექტორი თავის მოკვლასაც კი ფიქრობდა, მაგრამ იგი იხსნა არტემიდამ. ქალღმერთი სიზმარში გამოეცხადა ქერსიფრონს და აღუთქვა დახმარება. დილით არქიტექტორმა კოჭი თავის ადგილზე ჩასმული იხილა.

არტემიდას ტაძარმა ბერძნული ხუროთმოძღვრება პირველად გაიყვანა ძველი სამყაროს საოცრებების მწვერვალთა დონეზე. მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული გრანდიოზულობა და სილამაზე. გრანდიოზული იყო მისი ფართობიც, სიგრძე აღწევდა 100 მეტრს, სიგანე 55 მეტრს. საკურთხეველს გარს ერტყა სვეტების ორმაგი მწკრივი, რაც მის სილამაზეს საოცარ იერს აძლევდა. სვეტების რაოდენობა 140 აღემატებოდა. იგი ამ მხრივაც განსხვავდებოდა დორიული ტაძრებისაგან, რომელთა მშენებლებიც, სვეტების მხოლოდ ერთი მწკრივით კმაყოფილდებოდნენ. ტაძრის გარეგნულ იერს მეტ ელვარებას მატებდა მარმარილო. აღნიშნული სამშენებლო მასალა ბერძენმა ხუროთმოძღვრებმა ყველაზე ფართოდ არტემიდას ტაძარზე გამოიყენეს. ვიტრუვიუსი ხუროთმოძღვრებაში შეტანილ ცვლილებებს ქერსიფრონსა და მის შვილს მეტაგენს მიაწერს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქერსიფრონის სტილი არ დაურღვევიათ ტაძრის მშენებლობის საბოლოო დამგვირგვინებლებსაც. დასრულებულმა ღვთის სახლმა გარეგნობაც ღვთაებრივი შეიძინა.

არტემიდას ტაძრის მშენებლობა საუკუნეზე მეტი გაგრძელდა (დაახლ. 120 წელი). ქერსიფრონის დაწყებული საქმე მისმა

შეილმა მეტაგენმა გააგრძელა, მაგრამ დამთავრება ვერც მან მოასწრო[1]. მშენებლობა დაასრულეს დემეტრიოსმა და პეანიოს ეფესელმა. არტემიდას ტაძარმა საოცრებად შერაცხული სახე მიიღო ძვ.წ. 450 წელს.

არტემიდას ტაძარმა ერთი საუკუნე შეინარჩუნა თავისი მომხიბველელი გარეგნობა. ძვ. წ. 356 წელს, ალექსანდრე მაკედონელის დაბადების დღეს საკურთხეველი უკვდავების მანიით შეპყრობილმა ჰეროსტრატემ დაწვა.

ბერძნულ სამყაროზე ტაძრის დაწვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდი იყო სინანული, მაგრამ უბედურებას თავისებური ახსნა მიეცა, „რა გასაკვირია, არტემიდას ტაძარი რომ დაიწვა, ღმერთქალს მაშინ არ ეცალა: იგი ალექსანდრეს დაბადების ჟამს ბებია ქალის მოვალეობას ასრულებდა"[2]. ბერძნული ფანტაზია არტემიდას სიძლიერეში არ დაეჭვებულა. ბოროტებას იგი ვერ აღუდგა წინ იმის გამო, რომ ამ დროს ოლიმპიადას ადგა თავს და შველოდა. გადმოცემით, ტაძრის დაწვის დღეს, სამყაროს მოევლინა მაკედონელი (ძვ. წ. 356 წლის ივლის-აგვისტო).

ჰეროსტრატე ეფესოს მოქალაქე იყო. გადმოცემით, როდესაც დარწმუნდა, რომ თავის გამოსაჩენი საქმის შესრულება არ შეეძლო, მოინდომა არტემიდას ტაძრის დაწვით უკვდავება მოეპოვებინა. ჰეროსტრატემ განზრახვა სისრულეში მოიყვანა. იმდენად დიდი იყო ბერძენთა გულისწყრომა, რომ იონიურმა ქალაქებმა გადაწყვიტეს ბოროტმოქმედის იმედის გაცრუება და დაადგინეს მისი სახელი არ ეხსენებინათ. მწერლებსაც მიეთითათ, არტემიდას ტაძრის ამბავს როცა შეეხებოდნენ ჰეროსტრატეს სახელისათვის გვერდი აევლოთ. მაგრამ ბოროტებამ იზეიმა. ზოგიერთ მწერალს ავკაცის სიძულვილმა აკრძალვა

---

1. ვიტრუვიუსის ცნობით, ქერხიფრონსა და მეტაგენს, პრაქტიკული საქმიანობის გარდა, ხელოვნებისმოძღვრებაში თეორიული ხასიათის ნაშრომიც ჰქონიათ, რომელშიც განხილული ყოფილა ტაძრის პროპორციები.

2. ციტატა პლუტარქეს მოაქვს (ალექსანდრე მაკედონელი, 3) ძვ. წ. III საუკუნეში მცხოვრები ორატორის პეგესია მაგნეზიელის სიტყვიდან. პეგესიას მსჯელობაში კარგად ჩანს ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის შედეგები. მისი გადმოცემით, „ეფესოში მყოფი მოგვები, ქურუმები და მისნები კი აღგზნებული იმ აზრით, რომ ტაძრის დაფერფლა მეორე უბედურებას მოასწავებდა, თავ-პირში ხელებს იცემდნენ და ყვიროდნენ: აზიისათვის რისხვა და უბედურება დიბადა დღესო".

დააეწყა და მისი სახელი წყველა-კრულვით მოიხსენია. ჰეროსტრატეს ოცნება განხორციელდა, მან უკვდავება მოიპოვა[1].

არტემიდას ტაძრის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული სტრაბონს. დიდი გეოგრაფის გადმოცემით, „არტემიდას ტაძრის პირველი მშენებელი იყო ქერსიფრონი, შემდეგ სხვა პირმა იგი გააფართოვა. მას შემდეგ რაც ვინმე ჰეროსტრატემ დაწვა, მოქალაქეებმა სხვა უფრო ლამაზი აღმართეს. შეაგროვეს ამისათვის ქალის სამკაულები, შესწირეს საკუთარი ქონება და გაყიდეს ადრინდელი ტაძრის სვეტები. ამის დასტურს წარმოადგენს იმ დროს გამოცემული დადგენილება. არტემიდორის სიტყვებით, ტიმაიოს ტავრომენელი, რომელმაც არაფერი იცოდა ამ დადგენილების შესახებ და იყო შურიანი და მაბეზღარი (აქედან მისი ზედმეტსახელი ეპიტიმეემი – ცილისმწამებელი), ამტკიცებს, რომ ეფესელებმა ტაძარი აღადგინეს იმ ფულით, რომელიც სპარსელებისაგან ჰქონდათ გადაცემული შესანახად. მაგრამ მათთან იმ დროს არავითარი ფული არ ყოფილა, ხოლო თუ იქნებოდა, დაიწვებოდა ტაძართან ერთად. ხოლო ხანძრის შემდეგ, როდესაც სახურავი ჩამოინგრა, ვინ მოინდომებდა შეენახა ფული წმინდა გალავანში, ღია ცის ქვეშ? ალექსანდრემ, განაგრძობს არტემიდორი, აღუთქვა ეფესელებს გადაიხდიდა ყველა მომავალსა და ადრინდელ ხარჯებს იმ პირობით, რომ მისი სახელი აღენიშნათ წარწერით, მაგრამ ისინი არ დათანხმდნენ. არტემიდორი ქებით მოიხსენიებს იმ ეფესელს, რომელმაც მეფეს უთხრა, რომ არ შეშვენის ღმერთს ტაძრები აღუმართოს ღმერთებს“.

სტრაბონი არტემიდორზე დაყრდნობით აგრძელებს, ტაძრის დამთავრების შემდეგ პატივისცემის ნიშნად უამრავი საჩუქარი და სამკაული მიუძღვნეს საკურთხეველს. განსაკუთრებით დიდი იყო მხატვრების დამსახურება. საკურთხეველი გაალამაზა პრაქსიტელის ნახატებმა. მრავლად იყო მოქანდაკე ფრასონის ნაწარმოები, რომელსაც ეკუთვნის ჰეკატეს ქანდაკება, პენელოპას სანთლის ქანდაკება და „მოხუცი ევრიკლეა“.

არტემიდას ტაძარი ხელახლა ააგო არქიტექტორმა დინოხარემ.

---

1. „ჰეროსტრატეს დიდება“ ხატოვან გამოთქმად იქცა. ადამიანი, რომელიც შეეცდება ბოროტების ჩადენის გზით სახელის მოპოვებას, იტყვიან „ჰეროსტატეს დიდებით“ არის შეპყრობილიო.

ანტიკურ წყაროებში დინოხარე თავისი დროის უდიდეს ხუროთმოძღვრად არის მიჩნეული. სტრაბონისა და ვიტრუვიუსის გადმოცემით, მას ალექსანდრე მაკედონელისათვის შეუთავაზებია ათონის მთის განაშენიანების გეგმა, რასაც მეფე, გრანდიოზული მასშტაბების გამო, გაოცებაში მოუყვანია. იმავე ავტორებთან, დინოხარე იყო ალექსანდრიის მშენებელი. ვიტრუვიუსს საინტერესოდ აქვს აღწერილი ალექსანდრე მაკედონელისა და დინოხარეს პირველი შეხვედრა.

ახლად აგებული ტაძარი, ადრე არსებულზე ნაკლებ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

იგი თითქმის იმეორებდა ძველ ნაგებობას. ამავე დროს ტაძრის ფართობი ცოტათი დიდიც კი იყო. დინოხარემ არ უღალატა წინამორბედებს, მშენებლობაში მხოლოდ იონიური სტილი გამოიყენა. თუმცა აღნიშნულ ეპოქაში ბერძენი არქიტექტორები უპირატესობას კორინთულ ორდერს ანიჭებდნენ.

ბერძნულ ტაძარს კულტის სამსახურის გარდა სხვა დანიშნულებებიც ჰქონდა დაკისრებული. ტაძარი წარმოადგენდა ელინთა კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრს.

ტაძარი და მისი მიმდებარე ტერიტორია წმინდა ადგილად ითვლებოდა. ბერძნული კანონმდებლობით ნებისმიერი დამნაშავე, რომელიც ტაძარს თავს შეაფარებდა ხელუხლებელი ხდებოდა. ვიდრე იგი წმინდა ადგილს არ დატოვებდა, კანონით გათვალისწინებული სასჯელი მასზე არ ვრცელდებოდა. საკურთხევლის გარშემო ტერიტორიაც თავშესაფრის ფუნქციას ასრულებდა.

არტემიდას ტაძრის თავშესაფრის საზღვრები ხშირად იცვლებოდა. ალექსანდრე მაკედონელმა იგი ერთ სტადიონამდე გააფართოვა. მითრიდატე პონტოელმა ტაძრის სახურავიდან ნასროლი ისარი სანამდეც მიწვდა საკურთხეველის ტერიტორიად გამოაცხადა. ანტონიუსმა გაორმაგა მანძილი და თავშესაფრის საზღვრებში მოაქცია ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ ასეთი მოქმედება საზიანო აღმოჩნდა, რადგან ეფესოში დამნაშავეთა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი. ეს გაითვალისწინა ავგუსტუსმა და თავშესაფრის საზღვრები შეამცირა.

ტაძარი ასრულებდა მუზეუმის, ბანკის, არქივის როლს. ტაძარში ინახებოდა სახელმწიფო დოკუმენტები, კერძო პირთა ფული, ხელოვნების ძეგლთა ნიმუშები. ცნობილ ტაძრებში

არსებობდა სურათების გალერეა (ანტიკური ავტორები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ არტემიდას ტაძარში ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეთა მრავალი ქმნილება იყო გამოფენილი). ტაძარში, როგორც არქივში, სახელმწიფო დოკუმენტებთან ერთად ინახებოდა ცნობილ პირთა ხელნაწერები (ფილოსოფოსმა ჰერაკლიტემ თავისი ფილოსოფიური ნაშრომები შესანახად არტემიდას ტაძარს გადასცა). ასეთი მოქმედება მარტო ბერძნული სამყაროსათვის არ იყო დამახასიათებელი. მსგავსი ტრადიცია აღმოსავლეთის ქვეყნებშიც არსებობდა.

ტაძარში მიბარებული ქონების საიმედობას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. უპირველესი იყო თვით ღმერთის მფარველობა, რადგან მძარცველი ცხადდებოდა მკრეხელად, რაც ელინური კანონმდებლობით უმკაცრესად ისჯებოდა.

ეფესოს ტაძრის სიმდიდრე ცნობილი იყო არაბერძნულ სამყაროშიც. ამიტომ იგი უამრავ მტერს იზიდავდა. განსაკუთრებით მძიმე კვალი დატოვა გოთების შემოსევამ. ახ. წ. 263 წელს გოთებმა ეფესო აიღეს და ტაძარი მთლიანად გაძარცვეს.

არტემიდას ტაძარში სხვა საკურთხეველებისაგან განსხვავებული წესები არსებობდა. სტრაბონი წერს, რომ ტაძრის ქურუმებად იყენენ საჭურისები, რომლებსაც მუდამ სხვა ადგილებიდან იწვევდნენ და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. მისივე სიტყვებით, ტაძრის ქურუმებად იყენენ ქალიშვილებიც. ქურუმი ქალები მარტო ეფესოს ტაძარში არ ყოფილან. არტემიდას ყველა საკურთხეველში მრავლად იყენენ განსაკუთრებული ცხოვრების წესებს დამორჩილებული ქალები. პავსანიასს „ელადის აღწერაში" ასეთი ცნობა აქვს დაცული, „ორქომენის მხარეში, მთის ფერდობზე დგას არტემიდას ტაძარი... ტაძარში არიან ქურუმები და ქურუმი ქალები, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან სიწმინდე არა მარტო სქესობრივ ურთიერთობაში, არამედ ყველაფერში. არც ბანაობაში და არც ცხოვრების სხვა წესებში, ისინი არ გვანან დანარჩენ ადამიანებს. ქურუმი ქალები ცალკეულ პირთთა სახლებშიც კი არ შედიან. პავსანიასი აგრძელებს, „მე ვიცი ანალოგიური შემთხვევა, როდესაც მსგავს ცხოვრებას, მაგრამ მხოლოდ ერთი წლით, ატარებენ ეფესელებთან ისინი, რომლებიც ხდებიან არტემიდა ეფესელის გისტიატორებად (სტუმართა მიმღებად)". ანტიკურ

წყაროებში დაცული ცნობებით, არტემიდას კულტის სამსახური ქურუმ ქალთაგან განსაკუთრებულ თაყვანისცემას მოითხოვდა.

მცირე აზიაში არტემიდას კულტმა სერიოზული ცვლილებები განიცადა. შეიცვალა თვით ღვთაების გარეგნობა. ბერძნული პანთეონის ნადირობის ღვთაებას გამოსახავდნენ ახალგაზრდა ქალის სახით, მოკლე ხიტონით, მხარზე გადაკიდებული კაპარჭით, ფურ-ირემის თანხლებით. ჰელიკონის ბალებში მოსეირნე მომხიბვლელი ქალწული, მცირე აზიაში გადაიქცა ხანდაზმულ ქალად, მარჩენალ დედად, რომელსაც სხეულის დიდი ნაწილი ძუძუებით აქვს დაფარული. ნადირობისა და ცხოველთა მფარველი ოლიმპელი ქალღმერთი .შეერწყა ნაყოფიერების ადგილობრივ კულტს, რამაც გააფართოვა მისი ფუნქციები და შეუცვალა გარეგნობაც. მისი მუდმივი თანმხლები ფურ-ირემი შეცვალა შრომისმოყვარე ფუტკარმა.

არტემიდას კულტი იმდენად პოპულარული იყო, რომ ბევრ ბერძნულ ქალაქთა კალენდარში, პატივისცემის ნიშნად, ერთი თვე არტემისიონად იწოდებოდა[1].

ეფესო ბევრი გამოჩენილი ბერძენის მშობლიური ქალაქი იყო. ანტიკური ავტორების თანახმად, ეფესოს მკვიდრთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას ფილოსოფოსი ჰერაკლიტე წარმოადგენდა. იგი არისტოკრატიული ოჯახის შვილი იყო (გადმოცემით, სამეფო დინასტიის შთამომავალი). ჰერაკლიტე ვერ ურიგდებოდა ეფესოში არსებულ დემოკრატიულ წყობილებას, სახალხო ხელისუფლებისადმი მტრულ დამოკიდებულებას არ მალავდა და დემოკრატიისადმი თავისი სიძულვილი იმით გამოხატა, რომ ეფესო დატოვა და საცხოვრებლად მთებში წავიდა, სადაც ბალახებით იკვებებოდა. დიოგენე ლაერტის გადმოცემით, იგი ეფესელებს მოურიდებლად ლანძღავდა, რომ არ დააფასეს და ქალაქიდან განდევნეს მისი მეგობარი ჰერმოდორე. ჰერაკლიტე ამბობდა, „ახია ეფესელებზე, რომ მათთან უფროსები ამოწყდნენ, ხოლო ქალაქი უმწიფრებს დაუტოვეს, ვინაიდან განდევნეს ჰერმოდორე, საუკეთესო მათ შორის, ასეთი სიტყვებით: ჩვენს შორის არ იყოს კარგი, ხოლო თუ ასეთი არის, იყოს სხვებთან უცხო მხარეში“.

---

1. ბერძნული ტრადიცია ეფესოს დაარსებას და არტემიდას უძველესი ტაძრის აგებას ლეგენდარულ ამაზონებს მიაწერს.

სტრაბონიც ანალოგიურ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. ჰერმოდორეს გაძევებით გამოწვეული გულისწყრომა ჰერაკლიტეს ამ სიტყვებით გამოუხატავს: „ეფესელები ჩამოსახრჩობნი არიან, რომლებმაც განდევნეს ჰერმოდორე, ; ყველაზე სასარგებლო ადამიანი. ამბობდნენ: დე, ნუ იქნება ჩვენს შორის სასარგებლო. თუ ასეთი ადამიანი მოიძებნება, მაშინ, მან იცხოვროს სხვა ადგილას და სხვა ადამიანთა შორის".

ეფესელების თხოვნას, დახმარებოდა კანონების შედგენაში, ჰერაკლიტემ უარით უპასუხა, მიზეზად დაასახელა ის ფაქტი, რომ ქალაქი ცუდი მმართველობის ხელში იმყოფებოდა. კანონების შედგენის ნაცვლად ფილოსოფოსი წავიდა ბავშვებთან და კოჭის თამაშს შეუდგა. გარსშემორტყმული ეფესელებისათვის უპასუხია: „რა გიკვირთ უვარგისნო? განა უკეთესი არ არის ასე თამაში, ვიდრე თქვენი სახელმწიფოს მართვა?"

დემოკრატიის სიძულვილის გამო ჰერაკლიტე წერდა საოცრად რთულად, რომ მისი ნააზრევი ხალხს ვერ გაეგო. სტილის სირთულის გამო, ანტიკურმა სამყარომ მას ბნელი უწოდა. მისი ფილოსოფია სპეციალისტებისთვისაც ძნელად გასაგები იყო. დიოგენე ლაერტის ცნობით, ერთხელ დიდმა ტრაგიკოსმა ევრიპიდემ, სოკრატეს გადასცა ჰერაკლიტეს თხზულებები და თხოვა თავისი აზრი გამოეთქვა. სოკრატემ წაიკითხა და ევრიპიდეს ასეთი პასუხი მისცა: რაც გავიგე ბრწყინვალეა, რაც ვერ გავიგე, ალბათ უკეთესი". სოკრატეს აღტაცება ნათლად მიუთითებს ჰერაკლიტეს გენიის სიღრმეზე. იგი დაუმსახურებელ დითირამბებს ასე ადვილად არ იმეტებდა.

ჰერაკლიტესა და ჰერმოდორეს გარდა ბევრმა ეფესელმა დასტოვა მნიშვნელოვანი კვალი საერთო ბერძნულ კულტურაში. სტრაბონის გადმოცემით, ეფესელები იყვნენ: პოეტი ნიპონაკტი, მხატვრები აპელესი და პარასიოსი. ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე, ზედმეტსახელად ლამპარი, დიდაქტიკური პოემებისა და საისტორიო ნაშრომის ავტორი.

ეფესელი იყო ცნობილი გეოგრაფი არტემიდორი, რომლის ნაშრომებსაც ფართოდ იყენებდა სტრაბონი. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, განსაკუთრებით რომში ელჩობა, ისეთი შედეგებით დამთავრებულა, რომ ეფესელებმა დამსახურებისათვის არტემიდას ტაძარში ძეგლი დაუდგეს.

ვიტრუვიუსის თანახმად, ეფესის მკვიდრი იყო არტემიდას ტაძრის ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი პეანიოს ეფესელი.

ეფესიდან იყო ზენოდოტე, ცნობილი ფილოლოგი, ჰომეროსის პოემების კომენტატორი, ალექსანდრიის ბიბლიოთეკარი.

ეფესის კულტურის დონეს მნიშვნელოვნად განაპირობებდა ხელისუფლების მუდმივი ყურადღება. ახ.წ. II საუკუნის დასაწყისში ქალაქში არსებობდა საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა. მის სამკითხველო დარბაზს 180 კვ. მეტრი ეკავა. ეფესოში არსებული თეატრი 25 ათას მაყურებელს იტევდა.

რომაული ბატონობის პირველ საუკუნეებში ეფესო ძველ დიდებას ინარჩუნებდა. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, სტრაბონის თანამედროვე ეფესო აყვავებული ქალაქი იყო.

რომაელებმა არტემიდას თავიანთი ღვთაება დიანა გაუთანაბრეს და როგორც საკუთარ ღმერთს ისე სცემდნენ თაყვანს. რომაელებმა კარგად იცოდნენ მცირე აზიის მოსახლეობაში არტემიდას კულტის პოპულარობა, ამიტომ მისი პატივისცემით, დასაყრდენი ბაზის გამაგრებასაც ცდილობდნენ.

რომაელთა ხელში ეფესომ ახალი აღმავლობა განიცადა. არტემიდას ტაძარი აურაცხელი სიმდიდრის მფლობელი გახდა. რომის დიდკაცობა მოვალეობად თვლიდა საკურთხეველისათვის შესაწირავი მიერთმია.

ქრისტიანობის გავრცელებამ არტემიდას კულტის აღსასრული მოაახლოვა. მოსახლეობამ დაკარგა ძველი ღმერთებისადმი რწმენა. ცნობილია, როგორი დაუნდობლობით ებრძოდნენ პირველი მორწმუნენი წარმართული კულტურის კერებს. აპოკალიპსისი, ზოგიერთ ავტორთან საოცრებად მიჩნეულ პერგამოსის საკურთხეველს „სატანის ტახტს“ უწოდებდა. არტემიდას ტაძარიც ანალოგიურ რისხვას განიცდიდა.

არტემიდას თაყვანისმცემლები წინ აღუდგნენ ქრისტიანობას. ბრძოლის სურათი დაცულია ახალ აღთქმაში (მოციქულთა საქმე, თ. 19,23-40). პავლე მოციქულის ეფესოში შესვლამ და ქადაგებამ, მოსახლეობის მღელვარება გამოიწვია. „საქმე მოციქულთა“ მღელვარებას, საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად, ეფესოს მკვიდრთა მერკანტელური მიზნებით ხსნის. ამ მეტად საინტერესო ეპიზოდში კარგად ჩანს, რომ გარეგნული ბრწყინვალების

მიუხედავად, არტემიდას საკურთხეველს შერყეული აქვს საფუძველი. „საქმე .მოციქულთა“ ფაქტს ვრცლად გადმოგვცემს:

23. ხოლო იმ ხანად ატყდა დიდი შფოთი უფლის გზის გამო.

24. რადგან ვინმე დემეტრემ, ვერცხლისმჭედელმა, რომელიც აკეთებდა არტემიდეს ვერცხლის ტაძრებს, და დიდ მოგებას აძლევდა ხელოსნებს.

25. შეკრიბა ისინი და სხვა მათნაირი ხელოსნები, და თქვა: კაცნო, ხომ იცით, რომ ამ ხელობაზეა დამოკიდებული ჩვენი კეთილდღეობა.

26. იმასაც ხედავთ და ისმენთ, რომ არა მარტო ეფესოში, არამედ თითქმის მთელ ასიაში ამ ვიღაც პავლემ თავისი შეგონებით გადარია ამდენი ხალხი. ასე ამბობს: ხელით ქმნილნი ღმერთები არ არიანო.

27. ეს კი იმას გვიქადის, რომ არა მარტო ჩვენი ხელობა გახდება აბუჩად ასაგდები, არამედ დიდი ქალღმერთის არტემიდეს ტაძარიც არარად შეირაცხება, და დაემხობა დიდება მისი, ვისაც თაყვანს სცემს ასია და მთელი ქვეყანა.

28. ეს რომ მოისმინეს, რისხვით აღივსნენ და ყვირილი მორთეს: დიდია ეფესელთა არტემიდე!

29. და მთელი ქალაქი მღელვარებამ მოიცვა. ყველამ ერთსულოვნად მიაშურა თეატრს და ძალით გაიტაცეს მაკედონელები გაიუსი და არისტარქე, პავლეს თანამგზავრნი.

30. ხოლო პავლეს უნდოდა ხალხს შერეოდა, მაგრამ მოწაფეებმა არ დაანებეს.

31. ასიის ზოგიერთმა მთავარმაც, რომლებიც მისი მეგობრები იყვნენ, კაცი გაუგზავნა და სთხოვა მას, თეატრში ნუ გამოჩნდებიო.

32. ხოლო ამასობაში ერთნი ერთს .გაჰყვიროდნენ, მეორენი კი მეორეს, ვინაიდან კრება უთავბოლო იყო, და უმრავლესობამ არც იცოდა, რად შეიყარნენ.

33. იუდეველთა მოთხოვნით ბრბოდან გამოიყვანეს ალექსანდრე, რომელმაც ხელი ასწია სიჩუმის ნიშნად, და უნდოდა დამცველად გამოსულიყო ხალხის წინაშე.

34. მაგრამ როდესაც გაიგეს, იუდეველიაო, ყველა ერთხმად აყვირდა, და, ასე, ორ საათს ყვიროდნენ: დიდია ეფესელთა არტემიდე?

35. მწიგნობარმა დააცხრო ხალხი და თქვა: კაცნო ეფესელნო, ვინ არ იცის, რომ ეფესელთა ქალაქი დიდი ქალღმერთის არტემიდეს ტაძრისა და დიოპეტეს მსახურია?

36. ხოლო თუ ეს უდავოა, მოვალენი ხართ დამშვიდდეთ, და არაფერი ქმნათ წინდაუხედავად.

37. თქვენ კი მოიყვანეთ ეს ხალხი, რომელსაც არც ტაძარი განუძარცვავს და არც თქვენი ქალღმერთი უგმია.

38. ხოლო თუ დემეტრესა და მის თანამოსაქმეებს სურთ ვინმეს უჩივლონ, სამსჯავროც გვაქვს და მსაჯულებიც გვყანან. ადგნენ და უჩივლონ ერთმანეთს.

39. მაგრამ თუ სხვას რამეს დაეძებთ, ეს უფლებამოსილმა თავყრილობამ უნდა გადაწყვიტოს.

40. ვინაიდან საფრთხე გვემუქრება, რომ ბრალს დაგვდებენ დღევანდელი არეულობის გამო, რადგანაც ვერავითარი საბაბით ვერ გავამართლებთ ამ თავყრილობას. ეს თქვა და დაითხოვა კრებული.

მღელვარება დამთავრდა. პავლემ დაარიგა თავისი მოწაფეები, დაემშვიდობა და მაკედონიაში წავიდა.

ვერცხლისმჭედელმა დემეტრემ საოცრად უსუსური არგუმენტებით დაიწყო, მაგრამ სწრაფად გადავიდა მღელვარების მთავარ მიზეზებზე. მისი სიტყვებით პავლეს მოძღვრება არარაობად აქცევს არტემიდას ტაძარს და დაემხობა დიდება მისი, ვისაც თაყვანს სცემს ასია და მთელი ქვეყანა. ნუთუ ეფესოში, სხვა არავინ გამოჩნდა არტემიდას დამცველი ხელოსან დემეტრეს გარდა? სად იყვნენ კულტის მსახურები, რომელთაც ევალებოდათ არტემიდას დაცვა? კითხვას „მოციქულთა საქმე“ პასუხობს. მხედველობაში გვაქვს მწიგნობრის შეგონება: ეფესელნო, ჩვენ სამსჯავროს წინაშე დავაყენეთ ხალხი, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ. ვარღვევთ კანონს, რისთვისაც გვემუქრება პასუხისგება.

მწიგნობრის სიტყვებში ჩანს, რომ პავლეს ქადაგება არ იყო გამომწვევი, არ დაპირისპირებია არტემიდას. მან მსმენელები მიიზიდა იმ ამაღლებული იდეების სიახლით, რომლითაც განსხვავდებოდა ქრისტიანობა წარმართობისაგან. ქურუმები გრძობდნენ რაოდენ ძლიერი მოძღვრება დაუპირისპირდა მათ მაღალფარდოვან მოძველებულ დოგმებს. არტემიდას მსახურებს ხალხზე ზემოქმედებისა

და დარწმუნების ყოველგვარი არსენალი ამოწურული ჰქონდათ. ღმერთის გაგების ახალი იდეა ადვილად იკვლევდა გზას. ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები აშკარად არ უტევდნენ და საბაბს არ იძლეოდნენ (მრავლისმეტყველია მწიგნობრის სიტყვები, რას ერჩით ამ უდანაშაულო ხალხს), წარმართული ტაძრის ქურუმებს კი მორწმუნენი ხელიდან ეცლებოდათ. საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება.

დემეტრეს გამოსვლა არტემიდას ტაძრის ქურუმთა მიერ იყო ინსპირირებული. ხელოსნები და უბრალო ხალხი ბრბოს როლში გამოდიოდა.

ქრისტიანობას მხარდამჭერნი ქალაქის გაბატონებულ ფენებშიც ჰყოლია. ამაზე მეტყველებს ადგილობრივ წარჩინებულთა თხოვნა პაველსადმი, თეატრში ნუ გამოჩნდებიო. გარკვეული სიმპატიები შეიმჩნევა მწიგნობრის სიტყვებშიც, რომელმაც ლოგიკური არგუმენტაციით მოახერხა მღელვარე ხალხის დამშვიდება.

„დიდია ეფესელთა არტემიდე!“ ამ სიტყვებით გამოხატეს არტემიდას თაყვანისმცემლებმა ქალღმერთის სიძლიერე. მაგრამ ეს იყო ეპოქა მისი აღსასრულის მოახლოების მაუწყებელი. ახ. წ. III საუკუნეში (263 წელს) არტემიდას ტაძარი გუთებმა გადაწვეს. საოცარი საკურთხევლის დიდება დაიფერფლა და დავიწყებას მიეცა.

ბიზანტიურ ეპოქაში ტაძრის ძვირფას მარმარილოს სხვა შენობების ასაგებად იყენებდნენ. ახალი პერიოდის არქეოლოგებს, ოდესღაც საოცრებად მიჩნეული ტაძრიდან, მდინარე კოისტრას მიერ დაფარული ფუნდამენტის გარდა არაფერი დახვედრიათ.

არტემიდას ტაძრის ფუნქციების დაკარგვამ პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა ეფესოს, როგორც ქალაქის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. არტემიდას საკურთხევლის გაუდაბურებამ, ეფესოსაც დავიწყების მტვერი გადააფარა. მან სხვა იონიური ქალაქების მსგავსად პირველი დარტყმა ბიზანტიისაგან მიიღო, ხოლო თურქთა გამოჩენამ საბოლოოდ გაასწორა მიწასთან.

ანტიკურობის შესანიშნავი ქმნილება, ქერსიფრონის გენიის შედეგი უკვალოდ არ წაშლილა. მან სათავე დაუდო არქიტექტურის

ორიგინალურ ორდერს, რომელმაც გავლენა მოახდინა მომდევნო ეპოქების ხუროთმოძღვრებაზე.

ძველი ბერძნული ხუროთმოძღვრების დიდება გარეშე თუ შინაურ მტერთა თავდასხმებმა ნანგრევებად აქცია. ისეთ ნანგრევებად, რომლის მიკვლევაც ძლივს მოხერხდა.

არტემიდას ტაძარი დრომ წაშალა, მაგრამ ისტორიას შემორჩა ანტიკური ავტორების აღწერილი ღვთაებრივი სილამაზე, რომელმაც აიძულა მრისხანე კლიო დაეიწყებისათვის არ დაენებებინა ბერძნული გენიის ერთ-ერთი შედევრი.

ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება

ღმერთებისა და ადამიანთა მოდგმის მამა ზევსი, ბერძნული პანთეონის უზენაესი ღვთაება იყო. თესალიაში აღმართული ოლიმპოს მთიდან განაგებდა იგი ღმერთების საქმიანობას და სამყაროს ბედ-იღბალს.

ელინთა წარმოდგენით, ზევსი ძლიერი აღნაგობის წვეროსანი ვაჟკაცი იყო. ზევსის საკულტო ცხოველებად ითვლებოდა არწივი და ხარი, მუდმივ ატრიბუტებად ეგიდა და კვერთხი. ჰომეროსის განმარტებით, ეგიდა იყო ჰეფესტოს გამოჭედილი ფარი. ზევსის ხელში ეგიდის გარხევა ნიშნავდა ღმერთის რისხვას და მოწინააღმდეგეზე მეხის დატეხას. ჰომეროსის მომდევნო პერიოდში ეგიდა გახდა ფარზე გადაკრული თხის ტყავი, გორგონა მედუზას თავით. მისი დანიშნულება იყო ზევსის დაცვა მტრების ისრებისაგან. ეგიდას ზოგჯერ ზევსის შვილები ათენა და აპოლონიც ატარებდნენ.

ეგიდაზე ღვთაებრივი ნიშნების მიწერა შემთხვევით არ მომხდარა. მითის თანახმად, ზევსი იყო კრონოსის შვილი. უზენაესმა ღვთაებამ კრონოსმა წინასწარმეტყველებით იცოდა, რომ ძალაუფლებას საკუთარი შვილი წაართმევდა. ამიტომ მისი მეუღლე რეა, იმშობიარებდა თუ არა, კრონოსი ჩვილს მაშინვე ყლაპავდა. როცა ზევსი დაიბადა. რეამ ბავშვი დამალა, ხოლო მეუღლეს ჩვრებში შეხვეული ქვა მიაწოდა. რეას ქურუმებმა, კურეტებმა, იკისრეს ჩვილის აღზრდა. ისინი ბავშვის ტირილზე იარაღს აჟღარუნებდნენ, რომ კრონოსს ხმა არ გაეგონა. პატარა ზევსს თხა ამალთეას რძით კვებავდნენ. ამის გამო დაეკისრა თხის ტყავს ღმერთის დაცვის ფუნქცია.

ზევსი კრონოსისაგან ფარულად გაიზარდა. როდესაც დაავაჟკაცდა გამოეცხადა მამას და შეებრძოლა. წინასწარმეტყველება ახდა. ზევსმა ძლია მამას, გადაყლაპული ნაშიერები უკანვე გადმოანთხევინა და დამარცხებული მიწისქვეშა სამყაროში ჩააგდო.

გამარჯვებულმა ზევსმა მამის სამფლობელო სამად გაჰყო. ზღვები და ოკეანეების გამგებლობა გადასცა პოსეიდონს, ქვესკნელი ჰადესს, ხოლო თავისთვის ამქვეყნიური სამყარო დაიტოვა.

ზევსის მეუღლე გახდა ჰერა, მისივე უფროსი და, რომელიც ოლიმპოს დედოფლად გამოცხადდა.

მითოლოგიით, ოლიმპოზე ბინადრობდნენ კრონიდები (კრონოსის შვილები) და ზევსის შვილები. კრონიდები იყვნენ: ზევსი, პოსეიდონი – ზღვის ღმერთი, ჰადესი – ქვესკნელის ღმერთი, ჰერა – ქორწინებისა და ცოლქმრული სიყვარულის ქალღმერთი, დემეტრე – მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, ჰესტია – ანთებული ცეცხლისა და კერიის მფარველი. ზევსის შვილები: ათენა – სიბრძნის, მშვიდობიანი შრომის, ხელოვნების მფარველი ქალღმერთი, აფროდიტე – სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი, არტემიდა – ცხოველების, მცენარეებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი, აპოლონი – ხელოვნების მფარველი ღვთაება, ჰეფესტო-მჭედლობის ღმერთი, არესი – ომის ღმერთი. ოლიმპიელებს მიეკუთვნებიან მაცნე ღმერთები: ჰერმესი – ბუნების ყოვლისშემძლე ძალთა ღმერთი და ირიდა (ირისი) – ცისარტყელას ქალღმერთი. ოლიმპოს მკვიდრები იყვნენ აგრეთვე თემიდა – მართლმსაჯულების ქალღმერთი და ჰებე – სიყმაწვილის ქალღმერთი.

ოლიმპოზე არ ცხოვრობდნენ, მაგრამ დიდად პოპულარულნი იყვნენ: დიონისე – მცენარეულობისა და მევენახეობის ღმერთი და ჰელიოსი – მზის ღმერთი.

იმის მიუხედავად, რომ ყველა ღმერთს მბრძანებლობის თავისი სფერო ჰქონდა, ყველას საქმიანობას ზევსი განაგებდა.

ზევსი მრისხანე და მშვიდი, კეთილი და ბოროტი, სამართლიანობის მცველი, თავად უსამართლო, ასე ჩამოყალიბდა ელინთა ფანტაზიაში მიწისა და ზეცის გამგებელი.

ოლიმპოს ღმერთების გარდა ზევსის შვილები იყვნენ: მოირები (თემიდასაგან), მუზები (მნემოსინესაგან), ჰერაკლე, დიოსკურები, ქარიტები და სხვ. საერთოდ ზევსის ნაშიერთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ძნელია, რადგან მრავალრიცხოვან ქალღმერთთა გარდა, ცხოვრობდა უამრავ მოკვდავ ქალთანაც. შეუღლების შედეგად იბადებოდნენ ღმერთები, დევ-გმირები, კეთილი და ბოროტი არსებანი, რომლებიც ხშირად მამის ნებას ბოლომდე არ ემორჩილებოდნენ.

ზევსის სახეში გაერთიანდა გვაროვნული წყობილების დროინდელი ბერძენი ტომების მრავალ ღვთაებათა ნიშნები. მისი ძლიერების

ყველაზე დიდი გამოვლინება იყო ციური მოვლენების საკუთარი სურვილისამებრ წარმართვა. ზევსის მთავარ იარაღს წარმოადგენდა ელვა და ჭექა-ქუხილი. ეგიდის გარხევისას წარმოიქმნებოდა წვიმა და ქარი. მოწინააღმდეგეს ზევსი მეხს ტყორცნიდა. ამის გამო მისი ეპითეტი მეხთამტყორცნელი გახდა. ზევსის ნებას ემორჩილებოდნენ ღმერთებიც და ადამიანებიც. ზევსი განსაზღვრავდა კეთილისა და ბოროტის მოქმედებას. მის პირველ შემქმნელებს იგი წარმოდგენილი ჰყავდათ მოირების – შურისძიების ქალღმერთების მბრძანებლადაც. ზევსი ყოველივე საზოგადოებრივი წესრიგის დამკანონებელიც იყო. მისი წყალობით ფლობდნენ ადამიანები კანონებს, ხოლო მეფეები სამეფო ხელისუფლებას.

ასეთი უფლებებით მოსილ ღვთაებას ელინები განსაკუთრებული მოწიწებით სცემდნენ თაყვანს. აიდეალებდნენ მის სიბრძნესა და შეუპოვრობას. ამავე დროს სხვების საქმიანობის შემზღუდავი ზევსი საკუთარ მოქმედებაში სრულ თავისუფლებას იჩენდა. ზოგჯერ საკმაოდ ქარაფშუტულად იქცეოდა და უკანონოდაც განაგებდა ქვეშევრდომთა საქმეებს. მისთვის უცხო არ იყო ადამიანური სისუსტეებიც. ღმერთზე ასეთი ნიშნების მიწერით, მისმა შემქმნელებმა თავიანთი საქმიანობის სუსტ ადგილს გაუსვეს ხაზი და გაამაგრეს. რადგან მსგავსი გადახრებით უბრალო მოკვდავები კი არა, ოლიმპოს მბრძანებელიც არ იყო დაზღვეული. ამიტომაც ზევსი, გარეგნულად სიბრძნისა და სიდინჯის განსახიერება, მარად შეყვარებული ჭაბუკია, რომელსაც არ აკმაყოფილებდა ქალღმერთთა ტრფიალი და ხშირად მოკვდავებსაც ეცილებოდა ისედაც ხანმოკლე ცხოვრებით ტკბობაში.

ზევსის კულტის ჩამოყალიბება მიკენის ძლიერების ეპოქაში მოხდა. მიკენის მპყრობელებმა მბრძანებლის სახის გამოკვეთით, თავიანთი ხელისუფლების შეუვალობა და ხელქვეითებზე მსგავსიე ბატონობა განისაზღვრეს. მათი აზრით, როგორც ზევსი განაგებდა ქვეშევრდომთა ბედ-იღბალს, ასევე შეუვალნი უნდა იყვნენ ისინიც.

ზევსი ძველ ბერძენ პოეტთა და ხელოვანთა შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. მისი სახის გამოხატვაში ერთმანეთს

ეჯიბრებოდნენ ელადის გამოჩენილი მხატვრები და მოქანდაკენი. უზენაეს ღვთაებას უმღეროდნენ პოეტები, უგებდნენ ტაძრებს.

უზენაესი ღვთაების თაყვანისცემის მრავალ საკურთხეველთა შორის განსაკუთრებული დიდებულებით გამოირჩეოდა ელიდაში, ოლიმპიის ველზე არსებული ტაძარი. დროთა განმავლობაში ოლიმპია გადაიქცა არა მარტო ზევსის თაყვანისცემის ცენტრად, არამედ ბერძნული სამყაროს ძალისა და სილამაზის ასპარეზადაც.

ზევსის ტაძარი ამართული იყო ქალაქ პისის მახლობლად, სადაც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ღმერთისადმი მიძღვნილი ზეიმი და სპორტული შეჯიბრებანი. შეჯიბრებები ეწყობოდა ოლიმპიის ველზე, ამის გამო შეხვედრებმა ოლიმპიური თამაშების სახელწოდება მიიღო. იმდენად ყოვლისმომცველი გახდა ოლიმპიური თამაშები, რომ დროთა განმავლობაში, საერთო ბერძნულ დღესასწაულად გადაიქცა და საფუძვლად დაედო ბერძნულ კალენდარს. ძვ. წ. III საუკუნის შუა ხანებიდან ელინები თავიანთ წელთაღრიცხვას ოლიმპიადების მიხედვით ანგარიშობდნენ. ოლიმპიური დღესასწაულების დასაწყისად მიჩნეულია ძვ. წ. 776 წელი.

ოლიმპიაში დღესასწაულების გამართვის, ოლიმპოს ღმერთების თაყვანისცემისა და მათ საპატივცემულოდ სპორტული თამაშების დაწესებას მითოლოგია ასულდგმულებს. ლეგენდის ერთი ვარიანტი მოგვითხრობს, ლიდიიდან გადმოხვეწილი პელოპსი დამკვიდრდა ნახევარკუნძულზე, რომელსაც მისი სახელის მიხედვით, პელოპონესი ეწოდა. ერთხელ პელოპსმა იხილა ქ. პისის მეფის ოინომაიოსის ასული ჰიპოდამია. იგი მოიხიბლა ქალის სილამაზით და გადაწყვიტა მისი ცოლად შერთვა. მაგრამ განზრახვა ძნელი შესასრულებული აღმოჩნდა, რადგან მამა მის გათხოვებას არ აპირებდა. ამის მიზეზი იყო ორაკულის წინასწარმეტყველება: შენი ასულის ქმრის ხელით დაიღუპებიო. ბევრი ახალგაზრდა მიდიოდა ოინომაიოსთან ქალიშვილის ხელის სათხოვნელად, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. ბოლოს, სასიძოთა თავიდან მოსაშორებლად გამოაცხადა: ჰიპოდამიას მეუღლე გახდება ის, ვინც ეტლით რბოლაში დამამარცხებსო. პირობა ითვალისწინებდა დამარცხებულის სიკვდილს. ოინომაიოსს საუკეთესო ცხენები ჰყავდა და ეტლის მართვაშიც შეუდარებელი იყო. მკაცრი პირობები ვერ აკავებდა ჰიპოდამიას სილამაზით დატყვევებულ

ბერძენ ჭაბუკებს. ბევრი სახელოვანი ახალგაზრდა შეეწირა ოინომაიოსთან ჭიდილს. პისის მრისხანე მეფე დამარცხებულთა მოკვეთილ თავებს სასახლის კარებზე ჰკიდებდა, რომ მოძალებული სასიძოებისათვის ეჩვენებინა, რა ბედი ელოდა მათ გაუფრთხილებლობას.

ოინომაიოსის შეჯიბრების პირობა ასეთი იყო: რბოლა უნდა დაეწყოთ პისიდან, შერკინების ბოლო წერტილს წარმოადგენდა პოსეიდონის ტაძარი, ისთმოს ყელზე. მეფე სასიძოს ადრე წასვლის უფლებას აძლევდა. თვითონ გვიან გაუდგებოდა გზას და წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, უფლება ჰქონდა სადაც წამოეწეოდა ზურგში ჩასცემდა შუბს.

პელოპსი ვერ შეაშინა წინამორბედთა ბედმა. გამოცხადდა ოინომაიოსთან და თავისი გადაწყვეტილება მტკიცედ გააცნო. იგი დარწმუნებული იყო, რომ თუ ეშმაკობას არ იხმარდა შეჯიბრების მსხვერპლი გახდებოდა. მან ურიცხვი საჩუქრებით მოისყიდა ოინომაიოსის მსახური, რომელსაც ეტლის გამართვა ევალებოდა, ეტლის ღერძში ჭალიბი არ ჩაესვა.

დაიწყო სიკვდილთან თამაში. ოინომაიოსმა შეჯიბრებაში გვიან ჩაბმის მიუხედავად, მაინც შეძლო წამოწევა, შუბიც კი შემართა, რომ გაუფრთხილებელი ახალგაზრდა ჰადესის საუფლოში გაეგზავნა, მაგრამ ამ დროს მეფის ეტლს ბორბლები დასძვრა. ქარზე უსწრაფესად მქროლავი ეტლი გადაბრუნდა და მეფე ქვეშ მოიყოლა. ოინომაიოსი დაიღუპა. გამარჯვებული პელოპსი დაბრუნდა პისაში, დაქორწინდა ჰიპოდამიაზე და ოინომაიოსის სამეფოს დაეპატრონა. თავისი გამარჯვება პელოპსმა ოლიმპიაში თამაშების გამართვით აღნიშნა.

პლუტარქესთან დაცული ვერსიით, ოლიმპიური თამაშები დააწესა ჰერაკლემ. იგი მოგვითხრობს, ევრისთევსმა ჰერაკლეს დაავალა აუგიასის თაღლის გაწმენდა. გმირმა დავალება შეასრულა, მაგრამ აუგიასმა გასამჯელო არ გადაუხადა. გაბრაზებული ჰერაკლე „რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თავი დაიხსნა ევრისთევსის სამსახურიდან, დიდძალი ჯარით მის სამფლობელოში შეიჭრა, სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაამარცხა აუგიასი და თავისი მომაკვდინებელი ისრით სიცოცხლეს გამოასალმა. გამარჯვების შემდეგ შეკრიბა ჯარი, ქალაქ პისასთან თავი მოუყარა მდიდარ ალაფს, მსხვერპლი შესწირა ოლიმპოს ღმერთებს და დასაბამი

მისცა ოლიმპიურ ასპარეზობებს, რასაც ამიერიდან მთელ საბერძნეთში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მართავდნენ იმ წმინდა ველზე, სადაც თვით ჰერაკლემ თავისი ხელით მოაშენა ათენა-პალადასადმი მიძღვნილი ზეთისხილის ხეები".

ერთი ვერსიითაც ოლიმპიურ ასპარეზობებს სათავე დაუდო ზევსმა, თავის მამაზე, კრონოსზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ასეთია ტრადიციის მითოლოგიური მხარე. ამის გარდა ელინები შეეცადნენ ოლიმპიური თამაშების ჩასახვა ისტორიული აუცილებლობით აეხსნათ და მის წამოწყებაში რეალური პირები ჩაერთოთ. თუმცა ლეგენდებს მაინც ვერ დააღწიეს თავი.

აღნიშნული ტრადიციით, ოლიმპიური ასპარეზობის საერთო ბერძნულ დღესასწაულად გადაქცევა სპარტის ნახევრად ლეგენდარული რეფორმატორის ლიკურგეს სახელს დაუკავშირეს. პლუტარქეს გადმოცემით, „სამშობლოდან მოგზაურობის დროს იგი შემთხვევით დაესწრო ოლიმპიაში გამართულ ზეიმს და იჯდა იქ, როგორც უბრალო მაყურებელი. უცებ ზურგს უკან თითქოს ადამიანის ხმა მოესმა, განცვიფრებითა და საყვედურებით აღსავსე: რატომ არ აიძულებ შენს მოქალაქეებს მონაწილეობა მიიღონ ამ ზეიმში! ლიკურგე შემობრუნდა, მაგრამ რაკი ამის მთქმელი ვერ დაინახა, იფიქრა: ალბათ ღვთის ხმა იყოო. ამის შემდეგ დაუკავშირდა იფეტეს და მასთან ერთად ოლიმპიური დღეობა უფრო სახელოვანი და დიდებული გახადა".

ოლიმპიური თამაშები საბერძნეთის ყველაზე მნიშვნელოვან დღესასწაულს წარმოადგენდა, რომელშიც გაერთიანებული იყო, რელიგიური ცერემონიალების სიმკაცრე ადამიანის სხეულისა და სულის სილამაზესთან. ოლიმპიაში ერთმანეთის გვერდით სრულდებოდა რელიგიური რიტუალები და სპორტული შეჯიბრებები. იმართებოდა საერთო ბერძნული ზეიმები.

დღესასწაულები, რომლებშიც შეერთებული იყო რელიგიური, სპორტული, თუ სხვა სახის სანახაობანი საბერძნეთში ბევრი იყო. მაგ. ფოკიდაში, დელფოს სამისნოსთან, იმართებოდა აპოლონისადმი მიძღვნილი საერთო ბერძნული ზეიმი, რომელსაც პითიები ეწოდებოდა[1].

სპორტსმენებს გარდა პითიური თამაშების დროს ერთმანეთს

---

1. იმ ადგილას, სადაც მითის თანახმად, აპოლონმა მოკლა ურჩხული პითონი.

ეჯიბრებოდნენ პოეტები და მომღერლები. იმართებოდა ორ წელიწადში ერთხელ. გამარჯვებულს აჯილდოვებდნენ დაფნის გვირგვინით.

ისთმიები – პოსეიდონის სადიდებლად გამართული ზეიმები ისთმოსში, კორინთოს ყელზე. იმართებოდა სამ წელიწადში ერთხელ. გამარჯვებული ჯილდოვდებოდა ფიჭვისა და პალმის გვირგვინით, პანათენეები – ათენას კულტთან დაკავშირებული დღესასწაულები, იმართებოდა ათენში. პანათენეები წარმოადგენდა სპორტისა და ხელოვნების ზეიმს. იმართებოდა ყოველ მეოთხე წელს. გამარჯვებულის ჯილდო იყო ზეთისხილის გვირგვინი. დიონისიები – თავდაპირველად დაიწყო ატიკაში, ხოლო შემდეგ მთელ ბერძნულ სამყაროში გავრცელდა. დიონისიების პროგრამაში სპორტული ღონისძიებანი არ შედიოდა. დიონისეს დღესასწაულზე მთავარი ყურადღება ექცეოდა თეატრალურ წარმოდგენებს, სიმღერებს და სხვა გასართობ ღონისძიებებს. იმართებოდა წელიწადში ოთხჯერ. მთავარი იყო ელაფებიონის თვეში (მარტ-აპრილი) გამართული ზეიმი, რომელსაც დიდი დიონისიები ეწოდებოდა. დღესასწაული მთელი კვირა გრძელდებოდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში, არავის ახდევინებდნენ ვალს, პატიმრებს თავდებობით უშვებდნენ, არავის არ აპატიმრებდნენ, რომ ყველას ჰქონოდა შესაძლებლობა ზეიმში მონაწილეობისა. დიონისიების ცენტრალურ მოვლენად გადაიქცა თეატრალური წარმოდგენები.

ბერძნები აწყობდნენ თეზეურ (თეზევსისადმი მიძღვნილ), ლიკეურ და სხვ. თამაშებს.

აღნიშნულ დღესასწაულთა შორის თავისი მნიშვნელობით ყველას აღემატებოდა ოლიმპიური ასპარეზობები. მის საყოველთაო პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბერძნებმა თავიანთი წელთაღრიცხვის დაწყება ოლიმპიადებიხ გამართვას დაუკავშირეს.

ოლიმპიური ასპარეზობის წელი მშვიდობის ქადაგებით იწყებოდა. წლის დადგომისთანავე სამი სპონდოფორი (მქადაგებელი) შეუდგებოდა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებსა და კოლონიებში მოგზაურობას. მათი ამოცანა იყო ელინთა მიწვევა ოლიმპიურ თამაშებზე და ეკეხერიის (დროებითი ზავის) გამოცხადება.

ოლიმპიადის თვე წმინდა თვედ ცხადდებოდა. ეკეხერიის

გამოცხადებისთანავე საომარი მოქმედება დროებით წყდებოდა. უცხოელები ელიდის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე ვალდებული იყვნენ იარაღი ჩაებარებინათ.

ოლიმპიური თამაშების დროს, თუ ვინმე თავს დაესხმებოდა ელიდას, ან არ დაეხმარებოდა ელიდელებს დღესასწაულის ჩატარების დროს, ემუქრებოდა ღმერთების წყევლა. დროებითი ზავის დამრღვევნი ჯარიმდებოდნენ, თითოეულ მეომარზე ორი მინით. წყევლა და ჯარიმა ვრცელდებოდა ყველაზე, ვინც წინ გადაუდგებოდა ოლიმპიისაკენ მიმავალ მგზავრს. ეკეხერიის გამოცხადებისთანავე ოლიმპიისაკენ მიმავალი გზები უშიშარი ხდებოდა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ: მონებს, უცხოელებს, სასჯელმოხდილ ბერძნებს, ამორალურ და უწესო საქმეთა ჩამდენთ.

ოლიმპიადის წესდების დამრღვევს შეჯიბრებაში მონაწილეობისა და მსხვერპლის შეწირვის უფლება ერთმეოდა. ოლიმპიური თამაშების დღეებში მთელს ელადაში მშვიდობა უნდა ყოფილიყო[1].

შეჯიბრების მონაწილე ვალდებული იყო ადრე ჩაწერილიყო სიაში. განსაზღვრულ ვადებში გაევლო ოცდაათდღიანი წვრთნა ელიდის გიმნასიონში და ფიცი დაედო, რომ არის მოქალაქე და დაიცავს შეჯიბრების ყველა წესს. დაგვიანებულებს თამაშებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ.

ასპარეზობის დროს დაშვებული იყო ბრძოლის ნამდვილი ნორმები, მაგრამ იკრძალებოდა მოწინააღმდეგის მოკვლა და უკანონო საშუალებების გამოყენება. ვინც მსაჯების მოსყიდვას შეეცდებოდა, ისჯებოდა მათრახის ცემით. მკაცრად იყო აკრძალული აგრეთვე მსაჯებთან კამათი.

თამაშებს სჯიდნენ სპორტის საკითხებში კარგად გარკვეული ელიდის მოქალაქენი, რომელთაც ელენოდიკებს – ბერძენ მოსამართლეებს უწოდებდნენ. მათი რაოდენობა იცვლებოდა, საბოლოოდ დაკანონდა ათი კაცი.

ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებამდე ოლიმპიურ თამაშებში

---

1. პელოპონესის ომის პერიოდშიც დროებითი ზავი ცხადდებოდა და ბერძნები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მახვილით იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, მშვიდობიან შეჯიბრებაზე გადაერთვებოდნენ. ეკეხერია საოცარი მოწოდება იყო მშვიდობის სადიდებლად, რომელიც დროებით ახერხებდა არესის დამშვიდებას.

ძირითადად სპარტელები იმარჯვებდნენ, მაგრამ სამხედრო წვრთნაზე ყურადღების გამახვილებამ. ისინი ოლიმპიურ თამაშებს ჩამოაშორა. უპირატესობა ათენელების ხელში გადავიდა. ოლიმპიურ თამაშებში აქტიურად ჩაებნენ კოლონისტებიც. ეკეხერია მთელ ბერძნულ სამყაროზე გავრცელდა.

კლასიკური ხანიდან მოყოლებული, დღესასწაული 5 დღე გრძელდებოდა. პირველი და მეხუთე დღე ეთმობოდა საზეიმო პროცესიას, მსხვერპლის შეწირვას და კულტთან დაკავშირებულ ცერემონიებს. დანარჩენი სამი დღე ტარდებოდა სპორტული ასპარეზობები.

ოლიმპია საბერძნეთის უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი იყო. იგი არ წარმოადგენდა ქალაქს. მის მუდმივ მცხოვრებლებს მხოლოდ კულტის მსახურები შეადგენდნენ. წმინდა ალტისის ეელზე აღმართული ტაძრები და ქანდაკებები ელინებში განსაკუთრებულ თაყვანისცემასა და მოწიწებას იწვევდა.

ოლიმპიის რელიგიურ-სპორტული ანსამბლის ცენტრში იყო ზევსის ტაძარი, ხოლო მის გარშემო სხვა საკულტო და სპორტული ნაგებობანი: ჰერაიონი (ჰერას ტაძარი), პელოპიონი (მითიური პელოპსის საკურთხეველი), ფილიპეიონი (ფილიპე II წრიული ტაძარი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა დაასრულა), მეტროონი (ღმერთების დედის ტაძარი), პრიტანეიონი, ბულევტერიონი, ჰეროდე ატიკუსის ექსედრა (უზარმაზარი გადახურული გალერეა), გიმნასიონი, პალესტრა, ეხოს გალერეა, სტადიონი, ლეონიდეონი (ლეონიდე ნაკსოსელის მიერ აგებული ყველაზე დიდი შენობა ოლიმპიაში), თეოკოლეონი (უმაღლესი ქურუმის სახლი), ნიმფაიონი (ნიმფების ტაძარი), იპოდრომი, საგანძური, ფიდიასის სახელოსნო, ბერძნული აბანო, რომაული აბანო, რომაული სასტუმრო, საცურაო აუზი.

ოლიმპიის ძირითად ნაგებობებს გარს გალავანი ერტყა, რომელიც გარე სამყაროს ხუთი კარით უკავშირდებოდა. მთავარ შესასვლელად ითვლებოდა სამხრეთით არსებული კარი, საიდანაც ოლიმპიური დღესასწაულების დროს ზევსის ტაძრისაკენ მიემართებოდა საზეიმო პროცესიები. სარიტუალო პროცესიაში მონაწილეობა ყოველი ბერძნული პოლის-სახელმწიფოს ღირსების საქმეს შეადგენდა და დიდი მონდომებით იცავდნენ მის წესებს.

რომელ ქალაქსაც ასპარეზობებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმეოდა, იგი ვერც რელიგიურ რიტუალს შეასრულებდა. რაც უდიდეს სასჯელად იყო მიჩნეული.

მოზეიმე ხალხი ღამეს გალავნის გარშემო და მდინარე ალფეის გაყოლებით სახელდახელოდ გამართულ კარვებში ათევდა. ნაწილი ღია ცის ქვეშაც ათენებდა. დღესასწაული ტარდებოდა იელის-აგვისტოში, ამიტომ გაციების საშიშროება არ იყო.

ოლიმპიური თამაშების შესახებ ბერძნები საოცრად მაღალი აზრისანი იყვნენ და თავიანთი მიგნებით ამაყობდნენ. ამას ადასტურებს ჰეროდოტეს გადმოცემა: ფსამეტიხ II (595-589) მეფობის დროს ეგვიპტეში ჩავიდნენ ელიდელები. ისინი თავს იწონებდნენ იმით, რომ თამაშებს ყველაზე სამართლიანად და ლამაზად ატარებდნენ. ხოლო ეგვიპტელებმა ხალხთა შორის ბრძენთაბრძენებმა, ვერ შეძლეს უკეთესის გამოგონება. როდესაც ფარაონმა გაიგო ელჩობის მიზანი, შეკრიბა ეგვიპტელი სწავლულები და შეახვედრა ბერძნებს. ეგვიპტელებმა გამოკითხეს ელიდელებს, როგორი წესები და თანმიმდევრობა არსებობდა ოლიმპიურ შეჯიბრებებში. მათ უამბეს ყოველივე და დაუმატეს, მოვიდნენ იმისათვის, რომ შეუძლიათ თუ არა ეგვიპტელებს, მოიგონონ შეჯიბრების ჩატარების უფრო მიუკერძოებელი წესები და თანმიმდევრობა. სწავლულებმა მოითათბირეს და ასეთი შეკითხვა დუსვეს: მონაწილეობენ თუ არა თამაშებში ელიდის მოქალაქეებიც. ელჩებმა უპასუხეს, რომ მათაც, სხვა ელინთა მსგავსად, შეუძლიათ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება. ეგვიპტელებმა ეს მოვლენა უარყოფითად მიიჩნიეს და ელჩებს ასეთი განმარტება მისცეს: თამაშებში ელიდელების მონაწილეობით, ისინი არღვევენ მიუკერძოებლობის პრინციპს, რადგან მსაჯებმა არ შეიძლება ოდნავი ყურადღება მაინც არ გამოიჩინონ საკუთარი მოქალაქეების მიმართ და არ აწყენინონ უცხოებს. თუ მათ სურთ ჩაატარონ შეჯიბრება ნამდვილად სამართლიანად და ამისათვის მოვიდნენ ეგვიპტეში, მათი რჩევა ასეთი იქნება: შეჯიბრებაში არც ერთი ელიდელი არ უნდა დაუშვან.

ელიდელებმა ეგვიპტელ სწავლულთა დარიგებას ყურადღება არ მიაქციეს და ოლიმპიური თამაშების წესები უცვლელად დატოვეს.

ოლიმპიურ თამაშებში ქალებს არც მონაწილეობისა და არც დასწრების უფლება არ ჰქონდათ. ქალი, რომელიც ზეიმის დროს წმინდა მიწაზე ფეხს დაადგამდა, სიკვდილით ისჯებოდა (მდინარის პირას, აღმართულ ტიპაიონის კლდიდან აგდებდნენ). პავსანიასის ცნობით, ერთადერთი ქალი, რომელსაც თამაშებზე დასწრების უფლება ჰქონდა, იყო დემეტრას ქურუმი.

განსაკუთრებული სიმკაცრის მიუხედავად, ცნობილია შემთხვევა, როდესაც კანონი დაირღვა. ერთი ქალი, სახელად კალიპატერა, მწვრთნელის ტანსაცმელში გამოწყობილი ესწრებოდა თავისი შვილის გამოსვლას. როდესაც მისმა ვაჟმა გაიმარჯვა, დედას სიხარულმა დაავიწყა შენიღბვა, აღფრთოვანება ვერ დაფარა და თავი გასცა. კალიპატერას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ იხსნა იმან, რომ მისი მამა დიაგორი და სამი ძმა, გამოჩენილი ოლიმპიონიკები იყვნენ, ხოლო ამჯერად მისმა შვილმა მოიპოვა გამარჯვების გვირგვინი. მახლობელთა დამსახურებამ კალიპატერა სიკვდილს გადაარჩინა[1].

პავსანიასი გამონაკლისსაც აღნიშნავს. მისი სიტყვებით, სპარტის მეფის არხიდამოსის ქალიშვილი კინისკე ოლიმპიური თამაშების თავდადებული მოყვარული იყო. კინისკეს ქალთა შორის პირველს ჰყავდა ცხენები და მისმა წარგზავნილმა ეკიპაჟმა ოლიმპიაში გამარჯვება მოიპოვა[2].

კინისკეს სხვა ქალებმაც მიბაძეს, განსაკუთრებით ლაკედემონელებმა და ზეთისხილის გვირგვინი დაიდგეს. პავსანიასი სპარტის აკროპოლისის აღწერისას გვაუწყებს, რომ იქ იდგა ქალის გამოსახულება, სპარტელების გადმოცემით, იგი იყო ეტლთა შეჯიბრებაში გამარჯვებული[3].

ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულის ჯილდოს წარმოადგენდა ზეთისხილის გვირგვინი. ასპარეზობაში გამარჯვებულს ეწოდებოდა ოლიმპიონიკი[4].

---

1. ეს ფაქტი უნდა ეფიქრებინა იმის მიზეზი, რომ ასპარეზობის დროს მწვრთნელები ხავსებით შიშველნი, სპეციალურ შენობაში იმყოფებოდნენ.

2. ეტლების შეჯიბრებაში გამარჯვების გვირგვინი გადაეცემოდა არა მხედარს, არამედ ცხენებისა და ეტლის მფლობელს.

3. მართალია ქალებს ოლიმპიურ ასპარეზობებზე დასწრება აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ალფეიოს მდინარე ალფეიოს ნაპირზე, ჰერას საპატივცემულოდ ეწყობოდა შეჯიბრება, რომელშიც მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. თამაშებს ჰერაები ანუ ჰერაიები ეწოდებოდა.

4. ნიკე ნიშნავს გამარჯვებას. ოლიმპიონიკი - ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ოლიმპიური ჩემპიონი. ჩემპიონი არის ინგლისური სიტყვა. უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ვარიანტს, რომელშიც ორივე სიტყვა ბერძნულია: ოლიმპიონიკი.

ბერძენისათვის ზეთისხილის გვირგვინზე ძვირფასი ჯილდო არ არსებობდა. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება უდიდეს ბედნიერებად ითვლებოდა. გამარჯვებულს ულოცავდა ნაცნობი თუ უცნობი. მისი სახელი ცნობილი ხდებოდა მთელ საბერძნეთში. ანტიკური ავტორები მიუთითებდნენ, რომ ელინი ზეთისხილის გვირგვინს ნებისმიერ ჯილდოსა და საჩუქარზე მაღლა აყენებდა. ლიკურგეს ბიოგრაფიაში პლუტარქე წერს: „ერთ სპარტელ მოჭიდავეს ოლიმპიური შეჯიბრების დროს დიდი ფული შეაძლიეს: შეჯიბრებაში მონაწილეობას ნუ მიიღებო. სპარტელმა ამაზე უარი თქვა და ძალის საოცარი დაჭიმვით მოწინააღმდეგე ძირს დასცა. როცა. ვიღაცამ ჰკითხა: „რა ხეირს ნახავ ლაკედემონელო, ამ გამარჯვებით?“ სპარტელმა მოჭიდავემ ღიმილით მიუგო: „შეფის წინ დამაყენებენ, როცა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დავიძრებითო“.

ოლიმპიონიკის ტიტული ბედნიერ ადამიანთა ხვედრი იყო. წყაროებში დაცულია ასეთი ეპიზოდი: წარჩინებულმა როდოსელმა დიაგორმა, ყოფილმა ოლიმპიონიკმა, შეჯიბრებაზე გამოიყვანა ორი ვაჟი. ორივე ახალგაზრდამ გამარჯვება მოიპოვა. ჭაბუკებმა გვირგვინით შეამკეს მამა, ხელში აიყვანეს და სტადიონი ტრიუმფით შემოატარეს. აღფრთოვანებული მაყურებლები ყვავილებს ესროდნენ და ყვიროდნენ: მოკვდი დიაგორ! მოკვდი, მეტ ბედნიერებას რაღას ელოდები სიცოცხლეში. ასე მიესალმა მაყურებელი უბედნიერეს მამას, რომლის ორმა შვილმა ერთდროულად მოიპოვა დაფნის გვირგვინი[1].

ბერძენთა შემართება და უანგარობა, სხვა ხალხების გაოცებასა და შიშს იწვევდა. ჰეროდოტე მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის. საბერძნეთში სპარსელების შემოჭრის დროს, რამდენიმე არკადიელმა სამშობლოს უღალატა. მოღალატეებმა თერმოპილესთან დაბანაკებულ სპარსელებს აუწყეს, რომ დრო მათ სასარგებლოდ მოქმედებდა, რადგან ბერძენთა ყურადღება ოლიმპიური თამაშებისადმი იყო მიპყრობილი. სპარსელი შეეკითხა არკადიელებს, ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული რას ღებულობდა ჯილდოდ. მოღალატეებმა უპასუხეს, რომ გამარჯვებულის ჯილდოა ზეთისხილის გვირგვინი.

---

1. დიაგორის მესამე ვაჟიც ოლიმპიონიკი გახდა. შემდეგ შვილიშვილებმაც, მისი ასულის, კალიპატერას ორმა შვილმა, იზეიმეს გამარჯვება.

სპარსეთის მეფემ, ქსერქსემ, როცა მოისმინა ეს სიტყვები, ვერ მოითმინა და თავის მთავარსარდალს მთელი ამალის წინაშე მიმართა: ვაი მარდონიოს! ვის წინააღმდეგ მიგვიძღვი სბრძოლველად? ეს ხალხი ერთმანეთს ეჯიბრება არა ფულისათვის, არამედ სახელისათვის".

ოლიმპიონიკების დაჯილდოება ხდებოდა მეხუთე დღეს, ზევსის ტაძარში. ზეიმს თან ახლდა სიმღერა. ცნობილი პოეტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ოლიმპიონიკების სახოტბო ტექსტების შექმნაში. საკმარისია დავასახელოთ დიდი პოეტი პინდარი, რომელსაც მრავალი ოლიმპიონიკი ჰყავს შექებული (საკმაოდ დიდი ჰონორარის ფასად) თავის ლექსებში.

ოლიმპიონიკის ოფიციალური ჯილდო გვირგვინი იყო, მაგრამ მშობლიურ ქალაქში იგი შეღავათებით სარგებლობდა. კერძოდ, ოლიმპიონიკს ეძლეოდა ქალაქის პრიტანეონში უფასოდ კვების უფლება, თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადებისაგან, უფასოდ ეძლეოდა ადგილი თეატრში. აჯილდოებდნენ საჩუქრებითა და ფულით. სოლონის კანონმდებლობით, ათენში ოლიმპიონიკს საჩუქრის სახით გადაეცემოდა 500 დრახმა (იმ დროისათვის ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო. ხელოსნის დღიური გამომუშავება შეადგენდა 1 დრახმას).

დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ოლიმპიონიკებს ბრძოლის დროსაც. ძვ. წ. 407 წელს ათენელებმა საზღვაო ბრძოლაში დაატყვევეს ოლიმპიონიკი დორიეოსი. გაიგეს თუ არა მისი ვინაობა მაშინვე გაათავისუფლეს. 333 წელს ისოს ბრძოლაში შეიპყრეს დარიოსთან მყოფი თებეს მისია. ალექსანდრე მაკედონელმა ელჩობის მეთაური დიონისოდორი მაშინვე გაათავისუფლა, როცა გაიგო, რომ იგი ოლიმპიონიკი იყო.

ოლიმპიონიკს, რომელიც სამჯერ იზეიმებდა გამარჯვებას, ოლიმპიაში ძეგლს უდგამდნენ. ოლიმპია მოფენილი იყო ბერძენ ათლეტთა ქანდაკებებით. გამოჩენილი მოქანდაკეები თავიანთ ღირსების საქმედ თვლიდნენ შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ოლიმპიისათვის მიეძღვნათ. ამიტომ გენიალური ფიდიასის, მირონის, პოლიკლეტის და სხვა დიდ ხელოვანთა ქმნილებები ამკობდა ბერძენთა საზეიმო ასპარეზს.

მრავალი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ოლიმპიურ დღესასწაულებში.

მოაზროვნეთა საასპარეზო სარბიელს ექოს პორტიკი წარმოადგენდა. გალერეა საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა მხილველსა და მსმენელზე. გადმოცემის თანახმად პორტიკს ისეთი აკუსტიკა ჰქონდა, რომ მის კედლებში წარმოთქმული სიტყვა შეიდჯერ მეორდებოდა. ექოს პორტიკში კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს პოეტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები.

ცნობილია, რომ ჰეროდოტემ 84-ე ოლიმპიური ასპარეზობის დროს (ძვ.წ. 444) ექოს პორტიკში შეკრებილთ წაუკითხა პირველად ნაწყვეტები თავისი „ისტორიიდან", რამაც მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დღესასწაულების დროს ოლიმპია საბერძნეთის კულტურული ცხოვრების ცენტრი ხდებოდა. მრავალი სახელმოხვეჭილი ბერძენი ალამაზებდა ოლიმპიის ინტელექტუალურ ცხოვრებას. როგორც სპორტსმენები ოლიმპიის ხშირი სტუმრები იყვნენ: მათემატიკოსი პითაგორა, „მედიცინის მამა" ჰიპოკრატე, ფილოსოფოსი პლატონი, ტრაგიკოსი პოეტები სოფოკლე და ევრიპიდე. დღესასწაულების დროს ძვ. წ. 548 წელს ოლიმპიაში გარდაიცვალა ევროპული ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი თალეს მილეტელი.

პელოპონესის ბრძოლის წლებში (431-404) ოლიმპიური თამაშები იმართებოდა. ოლიმპიადის თვე დროებითი ზავის პერიოდად ცხადდებოდა. მაგრამ სპარტამ ეკეხერია არ დაიცვა, რისთვისაც იგი 420 წელს ზეიმზე არ დაუშვეს.

ძვ. წ. 365 წელს ოლიმპია არკადიელებმა დაიპყრეს და სამი წელი წმინდა ადგილები მათ ხელში იმყოფებოდა. არკადიელებმა გადაიხადეს 104-ე ოლიმპიადა (ელიდელებმა ოლიმპიადა უკანონოდ ცნეს და არ ჩაუწერიათ. ასევე მოექცნენ ისინი ახ. წ. 67 წელს რომის იმპერატორის ნერონის ჩატარებულ ოლიმპიადასაც).

ოლიმპიურმა დღესასწაულებმა ხანმოკლე აყვავება განიცადა ალექსანდრე მაკედონელის მეფობაში (გადმოცემის თანახმად, ალექსანდრემ უარი განაცხადა ასპარეზობაში მონაწილეობაზე იმ მოტივით, რომ მისი მოწინააღმდეგეები მეფეები არ იქნებოდნენ). მან აღიარა ოლიმპიადების მნიშვნელობა ბერძნებისათვის და ხელს უწყობდა მის შემკობას არქიტექტურული ძეგლებით. მაგრამ ახალგაზრდა მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ

და მისი იმპერიის სწრაფმა დაშლამ, ოლიმპიას სერიოზული დარტყმა მიაყენა.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ოლიმპიის სიმდიდრის ხელყოფა. 313 წელს ელიდა დაიპყრო ანტიგონეს სარდალმა ტელესფორმა. მან გაძარცვა ოლიმპიის ტაძრები. მსგავსი საქციელი ჩაიდინა სპარტის მეფე მახანიდემ ძვ. წ. 210 წელს.

ძვ. წ. 146 წლიდან საბერძნეთის ისტორიაში რომაული პერიოდი დაიწყო. ოლიმპიურმა თამაშებმაც დაკარგეს პანელინური ხასიათი. ასპარეზობებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ არაბერძნებსაც, პირველ რიგში „ბარბაროს" რომაელებს. მაგრამ რომაელები ოლიმპიურ თამაშებში არ ჩართულან. მიზეზად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ ბერძენი ათლეტები შეჯიბრებაში შიშველი გამოდიოდნენ, რაც რომაულ ადათებს ეწინააღმდეგებოდა. ამის გარდა, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ რომაელები, ბერძნების ვარჯიშში პრაქტიკულ სარგებლობას ვერ ხედავდნენ. ისინი ყველაფერში ბაძავდნენ ბერძნებს, მაგრამ მათ შორის ოლიმპიურმა თამაშებმა პოპულარობა ვერ მოიპოვა. მოგვიანებით სულამ სცადა მისი გაუქმება და ასპარეზობების რომში გადატანა. დიქტატორის ბრძანებით 80 წელს 175-ე ოლიმპიადის მონაწილენი რომშიც კი გადაიყვანეს, მაგრამ სულას მიზანი საბოლოოდ ვერ განხორციელდა.

იმპერიის ხანაში ზოგიერთი იმპერატორი და რომაელი დიდებული ოლიმპიური თამაშების ტრადიციას მხარს უჭერდა. ასეთ პირებს ბერძნებიც სამაგიერო პატივისცემით პასუხობდნენ. ამას ადასტურებს რომის ცეზარებისა და მეცენატების ქანდაკებათა აღმართვა ოლიმპიაში.

რომაული ბატონობის პერიოდში ოლიმპიამ დაკარგა კლასიკური ხანის საზეიმო განწყობილება. იგი გადაიქცა საეჭვო პირთა ასპარეზად. გახშირდა სპორტსმენთა და მსაჯთა მოსყიდვა. დავიწყებას მიეცა ასპარეზობის ნაციონალური ხასიათი.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ოლიმპიური თამაშები რეგულარულად იმართებოდა. ქრისტიანობამ სამოქმედო ასპარეზი შეუზღუდა წარმართულ რელიგიას და მის კულტთან დაკავშირებულ დღესასწაულებს, ხოლო შემდეგ დღის წესრიგში დააყენა მისი გაუქმების საკითხი.

393 წელს ჩატარდა უკანასკნელი ოლიმპიური ასპარეზობა[1].

394 წელს იმპერატორმა თეოდოსიუს I ეკლესიის მოთხოვნით, ოლიმპიური თამაშები აკრძალა.

395 წელს ოლიმპიამ ალარიხის ამაოხრებელი თავდასხმა განიცადა.

408 წელს იმპერატორების, თეოდოსიუს II და ჰონორიუსის ბრძანებით, საბერძნეთში არსებული ყველა წარმართული ტაძარი დაანგრიეს.

426 წელს ბრძანება განმეორდა. თეოდოსიუს II საბოლოოდ გადაწვა და მიწასთან გაასწორა ოლიმპიის ყველა ნაგებობა. რაც გადარჩა 522 და 551 წლებში მომხდარმა მიწისძვრამ მოუღო ბოლო. ბერძენთა სიამაყე გაქრა და დავიწყებას მიეცა.

ოლიმპიურ თამაშებთან ერთად დაიკარგა სხეულისა და სულიერი ჰარმონიის ელინური იდეალი: ფიზიკური სილამაზე და სულიერი სრულყოფა.

კლასიკური პერიოდის ოლიმპია უზარმაზარ მუზეუმს წარმოადგენდა. სპორტული თამაშებისა და რელიგიური ცერემონიალების გარდა, ოლიმპიაში ბერძნებს იზიდავდა ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ოლიმპიონიკთა ქანდაკებების ხილვის წყურვილიც.

ოლიმპიის საკულტო ნაგებობათა შორის თავისი დანიშნულებით მთავარ როლს ასრულებდა ზევსის ტაძარი. ყველა დანარჩენი ნაგებობა, ტაძარი თუ სპორტული მოედანი, გარკვეული მიმართულებით ხაზს უსვამდა ზევსის საკურთხეველის უზენაესობას. ტაძრის მშენებლობა მიმდინარეობდა ძვ. წ. 468-456 წლებში. ხუროთმოძღვარი იყო ელიდის მკვიდრი ლიბონი. ტაძარი გამორჩეული იყო თავისი გრანდიოზულობით. სიგრძე ჰქონდა 65 მეტრი, სიგანე 29 მეტრი, ხოლო სიმაღლე 21 მეტრი. ფრონტონებს ამკობდა მითიური გამოსახულებანი. ერთ მხარეს პელოპსისა და ოინომაიოსის შეჯიბრების სცენა, მეორე მხარეს ლაპითებისა და კენტავრების ბრძოლა: ძეგლი შეიქმნა ბერძენ-სპარსელთა ომების პერიოდში. ეს რეალური ფაქტი ამეტყველებულია მითოლოგიური ნიღბით.

---

1. უკანასკნელი ოლიმპიონიკი, რომლის სახელიც ცნობილია, იყო სომხეთის მთავარი ვარაზდატი.

მოქანდაკის ფანტაზიით კენტავრები არიან სპარსი დამპყრობლები, ლაპითები ბერძენი მეომრები.

ოლიმპიაში ხელოვნების მრავალი ძეგლი იყო აღმართული, მაგრამ ანტიკური სამყარო განსაკუთრებული ხაზგასმით გამოჰყოფდა ზევსის ქანდაკებას. მისი ავტორი იყო ათენელი მოქანდაკე ფიდიასი. ქანდაკება იდგა ზევსის ტაძარში.

ხელოვნების ამაღლებულ ძეგლთა ჯიმრავლეში, ძველი სამყაროს სიძველეთა შემფასებლებმა, კლასიკური პერიოდის ბერძნული ქანდაკებებიდან საოცრებებში ფიდიასის შემოქმედების გვირგვინს მიუჩინეს ადგილი. შარავანდედი, რომლითაც ანტიკურმა ეპოქამ ფიდიასი შემოსა, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მოქანდაკე ზეადამიანური ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი იყო. საერთო შეფასებით, ფიდიასის შემოქმედებაში, „ხელოვნებამ თავის სრულ აყვავებას მიაღწია".

თანამედროვე ადამიანებზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს ანტიკური ეპოქის ოსტატთა ისეთი ქმნილებანი, რომლებზედაც ძველი ავტორები არავითარ ყურადღებას არ ამახვილებდნენ. ცნობილი მუზეუმების სიამაყედ მიჩნეულ ძეგლთა უმრავლესობა, უცნობი მოქანდაკეების კუთვნილებაა. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ფიდიასი, რომლის დონესაც ბერძენ-რომაელი მწერლები მიუწვდომლად თვლიდნენ. დღეისათვის, ყველა დროის უდიდესი მოქანდაკის ქმნილებანი განადგურებულია და მის შესახებ მსჯელობდნენ ძველ მოაზროვნეთა შეფასებებზე დაყრდნობით. ფიდიასის გენიის წინაშე ქედს იხრიდნენ ანტიკური სამყაროს სულიერი კულტურის გიგანტები.

არისტოტელე ფიდიასს ბრძენს უწოდებდა. იგი განმარტავდა, „ხელოვნებაში სიბრძნედ ვთვლი იმას, რომ უნაკლოდ ზუსტია". სიბრძნის ქვეშ დიდი ფილოსოფოსი გულისხმობდა ხელოვნების სრულყოფას.

ფიდიასის ხელოვნებით გამოწვეული გაოცება ამაღლებულ სტილში გადმოსცა ციცერონმა. მისი სიტყვებით, არ არსებობს კეთილშობილი და ნიჭიერი ჭაბუკი, იხილავს რა ფიდიასის ზევსს, არ მოუნდეს ფიდიასად გახდომა.

ციცერონის უზარმაზარ შემოქმედებაში მრავლად გვხვდება ფიდიასის გენიის ხოტბა. მისი სიტყვებით, ხელოვნებაში არსებობის უფლება აქვთ, როგორც გენიოსებს, ისე მეორე

და მესამეხარისხოვან ოსტატებსაც. პოეტთა შორის ადგილი არის არა მარტო ჰომეროსის, არქილოქეს, სოფოკლეს ან პინდარესათვის, არამედ მათზე გაცილებით დაბლა მდგომთათვისაც. ერთის სიდიდე ხელს არ უშლის მეორე დიდ ან მცირე პოეტს. ფილოსოფიაში პლატონის სიდიადეს ხელი არ შეუშლია არისტოტელესათვის. თვით არისტოტელეს, თავისი ჭეშმარიტად საოცარი ცოდნითა და ნაყოფიერებით, არ ჩაუქრია სხვების გულმოდგინება. ასევე ხდება ქანდაკებაშიც. ფიდიასის მიუწვდომელ დონეს არ დაუფრთხია დანარჩენი მოქანდაკენი. მათ ძველებურად კარგად იცოდნენ, რა ეკეთებინათ და საით წასულიყვნენ. ხოლო ისინი იყვნენ მრავალნი, და თითოეულმა თავის მხრივ მოიხვეჭა ისეთი დიდება, რომ, მოვიხიბლებით მაღალით, არ შეიძლება არ დავაფასოთ მეორეხარისხოვანიც.

„ტრაქტში „ორატორი", ციცერონი მსჯელობს მშვენიერებისა და სილამაზის აღქმის შესახებ. მისი მტკიცებით, არცერთ სახეობაში არ არის არაფერი იმდენად მშვენიერი, რომ არ ჩამოუვარდებოდეს ამაღლებულ სილამაზეს. მისი დაჭერა შეუძლებელია მხედველობით, სმენით ან სხვა გრძნობით. მას ვწვდებით მხოლოდ ფიქრითა და გონებით. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ფიდიასის ნაქანდაკევზე მშვენიერი, თუმცა ამ გვარში არ გვინახავს არაფერი მასზე სრულყოფილი... თვით მხატვარი, გამოხატავდა რა იუპიტერს ან მინერვას, არ უნახავს არავინ, რომლის სახის აღდგენა მას შეძლებოდა, მაგრამ გონებაში ჩამოაყალიბა სილამაზის რაღაც უმაღლესი სახე, და ჭვრეტდა რა მას განუწყვეტლივ, შექმნა გონებაში ჩასახული სილამაზის მსგავსი.

ანტიკურმა სამყარომ მომდევნო საუკუნეებს, ფიდიასის ღვთაებრიობაზე აღტაცებული დითირამბები უანდერძა.

ფიდიასის ეპოქაში გამოავლინა ყველაზე მძლავრად ბერძნულმა საოცრებამ თავისი შესაძლებლობები. მისი თანამედროვენი იყვნენ გენიალური მოქანდაკენი, მირონი და პოლიკლეტი, ტრაგიკოსები: ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, ფილისოფოსები: ანაქსაგორა და სოკრატე. ფიდიასის უახლოესი მეგობარი იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე პერიკლე.

ფიდიასი გმირული ეპოქის შვილი იყო. იგი აღიზარდა და ცხოვრობდა მარათონისა და სალამინის გმირების გვერდით.

ფიდიასის ბიოგრაფიის მხოლოდ ფრაგმენტებია ცნობილი. მისი დაბადების თარიღად ვარაუდობენ ძვ. წ. 490 წელს. დაუდგენელია მისი გარდაცვალების დროც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იგი ძვ. წ. 430 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა.

ფიდიასის მაწყავლებლად ანტიკური მწერლობა ასახელებს თითქმის უცნობ ათენელ მოქანდაკე გეგიასს. მისი მეორე მასწავლებელი იყო ბერძნულ სამყაროში კარგად ცნობილი მოქანდაკე არგოსელი აგელადესი. აგელადესის მრავალი ქანდაკება აღწერილი აქვს პავსანიასს.

ფიდიასის ბიოგრაფიაში დადგენილად მიაჩნიათ, რომ კიმონის დროს იგი პლატეასა და დელფოსში მუშაობდა. აქ შესრულებულმა ბერძენ-სპარსელთა ომებისადმი მიძღვნილმა ქანდაკებებმა მთელ ელადაში გაუთქვეს სახელი.

ფიდიასის დიდების დამადასტურებელია ისიც, რომ ათენის აკროპოლისის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა პერიკლემ უკვე სახელმოხვეჭილ მოქანდაკეს დააკისრა.

ბერძენ-სპარსელთა ომების დროს მტერმა ათენი და მისი აკროპოლისი მიწასთან გაასწორა. ომის დამთავრების შემდეგ, ელინთა კულტურული ცენტრი შეუდგა აღდგენით სამუშაოებს, თუმცა აღსადგენი არაფერი იყო, ყველაფერი თავიდან უნდა აეგოთ. ათენის მშენებლობას სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე პერიკლე. ძველი ბერძნული კულტურის ისტორიაში მისი დამსახურება იმდენად დიდია, რომ კლასიკური პერიოდის აყვავების ხანას, პერიკლეს ეპოქა ეწოდება. პერიკლეს ინიციატივით ათენი ბერძნული კულტურის დედაქალაქად გადაიქცა. განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდა იგი ათენის აკროპოლისის მიმართ. აკროპოლისის მშენებლობაზე პერიკლემ თავი მოუყარა ბერძნულ სამყაროში ცნობილ ყველა ხელოვანს.

პერიკლეს ბიოგრაფიაში პლუტარქე წერს, ათენში აღიმართა გრანდიოზული სიდიდისა და შეუდარებელი სილამაზის მრავალი შენობა. ყველა ხელოვანი ცდილობდა ერთმანეთისაგან განსხვავებული შედეგრებით დაემშვენებინა ქალაქი. განსაკუთრებით გასაოცარი იყო შესრულების სიჩქარე. შენობები, რომელთაგან თითოეული, როგორც ფიქრობენ, რამდენიმე თაობისა და ადამიანთა სიცოცხლის განმავლობაში მივიდოდა დასასრულამდე, დამთავრდა ერთი სახელმწიფო პიროვნების მოღვაწეობის პერიოდში. პლუტარქე

აგრძელებს: პერიკლეს ქმნილებანი შექმნილია გასაოცრად მოკლე დროის განმავლობაში, მაგრამ განკუთვნილია ხანგრძლივი სიცოცხლისათვის. ყველა ძეგლს ისე აქვს შენარჩუნებული ბრწყინვალე გარეგნობა, თითქოს ახლახან დაუსრულებიათო. იმდენად ბრწყინავენ ისინი სიახლის სხივით და ინახავენ თავიანთ სახეს დროისაგან შეუხებლად, თითქოს ისინი შექმნილი იყოს მარადიული ახალგაზრდობის სუნთქვით, აქვთ უბერებელი სული. ასე აღწერა ათენის აკროპოლისი, აგებიდან ექვსი საუკუნის შემდეგ, დიდმა მწერალმა და ისტორიკოსმა პლუტარქემ.[1] მისივე სიტყვებით, ამ დიდებულ ძეგლთა შექმნის სულისჩამდგმელი იყო ფიდიასი, რომელსაც პერიკლემ დაავალა ყოველივეს ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა, იმის მიუხედავად, რომ თითოეულ ნაგებობას სათავეში ცნობილი ხუროთმოძღვრები და მხატვრები ედგნენ.

პერიკლემ ყურადღების ცენტრში აკროპოლისი მოაქცია, მაგრამ აკროპოლისსაც ჰქონდა თავისი გამორჩეული ხატი – ათენას ტაძარი. როგორც აკროპოლისი ბატონობდა მთელ ათენზე, ასევე აკროპოლისზე უნდა ებატონა ქალაქის მფარველი ღვთაების ტაძარს – პართენონს.

პართენონის – ათენა ქალწულის ტაძრის მშენებლობა ათი წლის განმავლობაში დასრულდა (448-438). მისი არქიტექტორები იყვნენ იქტინი და კალიკრატი.

პართენონი ძირითადად დროული ნაგებობაა, მაგრამ შერეულია იონიური სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნებიც. გრანდიოზული არის მისი მასშტაბებიც (სიგრძე 70 მეტრი, სიგანე 30 მეტრი). ტაძარმა დღემდე მოიტანა ძველი ბერძნული ხუროთმოძღვრების სუნთქვა. ბიზანტიურ ეპოქაში ქრისტიანულ ტაძრად გადააკეთეს, ხოლო თურქებმა მეჩეთად აქციეს. პართენონმა თითქმის სრულად მიაღწია XVII საუკუნის ბოლომდე. 1687 წელს, საწყობად ქცეულ ტაძარში, მოხდა თოფის წამლის აფეთქება, რამაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ნანგრევებად აქცია. ამის მიუხედავად, პართენონი დღესაც ინარჩუნებს ძველი დიდების სხივს და აშკარად მეტყველებს მის შემქმნელთა მაღალ ოსტატობაზე.[2]

---

1. პლუტარქე ცხოვრობდა ახ. წ. 47-127 წლებში.

2. აკროპოლისის მნიშვნელოვან სამკაულს წარმოადგენდა ორიგინალური შესასვლელი-პროპილეი. მშენებლობა დაიწყო 438 წელს. ხუროთმოძღვარი იყო მნესიკლე.

განსხვავებული იყო პართენონის გარეგნული გაფორმებაც. 160 მ სიგრძის ფრიზზე, 92 მეტოპზე და 2 ფრონტონზე გამოსახული იყო 550 ფიგურაზე მეტი. ამ უზარმაზარი სკულპტურული ანსამბლის შექმნაზე, ფიდიასის ხელმძღვანელობით, რამდენიმე ხელოვანი მუშაობდა. ეს რომ რეალური ფაქტია პართენონს კიდეც ეტყობა, ყველა სკულპტურა ერთ დონეზე არ არის შესრულებული. მაგრამ ჩანაფიქრისა და სტილის ერთიანობა, განსხვავებული თემატიკის საერთო იდეა, ერთი წყაროდან მოდის. ასეთ წყაროდ ფიდიასს ასახელებენ, აკროპოლისის მშენებლობის საერთო ხელმძღვანელს.

პართენონისა და ზევსის ტაძრის (ოლიმპია) ფრონტონების კომპოზიციაში დიდ განსხვავებას ხედავენ. ზევსის ტაძარი სულ ცოტა ხნით ადრეა აგებული, მაგრამ პართენონის მხატვრულ დონეს ვერ შეედრება.

აკროპოლისის სხვა არქიტექტურული ძეგლებიდან აღსანიშნავია, დორიულ-იონიური სტილით აგებული ნიკეს მცირე ტაძარი, ხოლო მოგვიანებით ერეხთეიონი, ალბათ ფიდიასის ერთიანი პროექტის შესაბამისად.

პართენონი განსაკუთრებულია იმითაც, რომ მის გასაფორმებლად ფიდიასს მითოლოგიური თემების გვერდით, ჩაურთავს ეპიზოდები რეალური ცხოვრებიდანაც. ფრიზის ერთ მონაკვეთზე გამოსახულია დიდი პანათენეების დღესასწაულის სცენა. პართენონის ფრიზების თემატიკა მრავალფეროვანია, მაგრამ ძნელია უშუალოდ ფიდიასის ხელიდან გამოსულ ქმნილებათა დადგენა. ამავე დროს, ყველა დეტალი ერთ დონეზე არ არის შესრულებული. მიუთითებენ, რომ ფიდიასის. იყო იდეა, ხოლო სისრულეში მოსაყვანად იღვწოდნენ განსხვავებული სტილისა და მონაცემების ოსტატები.

ფიდიასი, აკროპოლისზე გაშლილი მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობის გარდა, თავისი გენიის დემონსტრირებას ახდენდა. აკროპოლისზე მისი რამდენიმე ქმნილება იყო აღმართული. ყველაზე ადრინდელად მიჩნეულია ათენა პრომახოსი (ბრძოლაში წინამძღოლი), გიგანტური ქანდაკება, რომელიც პართენონსა და ერეხთეიონს შორის იდგა და აკროპოლისს ორ ნაწილად ყოფდა. ათენას გამოსახვის კანონიკური ფორმები ფიდიასის დროს დადგენილი იყო. სიბრძნის, ხელოვნების, სამართლიანობის, ომის, მშვიდობიანობის და სხვათა ღვთაებას აქანდაკებდნენ

ულამაზესი ქალის სახით. ქალღმერთს უმეტესად თავზე მუზარადი ეხურა და ხელში შუბი - ეჭირა. განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ეს მომენტი ათენა პრომახოსში, რადგან მის დანიშნულებას საბრძოლო სულისკვეთების აღგზნება შეადგენდა. ტრადიციით, ათენელებმა იგი იმ ნადავლისაგან გააკეთეს, რომელიც მარათონის ბრძოლაში იგდეს ხელთ. ათენა პრომახოსი აკროპოლისზე არსებულ ყველა შენობაზე მაღალი ყოფილა. გადმოცემით ცნობილია, რომ ათენისაკენ მიმავალ გემებს მისი მუზარადი შუქურის მოვალეობას უწევდა.

აკროპოლისზე იყო აგრეთვე ფიდიასის მეორე ქანდაკება, რომელიც კუნძულ ლემნოსის ათენელი კოლონისტების დაკვეთით შეუსრულებია. ქანდაკება „ათენა ლემნიას" სახელით იყო ცნობილი.

აკროპოლისზე აღმართულ ათენას მრავალ ქანდაკებათა შორის ფიდიასის გენიამ განსაკუთრებით გაშალა ფრთები ათენა პართენოსის (ქალწულის) ფიგურის ხორცშესხმაზე. ქანდაკება შესრულებული იყო ხრიზოელეფანტური ტექნიკით.[1]

ფიდიასის ათენა წარმოდგენილი იყო მთელი თავის ატრიბუტებით. მას მოსაუდა კაბა-პეპლოსი. მხრები და მკერდი დაფარული ჰქონდა ეგიდით. ათენას ლამაზ და მშვიდ სახეში იგრძნობოდა მისი სიძლიერეც. ქალღმერთის ოქროს მუზარადს ამკობდა მითიური სახეები. სვეტზე დაყრდნობილ მარჯვენა ხელში ეჭირა ფრთოსანი ქანდაკება. მარცხენა ხელით ეხებოდა ფარს, რომლის შიდა მხარესაც ეკვროდა გიგანტური გველი ერეხთეესი, ქალაქ ათენის კეთილი გენია.

ფარი შემკული იყო მითოლოგიური სცენებით: შიდა მხარეს გიგანტომახია, გარეთა მხარეს ამაზონომახია. მითოლოგიურ გარემოში ფიდიასმა ფარულად გამოსახა ორი რეალური პიროვნება: პერიკლე თეზევსის როლში, ხოლო საკუთარი თავი , ლეგენდარულ დედალოსში.

---

1. ხრიზოს - ოქრო, ელფანტოს - სპილო. ქანდაკება შესრულებული ოქროსა და სპილოს ძვლისაგან. ხრიზოელეფანტური ტექნიკით ფიდიასმა მრავალი ქანდაკება შექმნა. ელიდას აკროპოლისის ათენას ტაძარში არსებული ქანდაკების ავტორიც ფიდიასი იყო. იმავე ელიდაში, ოლიმპიაში ტაძარში ოლიმპიტ-ურანიაც ფიდიასმა შეასრულა. ფიდიასის ყველაზე ალრინდელ ხრიზოელეფანტურ ქანდაკებად ითვლება პელენის გზაზე, ათენის ტაძარში აღმართული ქალღმერთის ქანდაკება. ხრიზოელეფანტური ტექნიკის შესაძლებლობათა მწვერვალს წარმოადგენდა ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში.

დასრულებული ქანდაკება საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. გამოსახულებამ თითქმის დაჩრდილა ათენას ღვთაებრიობა. დიოგენე ლაერტს ასეთი ეპიზოდი აქვს დაცული: ერთხელ ფილოსოფოსმა სტილპონმა იკითხა ფიდიასის ათენას ხილვისას, მართალია თუ არა, ათენა, ზეკსის ქალიშვილი, – არის ღმერთი? უპასუხეს: „მართალია". მაგრამ აკი ეს ათენა შექმნა არა ზევსმა, არამედ ფიდიასმა? დაეთანხმნენ ამაზეც. გამოდის, რომ ათენა არ არის ღმერთი"[1] დაასკვნა სტილპონმა.

ათენას ქანდაკებამ საბედისწერო როლი შეასრულა ფიდიასის ცხოვრებაში.

პელოპონესის ომის წინა პერიოდის პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ათენში ბევრი წმინდა სახე გააუფასურა. მტრები, დემოკრატიის მეთაურის, პერიკლეს სახელის გატეხის მიზნით, დაუპირისპირდნენ მის უახლოეს ადამიანებს. შურმა და ცილისწამებამ მოიცვა მთელი ქალაქი. პერიკლემ, იმდროინდელი ელადის უგანათლებულესი ქალი ასპაზია დაიხსნა, როგორც მეუღლე, ხოლო დანარჩენების შველა ვერ შეძლო. ფილოსოფოს ანაქსაგორას უღმერთობა დასწამეს, ფიდიასის დანაშაულად ათენას ქანდაკებისათვის გამოყოფილი ოქროს მითვისება დასახელეს. ორივენი საპყრობილეში ჩასვეს. ბოროტებამ გაიმარჯვა, ანაქსაგორა ათენიდან გააძევეს. მსგავსი ბედი ელოდა ფიდიასსაც, რომელმაც ვერ დაამტკიცა თუ სად წავიდა ოქრო (ქანდაკებას დასჭირდა 44 ტალანტი ოქრო. ერთი ტალანტი იწონიდა 26 კგ. ფიდიასისათვის მთლიანად გადაუციათ 150 კგ. ოქრო). პოლიტიკური ბრძოლებისათვის მოუმზადებელი მოქანდაკე დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ კრიტიკულ მომენტში მას მოევლინენ ელიდელები, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ ოლიმპიის ტაძარში ზევსის ქანდაკების აღმართვა. გაიგეს თუ არა ფიდიასის მდგომარეობა, მაშინვე გამოაგზავნეს ათენში თავდებობისათვის 40 ტალანტი ოქრო, რომ მოქანდაკე გაეთავისუფლებინათ.

ფიდიასმა დატოვა მშობლიური ქალაქი და ოლიმპიაში გადავიდა.

---

1. დიოგენე ლაერტი აგრძელებს: სტილპონი ამისათვის გადასცეს არეოპაგის სასამართლოს. მას არ უარუყვია რაც თქვა, ოღონდ მიუთითა, რომ მისი მტკიცება იყო სწორი, რადგან ათენა სინამდვილეში არის არა ღმერთი, არამედ ქალღმერთი, იმიტომ რომ არის მდედრობითი სქესის. ამის მიუხედავად, მოსამართლეებმა უბრძანეს, სასწრაფოდ დეტოუებინა ათენი.

ფიდიასის ბედი და მის მიმართ გამოვლენილი უსამართლობა მომდევნო საუკუნეების ბერძენ მოაზროვნეთა მუდმივი მსჯელობის საგანი იყო. თუ მანამდე ფიდიასი აღტაცებით თანხმდებოდა ელიდელთა დაკვეთებს, ამჯერად იგი ოლიმპიაში მიდიოდა, როგორც სამშობლოდან დევნილი და რაც მთავარია დამნაშავედ შერაცხული. ათენში ბოროტი ხმებით სახელგატეხილ ხელოვანს, უნდა მოეხდინა წაყენებულ ბრალდებათა სიყალბე და დაემტკიცებინა, რომ ცილისწამებამ აიძულა ქალაქიდან წასულიყო.

მთელ ბერძნულ სამყაროს ღრმად სწამდა, რომ ფიდიასი ცილისწამების მსხვერპლი გახდა. ყველა ეპოქაში იცავდნენ დიდი ხელოვანის ღირსებას და კიცხავდნენ ბოროტებით დაბრმავებულ მის თანამედროვეებს, რომელთაც ასეთი საქციელი ჩაიდინეს. ფიდიასის დამცველთა შორის განსაკუთრებული არგუმენტაციით გამოირჩევა ცნობილი ორატორის, დიონ ხრიზოსტომის მიერ ახ. წ. 97 წელს ოლიმპიაში წარმოთქმული „ოლიმპიური სიტყვა". ორატორის მიმართვა მსმენელებისადმი ეს არის ფიდიასის წარმოსახვითი სიტყვა, რომელიც მოქანდაკეს უნდა წარმოეთქვა წაყენებული ბრალდების საწინააღმდეგოდ. ორატორის აზრით, თუ ასეთ ფაქტს ექნებოდა ადგილი ელინები ფიდიასს გვირგვინით დააჯილდოებდნენ. ხრიზოსტომის სიტყვა ფიდიასის პანეგირიკს წარმოადგენს. ორატორისათვის იგი არის ღვთაებრივი მადლით მოსილი ხელოვანი, რომლის შედარება მხოლოდ ჰომეროსთან შეიძლება. ანტიკური სამყაროს ღრმა რწმენით, რაც ჰომეროსმა სიტყვით გამოხატა, ფიდიასმა თვალსაჩინო გახადა და ზებუნებრივი სული შთაბერა.

ოლიმპიაში დაფუძნებულმა ფიდიასმა მოახდინა თავისი ნიჭისა და ცოდნის საოცარი კონცენტრაცია და შექმნა სწორუპოვარი ძეგლი, რომლითაც მიუწვდომელი ხელოვანის სახელი დაიმკვიდრა. ელიდელებმა მას მუშაობის იდეალური პირობები შეუქმნეს. ოქროსა და სპილოს ძვლის სიუხვემ განაპირობა ისიც, რომ ანტიკურმა ეპოქამ მიიღო ფიდიასის შემოქმედებითი ძიებების გვირგვინი, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება.

ოლიმპიაში ფიდიასის ხანგრძლივ ცხოვრებას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სახელოსნოს ნაშთები. სახელოსნოში აღმოჩნდა მრავალი ინსტრუმენტი და თიხის ფორმა. ნაპოვნთა შორის აღსანიშნავია თიხის პატარა

დოქი წარწერით: მე ვეკუთვნი ფიდიასს. საეჭვოდ არ მიაჩნიათ, რომ სახელოსნო ფიდიასს ეკუთვნოდა.

სახელოსნოს არსებობა ამაგრებს იმ ცნობას, რომელსაც გვაწვდის პავსანიასი. ძველი ბერძენი ხელოვნებათმცოდნის თანახმად, მთელი ოლიმპია მოფენილი იყო ფიდიასის ღმერთებით და ოლიმპიონიკებით.

ზევსის უამრავ ქანდაკებათა შორის, თავისი დიდებულებით ყველას აღემატებოდა ფიდიასის გენიის ნაღვაწი, რომელიც ბერძენთა უმთავრეს რელიგიურ და სადღესასწაულო სიწმინდეს ამშვენებდა.

ზევსის სახის სრულყოფილად გადმოსაცემად ფიდიასს გაერთიანებული ჰქონდა ქანდაკებისა და მხატვრობის ელემენტები.

ფიდიასის ზევსი ტახტზე იჯდა. ფიგურების სიმაღლე 14 მეტრი იყო. ზევსის ტაძრის სიმაღლე შეადგენდა 21 მეტრს. ტაძრის მოცულობასთან შედარებით, ქანდაკება ზომაზე დიდად გამოიყურებოდა. ამ პროპორციულ შეუსაბამობაზე ანტიკური ავტორებიც ამახვილებდნენ ყურადღებას. სტრაბონის სიტყვებით, ტაძარი თუმცა ვრცელია, მაგრამ ქანდაკება იმდენად დიდია, რომ ჩანს, მხატვარმა დაარღვია თანაფარდობა. ზევსი გამოსახა მჯდომარე, რომელიც თავით თითქმის ჭერს წვდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თუ ღმერთი ადგება და გაიმართება, გახვრეტს ტაძრის სახურავს.

ზევსის ქანდაკების დეტალური აღწერა მოცემული აქვს პავსანიასს. აღწერის მიხედვით, ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი ზევსი ტახტზე ზის. ღმერთის თავს ამკობს გვირგვინი, როგორც ზეთისხილის რტო. მარჯვენა ხელში უჭირავს ოქროსა და სპილოს ძვლისაგან შესრულებული ნიკე. მარცხენა ხელში უპყრია სკიპტრა, მოხდენილად შეფერადებული სხვადასხვა მეტალებით. სკიპტრაზე ზის არწივი. ოქროსია ღმერთის ფეხსაცმელი და მოსასხამი. მოსასხამზე გამოსახულია ცხოველები და ყვავილები, ძირითადად მინდვრის შროშანები. ტახტი შემკულია ოქროთი, ძვირფასი ქვებით, შავი ხითა და სპილოს ძვლით.ტახტის ფეხებთან მოცეკვავე ნიკეს ფოკურები. ტახტის წინა ფეხებთან წვანან სფინქსების მოტაცებული თებელი ბავშვები. იქვეა აპოლონი და არტემიდა, რომლებიც ისრებით ხოცავენ ნიობეს შვილებს. ტახტის ფეხებს ერთმანეთთან

აკავშირებდა ოთხი ძელი. წინა მხარის ძელზე ძველ შეჯიბრებათა შვიდი გამოსახულებაა (პავსანიასის დროს მერვე იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ არც ახსენებს). მათ შორის ერთზე გამოსახულია ელიდელი ჭაბუკი პანტარკი, იმ წლის ოლიმპიონიკი. სხვა ძელებზე აღბეჭდილი მითოლოგიური სცენებიდან აღსანიშნავია ჰერაკლეს რაზმის ბრძოლა ამაზონებთან. მებრძოლთა შორის არის თეზევსიც. ტახტი ეყრდნობა არა მარტო ფეხებს, არამედ სვეტებსაც. ტახტთან მისვლა არ შეიძლება იგი შემოზღუდულია კედლის ფორმის ბარიერით. კარების მოპირდაპირე კედელი შეღებილია მუქი ცისფერი საღებავით. დანარჩენი სამი კედელი შემკულია ნახატებით. ილუსტრაციათა თანმიმდევრობა ასეთია, დგას ატლანტი, რომელსაც უჭირავს ცა და დედამიწა. მის გვერდით მდგომი ჰერაკლე ცდილობს მიიღოს სიმძიმე ატლანტისაგან. ჰერაკლეს ციკლიდან არის ბრძოლა ნემეის ლომთან. აღბეჭდილია აიაქსი, მიჯაჭვული პრომეთე, აქილევსი, რომელსაც ხელთ უპყრია მომაკვდავი პენტესილეა. ჰესპერიდები ოქროს ვაშლებით. პავსანიასი წერს, რომ მხატვრობა ეკუთვნის ფიდიასის ძმას პანენს.[1] ფიდიასის იდეით, ტაძრის კედლების მოხატულობას გარკვეული ფონი უნდა შეექმნა ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებისათვის. ამ საქმის შესრულება დაეკისრა დიდი მოქანდაკის ძმას, მხატვარ პანენს. როგორც ჩანს, ფიდიასის საგვარეულო მიდრეკილი იყო ხელოვნებისაკენ. მაგრამ ღვთაებრივი ძალა ყოველგვარი ზღვარის გადალახვით გამოვლინდა ფიდიასში.

ზევსის ტახტის ყველაზე მაღალ ადგილას, ქანდაკების თავთან, ერთ მხარეს ქარიტები, მეორე მხარეს ჰორები არიან გამოსახულნი. ზევსი ფეხებით ეყრდნობა მერხს, რომელიც იდგა ოქროს ლომებზე, მასზე რელიეფურად გამოსახული იყო თეზევსის ბრძოლა ამაზონებთან. ტახტის საყრდენ კვარცხლბეკზე მრავლად იყო ოქროს გამოსახულებები: ჰელიოსის, ზევსისა და ჰერასი, ქარიტას, ჰერმესის, ჰესტიას, ერობის შეხვედრა ზღვიდან ამომავალ აფროდიტესთან, რომელსაც პეითო

1. პავსანიასი პანენს ფიდიასის ძმად თვლის. სტრაბონის მიხედვით კი, პანენი ფიდიასის ძმისწული იყო.

(დარწმუნების ქალღმერთი) ამკობს გვირგვინით. მომდევნო სცენაზეა აპოლონი და არტემიდა, ათენა და ჰერაკლე. მითოლოგიური წარმოდგენების ფორუმს აგვირგვინებს ამფიტრიტას, პორსეიდონისა და სელენას გამოსახულება.

პავსანიასი რასაც საკუთარი თვალით ხედავდა, იმას წერდა. ბევრ საკითხში იგი წინამორბედ მწერლებსაც ეკამათებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პავსანიასის დროს (ახ. წ. II ს.) ოლიმპიის ადრინდელ ბრწყინვალებას ბევრი აკლდა. ამის მიუხედავად, ელადის სიძველეთა მოტრფიალემ, თავისი ჩანაწერებით, საუკუნეებს გადაურჩინა ადამიანური გენიის ერთ-ერთი საოცრება, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება.

ფიდიასმა ზევსთან ერთად ოლიმპოს ღმერთების მთელი გალერეაც დახატა. მაგრამ მის მიერ გამოქანდაკებული ზევსის სახე კანონიკური გახდა.

ფიდიასმა ზევსის ქანდაკებით გამოსახა არა მარტო ღმერთის სახე, არამედ ადამიანურ შესაძლებლობათა სიდიადეც. პავსანიასის სიტყვებით, ფიდიასის დიდი ხელოვნება თვით ღმერთმა დაადასტურა. „როდესაც ქანდაკება დაასრულა, ფიდიასმა ლოცვით მიმართა ღმერთს – მიეცა ნიშანი, მოსწონდა თუ არა მისი ნაწარმოები. იმავე წუთს, მოუთხრობენ, ღმერთმა ტყორცნა ელვა იატაკის იმ ადგილას, სადაც ჩემს დრომდე იდგა მიწაზე სპილენძის თასი."

ზევსს განსაკუთრებული ფონი რომ შექმნოდა, ფიდიასმა იატაკი შავი მარმარილოთი მოაპირკეთა.

ფიდიასის ღვთაებრივ ნიჭს მიაწერენ ზევსის სახის მიგნებას. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მის წინაშე იდგა ამოცანა, როგორი გარეგნობა ჰქონდა ზევსს. ფიდიასამდე ზევსის უამრავი გამოსახულება არსებობდა, მაგრამ დიდ ხელოვანს არცერთი არ აკმაყოფილებდა. სტრაბონი წერს, ვიდრე ფიდიასი ზევსის გამოკვეთას შეუდგებოდა პანენმა ჰკითხა, რომელი მოდელის მოხედვით აპირებდა იგი ღმერთის სახის შექმნას. ფიდიასმა უპასუხა: იმ მოდელით, რომელიც წარმოდგენილი აქვს ჰომეროსს. სტრაბონს მოაქვს ნაწყვეტი „ილიადადან", რომელიც გახდა ფიდიასის შთაგონების წყარო. თეტიდამ თხოვა ზევსს იარაღი და დახმარება ტროასთან მებრძოლი აქილევსისათვის. ჰომეროსი ზევსის რეაქციას ასე ხატავს:

აკავშირებდა ოთხი ძელი. წინა მხარის ძელზე ძველ შეჯიბრებათა შვიდი გამოსახულებაა (პავსანიასის დროს მერვე იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ არც ახსენებს). მათ შორის ერთზე გამოსახულია ელიდელი ჭაბუკი პანტარკი, იმ წლის ოლიმპიონიკი. სხვა ძელებზე აღბეჭდილი მითოლოგიური სცენებიდან აღსანიშნავია ჰერაკლეს რაზმის ბრძოლა ამაზონებთან. მებრძოლთა შორის არის თეზევსიც. ტახტი ეყრდნობა არა მარტო ფეხებს, არამედ სვეტებსაც. ტახტთან მისვლა არ შეიძლება იგი შემოზღუდულია კედლის ფორმის ბარიერით. კარების მოპირდაპირე კედელი შეღებილია მუქი ცისფერი საღებავით. დანარჩენი სამი კედელი შემკულია ნახატებით. ილუსტრაციათა თანმიმდევრობა ასეთია, დგას ატლანტი, რომელსაც უჭირავს ცა და დედამიწა. მის გვერდით მდგომი ჰერაკლე ცდილობს მიიღოს სიმძიმე ატლანტისაგან. ჰერაკლეს ციკლიდან არის ბრძოლა ნემეის ლომთან. აღბეჭდილია აიაქსი, მიჯაჭვული პრომეთე, აქილევსი, რომელსაც ხელთ უპყრია მომაკვდავი პენტესილეა. ჰესპერიდები ოქროს ვაშლებით. პავსანიასი წერს, რომ მხატვრობა ეკუთვნის ფიდიასის ძმას პანენს.[1] ფიდიასის იდეით, ტაძრის კედლების მოხატულობას გარკვეული ფონი უნდა შეექმნა ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებისათვის. ამ საქმის შესრულება დაეკისრა დიდი მოქანდაკის ძმას, მხატვარ პანენს. როგორც ჩანს, ფიდიასის საგვარეულო მიდრეკილი იყო ხელოვნებისაკენ. მაგრამ ღვთაებრივი ძალა ყოველგვარი ზღვარის გადალახვით გამოვლინდა ფიდიასში.

ზევსის ტახტის ყველაზე მაღალ ადგილას, ქანდაკების თავთან, ერთ მხარეს ქარიტები, მეორე მხარეს ჰორები არიან გამოსახულნი. ზევსი ფეხებით ეყრდნობა მერხს, რომელიც იდგა ოქროს ლომებზე, მასზე რელიეფურად გამოსახული იყო თეზევსის ბრძოლა ამაზონებთან. ტახტის საყრდენ კვარცხლბეკზე მრავლად იყო ოქროს გამოსახულებები: ჰელიოსის, ზევსისა და ჰერასი, ქარიტას, ჰერმესის, ჰესტიას, ეროსის შეხვედრა ზღვიდან ამომავალ აფროდიტესთან, რომელსაც პეითო

1. პავსანიასი პანენს ფიდიასის ძმად თვლის. სტრაბონის მიხედვით კი, პანენი ფიდიასის ძმისწული იყო.

(დარწმუნების ქალღმერთი) ამკობს გვირგვინით. მომდევნო სცენაზეა აპოლონი და არტემიდა, ათენა და ჰერაკლე. მითოლოგიური წარმოდგენების ფორუმს აგვირგვინებს ამფიტრიტას, პორსეიდონისა და სელენას გამოსახულება.

პავსანიასი რასაც საკუთარი თვალით ხედავდა, იმას წერდა. ბევრ საკითხში იგი წინამორბედ მწერლებსაც ეკამათებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პავსანიასის დროს (ახ. წ. II ს.) ოლიმპიის ადრინდელ ბრწყინვალებას ბევრი აკლდა. ამის მიუხედავად, ელადის სიძველეთა მოტრფიალემ, თავისი ჩანაწერებით, საუკუნეებს გადაურჩინა ადამიანური გენიის ერთ-ერთი საოცრება, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება.

ფიდიასმა ზევსთან ერთად ოლიმპოს ღმერთების მთელი გალერეაც დახატა. მაგრამ მის მიერ გამოქანდაკებული ზევსის სახე კანონიკური გახდა.

ფიდიასმა ზევსის ქანდაკებით გამოსახა არა მარტო ღმერთის სახე, არამედ ადამიანურ შესაძლებლობათა სიდიადეც. პავსანიასის სიტყვებით, ფიდიასის დიდი ხელოვნება თვით ღმერთმა დადასტურა. „როდესაც ქანდაკება დასრულა, ფიდიასმა ლოცვით მიმართა ღმერთს – მიეცა ნიშანი, მოსწონდა თუ არა მისი ნაწარმოები. იმავე წუთს, მოუთხრობენ, ღმერთმა ტყორცნა ელვა იატაკის იმ ადგილას, სადაც ჩემს დრომდე იდგა მიწაზე სპილენძის თასი."

ზევსს განსაკუთრებული ფონი რომ შექმნოდა, ფიდიასმა იატაკი შავი მარმარილოთი მოაპირკეთა.

ფიდიასის ღვთაებრივ ნიჭს მიაწერენ ზევსის სახის მიგნებას. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მის წინაშე იდგა ამოცანა, როგორი გარეგნობა ჰქონდა ზევსს. ფიდიასამდე ზევსის უამრავი გამოსახულება არსებობდა, მაგრამ დიდ ხელოვანს არცერთი არ აკმაყოფილებდა. სტრაბონი წერს, ვიდრე ფიდიასი ზევსის გამოკვეთას შეუდგებოდა პანენმა ჰკითხა, რომელი მოდელის მოხედვით აპირებდა იგი ღმერთის სახის შექმნას. ფიდიასმა უპასუხა: იმ მოდელით, რომელიც წარმოდგენილი აქვს ჰომეროსს. სტრაბონს მოაქვს ნაწყვეტი „ილიადადან", რომელიც გახდა ფიდიასის შთაგონების წყარო. თეტიდამ თხოვა ზევსს იარაღი და დახმარება ტროასთან მებრძოლი აქილევსისათვის. ჰომეროსი ზევსის რეაქციას ასე ხატავს:

აკავშირებდა ოთხი ძელი. წინა მხარის ძელზე ძველ შეჯიბრებათა შვიდი გამოსახულებაა (პავსანიასის დროს მერვე იმდენად დაზიანებული ყოფილა, რომ არც ახსენებს). მათ შორის ერთზე გამოსახულია ელიდელი ჭაბუკი პანტარკი, იმ წლის ოლიმპიონიკი. სხვა ძელებზე აღბეჭდილი მითოლოგიური სცენებიდან აღსანიშნავია ჰერაკლეს რაზმის ბრძოლა ამაზონებთან. მებრძოლთა შორის არის თეზევსიც. ტახტი ეყრდნობა არა მარტო ფეხებს, არამედ სვეტებსაც. ტახტთან მისვლა არ შეიძლება იგი შემოზღუდულია კედლის ფორმის ბარიერით. კარების მოპირდაპირე კედელი შეღებილია მუქი ცისფერი საღებავით. დანარჩენი სამი კედელი შემკულია ნახატებით. ილუსტრაციათა თანმიმდევრობა ასეთია, დგას ატლანტი, რომელსაც უჭირავს ცა და დედამიწა. მის გვერდით მდგომი ჰერაკლე ცდილობს მიიღოს სიმძიმე ატლანტისაგან. ჰერაკლეს ციკლიდან არის ბრძოლა ნემეის ლომთან. აღბეჭდილია აიაქსი, მიჯაჭვული პრომეთე, აქილევსი, რომელსაც ხელთ უპყრია მომაკვდავი პენტესილეა. ჰესპერიდები ოქროს ვაშლებით. პავსანიასი წერს, რომ მხატვრობა ეკუთვნის ფიდიასის ძმას პანენს.[1] ფიდიასის იდეით, ტაძრის კედლების მოხატულობას გარკვეული ფონი უნდა შეექმნა ოლიმპიელი ზევსის ქანდაკებისათვის. ამ საქმის შესრულება დაეკისრა დიდი მოქანდაკის ძმას, მხატვარ პანენს. როგორც ჩანს, ფიდიასის საგვარეულო მიდრეკილი იყო ხელოვნებისაკენ. მაგრამ ღვთაებრივი ძალა ყოველგვარი ზღვარის გადალახვით გამოვლინდა ფიდიასში.

ზევსის ტახტის ყველაზე მაღალ ადგილას, ქანდაკების თავთან, ერთ მხარეს ქარიტები, მეორე მხარეს ჰორები არიან გამოსახულნი. ზევსი ფეხებით ეყრდნობა მერხს, რომელიც იდგა ოქროს ლომებზე, მასზე რელიეფურად გამოსახული იყო თეზევსის ბრძოლა ამაზონებთან. ტახტის საყრდენ კვარცხლბეკზე მრავლად იყო ოქროს გამოსახულებები: ჰელიოსის, ზევსისა და ჰერასი, ქარიტას, ჰერმესის, ჰესტიას, ეროსის შეხვედრა ზღვიდან ამომავალ აფროდიტესთან,* რომელსაც პეითო

1. პავსანიასი პანენს ფიდიასის ძმად თვლის. სტრაბონის მიხედვით კი, პანენი ფიდიასის ძმისწული იყო.

(დარწმუნების ქალღმერთი) ამკობს გვირგვინით. მომდევნო სცენაზეა აპოლონი და არტემიდა, ათენა და ჰერაკლე. მითოლოგიური წარმოდგენების ფორუმს აგვირგვინებს ამფიტრიტას, პოსეიდონისა და სელენას გამოსახულება.

პავსანიასი რასაც საკუთარი თვალით ხედავდა, იმას წერდა. ბევრ საკითხში იგი წინამორბედ მწერლებსაც ეკამათებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ პავსანიასის დროს (ახ. წ. II ს.) ოლიმპიის ადრინდელ ბრწყინვალებას ბევრი აკლდა. ამის მიუხედავად, ელადის სიძველეთა მოტრფიალემ, თავისი ჩანაწერებით, საუკუნეებს გადაურჩინა ადამიანური გენიის ერთ-ერთი საოცრება, ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება.

ფიდიასმა ზევსთან ერთად ოლიმპოს ღმერთების მთელი გალერეაც დახატა. მაგრამ მის მიერ გამოქანდაკებული ზევსის სახე კანონიკური გახდა.

ფიდიასმა ზევსის ქანდაკებით გამოსახა არა მარტო ღმერთის სახე, არამედ ადამიანურ შესაძლებლობათა სიდიადეც. პავსანიასის სიტყვებით, ფიდიასის დიდი ხელოვნება თვით ღმერთმა დადასტურა. „როდესაც ქანდაკება დასრულა, ფიდიასმა ლოცვით მიმართა ღმერთს – მიეცა ნიშანი, მოსწონდა თუ არა მისი ნაწარმოები. იმავე წუთს, მოუთხრობენ, ღმერთმა ტყორცნა ელვა იატაკის იმ ადგილას, სადაც ჩემს დრომდე იდგა მიწაზე სპილენძის თასი."

ზევსს განსაკუთრებული ფონი რომ შექმნოდა, ფიდიასმა იატაკი შავი მარმარილოთი მოაპირკეთა.

ფიდიასის ღვთაებრივ ნიჭს მიაწერენ ზევსის სახის მიგნებას. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ მის წინაშე იდგა ამოცანა, როგორი გარეგნობა ჰქონდა ზევსს. ფიდიასამდე ზევსის უამრავი გამოსახულება არსებობდა, მაგრამ დიდ ხელოვანს არცერთი არ აკმაყოფილებდა. სტრაბონი წერს, ვიდრე ფიდიასი ზევსის გამოკვეთას შეუდგებოდა პანენმა ჰკითხა, რომელი მოდელის მოხედვით აპირებდა იგი ღმერთის სახის შექმნას. ფიდიასმა უპასუხა: იმ მოდელით, რომელიც წარმოდგენილი აქვს ჰომეროსს. სტრაბონს მოაქვს ნაწყვეტი „ილიადადან", რომელიც გახდა ფიდიასის შთაგონების წყარო. თეტიდამ თხოვა ზევსს იარაღი და დახმარება ტროასთან მებრძოლი აქილევსისათვის. ჰომეროსი ზევსის რეაქციას ასე ხატავს:

„თანხმობის ნიშნად ძირს დახარა შავი წარბები, ქალაქე კრონიდის უჯნოს თავზე სურნელოვანი თმები შეარხა და ოლიმპო იძრა დიადი."

ილიადა, I. 528-530. (რ. მიმინოშვილის თარგმანი)

პოეტის მხატვრულ აღწერას, ფიდიასმა ხორცი შეასხა. ჰომეროსის აბსტრაქტული ღმერთი მიწაზე ჩამოიყვანა. შექმნა ივი მიწიერი ადამიანისათვის მიუწვდომელი ზეციური ნიშნებით

დიონ ხრიზოსტომი გვაძლევს ანტიკური ეპოქის წარმოდგენას ღმერთზე. ორატორის მტკიცებით, ეს წარმოდგენა სამი წყაროდან მომდინარეობს: ისინი იყვნენ თავიდანვე, მიიღეს პოეტებმა და ვანამტკიცეს კანონებმა. მისი აზრით, მეოთხე წყარო არის ქანდაკება და . მხატვრობა, რადგან ეს ფორმა იძლევა ღმერთის ხელშესახებ გამოსახულებას. მხატვარი თავისი ხელოვნების წყალობით ასერხებს ღმერთის ბუნების გამოხატვას. ძრავალმა ხელოვანმა მიაღწია მწვერვალს და იზეიმა გამარჯვება, მაგრამ პირველობის გვირგვინი ეკუთვნის ფიდიასს. ხრიზოსტომის განმარტებით ფიდიასის გამოქანდაკებული ზევსის სახე იმდენად ღვთაებრივია, რომ მისი ხილვა ადამიანებს ამშვიდებს და ცხოვრებისეულ სიმძიმეს აეიწყებს. ფიდიასის ღმერთი ზეციერებებს ახდენს ცხოველებზედაც. მის წინაშე ხარები თვალიერებენ და ეშორჩილებიან ქურუმებს. გარეული ცხოველებიც კი. ზეკნის სახის დანახვისთანავე, ივიწყებენ ველურ თვისებებს.

ყველა ეპოქაში ღმერთის გამოსახულებას იმიტომ ქმნიდნენ, რომ მისთვის რაღაც ღვთაებრივი ნიშნები მიეწერათ. მაგრამ არც ერთი ღმერთის ქანდაკება და მისი შემოქმედი არ შეუმკიათ ისეთ დონეზე, როგორც ზევსი და ფიდიასი.

ოლიმპიისა და ზევსის ქანდაკების ხილვა ყველა ბერძენის სანუკვარ ოცნებასა და ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა. ელადაში უბედურად ითვლებოდა გარდაცვლილი ადამიანი, რომელსაც სიცოცხლეში ზევსის ქანდაკება ნანახი არ ჰქონდა. ხოლო ვისც ერთხელ ნახა, ამ ქვეყნად გაჩენის ერთ-ერთი მიზანი შესრულებულად უნდა ჩაეთვალა. ახ. წ. I-II სს. მცხოვრები ფილოსოფოს სტოიკოსი ყველას მოუწოდებდა,

„წადით ოლიმპიაში, ნახეთ ფიდიასის ქმნილება. დიდი უბედურებაა სიკვდილი ისე, რომ ასეთი საოცრება არ იხილო“[1]

მოწოდების გარეშე სრულიუფლებიანი მოქალაქეები თავს ვალდებულად თვლიდნენ, თუ ამის მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდათ, ოლიმპიას წასულიყვნენ. ყოველ მეოთხე წელიწადს ელიდა ბერძენთა შეკრების აღგილად იქცეოდა, რომელთაც ზევსის სტუმრები ეწოდებოდათ ოლიმპიაში მრავლად ჩადიოდნენ ვაჭრებიც, მაგრამ ძირითად მასას ორი კატეგორიის ხალხი შეადგენდა: ოლიმპიის წმინდა ადგილების თაყვანისმცემლები და სილამაზისა და ვაჟკაცობის ზეიმის გულშემატკივრები. ყველას სურდა საკუთარი თვალით ეხილა ზევსის ქანდაკება (პავსანიასის ცნობით, ზევსს ფეხებზე ჰქონდა წარწერა: „ფიდიასმა, ხარლენდის შვილმა, ათენელმა, შემქმნა მე“) და თავისი თანამედროვე ბერძენი გოლიათები, რომელთა პოპულარობა, მართალია დროებითი, აღემატებოდა ნებისმიერი გამოჩენილი მოაზროვნის დიდებას.

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დაიწყო ოლიმპოს ღმერთების თაყვანისმცემელთა თანდათანობითი გადასვლა ქრისტიანულ რწმენაზე. ახალი სულიერი კულტურისათვის წარმართული რელიგიის კულტები მიუღებელი და ხელისშემშლელი ხდებოდა. ზევსის უძლეველობის იდეა მითოლოგიის საკუთრებად დარჩა. ოლიმპია დიდხანს იგერიებდა პოლიტიკური მოვლენების ცვალებადობას, ვიდრე იმპერატორების ბრძანებით მისი წმინდა საკურთხეველები არ დაამხეს. ფიდიასის ზევსმა თითქმის ერთი საუკუნით გაიხანგრძლივა სიცოცხლე. ივი კონსტანტინეპოლში გადაიტანეს და სასახლეში დადგეს. მაგრამ არც იმპერატორის მფარველობის ქვეშ მოქცევა აღმოჩნდა საიმედო თავშესაფარი. V საუკუნის ბოლოს სასახლეში გაჩენილმა ხანძარმა, მარადიულად მიჩნეული ქანდაკება შთანიქა.[2]

---

1. ზევსის ქანდაკების ძალუმება მრავალი ლეგენდის საგანი გახდა. [illegible] ... ბერძენ ... ოლიმპიაში. ... ...

ჰალიკარნასის მავზოლეუმი

მცირე აზიის დასავლეთით, ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, მდებარეობდა კარიის პატარა სამთავრო. ბერძენი ავტორების ტრადიციული გადმოცემით, ადრეულ ხანაში კარიელები ეგეოსის ზღვის კუნძულებზე ცხოვრობდნენ. დროთა განმავლობაში მოხდა კუნძულებიდან მათი განდევნა და ისინიც მცირე აზიაში დამკვიდრდნენ. მეცნიერებაში საბოლოოდ არ არის დადგენილი მათი წარმომავლობის საკითხი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კარიაში შერეული ხალხი ცხოვრობდა. კარიელებმა ძლიერი გაერთიანების შექმნა ვერ შეძლეს. ამიტომ ყველა დამპყრობელი ადვილად იმორჩილებოდა.

დორიელების კოლონიზაციამ კარიის სანაპიროც ჩართო ელადის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების არეალში. დაიწყო მის ტერიტორიაზე ბერძნული ქალაქების დაარსება. მცირე აზიაში არსებულ ბერძნულ ქალაქთა შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არგოლიდელების გაშენებული ქალაქი ჰალიკარნასი.

ბერძენ-სპარსელთა ომებამდე ჰალიკარნასი, იონიის სხვა ელინური ქალაქების ბედს იზიარებდა და აქემენიდების ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. ბერძენთა გამარჯვების შემდეგ იგი ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირს შეუერთდა. პელოპონესის ომში ათენი დამარცხდა, კავშირი დაიშალა, ხოლო მისი მეთაური მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა. ათენის გავლენა პოლიტიკურ სარბიელზე დაკნინდა. კავშირის წევრმა პოლისებმა გამაერთიანებელი ღერძი დაკარგეს. საბერძნეთს ვერც გამარჯვებული სპარტა ჩაუდგა სათავეში. იონიის ბერძნული ქალაქები, კვლავ სპარსეთისა და მისი ქვეშევრდომი მეფეებისა თუ მთავრების პირისპირ აღმოჩნდნენ.

სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში კარია, ლიდიასთან ერთად შევიდა. აქემენიდებმა მის მფლობელებს ნომინალურად დამოუკიდებლობა შეუნარჩუნეს.

ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისისათვის კარიაში გაძლიერდა ადგილობრივი დინასტია. მცირე აზიის სატრაპები გარკვეულ თავისუფლებას აძლევდნენ სპარსული ორიენტაციის მეფეებს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მათი ექსპანსია მიმართული იყო

ბერძნული ქალაქების წინააღმდეგ. სპარსელთა დახმარებით მოახერხეს კარიის ტირანებმა ჰალიკარნასის ხელში ჩაგდება და თავიანთ სატახტო ქალაქად მისი გამოცხადება. კარიის ისტორიას ბერძნები იმდენად უმნიშვნელოდ თვლიდნენ, რომ მისთვის სერიოზული ყურადღება არ მიუქცევიათ. ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისამდე კარიელებს თავი არცერთ სფეროში არ გამოუჩენიათ. შედარებით ვრცელი ცნობები მისი უკანასკნელი მეფეების შესახებ დაცული არის სტრაბონის „გეოგრაფიაში". სტრაბონის თანახმად, კარიის მეფე ჰეკატომნეს ჰყავდა სამი ვაჟი, მავზოლოსი, გიდრიოსი, პიქსოდარე და ორი ასული, არტემისია და ადა. ჰეკატომნეს გარდაცვალების შემდეგ გამეფდა ძმებს შორის უფროსი მავზოლოსი. იგი დაქორწინდა უფროს დაზე არტემისიაზე. მომდევნო ძმამ გიდრიოსმა ცოლად შეირთო უმცროსი და ადა. მავზოლოსმა სამეფო ტახტი მეუღლეს დაუტოვა, მაგრამ დიდხანს არც მას უცოცხლია, ქმარზე დარდით ჭლექი შეეყარა და გარდაიცვალა. გამეფდა მომდევნო ძმა გიდრიოსი. მოკლე ხანში ისიც გარდაიცვალა და გამეფდა ადა. უმცროსმა ძმამ პიქსოდარემ სპარსელების დახმარებით ადას ტახტი წაართვა. მან ხელისუფლება თავის მფარველ სატრაპს გაუყო. პიქსოდარეს გარდაცვალების შემდეგ ჰალიკარნასი სატრაპს დარჩა. როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ჰალიკარნასს მიადგა, ადა გამოცხადდა მასთან და დაუწყო ვედრება, დაებრუნებინა მისთვის ჩამორთმეული სამეფო. სამაგიეროდ პირობას დებდა, რომ დაუმორჩილებდა განდგომილ ქალაქებს. ალექსანდრემ მიიღო წინადადება და კარიის დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი თავის უფლებებში აღადგინა. მაკედონელმა ჰალიკარნასი აიღო, მხოლოდ აკროპოლისი დარჩა სპარსელების ხელში. მისი ალყა გაჭიანურდა. ალექსანდრემ აკროპოლისის გარემოცვის გაგრძელება ადას დაავალა, თითონ აღმოსავლეთში ლაშქრობა გააგრძელა. ადამ აიღო შიდაციხე და მისი დამცველები უმკაცრესად დასაჯა.

სტრაბონის ცნობებს აღრმავებენ სხვა ავტორთა მონაცემები.

ალექსანდრე მაკედონელმა აღმოსავლური ლაშქრობა კარიიდან დაიწყო. მილეტის დაცემის შემდეგ, უკან დახეულმა ბერძენ მოქარაგნეთა არმიის სარდალმა მემნონმა და სპარსეთის სატრაპმა ორონტოპატმა, თავი იონიის ყველაზე გამაგრებულ

ქალაქს ჰალიკარნასს შეაფარეს. ჰალიკარნასთან მოიყარეს თავი აიესელმა და მაკედონელმა ემიგრანტებმაც მათ სარდლობას ფინიკიელი და კვიპროსელი ზღვაოსნების იმედი ჰქონდათ. მეძნონმა ალექსანდრესთან მოლაპარაკების გამართვაც სცადა. მაგრამ მეფემ მის მიერ შეთავაზებული გეგმა უარყო.

ალექსანდრე შეუდგა ჰალიკარნასის ალყას, მაგრამ ქალაქი ძლიერი გალავნით იყო შემოზღუდული და დიდხანს იცავდა თავს. მოწინააღმდეგენი ღია ბრძოლას თავს არიდებდნენ. მაკედონელი საალყო კოშკებით მიადგა ჰალიკარნასის კედლებს და რამდენიმე ადგილას შეანგრია. მეძნონმა შენობების დიდი ნაწილი ცეცხლს მისცა, შიდაციხე გაამაგრა, მთავარი ძალები კი კუნძულ კოსზე გადაიყვანა. ალექსანდრემ მეძნონი მცირე აზიის სასაპიროებს მოწყვიტა.

კარიის მოსახლეობა ალექსანდრეს ხალისით შეხვდა. მასში სპარსთა ბატონობის დამმხობი და განმანთავისუფლებელი დაინახეს. ეს არ იყო ლაშქრობის მარტო გარეგნული ნიშანი. მეფე პრაქტიკული საქმიანობითაც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. ადას კვლავ ტახტზე დაბრუნებამ ახალგაზრდა მეფისადმი სიმპატიები კიდევ უფრო გაზარდა.

ალექსანდრემ გაითვალისწინა ადგილობრივ ტრადიციებში დაცული დედის უფლებები და სურვილი გამოთქვა, რომ ადას იგი შვილად გამოეცხადებინა. მეფის ეს მოქმედებაც სერიოზულ ამოცანებს ისახავდა მიზნად. ადას გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე გახდებოდა კარიის ტახტის კანონიერი მემკვიდრე. კარიის მაგალითზე მან პირველად სცადა ადგილობრივი ტრადიციებისა და თავისი ფართო სახელმწიფოებრივი პროგრამის გაერთიანება. ალექსანდრეს განზრახვა უმტკივნეულოდ განხორციელდა, ვისაიდან კარიის სამეფო კარისათვის ელინური კულტურა და პოლიტიკური თეორიები ცნობილი იყო.

ალექსანდრე მაკედონელის მომდევნო ხანებში კარია და მისი დედაქალაქი ჰალიკარნასი არენას ტოვებენ. დიადოხოსების ბრძოლებში მათ უმნიშვნელო როლი შეასრულეს.

ჰალიკარნასი მთელ საბერძნეთში ცნობილი იყო თავისი არქიტექტურული ძეგლებით. განსაკუთრებული დიდებით სარგებლობდა ომის ღმერთის არესის ტაძარი. ტაძარში აღმართული იყო

ლეოხარესის შექმნილი ღვთაების აკროლითური (მარმარილო და ხე) კოლოსი.

ქალაქს ამშვენებდა სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ტაძარი. მასთან ახლოს იდგა ჰერმესის ტაძარი.

ჰალიკარნასში მრავალი გამოჩენილი ადამიანი დაიბადა. „ისტორიის მამა" ჰეროდოტე და რომაული პერიოდის ბერძენი ისტორიკოსი დიონისე ჰალიკარნესელები იყვნენ. სტრაბონი გამოჩენილ ჰალიკარნასელთა რიცხვში ასახელებს კალიმახეს მეგობარ პოეტს, ჰერაკლიტეს.

კარიის მეფეთა უჩინარი როლის მიუხედავად, მათ მაინც დატოვეს ხუროთმოძღვრების ისეთი ნიმუში, რომელმაც ანტიკური სამყაროს საერთო მოწონება დაიმსახურა. ძველი სამყაროს საოცრებათა შვიდეულის ერთი ძეგლი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი მათი ინიციატივით შეიქმნა.

მავზოლეუმმა ჰალიკარნასის ყველა ნაგებობა დაჩრდილა. ანტიკურ ტრადიციაში დადგენილი არ არის ვინ იყო მავზოლეუმის იდეის ავტორი. ზოგიერთი წყარო მიუთითებს, რომ მავზოლოსმა თავისსავე სიცოცხლეში დაიწყო საკუთარი აკლდამის მშენებლობა. მაგრამ ვერ მოასწრო და დაასრულა მისმა მეუღლემ არტემისიამ. მეორე ვერსიით მავზოლეუმის მშენებლობა დაიწყო და დაამთავრა არტემისიამ.

კარიის მეფეებმა მხოლოდ ფინანსური მხარე უზრუნველყვეს. ისინი საოცრად ხელგაშლილი დამკვეთები აღმოჩნდნენ. წლების განმავლობაში სამეფო ხაზინაში დაგროვილი სიმდიდრე გამოიყენეს არაჩვეულებრივი აკლდამის ასაგებად. რომლის მსგავსსაც ხუროთმოძღვრული ძეგლებით უხვად მოფენილი საბერძნეთი არ იცნობდა.

მავზოლოსის სამუდამო განსასვენებლის მშენებლობაზე თავი მოიყარეს იმდროინდელი ელადის გამოჩენილმა არქიტექტორებმა და მოქანდაკეებმა. მავზოლეუმი მარტო ორიგინალური ხუროთმოძღვრებით არ იპყრობდა ყურადღებას, იგი ამავე დროს მაღალი დონის ქანდაკების ნიმუშებითაც იყო დამშვენებული. არქიტექტორებმა: სკოპასმა, ლეოხარესმა, ბრიაკსისმა და ტიმოთეოსმა შექმნეს ხელოვნების ისეთი ძეგლი, რომელმაც საოცრებებში დაიმკვიდრა ადგილი და უკვდავყვეს ერთი ჩვეულებრივი ტირანის სახელი.

ბერძნულ პოლისებში აღმართულ ნაგებობათა უმრავლესობა შეწირულებით შენდებოდა, რაც სერიოზულ ეკონომიკურ ბარიერს წარმოადგენდა ხელოვანისა და უბრალო მუშის მიზიდვის თვალსაზრისით. მავზოლეუმის დამკვეთები კი ძირითადი პრობლემებისაგან თავისუფალნი იყვნენ.

უამრავი არქიტექტურული საოცრება შექმნეს ძველმა ბერძენმა ოსტატებმა, მაგრამ ასე მრავალრიცხოვან მაღალი რანგის ხელოვანს ერთი ძეგლის მშენებლობაზე იშვიათად თუ მოუყრია თავი. როგორც ჩანს, კარიის მეფეთა ხელგაშლილობამ დაინტერესა გამოჩენილ ბერძენ ხელოვანთა მოზრდილი ჯგუფი. სიმდიდრისა და ნიჭის გაერთიანებამ შექმნა მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება.

მავზოლეუმს დიდებას მატებდა შესანიშნავი მდებარეობა. ანტიკური ავტორების გადმოცემით, იგი აგებული იყო ვრცელი განიერი ქუჩის შუა ნაწილში. არტემისიას ცხოვრების ძირითად ამოცანად ქცეულმა აკლდამა-ტაძარმა, ბერძნული ხელოვნება კიდევ ერთი შედევრით გაამდიდრა.[1]

არტემისია მეუღლის სახელის უკვდავსაყოფად ცდილობდა მავზოლეუმის სწრაფად დამთავრებას. მძიმე სენით შეპყრობილი დარწმუნებული იყო, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში მშენებლობას არავინ გააგრძელებდა. წყაროების მოწმობით, ცნობილია, რომ არტემისია, მართლაც მალე გარდაიცვალა, მაგრამ მიზნის განხორციელება მოასწრო.

არტემისიას პოლიტიკური საქმიანობიდან სულ რამდენიმე ფრაგმენტია ცნობილი. ყველაზე ვრცელია, მაგრამ ნაკლებ

---

1. ნაკლებ მაბნის არ შეიძლება ალიკარნასის მავზოლეუმის შესახებ არსებული ლიტერატურის განხილვა, მაგრამ საბოლოდ მიგვანნია ერთი ამბავი უზუსტობის გარეშეო შანც ძეკანერეთ ყურადღება.

ა. ნეიმარტინი და ი. ბიმოეს ყიგნში „ხელოვნების შვიდი საოცრება" (ქართული თარგმანი, „ვანიალება", 1967), რამდენიმე ხერხიოზული შეცდომა არის დაშვებული. ანტიკური ავტორები აღნიშნავენ, რომ მავზოლოსი გარდაცვალა უმეტესობლად. ყიგნის თანახმად კი, „არტემისია მოკვდა, ვიდრე ის მოესწრო მავზოლეუმის დასრულებას" (გვ. 77). რამდენიმე წინადადების შემდეგ, „მავზოლეუმი მთლიანად დასრულებულ იქნა მხოლოდ მეფე მავზოლოს შვილიშვილის ღროს".

მავზოლოსსა და არტემისიას შვილი არ ჰყოლიათ. მავზოლოსი გარდაცვალა ძვ. წ. 353 წელს. ცხრამეტი წლის შემდეგ, 334 წელს როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ალიკარნასი აიღო, მავზოლეუმი ღამთავრებული იყო. გაუგებარია, რომელ შვილსა და შვილიშვილზე მოგვითხრობენ ყიგნის ავტორები. არტემისიას გარდაცვალების შემდეგ ალიკარნასში რამდენიმე მეფე მეიცვალა. მართალია, ისინი მავზოლოსის და-ძმანი იყვნენ, მაგრამ საეჭვოა, რომ ძმის აკლდამისათვის რაიმე გაეკეთებინოთ, ვინაიდან ამ ხნის განმავლობაში ისინი ერთმანეთს ებრძოლნენ. 334 წლისათვის ძალაუფლება სპარსი ხაცრაპის ხელში იყო.

სარწმუნო, ვიტრუვიუსთან დაცული მოთხრობა. იგი წერს, როდესაც როდოსელებმა გაიგეს კარიაში ქალის ვამეფების ამბავი, გადაწყვიტეს მისი სამფლობელოების მიტაცება. შეადგინეს დიდი ფლოტი და ჰალიკარნასისაკენ გაემართნენ. ჰალიკარნასს ორი ნავსადგური ჰქონდა, ერთი ღია, მეორე დაფარული. არტემისიამ გაიგო თუ არა მტრის განზრახვა, საიდუმლო ნავსადგურში ჩაასაფრა მენიჩბეებითა და დესანტით საომრად გამზადებული გემები. როდოსელები მიადგნენ მთავარ ნავსადგურს. გალავანზე მდგომ მოქალაქეებს, ნაბრძანები ჰქონდათ ხელების ქნევით მიეზიდათ თავდამსხმელები და დაპირებოდნენ ქალაქის გადაცემას. ბრძოლის გეგმა ითვალისწინებდა მტრისთვის კარიბჭის გაღებას. როდოსელებმა გემები დატოვეს და ხმელეთზე გადაეიდნენ. ჰალიკარნასელებმა კარიბჭე გააღეს. ამ დროს არტემისიამ ასპარეზი დაუთმო ჩასაფრებულ ფლოტს, რომელიც დაუბრკოლებლად მიადგა როდოსელთა ცარიელ გემებს და შეიყვანა ღია ზღვაში. ჰალიკარნასის ქუჩებში გამართულ ბრძოლაში როდოსელებმა სრული კატასტროფა განიცადეს. არტემისიამ სასწრაფოდ აიყვანა თავისი მეომრები როდოსელთა გემებზე და კუნძულისაკენ გაეშურა. როდოსელებმა დაინახეს თავიანთი გემები, დარწმუნებულნი იმაში, რომ მეომრები გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ, აღტაცებულნი შეხვდნენ სინამდვილეში მათ გემებზე კარიელები იყვნენ. არტემისია დაუბრკოლებლად შევიდა ქალაქში, დასაჯა ხელისუფლების სათავეში მდგომნი და გამარჯვების აღსანიშნავად როდოსში თაეისი ქანდაკება აღმართა.

ვადმოცემაში რეალობაზე მეტი ზღაპრულია, მაგრამ მისი მიზანი უნდა იყოს არტემისიას ცბიერებისა და მოხერხებულობის ხაზგასმა. თუმცა საოცრად გაზვიადებულია დედოფლის როლი. ფლოტის ხელში ჩაგდება და ქალაქების აღება ასე პრიმიტიულად არ ხდებოდა. თანაც საქმე ეხება ისეთ ძლიერ საზღვაო ქალაქს, როგორიც როდოსი იყო. ლეგენდა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არტემისია სამეფო ტახტზე შემთხვევითი პირი არ ყოფილა და შესწევდა უნარი ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ეწარმოებინა. მაგრამ ეს არის ვარაუდი. კარიის სამეფო კარმა, რომელსაც დიდი საქმეების შესრულება არ ხელეწიფებოდა, მავზოლეუმის აგების მატერიალური უზრუნველყოფით, მარადიული ხსენების უფლება მოიპოვა.

ელინურ ქალაქებში დამკვიდრებული მიცვალებულის კულტისათვის მოულოდნელობას წარმოადგენდა გიგანტური ზომის აკლდამატაძარი. პოლისის მოქალაქეთათვის უცხო იყო მავზოლეუმის დანიშნულებაც. მათი ტრადიცია მსგავსი სახის სამარხებს არ იცნობდა და არც ჰქონდათ მოთხოვნილება შთამომავლობა გაეკვირვებინათ პომპეზური აკლდამებით. მაგრამ აღმოსავლეთის მონარქების სამსახურში ჩამდგარ ელინთა წინაშე დაისვა ამოცანა დაეკმაყოფილებინათ დამკვეთთა ინტერესები. ოღონდ დამკვეთი იძლეოდა შემოქმედებით თავისუფლებას. იგი კარგად იცნობდა ბერძნული ხუროთმოძღვრების დონეს და თანახმა იყო ამ დონის ქმნილება თავის სახელთან დაეკავშირებინა.

მავზოლეუმის სახით ხუროთმოძღვრებმა ბერძნული სტილისათვის განსხვავებული ნაგებობა შექმნეს. გამოიყენეს სამივე ბერძნული ორდერი და რაც მთავარია, ჩართეს აღმოსავლური არქიტექტურის მოტივებიც. შინაარსით მავზოლეუმში აღმოსავლური ხელოვნების გაგრძელებაა. აღმოსავლეთის ისტორია იცნობს მსგავსი დანიშნულების გიგანტურ ნაგებობებს (ეგვიპტის პირამიდები ამის საუკეთესო დამადასტურებელია). კარიის სამეფო კარმაც, ძველი აღმოსავლური ცივილიზაციის დასასრულს, თავისი სამყაროს ტრადიციებს არ უღალატა და შექმნა ისეთი ძეგლი, რომელმაც გააერთიანა ორი ეპოქის ხუროთმოძღვრული ხელოვნება.

მავზოლეუმის პროექტი ბერძენმა ხუროთმოძღვრებმა შეადგინეს. მათ არ უღალატიათ ბერძნულ ხელოვნებაში გაბატონებული ტრადიციებისათვის, მაგრამ სერიოზულად დაარღვიეს მისი გარეგნული მხარე. შენობა შედგებოდა სამი იარუსისაგან. კოლონები პირველი იარუსის ნაცვლად, მეორე იარუსზე გადიტანეს. განსხვავებული გამომსახველობითი ფორმების მიუხედავად, პირველი და მეორე იარუსი, წმინდა ბერძნული ნაგებობა იყო. მავზოლეუმის მესამე იარუსი წარმოადგენდა წაკვეთილ პირამიდას. სვეტებზე დაყრდნობილი პირამიდა ისე ბუნებრივად იყო დაკავშირებული მთელ ანსამბლთან, რომ სახურავის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ბერძენმა არქიტექტორებმა ელინურ ნაგებობას შეუთანხმეს ამ სტილისათვის უცხო პირამიდა. და ეს მოხდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვარზე, ბერძნულ ქალაქ ჰალიკარნასში.

მავზოლეუმი ელინისტური ეპოქის წინა დღეს წარმოადგენდა.

ბერძენმა არქიტექტორებმა დროის მოთხოვნილებათა შესაბამისად, პირველად დაუკავშირეს ერთმანეთს ორი სამყაროს კულტურული მონაპოვარი. ჰალიკარნასის მავზოლეუმის მშენებლები წინ უძღოდნენ ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო ისტორიულ იდეას, აღმოსავლური და დასავლური კულტურების შერწყმას.

მავზოლეუმის არქიტექტორებმა პითეოსმა და სატიროსმა ააგეს გიგანტური ტაძარი-აკლდამა. ვრცელი იყო იგი ფართობითაც. მისი სიგრძე შეადგენდა 77 მეტრს, სიგანე 66 მეტრს, ხოლო სიმაღლე 46 მეტრს. ნაგებობა ერთდროულად წარმოადგენდა ტაძარსაც და აკლდამასაც.

სამიარუსიანი ნაგებობის პირველი საფეხური, ვრცელი ტაძარი დათმობილი ჰქონდა მავზოლოსისა და არტემისიას სარკოფაგებს. ტაძარი მოპირკეთებული იყო უმაღლესი ხარისხის მარმარილოთი. ტაძრის დანიშნულებაში შედიოდა მეფის, როგორც ღმერთის თაყვანისცემა.

პირველ იარუსს გარშემო ერტყა ფრიზი, რომელზედაც ასახული იყო ბერძენი მოქანდაკეების საყვარელი თემა – ამაზონომახია. მისი ავტორი იყო დიდი ხელოვანი სკოპასი. ამაზონომახია ბერძნული ტაძრების უმრავლესობას ამკობდა, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოყოფდნენ მავზოლეუმის გაფორმების მაღალ დონეს.

პირველი იარუსის ჭერი ეყრდნობოდა დორიული ორდერის სვეტებს.

მეორე იარუსი გაღმერთებული მავზოლოსისა და არტემისიასადმი მიძღვნილ საკურთხეველს წარმოადგენდა. იარუსს ქმნიდა კოლონადების ტევრი. კოლონადის შიდა მხარეს აღმართული იყო კორინთული, ხოლო გარეთა მხარეს იონიური ორდერის სვეტები. სვეტებს შორის თავისუფალი ადგილი ეკავა მარმარილოს ლომების ქანდაკებებს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ანსამბლში ბატონობენ ლომებისა და ცხენების მარმარილოს ფიგურები. ეს მაღალი დონის ნიმუშები გამოაქანდაკეს, ლეოხარესმა, ბრიაკსისმა და ტიმოთეოსმა.

მესამე იარუსი, პირამიდა, ასრულებდა სახურავის მოვალეობას. პირამიდას წვერი წაკვეთილი ჰქონდა და ჰქმნიდა საკმაოდ მოზრდილ მოედანს, რომელზედაც იდგა მარმარილოს უზარმაზარი ოთხცხენიანი ეტლი (კვადრიგა). ეტლზე აღმართული იყო

მავზოლოსისა და არტემისიას ქანდაკებები. პირამიდა მასზე მოთავსებული ქანდაკებების ჩათვლით, მარმარილოსაგან იყო შესრულებული.

მავზოლოსის ქანდაკების ავტორი იყო პითეოსი. მეფის ფიგურის სიმაღლე სამ მეტრს აღწევდა. მითითებულია, რომ ხელოვანმა ზუსტად აღბეჭდა დესპოტის მრისხანე გარეგნობა. მავზოლოსი სიცოცხლეში შიშის ზარს სცემდა ქვეშევრდომებს. მოქანდაკემ მარმარილოშიც შეძლო მეფის ბუნების გადატანა. რეალისტური ხაზებით ქანდაკება ზუსტად ასახავდა მავზოლოსის ბოროტ სახეს. არტემისიას კი ყოველივე ეს იდეალურად მიაჩნდა, რადგან მეუღლე სხვა სახით მას ვერ წარმოედგინა.

სამშენებლო მასალის მოპოვება და მისი გადაზიდვის სირთულე დანარჩენ საოცრებათა მშენებლობის ანალოგიური იყო და არ ვეხებით, ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით.

ხუროთმოძღვრებმა ორიგინალურად გადწყვიტეს ერთ შენობაში ბერძნული ორდერების შერწყმა, მაგრამ თავიანთი შემოქმედების მწვერვალისათვის მკვეთრად გამოხატული იერი რომ მიეცათ, აღმოსავლური არქიტექტურის სათავეებს დაესესხნენ. მავზოლეუმს ბერძნულად სტილიზებული ეგვიპტური პირამიდა დააშენეს.

მავზოლეუმის სახელი მისი ორიგინალობითა და ბერძნული ხუროთმოძღვრებისათვის უცხო სტილის გამოყენებით იყო გამოწვეული. ვინ იყო ბერძნულ-ეგვიპტური არქიტექტურის გაერთიანების ინიციატორი უცნობია.

მავზოლეუმმა ხუროთმოძღვრული ძეგლებით მოზეიმე საბერძნეთი კიდევ ერთხელ გააოცა. ხელოვნების დამფასებლებმა კიდევ ერთხელ მოიდრიკეს მუხლი ბერძენ არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ნიჭის გაერთიანებულ შედეგრთან.

ანტიკური ეპოქის მრავალმა მწერალმა დატოვა მავზოლეუმის ვრცელი აღწერა. მის მნიშვნელობას აღტაცებული სიტყვებით ამკობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა პავსანიასის შთაბეჭდილებები. იგი წერს, „მრავალი ღირსშესანიშნავი საფლავი მინახავს, რომლებიც იმსახურებენ ყურადღებას, მათ შორის მოვიხსენიებ ორს: ერთი დგას ჰალიკარნასში, მეორე ებრაელთა დედაქალაქში. ის, რომელიც აღმართულია ჰალიკარნასში ყოფილი მეფის მავზოლოსის საპატივცემულოდ, ისეთი დიდი ზომისაა

და ისე საუცხოოა თავისი მორთულობითა და სტილით, რომ რომაელებიც კი უდიდეს გაოცებამდე მივიდნენ და გამორჩეულ ძეგლებს მსგავსი დანიშნულებისას თავიანთ ქვეყანაში მავზოლეუმებს უწოდებენ".

მავზოლეუმმა, როგორც მაღალი რანგის ხელოვნების ნიმუშმა, ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია. მაგრამ ამავე დროს ადგილი აქვს მკაცრ ირონიასაც მავზოლოსის დაუმსახურებელი დიდების მიმართ. აღნიშნულ ტენდენციას ყველაზე მკვეთრად წარმოაჩენს ცნობილი მწერალი ლუკიანე სამოსატელი ფანტასტიკურ თხზულებაში, „საუბრები მიცვალებულთა სამეფოში". ფილოსოფოსი დიოგენი მეფე მავზოლოსთან საუბარში აშკარად ამტკიცებს ძეგლისა და მისი მფლობელის შეუსაბამობას. ლუკიანესთან ფილოსოფოსი დიოგენისებური პირდაპირობით საუბრობს. დიალოგს წარმართავს დიოგენი:

„დიოგენი. რით ამაყობ შენ კარიელო? რა საბაბით მოითხოვ ჩვენს შორის შენთვის პირველ ადგილს?

მავზოლოსი. იმით სინოპელო, რომ ვარ მეფე, ვმეფობდი კარიაში, ვფლობდი ლიდიის მნიშვნელოვან ნაწილს და დავიმორჩილე თითქმის მთელი იონია მილეტამდე. ამასთან ერთად მე ვიყავი ლამაზი, ტანით მაღალი და საძხედრო საქმეში დახელოვნებული. განსაკუთრებით მრავლისმეტყველია ის, რომ ჰალიკარნასში ჩემზე დგას უზარმაზარი ძეგლი, რომლის მსგავსიც, თავისი შეუდარებელი სილამაზით, მოკვდავთა შორის არავის აქვს. ცხენები და ადამიანები გასაოცარი ხელოვნებით გამოკვეთილნი არიან ულამაზესი ქვებისაგან. ასეთი საოცრება ძნელი საპოვნია თვით ტაძართა შორისაც. განა მე სწორი არა ვარ, რომ ამით ვამაყობ?

დიოგენი. სამეფოთი, სილამაზით და საფლავის ძეგლის სიდიდით?

მავზოლოსი. რა თქმა უნდა, ამით.

დიოგენი. მაგრამ მშვენიერო მავზოლოს, ამჯერად შენ არც ძალა გაგაჩნია, არც სილამაზე. თუ ჩვენ ვინმეს მივმართავდით, რომ მას განესაჯა, რომელია ჩვენს შორის უფრო ლამაზი, მე არ ვიცი, რის საფუძველზე შეძლებდა იგი შენი თავის ქალის ჩემსაზე მაღლა დაყენებას: ორივენი მელოტი და შიშველი არიან, ორთავეს გარედან გვიჩანს

ყველა კბილი, ერთნაირად ცარიელია თვალთა სიღრმენი, მსგავსია ორივე ცხვირი. რაც შეეხება შენს ძეგლსა და საოცარ მარმარილოს, მათ შეუძლიათ მოემსახურონ ჰალიკარნასელებს, როგორც სიამაყის საგანი უცხოელთა წინაშე, რომ მათთან დგას ასეთი უზარმაზარი ნაგებობა. ხოლო შენ, კეთილო, რა სარგებლობა გაქვს მე არ ვიცი, – იმის გარდა, რომ წევხარ ასეთი ქვის გოლიათის ქვეშ, იჭერ საკუთარ თავზე დიდ სიმძიმეს, ვიდრე ჩვენ.

მავზოლოსი. მაშასადამე ყოველივე ეს არაფერია? მავზოლოსი დიოგენის სწორი იქნება?

დიოგენი. არა, სწორი არა, უპირველესო, სრულებითაც არა. მავზოლოსი იტირებს, როდესაც მოიგონებს თავის მიწიერ ცხოვრებას, რომელიც ნეტარად ეჩვენებოდა, ხოლო დიოგენისათვის ყოველივე ეს სასაცილოა. მავზოლოსი იტყვის, რომ მისი აკლდამა ჰალიკარნასში აღმართა მისმა მეუღლემ და დამ არტემისიამ, ხოლო დიოგენმა არც კი იცის მის სხეულს აქვს თუ არა რაიმე სამარხი. მას ამის შესახებ არ უზრუნვია. სამაგიეროდ სიკვდილის შემდეგ მოიპოვა დიდება საუკეთესო ადამიანთა შორის... უფრო მაღალი სიცოცხლით, ვიდრე შენი ძეგლი და დაფუძნებულია უფრო მყარ ნიადაგზე".

ლუკიანე მავზოლეუმის დიდებულებას არ უარყოფს, მაგრამ კარიის მბრძანებელს არარაობად თვლის. ფილოსოფოს დიოგენის სიტყვებით, ძეგლის სიდიადე სულაც არ მეტყველებს მისი მფლობელის ღირსებებზე. ლუკიანე სამოსატელმა სერიოზული არგუმენტებით დაამტკიცა მავზოლოსის სიამაყის უსაფუძვლობა და ნიადაგი გამოაცალა მის დაუმსახურებელ დიდებას.

მავზოლეუმმა უკვდავი გახადა ძველი მსოფლიოს ისტორიაში უჩინარი პიროვნების, მავზოლოსის სახელი. აკლდამას სახელი გაუთქვა ბერძენ ხელოვანთა უძლიერესი ნაკადის გენიამ.

ჰალიკარნასის მავზოლეუმმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ბერძნული ხელოვნების ისტორიაში. ძეგლის აგება წინ უსწრებს ელინიზმის ეპოქის დადგომას, მაგრამ ამის მიუხედავად, ატარებს ახალი ეპოქის ნიშნებს. მავზოლეუმში თავი იჩინა ბერძნულ არქიტექტურულ ორდერთა გაერთიანებისა და აღმოსავლური ხელოვნების ათვისების იდეამ. წინაელინისტურ ეპოქაში ორი სრულიად განსხვავებული არქიტექტურული სტილის შერწყმა,

ბერძნული ხელოვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხური აღმოჩნდა. აქედან ჩანს, რომ ორი სამყაროს შეხვედრა და გაერთიანება ალექსანდრე მაკედონელამდე მწიფდებოდა. ალექსანდრე დიდმა ისტორიული პროცესის დამაჩქარებლის როლი შეასრულა.

ძველმა ბერძნულმა ქალაქმა ჰალიკარნასმა და მისმა მშვენებამ მავზოლეუმმა XV საუკუნემდე მოაღწია. თურქებმა ბოლო მოუღეს ქალაქსაც და მავზოლეუმსაც (ჰალიკარნასის ადგილას გაშენებულია თანამედროვე თურქეთის პროვინციული ქალაქი ბორდუმი). დამპყრობლებმა მავზოლეუმის მრავალი შედევრი, უბრალო სამშენებლო მასალად გამოიყენეს. ბერძენ ხელოვანთა ზეციური აღმაფრენის ნაყოფი, რამდენიმე საუკუნე ემსახურებოდა უსახო ციხე-სიმაგრის სიმტკიცეს.

მავზოლეუმის უზარმაზარი ხუროთმოძღვრული და სკულპტურული ანსამბლიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა გამოაღწია ისტორიის ქარტეხილებს.[1] მაგრამ ბერძენ-რომაელ მწერალთა ერთსულოვანი აღტაცება ადასტურებს, რომ კარიის მეფის აკლდამა-ტაძარი, შეუდარებელ ნაგებობას წარმოადგენდა.

---

1. ჰალიკარნასის მავზოლეუმის გადარჩენილ ძვლოვან საუკეთესო ნაწილი (მავზოლოსისა და არტემისიას ქანდაკებები, ამაზონებთან ბრძოლის აჩსახველი სცენები) დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში.

როდოსის კოლოსი

კუნძული როდოსი, გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ეგეოსის აუზის საზღვაო გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საბერძნეთიდან კვიპროსზე, სირია-ფინიკიასა და ეგვიპტეში მოხვედრა, როდოსის გვერდის ავლით შეუძლებელი იყო. მცირე აზიიდან ჩრდილოეთ აფრიკასა და სიცილიისაკენ მიმავალი გზებიც როდოსზე ვადიოდა. კუნძულის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა ბერძნული კოლონიზაციის დროს.

როდოსის სავაჭრო ურთიერთობამ მცირე აზიასთან და ეგვიპტესთან, მისმა მუდმივმა კონტაქტებმა ეგეოსის აუზის კუნძულებთან და განსაკუთრებით კონტინენტურ საბერძნეთთან, ადრიდანვე აქციეს კუნძული ბერძნულ-აღმოსავლური კაუშირების შუამავლად. როდოსმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინა ეგეოსის ზღვის სანაპირო ქალაქების ვაჭრობის განვითარებაზე.

საზღვაო ვაჭრობამ და განსაკუთრებით საკოლონიზაციო მოძრაობაში აქტიურად ჩართვამ, კიდევ უფრო განამტკიცა კუნძულის ეკონომიკური მდგომარეობა. როდოსელი ვაჭრები საოცარი დიპლომატიით გამოირჩეოდნენ. ისინი ურთიერთობას ამყარებდნენ მტრულად განწყობილ ქალაქებთანაც კი. საბერძნეთის ისტორიიდან კარგად არის ცნობილი, რომ კორინთო და არგოსი, კუნძულები ხიოსი და სამოსი, ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ეს გარემოება როდოსელებს ხელს არ უშლიდა და ორივე მხარესთან შესანიშნავად აკეთებდნენ თავიანთ საკაჭრო საქმეებს. მიუოითებენ, რომ ასეთი პოლიტიკა გამოწვეული იყო მისი ვაჭრობის სატრანზიტო ხასიათით.

ეგვიპტესთან ბერძნული სამყაროს ურთიეროობაში როდოსელები გამოამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ამის გამო იგი საისური ეგვიპტის ფარაონების მფარველობითაც სარგებლობდა. ჰეროდოტეს თანახმად, როდოსი, სხვა ბერძნულ ქალაქებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა ნავკრატისის დაარსებაში.

როდოსელები შორეულ ქვეყნებთანაც ამყარებდნენ ურთიერთობას და აარსებდნენ კოლონიებს. სტრაბონი გვაუწყებს, რომ ოლიმპიურ თამაშებამდე დიდი ხნით ადრე, მათ მიაღწიეს იბერიას, სადაც დააარსეს ახალშენი როდოსი.

როდოსი ვაჭრობითა და კოლონიზაციით არ კმაყოფილდებოდა. მან ადრიდანვე დაიწყო მცირე აზიის სანაპიროების, პირველ რიგში კარიის ძიწების მიტაცება. რამდენიმე ქალაქი როდოსის სრულ მორჩილებაში მოექცა.

აქემენიდური სპარსეთის აღზევებამ შეაჩერა როდოსის აღმოსავლური პოლიტიკა.

ბერძენ-სპარსელთა ხანგრძლივმა ომმა დიდი ზიანი მიაყენა კუნძულს. შემცირდა მცირე აზიასთან ურთიერთობის არეალი. ბერძნული სამყაროს მთელი ეკონომიკა ომის სამსახურში ჩადგა. ათენის მეთაურობით შექმნილ ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირში როდოსის ქალაქებიც შეეიდნენ. ომმა, ხოლო შემდეგ კავშირში ყოფნამ, სერიოზულად შეაფერხა როდოსის დამოუკიდებელი სავაჭრო-ეკონომიკური განვითარება. ათენმა საკუთარი მიზნები მოახვია თავს კუნძულს და წლების განმავლობაში აიძულებდა მის ნებას დამორჩილებოდა.

საბერძნეთისათვის უდიდესმა ტრაგედიამ, პელოპონესის ომმა მთელი სიმძიმით გადაუარა როდოსსაც. ივი, როგორც ატიკა-დელოსის საზღვაო კავშირის წევრი, ვალდებული იყო საომარ ოპერაციებში მიეღო მონაწილეობა. კუნძული პროათენური და პროსპარტანული დაჯგუფებების ბრძოლის არენად გადაიქცა. ამის გამო, ათენი და სპარტა ხშირად აწყობდნენ დამსჯელ ექსპედიციებს როდოსზე. ეს ფაქტი აიძულებდა მას არსებითად გარდაექმნა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკური ურთიერთობანი. პელოპენესის ომის დროს კუნძულის ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა. მისი პოლისები (ლინდი, კამირი, იალისი) ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდნენ (ძვ. წ 408-405 წწ.). გაერთიანება ერთდროულად ატარებდა ანტიათენურ და ანტისპარტანულ ხასიათს. როდოსის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ სათავე დაუდო ქვეყნის საგაჭრო და საზღვაო ძლიერების განმტკიცებას. პოლიბიოსის განსაზღვრით, აღნიშნულმა ფაქტმა როდოსი იმდროინდელი მსოფლიოს ვაჭრობის ცენტრად აქცია.

გაერთიანებამ მოითხოვა ახალი პოლიტიკური ცენტრის წარმოქმნა. პელოპონესის ომის ბოლოს ასეთ ცენტრად დაარსდა კუნძულის სახელის მატარებელი ქალაქი როდოსი. ახალი

ქალაქის გარშემო მოხდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გაერთიანება.

როდოსის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ახალი აღმავლობის საფუძველი გახდა. სერიოზული ცვლილებები განაპირობა ფართო მასშტაბის რეფორმებმა, რომელმაც ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ყველა სფერო მოიცვა. მოხდა კუნძულისა და დაპყრობილი კარიის მიწების ტერიტორიული დაყოფა დემებად. გატარდა სამხედრო რეფორმები. არმიას სათავეში ჩაუდგნენ ჰეგემონები და სტრატეგოსები. მოიჭრა ახალი ტიპის მონეტა. რეფორმები შეეხო რელიგიასაც. როდოსის მთავარ ღვთაებად გამოაცხადეს მზის ღმერთი ჰელიოსი.

როდოსი, როგორც საზღვაო სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობად ფლოტს. ფლოტში სამსახური როდოსის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული სამსახურის თანმიმდევრობაზე.

როდოსის ხელისუფლება დიდი გულმოდგინებით ცდილობდა მცირეაზიური სამფლობელოების დაცვას. დასახლებული პუნქტები მიუდგომელ ციხე-სიმაგრეებად აქცია. სტრატეგიულად მოხერხებულ ადგილებში განლაგებულ სიმაგრეებს სანაპირო ხაზზე კონტროლი ეევალებოდათ.

ქალაქი როდოსი კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა.[1] მისი მდებარეობა საშუალებას აძლევდა აქტიურად ჩართულიყო საერთაშორისო მოვლენების ფერხულში. როდოსის როლზე მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დაცული სტრაბონს. მისი გადმოცემით, როდოსის ნავსადგური, ქუჩები, გალავანი და სხვა ნაგებობანი იმდენად განსხვავდება დანარჩენი ქალაქებისაგან, რომ შეუძლებელია მიახლოებით მსგავსის ან უკეთესის დასახელება. გასაოცარია კანონებზე დაფუძნებული როდოსელთა ქალაქის კეთილმოწყობა და ის ყურადღება, რომელსაც იჩენენ სახელმწიფო საქმეებისადმი. განსაკუთრებულ მზრუნველობას ავლენდნენ ფლოტისადმი, რომლის წყალობითაც ისინი ხანგრძლივად ბატონობდნენ ზღვაზე, მოსპეს მეკობრეობა და გახდნენ რომაელებისა და სხვა მეფეების მეგობრები... როდოსელები ზრუნავდნენ ხალხზე,

---

1. როდოსი სამხრეთ სპორადების ყველაზე დიდი კუნძულია. მისი ფართობი შეადგენს 1404 კვ. კმ. კუნძულის სიგრძეა 75 კმ. სიგანე 30 კმ.

თუმცა მათთან დემოკრატიული მმართველობა არ ყოფილა. მდიდრები ეხმარებოდნენ ღარიბებს წინაპართა ადათების მსგავსად. არსებობდა ცნობილი საზოგადოებრივი ბეგარა სურსათით მომარაგების შესახებ. როდოსზე, მასილიისა და კიზიკოსის მსგავსად, ყველა, ვისაც საქმე ჰქონდა არქიტექტურასთან, იარაღის კეთებასთან და იარაღის საწყობთან, განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა.

როდოსს დიდი გამარჯვება მოუტანა ათენთან სავაჭრო ბრძოლაში ჩაბმამ. პელოპონესის ომში ათენის დამარცხებამ, როდოსი ყოველგვარი მორჩილებისაგან თავისუფალი გახადა. როდოსის საერთაშორისო როლზე მეტყველებს ისიც, რომ ათენთან ეკონომიკურ ბრძოლაში, ფილიპე მაკედონელმა მთავარი ყურადღება როდოსის სამონეტო სისტემას დაუთმო.

ალექსანდრე მაკედონელისათვის როდოსს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ქალაქი მაკედონურმა გარნიზონმა დაიკავა. მაგრამ ალექსანდრეს გარდაცვალებისთანავე მაკედონელები განდევნეს და კუნძულმა კვლავ დამოუკიდებლობა მოიპოვა. დიადოხოსების ომში როდოსი ცდილობდა ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა და საომარი მოქმედებანი თავისი სამფლობელოებიდან აეცილებინა. საოცრად ფრთხილი პოლიტიკის მიუხედავად, მშვიდობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

ელინისტური სახელმწიფოების წარმოქმნის შემდეგ, მოქნილმა საგარეო პოლიტიკამ როდოსის სავაჭრო ასპარეზი კიდევ უფრო გააფართოვა. ელინისტური სამეფოების მონარქები ცდილობდნენ მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდნენ სელევკიდები. ცნობილია, რომ სელევკოს II როდოსს საჩუქრად გადასცა ქალაქი სტრატონიკეა მიმდებარე მიწებით. მისი ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა პერგამოსის სამეფოს. ძვ. წ II საუკუნეში როდოსმა ისარგებლა ეგვიპტის სტრატეგოსების გართულებული მდგომარეობით და მათგან იყიდა ქალაქი კავნოსი. როდოსის სამფლობელოები კიდევ უფრო გაფართოვდა რომისა და სელევკიდების ბრძოლების დასაწყისში. გამარჯვებულმა რომმა მას გადასცა კარიისა და ლიკიის დიდი ნაწილი.

როდოსის ვაჭრობისა და ხელოსნობის მაღალი დონე მრავალ უცხოელს იზიდავდა. ქალაქის ნავსადგურში თავისუფლად შედიოდა ყველა ქვეყნის გემი. თვით როდოსელები აწყობდნენ

შორეულ ექსპედიციებს და კვლავინდებურად ასრულებდნენ წამყვან როლს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების საშუამავლო ვაჭრობაში.

როდოსზე ჩაეყარა საფუძველი საზღვაო სამართალს, რომელიც იმპერიის პერიოდის რომში საზღვაო სამართლის ნიმუშად ჰქონდათ მიჩნეული. როდოსის სავაჭრო-საზღვაო სამართალი, გადამუშავებული სახით გადავიდა ბიზანტიაში. მაგრამ მისი სიცოცხლისუნარიანობა აღმოსავლეთ რომის იმპერიის საზღვრებს გასცდა. შუა საუკუნეების სავაჭრო სახელმწიფოებიც იყენებდნენ „როდოსული კანონების“ სახელწოდებით.

როდოსის ცენტრალიზებულმა სავაჭრო ოლიგარქიამ შეიმუშავა პოლიტიკური ორგანიზაციის თავისებური ფორმა, რომელმაც მისცა საშუალება შეენარჩუნებინა მმართველობის რესპუბლიკური ფორმები ელინისტური მონარქიების სისტემაში.

როდოსში მოქმედი კანონების თანახმად, ქალაქში არსებობდა ყოველგვარი პირობები ლტოლვილთა მისაღებად. ბერძნულ პოლისებში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლები მრავალ გამოჩენილ თუ რიგით ელინს აიძულებდა დაეტოვებინა არენა, რომ თავიდან აეცილებინა დასჯის საშიშროება. ასეთ შემთხვევაში, კუნძული წარმოადგენდა მშობლიური ქალაქებიდან გაძევებულთა საიმედო თავშესაფარს. დამადასტურებელი ფაქტები მრავლადაა ცნობილი კლასიკური და ელინისტური ეპოქის ბერძნული სახელმწიფოების ისტორიიდან.

ელინიზმის ხანაში როდოსი უძლიერეს სამხედრო ნავსაღგურად გადაიქცა. ქალაქის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა აღმავლობამ როდოსის სამხედრო ფლოტს უძლეველის სახელი მოუპოვა. მის საზღვაო ძლიერებას ადასტურებს ისიც, რომ მთელი III საუკუნის განმავლობაში, აქტიურად ხელმძღვანელობდა იგი მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლას.

ფრთხილი დიპლომატიის მიუხედავად, როდოსმა დიადოხოსების ანთებული ცეცხლი მაინც ვერ აიცილა.

ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ლაშქრობებით ძველი მსოფლიოს ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. სპარსეთის უზარმაზარი იმპერია მაკედონური მონარქიის შემადგენელი ნაწილი გახდა. მაგრამ გამარჯვებული ბერძენ-მაკედონელები

ტრიუმფის ეფექტისაგან გამორკვეულები არც იყვნენ, რომ ახალგაზრდა მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა.

ალექსანდრე მაკედონელის არმიაში მრავალი ნიჭიერი სარდალი და პოლიტიკოსი (პერდიკა, ანტიპატრე, ანტიგონე, ევმენი, ლიზიმახე, პტოლემაიოსი, სელევკოსი და სხვა) იყო. ტახტის კანონიერი მემკვიდრეც მალე დაიბადა. სარდლებმა სატრაპების ეგიდით დაპყრობილი ქვეყნები დაინაწილეს. პირველ წლებში იმპერიის ერთიანობის იდეა ნომინალურად სუნთქავდა, თუმცა ურთიერთ შორის ბრძოლა საერთო ინტერესებს ჩრდილავდა.

ალექსანდრეს სარდლები თითქმის ერთი რანგისანი იყვნენ, თუმცა სიკვდილის წინ primus inter pares დაასახელა პერდიკა. პერდიკამ და მისმა მომდევნო რეგენტებმა ოდნავადაც ვერ შეაფერხეს განდიდების წყურვილით ალმოდებულ ბერძენ-მაკედონელ სტრატეგოსთა მისწრაფებანი. პირველობისათვის ბრძოლა გადაიზარდა ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ომში, რომელსაც ისტორია დიადოხოსების ომის სახელწოდებით იცნობს.

ძვ.წ. 311 წელს, კასანდრეს ბრძანებით, სიცოცხლეს გამოასალმეს ალექსანდრე დიდის მცირეწლოვანი შვილი ალექსანდრე IV. სახელოვანმა მაკედონურმა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა. ალექსანდრე IV სიცოცხლეში დიადოხოსები ურთიერშორის ბრძოლებს ახალგაზრდა მეფის სახელით წარმართავდნენ. განხორციელებული ბოროტების შემდეგ სინამდვილის შელამაზება საკუთარი მიზნების დათმობას ნიშნავდა. ნიღაბს გარეგნული საფარველი ჩამოეცალა. დაიწყო აშკარა ომი პირველობისათვის, რომელშიც ჩაება იმდროინდელი მსოფლიო ეგვიპტიდან ინდოეთამდე.

ალექსანდრე IV სიკვდილით სამეფო ტახტისაკენ მიმავალი გზა გათავისუფლდა. უპირატესობა, რომელსაც მცირეწლოვანი მეფე სარდლებთან შედარებით ფლობდა, აღარ არსებობდა. თითოეული სარდლის წინაშე თვალისმომჭრელად აელვარდა სამეფო გვირგვინი. ადრე იმპერიის ერთიანობის მქადაგებელი სარდლები საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ.

დიადოხოსთა ბრძოლის პირველი პერიოდი როდოსმა მშვიდობიანად გადაიტანა. 312 წლამდე იგი არცერთ საომარ მოქმედებაში არ ჩარეულა. როდესაც აქტიურმა დიადოხოსმა ანტიგონემ გამოკვეთა თავისი გეგმები და გადაწყვიტა ალექსანდრეს

როლის შესრულება, როდოსის გარშემო თავისუფლების რკალი დაპატარავდა.

ანტიგონემ აღმოსავლეთის სატრაპების დიდ ნაწილს ხელისუფლება ჩამოართვა. მისმა მოქმედებამ დანარჩენი დიადოხოსების მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. კასანდრე, ლიზიმახე და პტოლემაიოსი მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ანტიგონემ ორიენტაცია ბერძნულ ქალაქებზე აიღო. მათი მიმხრობის მიზნით, იგი ელინურ პოლისებს კასანდრეს მიერ ჩამორთმეულ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაბრუნებას პირდებოდა. 307 წელს ანტიგონემ და დემეტრიოსმა ათენიდან განდევნეს დემოკრატიის მტერი, ცნობილი ფილოსოფოსი დემეტრიოს ფალერელი, რომელიც ხელისუფლებას კასანდრეს წყალობით ფლობდა.

როდოსი დიდი სიფრთხილით ცდილობდა თავი აერიდებინა ანტიგონეს საომარ ოპერაციებში მონაწილეობისაგან, მაგრამ მრისხანე დიადოხოსის ნებას ყოველთვის ვერ უწევდა წინააღმდეგობას. მაგ. ტვიროსთან ბრძოლის დროს, ანტიგონეს ბრძანებით, როდოსზე ააგეს რამდენიმე ხომალდი. ეს ფაქტი როდოსელებმა კერძო საქმედ მიიჩნიეს და ხელი არ შეუშლიათ. საბერძნეთში ლაშქრობისას ქალაქმა ანტიგონეს ათი გემი გაუგზავნა. მაგრამ ალექსანდრე დიდის მემკვიდრეობის პრეტენზიით შეპყრობილი ანტიგონე სულ სხვა მიზნებს ითვალისწინებდა.

ანტიგონეს ევროპულ-აზიური სახელმწიფოს სიმტკიცესა და ძლიერებას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიდა ეგვიპტეში დამკვიდრებული სტრატეგოსი პტოლემაიოსი. ნიჭიერ სარდალს გადწყვეტილი ჰქონდა კოალიციაში შემავალი დიადოხოსებისათვის გაერთიანების საშუალება არ მიეცა. ამ მიზნით დაიწყო სამზადისი ეგვიპტის წინააღმდეგ. ანტიგონე კარგად გრძნობდა როდოსის ძლიერი ფლოტის აუცილებლობას და კავშირი შესთავაზა. როდოსელებმა მოთხოვნას მხარი არ დაუჭირეს და უპასუხეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ ნეიტრალურად დარჩენა. პასუხმა ანტიგონეს რისხვა გამოიწვია, მან გადაწყვიტა ეგვიპტის განადგურების შემდეგ მისი უმკაცრესად დასჯა.

ანტიგონესა და პტოლემაიოსს შორის ბრძოლა გაიმართა 306 წელს. ანტიგონემ გაიმარჯვა,[1] მაგრამ ეს არ ნიშნავდა

1. ამ გამარჯვების შემდეგ ანტიგონემ და დემეტრიოსმა თავი მეფედ გამოაცხადეს. 305 წელს პტოლემაიოსმა, ლიზიმახემ, კასანდრემ და სელევკოსმაც მეფის გვირგვინი დაიდგეს.

ძლიერი ეგვიპტის საბოლოო დაჩოქებას. საჭირო იყო გამარჯვების ბოლომდე მიყვანა. ანტიგონე გრძნობდა, რომ ბრძოლის ბედი ზღვაზე უნდა გადაწყვეტილიყო. საწყის ეტაპად მიიჩნია კვიპროსისა და როდოსის ხელში ჩაგდება. კვიპროსი იოლად დაიპყრო. რაც შეეხება როდოსს, ივი კარგად იყო ინფორმირებული მის ძლიერებაში და სერიოზულ სამზადისს შეუდგა.

ანტიგონემ ომის საბაბად როდოსის ეგვიპტეში ვაჭრობა დაასახელა. მის მიერ წარგზავნილმა სტრატეგოსმა როდოსელებს მოსთხოვა გაწყვიტათ ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა ეგვიპტესთან. ქალაქი ენერგიულად აღუდგა წინ მოთხოვნას და შეეცადა ანტიგონეს რისხვის შერბილებას. ხელისუფლებამ დაადგინა, როდოსში აღმართავდნენ ანტიგონეს ქანდაკებას, თუ არ აიძულებდნენ, რომ ეგვიპტესთან ურთიერთობა გაწყვიტათ. მათი მტკიცებით არავისათვის სასარგებლო არ იქნებოდა თუ მათი ვაჭრობა და კეთილდღეობა განადგურდებოდა. როდოსის წინადადებას მკაცრი მუქარით უარი ეთქვა.

გადაწყდა როდოსის სამაგალითო დასჯა

305 წელს ანტიგონეს შვილი დემეტრიოსი უზარმაზარი სამხედრო შენაერთებით კუნძულს მიადგა. ანტიკური ავტორების გადმოცემით, დემეტრიოსის ფლოტი სხვადასხვა ზომის 200 სამხედრო და 170 სატრანსპორტო გემისაგან შედგებოდა. მის მხარეს იბრძოდა აგრეთვე, მეკობრეთა თუ სხვათა ათასამდე მცირე ზომის ნავი. იმავე წყაროების მოწმობით, დემეტრიოსის არმიაში 40 ათასი მეომარი იყო.

როდოსელებმა პირველად იხილეს თავიანთ ნაპირებთან მტრის ასეთი სიძრავლე. მათ მოინდომეს მოლაპარაკების გზით აეცილებინათ კუნძულის აოსრება და დემეტრიოსს შეუთვალეს, რომ ყველა მის მოთხოვნას დააკმაყოფილებდნენ. კერძოდ, ისინი უარყოფდნენ ადრინდელ პოზიციას და კისრულობდნენ მთელი ძალებით პტოლემაიოსის წინააღმდეგ ვამოსვლას. დემეტრიოსი დათანხმდა შეთავაზებულ წინადადებას, მაგრამ მორჩილების უმძიმესი პირობები წამოაყენა. მან როდოსელებისაგან მოითხოვა 100 წარჩინებული მოქალაქე მძევლად და ნავსადგურის გაღება.

დემეტრიოსის მოთხოვნა როდოსელებმა უარყვეს. მათ გადწყვიტეს ბრძოლის ველისათვის მიენდოთ ბედი, ვიდრე შეესრულებინათ ზავის სამარცხვინო პირობები.

ქალაქ როდოსს ძლიერი გალავანი ჰქონდა. გალავანს ბრძოლისუნარიანობას მატებდა მრავალრიცხოვანი კოშკი. ქალაქის დაცვა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლას მოითხოვდა. როდოსის ხელისუფლებამ, მეომართა რიცხვის გაზრდის მიზნით, ყველა სრულასაკოვანი მოქალაქე და უცხოელი დამცველად ჩარიცხა. მაგრამ ექვსი ათასზე მეტი მებრძოლის შეგროვება ვერ მოხერხდა. მტრის სიმრავლე მოითხოვდა არაორდინალური ღონისძიების აუცილებლობას. გამოსავალი ადვილად მოინახა. როდოსელებმა, მონათმფლობელური სახელმწიფოსათვის უცხო გადწყვეტილება მიიღეს. მონები გამოისყიდეს, მოქალაქეობა მიანიჭეს და ქალაქის დამცველთა რიგებში ჩააყენეს.

მთელი სახელმწიფო ერთი სულისკვეთებით განეწყო. გამოცხადებული დადგენილებით, ბრძოლის ველზე დაღუპულთათვის უნდა მოეწყოთ საპატიო დაკრძალვა, ხოლო მათ მშობლებსა და შვილებს მისცემოდა დახმარება. ქალიშვილები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ მზითევით, ხოლო ვაჟები, როდესაც სრულასაკოვანი გახდებოდნენ, დიონისეს დღესასწაულის დროს, თეატრში მიიღებდნენ სრულ აღჭურვილობას. მდიდრები სწირავდნენ ფულს, ხელოსნები ამზადებდნენ იარაღს. მთელი მოსახლეობა მუშაობდა გალავანსა და კოშკებზე, ლოდსატყორცნ მანქანებსა და გემებზე. დამცველთა რიგებში თავდადებით მუშაობდნენ ქალებიც. დიოდორე. სიცილიელის ცნობით, როდოსელმა ქალებმა თმებიც კი შეიჭრეს, რომ მშვილდის ლარები დაეწნათ.

დემეტრიოსმა მეომართა ნაწილი ნაპირზე გადასხა და ქალაქი ხმელეთიდანაც ალყაში მოაქცია. დამპყრობლებმა გაჩეხეს როდოსის გარშემო გაშენებული ბაღ-ვენახები და ტყეები.

დემეტრიოსის მთავარი ყურადღება ნავსადგურისადმი იყო მიპყრობილი. მეფის ვარაუდით, თუ ნავსადგურს ხელში ჩაიგდებდა, ქალაქი გარე სამყაროს მოწყდებოდა. მაგრამ როდოსელთა კატაპულტები მტრის ხომალდებს მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. გამოცდილი როდოსელი ზღვაოსნები მოხერხებულად გადიოდნენ ზღვის სიღრმეში და უჩინარდებოდნენ. შემდეგ მოულოდნელად ბრუნდებოდნენ უკან და სერიოზულ ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგის ხომალდებს. მაგრამ ეს იყო ეპიზოდური ხასიათის მოქმედება და ბრძოლის საერთო მსვლელობაზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენდა. ქალაქი უმძიმესი განსაცდელის

წინაშე რჩებოდა. დემეტრიოსის ლოდსატყორცნი მანქანები ორ ფუთიან ქვებს უშენდნენ როდოსის გალავანს. რამდენიმე კოშკი დაზიანეს კიდეც, მაგრამ დამცველებმა სასწრაფოდ შეაკეთეს.

როდოსის ნავსადგურმა რამდენიმე ძლიერი შეტევა მოიგერია. მრავალი გემი ჩაიძირა. დემეტრიოსი დარწმუნდა, რომ ზღვიდან ქალაქის აღება შეუძლებელი იყო და გადაწყვიტა მთელი ყურადღება ხმელეთზე გადაეტანა.

დემეტრიოსი შეეცადა გვირაბის გაყვანასაც, მაგრამ როდოსელებმა მოღალატის წყალობით, განზრახვა გაუგეს და გზა გადაუკეტეს.

დემეტრიოსმა უკანასკნელ იმედად საალყო მანქანის ჰელეპოლისის აგება მიიჩნია და შეუდგა სამზადისს. მოზიდეს დიდძალი სამშენებლო მასალა. თავი მოუყარეს უამრავ სპეციალისტს: ინჟინრებს, არქიტექტორებს, ხელოსნებს. დემეტრიოსის ჰელეპოლისს ძველი სამყარო სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების შეუდარებელ ნიმუშად თვლიდა, რომელსაც ვერც ერთი სიმაგრე ვერ გაუძლებდა. ჰელეპოლისის აგებაში დიოდორე სიცილიელი განსაკუთრებით გამოჰყოფს დემეტრიოსის დამსახურებას. მისი გადმოცემით ახალგაზრდა მეფე დაჯილდოებული იყო გამომგონებლის იშვიათი ნიჭით, რომელიც კარგად ერკვეოდა ტექნიკის სფეროში და შეჰქონდა შესწორებები სამხედრო ინჟინრების შექმნილ მოდელებში.

როდოსელები შიშით შესცქეროდნენ, როგორ იზრდებოდა ჰელეპოლისი. ისინი გრძნობდნენ, რომ მანქანას ქალაქის კედლები ვერ გაუძლებდა. ამიტომ სასწრაფოდ დაიწყეს მეორე კედლის მშენებლობა. მასალად გამოიყენეს თეატრი, გალავანთან ახლოს მდებარე შენობები და რამდენიმე ტაძარი.

ჰელეპოლისის აგება უმოკლეს ვადაში დასრულდა. მას უზარმაზარი კოშკის ფორმა ჰქონდა. მანქანა მოძრაობაში მოჰყავდა 3400 მეომარს. სამი გვერდი დაცული ჰქონდა რკინის ფურცლებით. წინა მხარეს, სპეციალურად დატოვებულ ნახვრეტებთან განლაგებული იყო სატყორცნი იარაღები. ჰელეპოლისი ეყრდნობოდა რვა ბორბალს. მისი გადაადგილება ყველა მიმართულებით შეიძლებოდა.

ჰელეპოლისი მიმართეს ქალაქზე. ყველა სართულზე (სულ ჰქონდა ცხრა სართული) მოაწყვეს კატაპულტები. მანქანები შეუდგნენ ლოდების დაშენებას. გალავანმა ვერ გაუძლო. ერთი

კოშკი კიდეც დაემხო, მაგრამ დამცველებმა სასწაულები მოახდინეს. მამაცურად იგერიებდნენ მტერსაც და დაზიანებულ გალავანსაც ამაგრებდნენ. ალყაში მოქცეულებს ეხმარებოდნენ ლიზიმახე და კასანდრე. პერის დიდი მარაგი გამოგზავნა ეგვიპტემ.

დემეტრიოსის შეტევებს როდოსი გმირულად იგერიებდა. ქალაქის სიმტკიცე კვლავ გაუტეხელი რჩებოდა. მეფე დარწმუნდა გაჭიანურებული ალყის უიმედობაში და გადწყვიტა როდოსს გასცლოდა, მაგრამ ისე, რომ უძლეველის პრესტიჟიც შეენარჩუნებინა. საჭირო იყო საპატიო მიზეზი. ამ დროს მასთან გამოცხადდნენ ელჩები, რომლებმაც აუწყეს, რომ კასანდრე საბერძნეთში იმყოფებოდა და ათენი სასწრაფო შველას ითხოვდა. როდოსთან ზავის დადება გარდაუვალი გახდა.

როდოსელებმა სიხარულით მიიღეს დემეტრიოსის შეთავაზებული წინადადება, შეეწყვიტათ ომი და ზავი დაედოთ. საზავო პირობების თანახმად, როდოსის დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა უცვლელი რჩებოდა. უნარჩუნდებოდა თავისი შემოსავალი, მაგრამ ცხადდებოდა ანტიგონესა და დემეტრიოსის მოკავშირედ.

ერთწლიანი ალყის შემდეგ, 304 წელს როდოსმა მტრის გარემოცვას თავი დააღწია.

ბერძნებმა დემეტრიოსს პოლიორკეტი – „ქალაქთა გარემომცველი" უწოდეს.[1]

ქალაქის დასანგრევად გამიზნული ჰელეპოლისი დარჩა როდოსის გალავანთან, როგორც მისი უძლეველობის სიმბოლო.

დანგრეული შენობების აღდგენის შემდეგ, როდოსის სახალხო კრებამ მიიღო გადწყვეტილება, ჰელეპოლისი დაეშალათ, გაეყიდათ და აღებული ფულით აღემართათ მზის ღმერთის ჰელიოსის ქანდაკება.

---

1. ანტიკურ აუტორებს, დემეტრიოს პოლიორკეტი დახასიათებული აქვთ, როგორც უგანსაკუთრესი ადამიანი. წყაროებში აღწერილია ასეთი ფაქტი: როდოსის ალყის დროს, მას ხელთ ჩაუვარდა ცნობილი მხატვრის პროტოგენის სურათი, რომელზეც გამოსახული იყო მითიური ალალი. როდოსელებმა შეეუთვალეს, არ გაანადგურებინა ნაბატი. დემეტრიოსმა უპასუხა, ეფერი დაეწვა საკუთარი მამის გამოსახულებას, ვიდრე დიდი მხატვრის ნაყოფს. ისევე წყაროებში კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია. როდოსის გარემოცვის დროს, მხატვარი პროტოგენი ქალაქგარეთ საკუთარ მაშულში დარჩა და აგრძელებდა თავის საქმიანობას. მისი სახლი დემეტრიოსის ბანაკის შეადგენლობაში მოექცა. როდესაც მეფემ გაიგო ეს, დიდხანს მხატვარი დ ეკითხა, რატომ არ შეეძინა მას ქალაქგარეთ დარჩენა. პროტოგენმა უპასუხა, მე ვიცი, რომ დემეტრიოსს ომი აქვს ქალაქთან და არა ხელოვნებასთან. დემეტრიოსი დაუფიქრდა პროტოგენს და ბრძანა ათვალიერებდა მის სახელოსნოს, რომელშიც იმ დროს, იარაღის ხმაურში, იქმნებოდა „ძმანარე სატირი".

ბერძნული მითოლოგიით, კუნძული ღმერთებმა ზღვის ფსკერიდან ჰელიოსის თხოვნით ამოზიდეს და როდოსი მზის ღვთაების წმინდა მიწად ითვლებოდა. ჰელიოსი, ტიტან ჰიპერიონისა და თეიას ვაჟი, მზისა და სინათლის ღვთაება იყო. ბერძენთა წარმოდგენით, იგი ყოველ დილით, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იწყებდა მგზავრობას ეტლით, რომელშიც ცეცხლისმფრქვეველი ცხენები იყო შებმული. საღამოს აღწევდა უკიდურეს დასავლეთს და ოკეანეში ეშვებოდა. ღამით ჰელიოსი დედამიწას გარს შემოუვლიდა და დილით მზის სხივების მოფენით სამყაროს კვლავ სიცოცხლეს უბრუნებდა.

ჰელიოსი მითოლოგიას მარადი ჭაბუკის სახით ჰყავდა წარმოდგენილი. სამყაროსათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი, თავადაც სიცოცხლით სავსე "ულამაზესი ჭაბუკი იყო.

წყაროებში მითითებულია, რომ დიდხანს ატარებდნენ როდოსელები ჰელიოსის ქანდაკების აღმართვის იდეას. როცა ქალაქმა ჭრილობები მოიშუშა და ადრინდელი სახე დაიბრუნა, შეუდგნენ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ძეგლის შექმნა დაავალეს ქალაქ ლინდოსის მკვიდრს (ლინდოსი, კუნძულ როდოსზე, პატარა ქალაქი იყო) ხარესს, სახელოვანი ლისიპეს მოწაფეს.[1]

ხარესმა ბერძენთა ფანტაზიას ხორცი შეასხა. მისი პროექტით, ჰელიოსისათვის უნდა მიეძღვნათ კოლოსი[2].

მოქანდაკე შეუდგა საქმეს. მის განკარგულებაში გადავიდა მრავალრიცხოვან სპეციალისტთა ჯგუფი. გადაწყდა, აღემართათ ბრინჯაოს კოლოსი, რაც დიდ შრომასა და განსხვავებული ხელობის მრავალ ოსტატს მოითხოვდა.

როდოსელებმა მოქანდაკეს გამოუყვეს 500 ტალანტი ბრინჯაო (13 ტონა). იმ ზომის კოლოსისათვის, როგორიც ხარესს ჰქონდა განსაზღვრული საჭირო იყო 100 ტონამდე ბრინჯაო. აქ გამოვლინდა ხარესის დიდი გამომგონებლობა.

ანტიკური ეპოქის მოქანდაკენი თავიანთ ძეგლებზე მუშაობისას ფართოდ იყენებდნენ ლითონის ფურცლებს. ხარესს კარგად ჰქონდა შეთვისებული წინამორბედთა ტექნიკა. მაღალ დონეზე დაეუფლა ბრინჯაოს დამუშავების საიდუმლოებას თავის მოძღვარ

---

1. ლისიპე იყო ალექსანდრე მაკედონელის კარის მოქანდაკე. მისი ბევრი მოწაფეა ცნობილი, მაგრამ ხარესს ღირებულ ვერც ერთის სახელი ვერ შეედრება.

2. ბერძნები გიგანტურ ქანდაკებებს კოლოსებს უწოდებდნენ.

ლისიპესთან განსწავლის დროს. ამიტომ, როდესაც მის წინაშე დაისვა ამოცანა, გადაჭრა არ გასჭირვებია.

ხარესის წინამორბედები ლითონის ფურცლებს ხეზე აკრავდნენ. ჰელიოსის კოლოსის სიმაღლეს ხის კონსტრუქცია ვერ გაუძლებდა. ამიტომ, ქანდაკებაც რომ მტკიცე ყოფილიყო და ბრინჯაოს ეკონომიაც გაეწია, მოქანდაკემ აღმართა ქვის ორი სვეტი. სვეტები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო რკინის სალტეებით. მესამე სვეტი მოაქცია ჰელიოსის მოსასხამის ქვეშ. სვეტებს უკეთდებოდა რკინის შვერილები. ეს იყო ჩვეულებრივი სამშენებლო კონსტრუქცია, რომელსაც ყველა სერიოზული ინჟინერი გამოიყენებდა ნაგებობის სიმტკიცისათვის. ხელოვნება იწყებოდა რკინის შვერილებიდან. მათზე მაგრდებოდა სხეულის ცალკეული ფორმით ჩამოსხმული ბრინჯაოს საკმაოდ დიდი და მძიმე ფურცლები. ქვის სვეტებს ეკისრებოდათ ხერხემლის ფუნქცია.

დასრულებული ქანდაკების სიმაღლე 32 მეტრი იყო. უზარმაზარი ფიგურის წონასწორობა დაცული რომ ყოფილიყო, მნიშვნელობა ჰქონდა სივრცეში ხელების გამოსახვას. მიზნის მისაღწევად მოქანდაკემ ორიგინალური გზა აირჩია. ჰელიოსს ჩამოშვებულ მარცხენა ხელის მტევანზე ჩამოკიდებული ჰქონდა მოსასხამი, რომელიც მიწამდე ეშვებოდა. სინამდვილეში მოსასხამი წარმოადგენდა საყრდენს. მის ცენტრში მოქცეული ქვის სვეტი, ხელის მეშვეობით უკავშირდებოდა კოლოსის ტანს და ფიგურას სიმტკიცეს მატებდა. მარჯვენა ხელის სიმძიმესაც პროპორცია რომ არ დაერღვია ხარესმა შუბლთან მიუჩინა ადგილი, თითქოს თვალებს იჩრდილავდა და შორს იცქირებოდა.

ქანდაკების გარშემო მიწაყრილს აკეთებდნენ. ძეგლის სიმაღლესთან ერთად იზრდებოდა ბორცვიც. უამრავი ადამიანის შრომა იხარჯებოდა ყოველდღიურად, უამრავი ოფლი იღვრებოდა, ბევრიც იღუპებოდა.

სტრაბონი როდოსის მრავალ ღირსშესანიშნაობას აღნიშნავს, მაგრამ ჰელიოსის კოლოსს ყველაზე ძვირფას საჩუქრად თვლის: მას მოჰყავს უცნობი პოეტის სიტყვები და იმ ადამიანების ამაგი, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ღმერთის გამოსახულების შექმნაში:

„შეიდჯერ ათი წყრთის სიმაღლეზე,
ხარესმა აღმმართა მე ლინდოსელი ეაჟკაცებისაგან“.

კოლოსის მარტო გიგანტურობა არ იზიდავდა მნახველს. გაოცებას იწვევდა მისი პროპორციულობა და სილამაზე. როდოსელების მზის ღმერთი, გარეგნულადაც მზეს ედრებოდა.

გიგანტურ ქანდაკებას ადგილიც შესანიშნავად ჰქონდა შერჩეული. იგი იდგა ნავსადგურთან. ქალაქში შესულ უცხოელს, პირველად ჰელიოსის ქანდაკება უნდა დაენახა. ვაჭრებმა და მოგზაურებმა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში სწრაფად გაავრცელეს როდოსზე აღმართული საოცრების დიდება.

კოლოსის შექმნა დასრულდა ძვ. წ. 281-280 წლებში. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ალამაზებდა ჰელიოსი კუნძულს. ძვ. წ. 224 წელს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპირომ ძლიერი მიწისძვრა განიცადა. სტიქიურმა უბედურებამ განსაკუთრებით დაზიანა კუნძული როდოსი. დაინგრა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაგებობა და დაიღუპა უამრავი ადამიანი. ბუნების რისხვას ვერც ჰელიოსი გადაურჩა. იგი მუხლებში გადატყდა და მიწაზე დაემხო.

ჰელიოსის ტრაგედიამ მთელი ელინისტური სამყარო შეძრა. მრავალმა ქვეყანამ მოინდომა სერიოზული დახმარება აღმოეჩინა როდოსისათვის. საკმაოდ დიდი სახსრებიც გაიღეს, მაგრამ დამხობილი გოლიათის ფეხზე დაყენება ვერ მოხერხდა.

თორმეტი საუკუნე მიწაზე დამხობილი აგრძელებდა კოლოსი მხილველთა გაოცებას. მაგრამ როდესაც როდოსმა დაკარგა ძველი დიდება და წარმართთა ღმერთის ქანდაკებაც ზედმეტად გადაიქცა, იგი გაჰყიდეს. გადმოცემის თანახმად, ვაჭარმა გიგანტის ნაშთები დაშალა, 900 აქლემი დატვირთა და ისე წაიღო.

სამყაროს საოცრებად სახელდებული კოლოსი, ბერძენ-რომაელი მწერლების აღფრთოვანებულმა სტრიქონებმა გადაარჩინეს დავიწყების ზღვაში ჩაძირვას.

ხარესის გენიამ, კოლოსის შექმნით როდოსს ხელოვნების ერთ-ერთი ცენტრის სახელი დაუმკვიდრა. მრავალი გამოჩენილი ხელოვანის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ძლიერი სკოლის შექმნას. როდოსული სკოლის უკანასკნელი ნიმუშია ძვ. წ. II საუკუნის დიდოსტატთა შედევრი ლაოკოონი.

კუნძულ როდოსთან მრავალი გამოჩენილი პიროვნების სახელია დაკავშირებული. სტრაბონის მოწმობით, როდოსის ქალაქ ლინდოსის

მკვიდრი იყო კლეობულე, ერთ-ერთი შვიდ პრძენთაგანი, ცნობილი ფილოსოფოსი პანეციოსი. მისივე სიტყვებით, როდოსს გაუთქვეს სახელი რიტორმა სტრატოკლემ, პერიპატეტიკოსმა ანდრონიკემ, სტოიკოსმა ლეონიდემ. რაც შეეხება პოსიდონიოსს, იგი სირიის ქალაქ აპამეიდან იყო, მაგრამ როდოსზე ცხოვრობდა, ეკავა სახელმწიფო თანამდებობა და ასწავლიდა ფილოსოფიას. აქვე ცხოვრობდნენ აპოლონიოს მალაკი და აპოლონიოს მოლონი, რომლებიც გადმოვიდნენ ალაბანდიდან. პოეტი პისანდრე, გრამატიკოსები სიმოსი და არისტოკლე როდოსელები იყვნენ.

სტრაბონს თავის სიაში არ შეუტანია, მაგრამ ცნობილია როდოსის როლი ბევრ სხვა გამოჩენილ პირთა ცხოვრებაშიც. მაგ. როდოსი გახდა პოეტ აპოლონიოსის მეორე სამშობლო. ალექსანდრიაში დაბადებული, კალიმახესთან ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო, იძულებული გახდა მშობლიური ქალაქი დაეტოვებინა და როდოსზე ეძებნა თავშესაფარი. იგი მსოფლიო ლიტერატურაში აპოლონიოს როდოსელის სახელითაა ცნობილი.

მხატვარ პროტოგენის შემოქმედება მთლიანად როდოსთან იყო დაკავშირებული.

როდოსზე იყო თავშეფარებული და რიტორიკული სკოლაც ჰქონდა გახსნილი, ათენიდან გაძევებულ ცნობილ ორატორს, ესქინეს.

ანტიკური წყაროებიდან ცნობილია, რომ კუნძულიდან მრავალი სახელოვანი ოლიმპიონიკი იყო (საკმარისია დავასახელოთ დიაგორისა და მისი მემკვიდრეების წარმატებანი ოლიმპიურ ასპარეზობებში).

როდოსზე მრავალი სახელოვანი პიროვნება მოღვაწეობდა, მრავალი სულიერი კულტურის ძეგლიც შეიქმნა, მაგრამ ყოველივეს მწვერვალს ხარესი და მისი ჰელიოსი წარმოადგენდა.

ალექსანდრიის შუქურა

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობებით ახალი ეპოქა დაიწყო ძველი სამყაროს ისტორიაში. აქემენიდური სპარსეთის განადგურებამ გზა გაუხსნა იმპერიაში მოქცეულ ხალხებს გადართულიყვნენ განსხვავებული კულტურული და ეკონომიკური პროცესების მსვლელობაში. მოხდა ორი სამყაროს, დასავლურისა და აღმოსავლურის შერწყმა, რომელიც ელინისტური ეპოქის სახელწოდებითაა ცნობილი. ახლად შექმნილ ელინისტურ კულტურაში ბერძნული სული დომინირებდა, მაგრამ მის განვითარებაში თვალსაჩინო როლს აღმოსავლეთის ხალხებიც ასრულებდნენ.

ელინიზმის ეპოქაში მოხდა საუკუნეთა და ათასწლეულთა განმავლობაში დაგროვებული ცოდნის სისტემატიზაცია, ახალ საფეხურზე ავიდა მეცნიერებისა და ხელოვნების ცალკეული დარგები.

ალექსანდრე მაკედონელის აზიაში გადასვლამდე რამდენიმე საუკუნით ადრე, ბერძნებს ახლო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთთან, მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო მყარი და სიღრმე აკლდა. ელინიზმის ეპოქაში გაიზარდა ურთიერთ კავშირი ქვეყნებსა და ხალხებს შორის, შეიქმნა მტკიცე ნიადაგი მეცნიერულ მიღწევათა საფუძვლიანი გაცვლისა, რის შედეგადაც ყოველი კულტურული მონაპოვარი ყველა ხალხისათვის თანაბრად მისაწვდომი და გასაგები გახდა. ელინისტური კულტურა იყო ორი სამყაროს კულტურის სინთეზი.

ელინიზმის ენას საერთო ბერძნული ენა კოინე (საერთო) წარმოადგენდა. ელინისტურ და ელინიზირებულ სახელმწიფოებში კოინეთი მიმდინარეობდა ოფიციალური მიმოწერა, საქმის წარმოება და დიპლომატიური ურთიერთობა. კოინე საუკუნეთა განმავლობაში ლიტერატურისა და მეცნიერების ენა იყო (ბერძნულის გვერდით მთელს აღმოსავლეთში ფართო გავრცელება ჰპოვა მეორე საერთაშორისო ენამ არამეულმა). საკმაო როლს ასრულებდნენ აღმოსავლეთის ენებიც (იქმნებოდა ამ ენებზე ორიგინალური ლიტერატურა), რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს კოინეს განვითარებაზე. ბერძნული ენა ივსებოდა ბაბილონური,

ეგვიპტური, სპარსული და სხვა ხალხთა სიტყვებით. მაგრამ ელინისტურ სახელმწიფოთა საურთიერთობო ენა ბერძნული იყო, ენა ბერძნულად განათლებამიღებული არისტოკრატიისა, რომელიც თანდათანობით წყვეტდა კავშირს თავის ეროვნულ ფესვებთან.

შორეულმა ლაშქრობებმა, სავაჭრო თუ სამეცნიერო მიზნით მოწყობილმა ექსპედიციებმა, ბერძენ-მაკედონელთა მასობრივმა ჩასახლებამ აღმოსავლეთის ქვეყნებში, არნახული მასშტაბით გაზარდა ძველ . ელინთა თვალთახედვის არე. ბერძნული შეხედულებების გარდაქმნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ალექსანდრე დიდის მსოფლიო ისტორიულმა მისიამ, რომელმაც შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ხალხების რჩეულებად და არასრულფასოვნებად დაყოფის ელინურ თეორიებს.

ძვ. წ. IV საუკუნიდან მოყოლებული ფართოდ გავრცელდა ახალი მსოფლმხედველობა კოსმოპოლიტიზმი, მსოფლიო მოქალაქის იდეა. ალექსანდრე მაკედონელამდე ყველა ბერძენი მხოლოდ მშობლიური პოლისის მოქალაქედ ითვლებოდა. მისი ინტერესები ამ ქალაქთან იყო დაკავშირებული. შეცვლილმა პოლიტიკურმა გარემომ ეს შეზღუდულობა წაშალა. ელინისტურ სახელმწიფოებში ბერძნებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ უმცირესობას შეადგენდნენ, გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ისინი უდიდესი პოლიტიკური ერთეულებისა და აურაცხელი სიმდიდრის წარმმართველნი და მეუფენი გახდნენ. მათი ადრინდელი დაქუცმაცებულობა და ვიწრო პოლიტიკური ინტერესები აღარ შეესატყვისებოდა ახალ ეპოქას. წაიშალა ადრინდელი დიალექტები, მოისპო მტრობა ცალკეულ პოლისებს შორის. უცნობ მხარეში მოხვედრილი და შეგუებული ბერძენისათვის მშობლიური ქალაქი და მისი ტრადიციები უცხოვდებოდა.

ბერძნები აღმოსავლეთს მოევლინენ დამპყრობელის სახით, ამიტომ მათ უნდა შეექმნათ ძლიერი პოლიტიკური ერთეულები, რომ მრავალრიცხოვან ადგილობრივ მოსახლეობაზე ბატონობა შეენარჩუნებინათ. თვით ელადაშიც წაიშალა ადრინდელი კარ-ჩაკეტილობა. ცალკეულ პოლისთა ჰეგემონობის ნაცვლად წარმოიშვა მსხვილი ფედერაციები (ეტოლიის, აქეის), თავისი მოქალაქეებით, რომელთათვისაც მთავარი იყო, არა ვიწრო პოლისური, არამედ საერთო ელინური ინტერესები. ბერძენთა გავლენის სფეროსა

და სამშობლოს ცნების გაფართოება გახდა მსოფლიო მოქალაქის იდეის გავრცელების მთავარი წყარო, როგორც ელადის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების იდეოლოგიური ანარეკლი.

კლასიკური საბერძნეთის დედაქალაქმა ათენმა, ძველი დიდება ვერ შეინარჩუნა.

ელინიზმის ეპოქაში კულტურის ცენტრმა აღმოსავლეთში გადაინაცვლა. დიადოხოსები და მათი მემკვიდრეები განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ ბერძნულ სამყაროში აღიარებული მოაზროვნეების მიზიდვას და სასურველი პირობების შექმნას. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილმა მოღვაწეებმა თავი მოიყარეს ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, პერგამოსში და სხვა ქალაქებში. ელინისტური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სიცილიის ქალაქმა სირაკუზმა. ამ მრავალ ახლადწარმოქმნილ კულტურის ცენტრთა შორის უპირველესი ადგილი დაიკავა პტოლემაიოსების დედაქალაქმა ალექსანდრიამ.

ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, მდ. ნილოსის დელტაში, საფუძველი ჩაუყარა ქალაქს, რომელსაც თავისი სახელი უწოდა. ქალაქის დაარსების თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. 332-331 წლები.

ალექსანდრიის დაგეგმარებაში თვალსაჩინოდ გამოვლინდა ის ახალი არქიტექტურული პრინციპები, რომლის თეორიული და პრაქტიკული უპირატესობა ჩამოაყალიბა ჰიპოდამოს მილეტელმა[1].

კლასიკური პერიოდის საბერძნეთში ქალაქის გარეგნულ სახეს უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა. ქუჩები იყო ვიწრო და უსწორმასწორო. ქალაქთა დაგეგმარების ახლებური სისტემა გულისხმობდა სწორ ქუჩებს, კვარტალებად დაყოფას. ჰიპოდამოსის შეხედულებები ფართოდ დაინერგა ელინისტურ ხანაში[2].

ალექსანდრე მაკედონელის ნებით, ალექსანდრია ჰიპოდამოსის დანერგილი სიახლეების მიხედვით დააპროექტა ხუროთმოძღვარმა დინოხარემ[1].

---

1. ჰიპოდამოს მილეტელი იყო პერიკლეს თანამედროვე არქიტექტორი, ინჟინერი და მეცნიერი, უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი.

2. საინტერესოა, როგორ განიხილავდა არისტოტელე ანტიკური ქალაქის ვარეგნულ სახეს და დანიშნულებას. მისი აზრით, ნაგებობათა განლაგება ლამაზი და სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც ქუჩები ჰიპოდამოსის გეგმით არის გაშართული. მაგრამ ომიანობის დროს იგი ასრულებს უარყოფით როლს, მაშინ, როცა ძველი დაგეგმარებით აგებულ ქალაქის ვიწრო ქუჩებში მტერს უძნელდება ორიენტირება. არისტოტელეს მიაჩნია, რომ ქალაქთა მშენებლობაში უნდა გაერთიანდეს ორივე დაგეგმარება.

ალექსანდრიის განუმეორებელი სახე ეგვიპტის ახალმა მბრძანებლებმა პტოლემაიოსებმა შექმნეს. ისინი ცალკეულ პერიოდებში პოლიტიკური თუ ეკონომიკური სირთულეების მიუხედავად, მუდმივ მოვალეობად თვლიდნენ ქალაქის კეთილმოწყობაზე ზრუნვას. ამის გამო აღექსანდრია საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. გრანდიოზულმა ქალაქმა მომხიბველელი იერი ბოლომდე შეინარჩუნა.

დინოხარეს პროექტი მომდევნო არქიტექტორებმაც გააგრძელეს. სწორი და განიერი ქუჩები, ბაღები, ქალაქს გამორჩეულ სილამაზეს ანიჭებდა. ცნობილია, რომ ალექსანდრიის მთავარი ქუჩის (სიგანე 30 მეტრი) ორივე მხარეს, მთელ სიგრძეზე, ამკობდა მარმარილოს სვეტები.

ძვ. წ. 200 წლისათვის ალექსანდრია დიდი ქალაქი იყო. მომდევნო ხანებში იგი კიდევ უფრო გაიზარდა. ფიქრობენ, რომ ავგუსტუსის დროს მისი მოსახლეობა ერთ მილიონს აღწევდა. ქალაქი იყო მრავალეროვანი. ბერძნების გარდა დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ეგვიპტელები და ებრაელები, აგრეთვე შედარებით მცირე ჯგუფებად ხმელთაშუა ზღვის აუზის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები. ძვ. წ. II საუკუნიდან ბერძნებისა და ეგვიპტელების დაქორწინებამ მასიური ხასიათი მიიღო. მოხდა მათი შერევა. მოსახლეობის ეთნიკურმა გაერთიანებამ, ინტერესების გაერთიანებაც გამოიწვია.

ალექსანდრია, პტოლემაიოსების დინასტიის ფუძემდებელმა, პტოლემაიოს I სოტერმა (მხსნელმა), ეგვიპტის დედაქალაქად გამოაცხადა[2].

პტოლემაიოსები, ალექსანდრე დიდის იმპერიის გადანაწილებისათვის დაწყებულ ომში, საოცარ უპირატესობას ფლობდნენ. ბრძოლას ყოველთვის ეგვიპტიდან შორს აწარმოებდნენ. დიადოხოსებისა და ეპიგონების ხანგრძლივ ჭიდილში, რომელსაც რამდენიმე თაობის ენერგია შეეწირა, ეგვიპტე უვნებელი გადარჩა. უფრო მეტიც, სხვათა წილის მიტაცებით, მნიშვნელოვნად გაიფართოვა თავისი სამფლობელოები. პტოლემაიოსების ხელში აზიის სანაპიროებთან ერთად, ეგეოსის ზღვის მრავალი კუნძული მოექცა.

1. გადმოცემის თანახმად, ხუროთმოძღვარმა ქალაქს გაშლილი ქლამიდის ფორმა მისცა (ქლამიდი მაკედონური ფოსტხანი იყო).

2. პტოლემაიოს I ეგვიპტეს მართავდა ძვ. წ. 323 წლიდან. ძვ. წ. 305 წელს თავი ეგვიპტის მეფედ გამოაცხადა. მეფობდა ძვ. წ. 282 წლამდე.

პტოლემაიოსების საომარი ოპერაციები უფერულად გამოიყურება და ოდნავადაც ვერ შეედრება იმ დიდ დამსახურებას, რომელიც კულტურისა და მეცნიერების მეცენატობაში გამოავლინეს. მათი მცდელობით ალექსანდრიამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ სამი საუკუნის განმავლობაში თითქმის უკონკურენტოდ ბატონობდა ელინური სამყაროს კულტურის ოლიმპოზე.

ალექსანდრიის კულტურული ჰეგემონობის პირველი საფეხურები პტოლემაიოს I სახელს უკავშირდება[1]. მან ჩაუყარა საფუძველი ლიტერატურისა და მეცნიერების ძეგლების შეგროვებას, გამოჩენილ მოაზროვნეთა მიწვევისა და სამუშაო პირობების შექმნის ტრადიციას.

ალექსანდრიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრს წარმოადგენდა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გაშენებული კვარტალი – ბრუხეიონი. ულამაზეს ბაღებსა და ტაძრებს შორის თავისი ბრწყინვალებით გამოირჩეოდა პტოლემაიოსების სასახლე. ბრუხეიონში იყო მუსეიონი და სახელგანთქმული ალექსანდრიის ბიბლიოთეკა. იმავე კვარტალში თვალსაჩინო ადგილზე მდებარეობდა სამეფო სასაფლაო. ბრუხეიონის მდიდრულ არქიტექტურულ ანსამბლში ყურადღებას იპყრობდა ალექსანდრე მაკედონელის აკლდამა[2].

ალექსანდრიის კულტურული ამაღლების პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მეცნიერის დემეტრიოს ფალერელის სახელთან. იგი თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება იყო. ახალგაზრდობაში სწავლობდა ბოტანიკის ფუძემდებელ თეოფრასტესთან (თეოფრასტე არისტოტელეს მოწაფე იყო). წლების განმავლობაში მართავდა ათენს. დამსახურებისათვის ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე ძეგლიც კი დაუდგეს. მაგრამ ელინისტური ეპოქის მღელვარე ატმოსფერომ იგი იძულებული გახადა ათენი დაეტოვებინა.

ათენიდან განდევნილმა ფილოსოფოსმა თავშესაფარი ალექსან-

---

1. ალექსანდრე დიდის უახლეს თანამებრძოლს, პტოლემაიოსს, კალამიც უჭრიდა. მას დაუწერია „მოგონებები", რომელშიც ობიექტურად ყოფილა გადმოცემული ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები, გვიანდელი პერიოდის აუტორები პტოლემაიოსის ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

2. ალექსანდრე მაკედონელის ნეშტი პტოლემაიოს II მემფისიდან ალექსანდრიაში გადასვენა და ბრუხეიონში დაკრძალა. ალექსანდრეს საფლავი რომის იმპერატორების დროსაც წმინდად იყო შენარჩუნული და სპეციალურად მიდიოდნენ თაყვანის საცემად. უკანასკნელი იმპერატორი, რომელმაც მუხლი მოიყარა ალექსანდრე მაკედონელის წინაშე იყო კარაკალა (211-217).

რიაში ჰპოვა. პტოლემაიოს სოტერმა დემეტრიოსს საშუალება მისცა თავისი ნიჭი და უნარი მეცნიერების სამსახურში ჩაეყენებინა.

დემეტრიოსის იდეით შეიქმნა ძველი სამყაროს უდიდესი სამეცნიერო დაწესებულება – მუსეიონი – მუზების ტაძარი. ფილოსოფოსმა ნიმუშად პლატონის აკადემია და არისტოტელეს ლიცეუმი აიღო. მუსეიონი უმაღლესი ტიპის სასწავლებელს წარმოადგენდა. ჰქონდა ობსერვატორია, ბოტანიკური ბაღი, ზოოპარკი, ბიბლიოთეკა. მუზების ტაძარში ერთდროულად რამდენიმე ასეული ახალგაზრდა სწავლობდა, რომელთა განათლებას ასამდე მასწავლებელი ემსახურებოდა. სასწავლებელში იყო სალექციო და სამეცადინო დარბაზები, საერთო დარბაზი და სატრაპეზო, სასეირნო ხეივანი. პტოლემაიოსების აქტიური თანადგომით, მუსეიონი ელინისტური ეპოქის მეცნიერებისა და განათლების მთავარი კერა გახდა.

ალექსანდრიის სიამაყეს წარმოადგენდა მუზების ტაძართან არსებული ბიბლიოთეკა. დემეტრიოსმა მტკიცედ დაამკვიდრა ძვირფასი წიგნებისა და ხელნაწერების შეგროვების ტრადიცია. მისი რჩევით, პტოლემაიოსმა თეოფრასტესაგან შეიძინა არისტოტელეს ბიბლიოთეკა[1].

ხელმძღვანელობას უწევდა სხვა ენებიდან მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლების ბერძნულად თარგმნის საქმეს.

ბიბლიოთეკის გასაფართოვებლად პტოლემაიოსები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ. პტოლემაიოს II ფილადელფოსი (282-246) სპეციალური დანიშნულებით გზავნიდა ელჩებს, რომ მოეპოვებინა ისეთი თხზულებები, რომლებიც ბიბლიოთეკას არ ჰქონდა. განსაკუთრებით ბევრი წიგნი მოდიოდა ათენიდან.

პტოლემაიოსებს ენთუზიაზმი ბოლომდე არ განელებიათ. თუ პტოლემაიოს II ფილადელფოსის მეფობისას, ბიბლიოთეკაში იყო 440 ათასი გრაგნილი, ორასი წლის შემდეგ მისმა ფონდმა 700 ათასს მიაღწია. ბიბლიოთეკაში თავმოყრილი

---

1. არისტოტელეს ბიბლიოთეკა 40 ათას გრაგნილს ითვლიდა. მის გამდიდრებაში ალექსანდრე მაკედონელიც მონაწილეობდა. არისტოტელეს გაშგრძელებელმა თეოფრასტემ ლიცეუმში შექმნა მუზათა ტაძარი - მუსეიონი: სალექციო, საკითხავი და სასაუბრო დარბაზებით, სასეირნო ბაღით. ქანდაკებებით შემკულ შენობაში მოთავსებული იყო არისტოტელეს ბიბლიოთეკა. მუზათა საკუთხეველში აღმართული იყო არისტოტელეს ქანდაკება. ლიკეიონის ტაძარმა მისცა იდეა დემეტრიოსს მსგავსი დაწესებულება ალექსანდრიაშიც დაეარსებინა.

იყო პოეტების, ისტორიკოსების, გეოგრაფების, ორატორების, მათემატიკოსების, ექიმების და სხვ. თხზულებები. დიდი ყურადღება ექცეოდა უცხოელ ავტორებს. ბაბილონელ, ეგვიპტელ, ებრაელ, რომაელ, ინდოელ მწერალთა და მეცნიერთა ნაშრომები ბიბლიოთეკას ჰქონდა, როგორც თარგმნილი, ისევე ორიგინალის ენაზე.

ბიბლიოთეკას რამდენიმე ვრცელი შენობა ეჭირა. დარბაზებს, სადაც განლაგებული იყო წიგნებით საკუთარ კარადები, ამშვენებდა გამოჩენილი მწერლებისა და მეცნიერების ქანდაკებები.

მუსეიონის ხელმძღვანელად ითვლებოდა ქურუმი. მის კომპეტენციაში მხოლოდ ადმინისტრაციული საქმეები შედიოდა. მეცნიერულ მუშაობას წარმართავდა მთავარი ბიბლიოთეკარი (თანამედროვე ტერმინოლოგიით ბიბლიოთეკის დირექტორი). მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე ნიშნავდნენ გამოჩენილ პოეტებსა და მეცნიერებს. მოღწეული სია მეტყველებს, რომ ბევრი მათ შორის მართლაც ცნობილი მოღვაწე იყო. საკმარისია დავასახელოთ: ფილოსოფოსი დემეტრიოს ფარელელი, ფილოლოგები: ზენოდოტი და არისტოფანე ბიზანტიელი, პოეტები: აპოლონიოს როდოსელი და კალიმახე, უნივერსალური მეცნიერი ერატოსთენე.

ელინისტური სახელმწიფოების ყველა დედაქალაქში არსებობდა მუსეიონი და ბიბლიოთეკა. მათ შორის განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა პერგამოსი. იგი იყო ალექსანდრიის ძირითადი მეტოქე. პერგამოსის ბიბლიოთეკაშიც ცნობილი მეცნიერები მოღვაწეობდნენ. მაგრამ საბოლოოდ პერგამოსის საგანძურმაც ალექსანდრიაში გადაინაცვლა. ძვ. წ. 31 წელს, მისი დიდი ნაწილი, მარკუს ანტონიუსმა, საჩუქრად გადასცა კლეოპატრას, ეგვიპტის უკანასკნელ დედოფალს.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკამაც ვერ აიცდინა ისტორიის ბედუკუღმართობა. მისი ნაწილი დაიწვა ძვ. წ. 47 წელს, ცეზარის ეგვიპტეში ყოფნის დროს. მაგრამ მიუთითებენ, რომ დაიწვა არა ბიბლიოთეკა, არამედ ის წიგნები, რომლებიც გამზადებული ჰქონდათ რომში გასაგზავნად.

რომისა და პალმირის დედოფალ ზენობიას ომის დროს, ახ. წ. 273 წელს ბიბლიოთეკა მთლიანად დაიწვა. გადარჩენილი წიგნები სერაპიუმის ტაძარში გადაიტანეს.

დიდი ზიანი მიაყენეს ბიბლოთეკას პირველმა ქრისტიანმა

ფანატიკოსებმა. ისინი ყველა უბედურებას წარმართობას მიაწერდნენ და მოითხოვდნენ წარმართული წიგნების განადგურებას.

არაბთა გამოჩენამ ბიბლიოთეკას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. გადმოცემის თანახმად, ეგვიპტის დამპყრობმა ხალიფამ ბრძანა ბიბლიოთეკის დაწვა. თავისი გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა: თუ ამ წიგნებში ლაპარაკია იმაზე, რაც ყურანშია, მაშინ ისინი რა საჭირონი არიან. ხოლო თუ მათში ლაპარაკია სხვა რამეზე, მაშინ საზიანონი არიან. ამიტომ ორივე შემთხვევაში საჭიროა მათი დაწვა.

ეგვიპტეში არაბთა დამკვიდრების შემდეგ, ალექსანდრიის ბიბლიოთეკამ არსებობა შეწყვიტა. ლეგენდა გვაუწყებს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში, უძვირფასესი ხელნაწერებით, აბანოებს ათბობდნენ.

ბიბლიოთეკის განადგურებამ დავიწყების ჩრდილი გადააფარა ძველი ცივილიზაციის მრავალ საიდუმლოებას.

ალექსანდრიიდან ვრცელდებოდა ელინისტურ სამყაროში მეცნიერებისა და აზროვნების ახალი იდეები. დიდი მეცნიერი თუ პოეტი ალექსანდრიაში აღიარებას ესწრაფოდა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქალაქი სამყაროს ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენდა.

ალექსანდრიაში შექმნილმა მეცნიერულმა ატმოსფერომ მიიზიდა მეცნიერებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები. ჩამოყალიბდა მეცნიერების ბევრი ისეთი დარგი, რომელიც კლასიკური პერიოდის საბერძნეთში ჩანასახის მდგომარეობაში იყო. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ასტრონომიისა და მათემატიკის მიღწევები. კოსმოსის შესწავლის საქმეში ალექსანდრიელი სწავლულები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სამყაროს ცენტრში აღიარეს მზე.

ასტრონომიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათემატიკა. ალექსანდრიაში მოღვაწე მათემატიკოსმა ევკლიდემ სისტემაში მოიყვანა წინამორბედ მეცნიერთა შედეგები და შეადგინა გეომეტრიის სახელმძღვანელო, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

დიდმა მეცნიერმა ერატოსთენემ განსაზღვრა დედამიწის სფეროს გარშემოწერილობა. მანვე მიუთითა, რომ ოკეანეები

ერთიანდებიან და ქმნიან მთლიანობას. კონტინენტები ევროპა-აზია-აფრიკა წარმოადგენენ კუნძულებს. სიტყვა „გეოგრაფია“ პირველად ერატოსთენემ იხმარა.

ალექსანდრიაში მიიღო განათლება გენიალურმა მათემატიკოსმა და ფიზიკოსმა არქიმედემ. არქიმედე ითვლება დიფერენციალური მეთოდებით გამოთვლების წინამორბედად. მან მიაგნო უსასრულო გეომეტრიული პროგრესიის ჯამს, რითაც მათემატიკაში პირველად გამოჩნდა უსასრულო მწკრივი. არქიმედე იყო მექანიკის უდიდესი თეორეტიკოსი. იგი თავისი პრაქტიკული საქმიანობით ძველ ბერძენ მეცნიერთა შორის გამონაკლისის სახით დგას. თუმცა ამტკიცებდა, რომ ფილოსოფოსი არ უნდა ცდილობდეს თავისი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. სინამდვილეში კი პრაქტიკული საქმიანობით ანცვიფრებდა თანამედროვეებს. არქიმედემ ააგო პლანეტარიუმი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა წყალს. გამოიგონა რთული ბლოკი სიმძიმეების გადასაადგილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხომალდებიდან წყლის ამოსატუმბი ხრახნის გამოგონება, რაც ფართოდ გამოიყენეს ნილოსის ნაპირების მოსარწყავად. ახალ მექანიზმს „არქიმედეს ხრახნს“ უწოდებდნენ.

არქიმედეს გამოგონებებმა ფართო გამოყენება ჰპოვა II პუნიკური ომის დროს. მეცნიერი სათავეში ედგა მშობლიური ქალაქის, სირაკუზის დაცვას. მისი პროექტით შექმნილი რამდენიმე საბრძოლო იარაღი შიშის ზარს სცემდა რომაელთა ხომალდებს.

ალექსანდრიელ მეცნიერებს წარმოდგენა ჰქონდათ ორთქლის მამოძრავებელ ძალაზე. მეცნიერმა ჰერონმა გამოიგონა ხელსაწყო, რომელსაც „ჰერონის ორთქლის სფერო“ ეწოდებოდა. იგი შემდეგნაირად იყო მოწყობილი: ცეცხლზე დადგმული თავდახურული ქვაბის სახურავს უერთდებოდა მილი, საიდანაც ორთქლი შედიოდა სფეროში. აქედან მოხრილი მილებით ორთქლი გამოდიოდა და უბიძგებდა იქვე მდებარე სფეროს, რასაც იგი მოძრაობაში მოჰყავდა. გამოგონება იმ დროისათვის განიხილებოდა, როგორც სათამაშო, ვინაიდან მონათმფლობელურ საზოგადოებაში მსგავსი ტექნიკური სიახლის დანერგვა შეუძლებელი იყო.

ალექსანდრიაში მედიცინა ჩამოშორდა ფილოსოფიას და ექსპერიმენტულ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. ადამიანის ანატომიის

შესწავლის მიზნით, ექიმებმა დაიწყეს გვამების გაკვეთა. მიმართავდნენ ვივისექციას. გადმოცემით ცნობილია, რომ პტოლემაიოს II სიკვდილმისჯილ დამნაშავეებს ექიმებს გადასცემდა ექსპერიმენტის ჩასატარებლად. ალექსანდრიელი სწავლულები იკვლევდნენ ნერვულ სისტემას, აღწერეს თავის ტვინი, ცდილობდნენ აეხსნათ ადამიანის სხეულის ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულება. დადგინდა განსხვავება ვენებსა და არტერიებს შორის. აღწერეს გულის სარქველი, ტვინის ხვეულები და ნერვთა განშტოებანი. ექიმმა ერასისტრატემ იხმარა პირველად ტერმინი „არტერია".

ალექსანდრიამ დიდი როლი შეასრულა ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაშიც, მაგრამ თვისობრივად ახალი სიტყვა საბუნებისმეტყველო დარგებში თქვა.

ელინიზმის ხანაში აყვავებას განიცდიდა ხელოვნება. იქმნებოდა მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომლებშიც შეხამებული იყო ბერძნული და აღმოსაელური ტრადიციები. მოღწეულია ხელოვნების ნიმუშები ორივე ელემენტით თანაბარი ზომით გაწონასწორებული.

ალექსანდრიის მრავალ ღირსშესანიშნაობათაგან ბერძენმა ხელოვნებათმცოდნეებმა განსაკუთრებული დიდებით შეამკეს კუნძულ ფაროსზე აგებული შუქურა. შუქურის ძირითადი დანიშნულება პრაქტიკული ამოცანის გადაჭრა იყო, მაგრამ მისმა ხუროთმოძღვარმა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ იგი მთელი ეპოქის საამშენებლო ოსტატობის მიუწვდომელ ნიმუშად აღიარეს.

კულტურისა და მეცნიერების გარდა ალექსანდრია ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკურ ცხოვრებაშიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. პტოლემაიოსების სატახტო მსოფლიოს ვაჭრობის ცენტრიც გახდა. ალექსანდრია ხმელთაშუა ზღვის ქალაქებსა და ქვეყნებს ზღვით უკავშირდებოდა. ზღვა წარმოადგენდა შორეულ ქვეყნებთან დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებას. ამიტომ საჭირო იყო ისეთი ჭიშკარი, რომელიც ამ ურთიერთობას კიდევ უფრო გააფართოვებდა.

ალექსანდრიის ნავსადგური თავდაპირველად მოუხერხებელი იყო. დიდ სირთულეს ქმნიდა ქალაქის მახლობლად ზღვაში არსებული პატარა კუნძულო ფაროსი, რომლის გარშემო გაფანტული მეჩეჩები აბრკოლებდნენ გემების მოძრაობას. პტოლემაიოს სოტერმა ფაროსი ქალაქის სამსახურში ჩააყენა. მისი ბრძანებით

კუნძული ჯებირით შეუერთეს კონტინენტს. მეჩეჩები წაიშალა. ამ გზით, ალექსანდრიას ერთდროულად ორი ნავსადგური შეეძინა. ჯებირის აღმოსავლეთით არსებობდა დიდი ნავსადგური, დასავლეთით მცირე. ჯებირმა ფაროსს დაუკარგა კუნძულის ნიშნები და იგი კონტინენტის განუყოფელ ნაწილად აქცია.

ჰომეროსი იცნობდა კუნძულ ფაროსს, რომელიც ნაპირიდან საკმაოდ დაშორებული იყო. „ოდისეაში" მენელაოსი, ოდისეესის ვაჟს ტელემაქეს, უამბობს თავისი ძნელი მოგზაურობის ამბავს ომის დამთავრების შემდეგ. მენელაოსი აღნიშნავს:

„ეგვიპტეს ჩაერჩი, სამშობლოსკენ აჩქარებული,
მაღალკბოდოვან ზღვასთან იყო კუნძული რამე
ეგვიპტის ახლოს, მას სახელად ფაროსი ერქვა.
იქიდან სწრაფ გემს, დილით გასულს, შეეძლო მისვლა
დაღამებისას, თუ ზურგის ქარს შეესწრებოდა".
(ოდისეა, IV, 351-357. პ. ბერიძის თარგმანი).

ანტიკური ავტორები, განსაკუთრებით სტრაბონი, ცდილობენ მანძილის შემოკლება, ნილოსის მიერ შესართავში ჩამოტანილი შლამით ახსნან. სტრაბონის განმარტებით, მითიური მოთხრობა არ გამომდინარეობს გეოგრაფიის უცოდინარობიდან. პოეტებს ესა და სხვა მსგავსი გამონაგონნი სჭირდებათ მსმენელთა სასიამოვნოდ და გასართობად.

კუნძული ფაროსი პტოლემაიოსებმა ქალაქის სამსახურში ჩააყენეს. მის აღმოსავლეთ ნაწილში, კლდოვან ნაპირზე ააგეს შუქურა, დასავლეთით, ზღვის ღმერთის პოსეიდონის ტაძარი.

პტოლემაიოსმა შუქურის აგება დაავალა ხუროთმოძღვარ სოსტრატ კნიდელს. მშენებლობა ძვ. წ. 299 წელს დაიწყო და ოცი წელი გაგრძელდა.

საზღვაო ქალაქების ნაპირებთან ცეცხლის დანთება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ძვ. წ. V საუკუნეში პირეუსთან ღამით მიახლოებულ გემებს, მაღალი სვეტების წვერზე დანთებული ცეცხლით ანიშნებდნენ ნავსადგურში შესვლის მიმართულებას. მაგრამ მისი ორგანიზატორები შორს იდგნენ მეცნიერული გამომგონებლობისგან. ფაროსის შუქურის სახით, ზღვაოსნებმაც შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს და ხელოვნებამაც უმაღლესი რანგის ძეგლი შეიძინა.

ალექსანდრიის შუქურა წარმოადგენდა სამიარუსიან გიგანტურ

ნაგებობას. მისი სიმაღლე 120 მეტრს აღწევდა. პირველ იარუსს კვადრატის ფორმა ჰქონდა, თითოეული გვერდის სიგრძე შეადგენდა 30 მეტრს. მეორე იარუსი ფორმას მკვეთრად იცვლიდა. იგი პირველისაგან განსხვავებით რვაწახნაგოვანი იყო. კოშკის მესამე სართულს მრგვალი ფორმა ჰქონდა. მასზე აღმართული იყო გუმბათი. გუმბათზე იდგა ზღვის ღმერთის პოსეიდონის შვიდმეტრიანი ქანდაკება. გუმბათი ეყრდნობოდა გრანიტის სვეტებს. აქ იყო მოთავსებული ნაგებობის საბოლოო მიზანი, შუქურა.

ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი შუქურის ტექნიკური აღჭურვილობა. დაღამებისას სვეტებს შორის დაანთებდნენ ცეცხლს. ალის გამოსხივებას აძლიერებდა მის გარშემო განლაგებული ლითონის სარკეები. სარკეები სხივებს ირეკლავდნენ და ტყორცნიდნენ ზღვის სიღრმეში. მისი შემჩნევა და ნავსადგურში სწორი კურსით შესვლა შეეძლოთ ნაპირიდან 60 კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულ გემებს.

ხუროთმოძღვარს კიბე ისე ჰქონდა დაპროექტებული, რომ მცირე დაქანებულობის გამო მასზე თავისუფლად ადიოდნენ განათებისათვის საჭირო მასალით დატვირთული სახედრები. კიბე პირველი და მეორე იარუსის შიგნით იყო დატანებული, ხოლო მესამეს გარედან უვლიდა.

შენობის მეორე იარუსს მრავალი ქანდაკება ამკობდა. ქანდაკებებს ბევრ სასწაულებს მიაწერდნენ, რომელთა შორის სარწმუნო მცირეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ალექსანდრიელ მეცნიერთა მიღწევებს ტექნიკის დარგში, დასაშვებია, რომ ქანდაკებები გარკვეულ მოძრაობებს მართლაც ასრულებენ.

შუქურის იარუსები გარეგნული არქიტექტურის გარდა საშენი მასალითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. პირველი სართული კირქვის ლოდებისაგან იყო ნაგები. მეორე სართულის მოსაპირკეთებლად გამოყენებული ჰქონდათ მარმარილო, დამაგვირგვინებელი სართულის სვეტები კი გრანიტისაგან იყო გამოკვეთილი.

ხუროთმოძღვრულ ხერხთა მრავალფეროვნება, სამი განსხვავებული ფორმა და განსხვავებული სამშენებლო მასალა, დასრულებულ შენობას მართლაც გასაოცარ სილამაზეს მისცემდა. ამიტომაც შერაცხა ანტიკურმა სამყარომ შუქურა ერთ-ერთ საოცრებად.

შუქურა იმავე დროს საიმედო ციხე-სიმაგრეც იყო. მას ჰქონდა სასმელი წყლისა და სურსათის დიდი მარაგი, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მოსალოდნელი ალყის შემთხვევაში, საკმაოდ მრავალრიცხოვან გარნიზონს შეეძლო თავის დაცვა. შუქურას, თავისი სიმაღლის წყალობით, მიმდებარე ტერიტორიაზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. იგი შესანიშნავი სათვალთვალო პუნქტის როლსაც ასრულებდა.

ალექსანდრიის შუქურა ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა, ხოლო მისი მშენებელი სოსტრატი, გენიალური ხუროთმოძღვარი იყო. ძეგლს ჰქონდა წარწერა, რომელიც იუწყებოდა არქიტექტორის ვინაობას. ლუკიანე სამოსატელი წერს, სოსტრატმა, როცა დაასრულა უდიდესი და ულამაზესი ნაგებობა, თვალსაჩინო ადგილზე დააწერა საკუთარი სახელი. დაფარა ბათქაშით და ზემოდან დააწერა მეფის სახელი. ხუროთმოძღვარმა წინასწარ განჭვრიტა, რომ მეფის სახელი ბათქაშთან ერთად მალე ჩამოიშლებოდა და გამოჩნდებოდა წარწერა: „სოსტრატი, დეკსიფონის ძე, კნიდელი, ღმერთმხსნელებს ზღვაოსანთა სადღეგრძელოდ". მრავალი დიდი მეცნიერის მსგავსად, სოსტრატმაც ქედი მოიხარა ძლიერი დესპოტის, პტოლემაიოსის წინაშე. ლუკიანე თვლის, რომ სოსტრატმა შექმნა მარადისობის ძეგლი, ხოლო დროებით წარწერას მისი დიდებისათვის არაფერი დაუკლია.

მარადისობის ძეგლმა, ალექსანდრიის შუქურამ, თავისი მშვენება რამდენიმე საუკუნე შეინარჩუნა. მაგრამ სტიქიამ და უყურადღებობამ მისი გარეგნობა თანდათან დაამახინჯა. ამის მიუხედავად, XIV საუკუნემდე მოიტანა თავისი გამოფიტულ-გაძარცვული და ნაომარი კედლები. საბოლოოდ 1326 წელს მომხდარმა მიწისძვრამ, სოსტრატ კნიდელის გენიის ნაყოფი, უმოწყალოდ მიწას დაუბრუნა. შუქურისაგან აღარაფერი დარჩა, ისიც თავისი უფროსი თანამოძმეების მსგავსად მოგონებების საკუთრებად გადაიქცა.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
პირამიდები 8
ბაბილონის „დაკიდული ბაღები“ 37
არტემიდა ეფესელის ტაძარი 73
ოლიმპიელი ზევსის ქანდაკება 97
ჰალიკარნასის მავზოლეუმი 126
როდოსის კოლოსი 138
ალექსანდრიის შუქურა 153

Кавтария Грани Емельянович

Семь чудес света
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1996